


**ბერნარდ ლიგენუდი**

# **ადამიანის ცხოვრების გზა**

**ბიოგრაფიული კრიზისები — როგორც  
განვითარების შანსი**



გამომცემლობა „აქაქო“

კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ  
თბილისი

2002

## **ბერნარდ ლიევეგუდო**

ადამიანის ცხოვრების გზა. ბიოგრაფიული კრიზისები –  
როგორც განვითარების შანსი.

თარგმანი ქართულ ენაზე შესრულებულია მარინა ბულიას მიერ.  
გამომცემლობა „აწმყო“. კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ  
ზრუნვას რომ საჭიროებენ. ტელ. 77 63 07. თბილისი. 2002.

ქართული თარგმანის გამოცემა ნებადართულია  
გამომცემლობის Lemniscaat, Rotterdam მიერ.

© მარინა ბულია. 2001

ISBN 999928-877-4-5

თარგმანი ქართულ ენაზე შესრულებულია ინგლისური გამოცემიდან:

**Bernard Lievegoed**

Phases. Crisis and Development in the Individual

translated by H. S. Lake

Pharos Books, London 1979

© Rudolf Steiner Press, London 1979

თარგმანი შეჯერებულია გერმანულ გამოცემასთან:

**Bernard Lievegoed**

Lebenskrisen – Lebenschancen: Die Entwicklung des Menschen zwischen  
Kindheit und Alter

Übersetzung aus dem Holländischen: Gerlind Wild-Wülker.

Kösel-Verlag München 1983

© Kösel-Verlag GmbH&Co., München 1979

ორიგინალი გამოქვეყნდა პოლანდიურ ენაზე:

**Bernard Lievegoed**

De levensloop van de mens

Lemniscaat, Rotterdam 1976

© Lemniscaat, Rotterdam 1976

კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ-სოციალური  
თერაპიის სახლი-გამომცემლობა „აწმყო“ მადლობას უხდის Stichting Bernard  
Lievegoed Fonds და ბატონ Rudolf Mees-ს ქართული თარგმანის გამოსაქვეყნებლად  
გაწეული დახმარებისთვის.

Association for People in Need of Special Care - Dayhome of Social Therapy-  
Publishing Office „Azmkö“ have the pleasure to express the deep gratitude to  
Stichting Bernard Lievegoed Fonds and to Mr. Rudolf Mees for supporting the  
publishment of georgian translation of the book. We are grateful to Lemniscaat  
Rotterdam for permission to publish the georgian translation of the book.  
The book is printed in Georgia by Dayhome of Social Therapy.

დაბეჭდილი და აკინძულია სოციალური თერაპიის საკლში. თბილისი. ქმუბ.  
უბლაგების ქ.8

# შინაარსი

წინასიტყვაობა . . . . .	9
შესავალი . . . . .	11
I. ზოგადი მიმოხილვა . . . . .	15
1. პრობლემის დასმა . . . . .	15
2. ადამიანის განვითარება . . . . .	19
3. სულიერი ელემენტი ადამიანში . . . . .	24
4. ადამიანის ხატი . . . . .	28
5. ცხოვრების დაყოფა ფაზებად . . . . .	32
II. ადამიანის ცხოვრების მიმდინარეობა . . . . .	43
1. ცხოვრების ფაზები . . . . .	43
2. სიერმე . . . . .	52
3. ადრეული მოზრდილობა - ოციანი წლები . . . . .	65
4. ორგანიზატორული ფაზა . . . . .	71
5. ოცდაათიანი წლების მეორე ნახევარი . . . . .	75
6. ცხოვრების მესამე ძირითადი ფაზა - ორმოციანი წლები . . . . .	80
7. ორმოცდაათიანი წლების დასაწყისი . . . . .	89
8. ორმოცდათექვსმეტი წლის შემდეგ . . . . .	93
III. მამაკაცისა და ქალის განვითარება - ქორწინება . . . . .	97
IV. ძირითადი ორიენტაციები . . . . .	119
V. სამსახურებრივი წინსვლა და საკადრო პოლიტიკა . . . . .	128
VI. ადამიანის ხატი, ბიოგრაფია და ფსიქოთერაპია . . . . .	143
1. ადამიანის თანამედროვე ხატი . . . . .	143
2. ფსიქოთერაპია და ადამიანის ხატი . . . . .	169
3. ფსიქოთერაპიის სამი დონე . . . . .	195
VII. პიროვნების განვითარება და ბიოგრაფია . . . . .	208
ლიტერატურა . . . . .	228



## წინასიტყვაობა

ამ წიგნის წარმოშობას ვუმაღლი საუბრებს, წლების განმავლობაში რომ მქონია მრავალ ადამიანთან, რომელიც ცდილობდა ჩაღრმავებოდა საკუთარ ან სხვის ცხოვრებას.

სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომების, რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით ჩვენ ვეცნობით სხვადასხვა ფსიქოლოგიური და ფსიქიატრიული სკოლების მიერ ადამიანის შესახებ წამოყენებულ, ხშირად ერთმანეთის საწინააღმდეგო, შეხედულებებს. შვევის მომტანია იდეათა ამ ქაოსში წესრიგის შეტანა. სწორედ ეს არის ნაცადი წინამდებარე ნაშრომში პერსონალისტურ თვალსაზრისზე დაყრდნობით. აქ ადამიანი განხილულია, როგორც ფიზიკური (ადამიანის ბიოლოგიური ხატი), მშენიერი (ადამიანის ფსიქოლოგიური ხატი) და სულიერი არსება (ადამიანის ბიოგრაფიული ხატი). ინდივიდის ცხოვრების გზის (მისი ბიოგრაფიის), როგორც პიროვნების ქმნილების, სრულყოფილი წვდომა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ეს სამი ასპექტი ერთ მთლიან ხატად არის გაერთიანებული.

წიგნში მიმოხილულია ბიოგრაფიული ფაზები, მათთვის დამახასიათებელი მუდმივად ცვალებადი პრობლემებითა და წინსვლის შანსებით. ასევე განხილულია ადამიანის ცხოვრების გარკვეული კრიტიკული ეტაპები და მათთან დაკავშირებული სირთულეები. ვიმედოვნებ, წიგნი დაეხმარება მკითხველს, სწვდეს საკუთარი ცხოვრების მიმდინარეობასა და სხვა ადამიანების ბიოგრაფიულ განვითარებას.

ბ. ლ.



## შესავალი

აღამიანის განვითარებისა და ბიოგრაფიის პრობლემებზე მუშაობას ორმოც წელზე მეტ ხანს ცენტრალური ადგილი ეჭირა ჩემს ცხოვრებაში. სამკურნალო პედაგოგიკასა და ბავშვთა ფსიქიატრიაში მთავარი იყო პაციენტის ცხოვრებაში აღრეული დარღვევების როლის გარკვევა. ყმაწვილთა და მოზრდილთა ფსიქოთერაპიაში მნიშვნელოვანი იყო იმ ლაიტმოტივის ძიება, რომელიც წარმართავს მთელ ცხოვრებას ბავშვობიდან ხანდაზმულობამდე. ახალგაზრდებთან მუშაობისას, ქარხნის ახალგაზრდა, არაკვალიფიციური მუშების აღზრდა-განათლებისას, პროფესიული მომზადების პროგრამის შემუშავებისას საკითხი ასე დადგა: რა უნდა გაკეთდეს ახლა, რათა საფუძველი ჩაეყაროს ცხოვრების შემდგომი ფაზების პრობლემების შემოქმედებითად გადაჭრას. მენეჯერებსა და ორგანიზაციებთან მუშაობისას ცენტრალური ადგილი ეჭირა კურსს „აღამიანის განვითარების ფაზები“. დაბოლოს, სხვათა აღზრდა-განათლებიდან თვითაღზრდაზე გადასვლა დრიბერგენის (პოლანდია) თავისუფალი უმაღლესი სკოლის შესავალი კურსის მთავარ თემად იქცა.

მუშაობისას განუწყვეტლივ მუდგანდებოდა, თუ რაოდენ ნაყოფიერია აქტუალურ პრობლემათა მთლიანი ცხოვრების ფართო კონტექსტში განხილვა. აწმყო თანაბრად განისაზღვრება წარსულის კაუზალური ფაქტორებითა და სამომავლო მიმართულებებით. კაუზალური ფაქტორები წინასწარაა მოცემული. მხოლოდ მომავალი უტოვებს სოციალურ მუშაკსა თუ თერაპევტს მოქმედების თავისუფლებას. ხშირად უფრო მნიშვნელოვანია, მომავლის განსაზღვრაში დაეხმარო პიროვნებას, ვიდრე ჩაეჭიდო წარსულს, რომელიც ვეღარ შეიცვლება.

ამ 40 წლის განმავლობაში ბევრჯერ მქონია სურვილი, ქალღალღზე გადამეტანა ადამიანის ბიოგრაფიის შესწავლის შედეგად მიღებული გამოცდილება. მზად არყოფნის განცდა, რომელიც არ მცირდებოდა, მაიძულებდა ამის გადადებას. მაგრამ მეორე, ჩემს პირად ცხოვრებასთან დაკავშირებულმა, ფაქტორმა დამაწერინა წინამდებარე ნაშრომი: როცა მიაღწევ 70 წლის ასაკს, საკითხი ასე დაისმის: „ან ახლა, ან არასოდეს“. ვიმედოვნებ, რომ მას, ყველა ნაკლითურთ, მიუდგებიან როგორც ფსიქიატრისა და ამავე დროს სოციალური სფეროს მუშაკის მთელი ცხოვრების ნაყოფს.

ყოველმა ავტორმა უნდა წარმოიდგინოს მკითხველი, რომელსაც მიმართავს. დისერტაციისას ეს შეიძლება იყოს ფაკულტეტის კრიტიკული საბჭო, სტატიისას - კოლეგები. ორივე შემთხვევაში ავტორმა საკუთარი წვლილი უნდა განიხილოს მეცნიერების იმ მდგომარეობის შუქზე, რომელიც არსებობს წერის მომენტში. მკითხველი, რომელიც მიდგას თვალწინ, არის ჩემი კურსებისა და ლექციების აუდიტორია, კვალიფიციური მუშებით დაწყებული, უნივერსიტეტდამთავრებულთა ჩათვლით. ყველა მათგანს ერთი რამ ახასიათებდა: ცნობისმოყვარე გონება და, რაც მთავარია, ინტერესი საკუთარი ბიოგრაფიული პრობლემებისადმი, ცხოვრების აზრისადმი.

წინამდებარე ნაშრომი არ უყრდნობა ქცევის „ობიექტურ“ მეცნიერებას, რომელიც გამორიცხავს ყოველივეს, რაც ჩვენს შიგნით ხდება, იმ აზრსა და მნიშვნელობას, რომელსაც ცხოვრებას ვანიჭებთ. საინტერესო სწორედ ისაა, რაც ბიპევიორისტების „შავ ყუთში“ ანუ ჩვენში ხდება. ადამიანის ცხოვრებას ვერ აღვწერთ, როგორც ქიმიური რეაქციების დაპროგრამებულ თანმიმდევრობას და მას ვერც საწერ-კალმის ბედს შევადარებთ იმ წუთიდან, როცა ის ტოვებს ქარხანას, იმ მომენტამდე, როდესაც ნაგვის ყუთში ამოყოფს თავს, გამოყენებული იქნება რა სხვადასხვა მფლობელების მიერ.

ადამიანის ბიოგრაფიას, პირველ რიგში, გააჩნია ბიოლოგიური ასპექტი, რომლის აღმასვლა-დაქვეითების აღწერაც გა-



რედან შეიძლება. მას აქვს ფსიქოლოგიური ასპექტიც, რომელიც განიცდება აზროვნებაში, გრძნობებში, ნებელობის იმპულსებში. დაბოლოს, მას გააჩნია სულიერი ასპექტი ინდივიდუაციისა, ღირებულებათა არჩევისა, საზრისისა, მეს პოტენციალის რეალიზაციისა. სწორედ ფსიქოლოგიური და სულიერი ასპექტები გვეხება ყველაზე მეტად: რადგან სწორედ ისინი შეადგენენ ჩვენს ადამიანობას საბირისპიროდ ცხოველებისა. ძირითადად ცხოვრების სწორედ ამ მხარეებს განვიხილავ.

ამ ასპექტების შესასწავლად კვლევის მეთოდად ინტროსპექცია უნდა ავირჩიოთ. ვგულისხმობ თვითდაკვირვებას, რომელიც ისეთივე მოწესრიგებულობით წარმოებს, როგორც მათემატიკური აზროვნება. ჩვენი განცდების მოსაწესრიგებლად საჭიროა ყოველდღიური სისტემატური ინტროსპექცია, რომელიც კრიტიკულადაა შეჯერებული დაკვირვებებთან, ღირებულებებთან, ნორმებთან. ყველასათვის ცნობილია, რომ უმაღლესი მათემატიკის პრობლემატიკაში გასარკვევად ხანგრძლივი, ინტენსიური სწავლება არის საჭირო. არასპეციალისტს, რომელიც იტყოდა: „მე თვალი გადავაფლე ამას და ვთვლი, რომ სისულელეა“, - არავინ შეხედავს სერიოზულად და სწორიც იქნება. იგივე ითქმის ცოდნაზე, რომელიც მიიღება თვითდაკვირვებითა და სხვებთან ინტროსპექციული საუბრებით. ადრე ლაპარაკობდნენ კონცენტრაციაზე, მედიტაციაზე, კონტემპლაციაზე, დღეს კი უფრო ინტროსპექციასა და ემპათიურ გაგებაზეა საუბარი. ამ უკანასკნელის არსებობა კი შეუძლებელია შინაგან ფენომენებზე სისტემატური კონცენტრაციისა და მედიტაციური ჩართვის გარეშე. ამისთვის ცნობიერი და მდიდარი შინაგანი ცხოვრება არის საჭირო. ამ პერსპექტივით დაიწერა ეს წიგნი.

თანამედროვე მატერიალისტურ ეპოქაში ადამიანი გრძნობს, რომ თავის უშინაგანეს ფსიქიკასთან მიმართებით უდაბნოში მოგზაურობას შეუდგა. მისი წყურვილის დაოკება შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ყურადღების შეჩერებით იმ აზრებსა და გრძნობებზე, რომელნიც მის არსებობას მნიშვნელობას სძენენ, ხოლო მის მთლიან ადამიანურ არსებას ამკვიდრებენ ეთიკური

და ესთეტიკური ღირებულებების ადამიანურ და, იმავედროულად, სულიერ სამყაროში. ცხოვრების ფაზების გაგება შეიძლება გადაიქცეს გზად უდაბნოში და არსებობას აზრი შიანიჭოს. ადამიანის ცხოვრების ფაზების ყველაზე ადრეული აღწერა შეიძლება ვნახოთ ჩინურ ანდაზაში: ცხოვრება სამი ფაზისაგან შედგება - 20 წელი სწავლისათვის, 20 წელი ბრძოლისათვის და 20 წელი დაბრძენებისათვის. თუ ამ წიგნში მკითხველი იბო-ვის რაიმეს ამ ჩინური სიბრძნიდან, მისი ერთ-ერთი მიზანი მიღწეული იქნება.

# 1. ზოგადი მიმოხილვა

## 1. პრობლემის დასმა

აღაპიანის შინაგანი ცხოვრებისადმი სადღეისოდ ინტერესის ზრდა შეინიშნება. როგორც ვთქვით, ბიპევიორისტების „შავი ყუთი“ აღარ ითვლება შეუმეცნებლად უბრალოდ იმიტომ, რომ ჩვენ თვითონა ვართ „შავი ყუთი“ და საკუთარ თავთან შეგნებული მიდგომა გვსურს. ამისათვის საჭიროა გავიგოთ ის, რაც ჩვენს შიგნით ხდება. ამგვარი მოსაზრებების შედეგად აკადემიური ფსიქოლოგიის გვერდით სხვა სახის ფსიქოლოგია განვითარდა, რომელიც უმთავრესად სულიერად დაავადებულთა დაკვირვებიდან აღმოცენდა.

ეს განვითარება იწყება გასული საუკუნის დასასრულს ფროიდისეული ფსიქოანალიზით და ადლერის, იუნგისა და ფრანკლის გაყლით მიდის ასაჯიოლიმდე (რომ შემოვიფარგლოთ მისი ევროპელი წარმომადგენლებით). ინტერესი გაჩნდა განვითარების ფსიქოლოგიაშიც, რომელიც არ იყო ფსიქოანალიზური და დაკავშირებული იყო ისეთ პიროვნებებთან, როგორნიც არიან: შარლოტე ბიულერი, რიუპკე, კიუნკელი, გუარდინი, მართა მოერსი, ანდრიესენი და სხვანი. მხოლოდ უკანასკნელ წლებში დაიწყეს ამ სკოლებმა გაერთიანება საერთო სარგებლობისათვის.

მრავალი ადაპიანი ეძებს მეგზურს, რომელიც გზას გაუკაფავს შინაგანი ცხოვრების თავგზააბნევე განცდებში. ეს შინაგანი სამყარო შეიძლება შეიცავდეს ქვეცნობიერი სამყაროს ელემენტებს, რომელიც სავსეა გაუთავისებელი ცხოვრებისეული გამოცდილებებით, ღრმა ემოციებით, სწრაფვებითა და არქექტივებით. ისინი იჭრებიან ჩვენს ყოველდღიურ ცნობიერებაში სიზმრების ან საშინელი განცდების სახით, რომელთაც შეიძლება დაარღვიონ ჩვენი შინაგანი წონასწორობა.

აშკარაა, რომ დასავლეთის ცივილიზაციის განვითარებამ მიაღწია იმ წერტილს, სადაც იგი კვეთს საზღვარს „ნორმალურ“ ცნობიერებასა და ქვეცნობიერს შორის. კოლექტიური ემოციები და ინვაზიები<sup>1)</sup> ისტორიის კრიტიკულ მომენტებში მუდამ არღვევდა ზედაპირს, ჰპოვებდა რა გამოსავალს ომებსა და რევოლუციებში. მათი რაობა ამჟამად ცნობილია და დგება საკითხი: როგორ უნდა ვმართოთ ასეთი ძალები, რათა მათ არ მიგვიყვანონ მსოფლიო კატასტროფამდე ახლა, როცა ჩვენი იარაღის დამანგრეველი ძალა ასე გაიზარდა?

მაგრამ ზღურბლის გადაკვეთა მეორე მიმართულებითაც ხდება. სულ უფრო და უფრო მეტი ფილოსოფოსი, ფსიქოლოგი და ფსიქიატრი მიუთითებს, რომ გარდა ქვეცნობიერიდან ადამიანს გააჩნია ზეცნობიერიც, სადაც შეუძლია ჰპოვოს ღირებულებები და ნორმები, რომელნიც მის მომავალს მიზანს შესძენენ. ამ მიზანმა შეიძლება გეზი მისცეს ცხოვრებას და მოგვცეს ძალა, რომელიც უსაფრთხოს გახდის ემოციებსა და აფექტებს.

მატერიალიზმმა, რომელმაც თავის ზენიტს გასული საუკუნის მეორე ნახევარში მიაღწია, ამ ნორმების, ღირებულებების, მიზნების ასახსნელად ვერაფერი მოიხმო, გარდა სიმულირებული არსებობისა, ილუზიისა, პროექციისა, სუბლიმაციისა. მათ განსაზღვრავდნენ, როგორც შიშველი მაიმუნის მიერ აგებულ კოშკებს, რომელსაც თავი ადამიანი ეგონა.

ასე აღმოცენდა ფსიქოანალიზი, რომელმაც დიდი სიამოვნებით ახადა ნიღაბი ამ მაღალ მოვლენებს. მაგრამ ყოველი ცალმხრივი შეხედულება თავის საპირისპიროს აძლევს დასაბამს. განვითარდა ფსიქოსინთეზი, როგორც მეორე პოლუსი ფსიქოანალიზისა. იგი ადამიანის არსს ხედავს მაღალ მეში, რომელიც მანათობელი ვარსკვლავივით თავს დაჰხნათის მის სულს. ერთი მხრივ, სახეზეა ცხოველური ადამიანი, რომელსაც მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პრინციპი ამოძრავებს. მეორე მხრივ, კი

---

1) invasions - ინგლ. შემოსევები(აქ და ქვემოთ ზოარგმნელის შენიშვნები).

სულიერი ადამიანი, რომელიც ვითარდება თავისი ინდივიდუალური მომავლისაკენ, სადაც მნიშვნელობა ენიჭება სიყვარულსა და ტკივილს, მიღებასა და გაცემას. ამ ზღურბლთაგან პირველი გადაკვეთილ იქნა ამ საუკუნის 20-ანი წლების დასაწყისში, მეორე — 50-იანი წლების შემდეგ.

ასაკობრივი ფსიქოლოგიის წარმომადგენლებზე ზეგავლენა არ მოუხდენია ამ შინაგან, მღელვარე მოვლენებს. ისინი ეძებდნენ კანონებს, რომელნიც მართავენ ადამიანის ცხოვრების მიმდინარეობას. ადვილი არ იქნება, ამ წიგნში ვაჩვენოთ ამ მრავალი მიმართულების ურთიერთკავშირი. ამის მიზეზი არის არა მარტო ის, რომ ასაკობრივმა ფსიქოლოგიამ თითქმის ვერ შეამჩნია ანალიტიკოსების, სინთეტიკოსების, ეგზისტენციალისტების მიერ შინაგანი არსების ხატისთვის წარმოებული ბრძოლა, არამედ ისიც, რომ ეს უკანასკნელნი ისე ავითარებდნენ თავიანთ თერაპიებს და წარმოდგენებს ადამიანზე, რომ დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ მის ბიოგრაფიას.

თერაპიები ემყარებოდა თერაპევტების გამოცდილებას ცხოვრების გარკვეული ფაზის პრობლემებთან დაკავშირებით, რომელნიც შემდეგ ყველა ასაკისათვის დამახასიათებლად ცხადდებოდნენ. ყველაზე ნათლად ეს გამოვლინდა ფროიდისა და იუნგის კონფლიქტში: ფროიდისა, რომელიც მუშაობდა ახალგაზრდებთან, სექსუალურ კომპლექსებზე, და იუნგისა, რომელსაც საქმე პქონდა ასაკოვან ხალხთან, ვისთანაც ცენტრალური ადგილი ეჭირა სიკვდილის შიშსა და განცდას იმისა, რომ გზა ვერ გაიკვლიეს სულიერი იდეალისაკენ.

1950-იანი წლების შემდეგ ევროპასა და ამერიკაში გაიზარდა მოთხოვნილება, შექმნილიყო ადამიანის სურათ-ხატი, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა ყოველდღიური ცნობიერებაც, ქვეცნობიერიც და ზეცნობიერიც. ეს იმასაც ნიშნავდა, რომ იზრდებოდა მოთხოვნილება, გარკვეულიყვნენ შინაგან განვითარებასთან დაკავშირებულ პრობლემებში. ამ სფეროში მუშაობდნენ ინდივიდუალური ფსიქიატრები, ფსიქოთერაპევტები და კონსულტანტები (აშშ-ში), ინსტიტუტები, რომელნიც უზრუნ-

ველყოფენ ჯგუფურ ტრენინგს და ენთუზიასტი, სხვადასხვა გამოცდილების მქონე, მოყვარულები. მათი ამოსავალი წერტილი განსხვავებულია, მაგრამ ყველა ისინი ეძებენ პერსონალისტურ მიდგომას ადამიანთა ურთიერთობების, ქორწინების და ბლოკირებული ვანგიტარების პრობლემებთან.

შინაგანი ვანგიტარების მეგზურს ზოგიერთნი მაღალ მეში ეძებენ, რომელიც სულიერ სამყაროს ეკუთვნის, სხვები კი მისტიკურ ერთსახოვნებასთან შერწყმაში, უძველესი აღმოსავლური მისტიციზმის საშუალებით.

პირველნი არიან ისინი, რომელთაც გზის გაკაფვა სურთ აზროვნების, გრძნობის, ნებისყოფის სისტემატური ვარჯიშით და იმაგინაციური, ინსპირაციული, ინტუიციური უნარების განვითარებით. რუდოლფ შტაინერი მათთვის არის პიროვნება, რომელსაც შეუძლია ასწავლოს მათ, თუ როგორ ჩააყენონ თავიანთი უნარები კაცობრიობის სამსახურში აღზრდა-განათლების, სოფლის მეურნეობის, მედიცინის სფეროებში. დაბოლოს, არიან ისეთნიც, უმთავრესად ახალგაზრდები, ვისთვისაც სისტემატური ვანგიტარების გზა მეტისმეტად ნელი არის. მათ სჯერათ, რომ ზეცნობიერისაკენ წინსვლას ქიმიის დახმარებით შეძლებენ. ისინი უექველად გადალახავენ ვიწრო ცნობიერების ზღურბლს, მაგრამ აღმოჩნდებიან დაბინდულ სფეროში, სადაც მძაფრი ემოციური განცდები მოიცავთ, რომელთა ნაყოფიერი გამოყენება აღარ შეუძლიათ. ისინი სულ უფრო და უფრო უცხოვდებიან და თავშესაფარს ძლიერმოქმედ ნარკოტიკებში ეძებენ.

მრავალი ადამიანი მხოლოდ წიგნებიდან და გაზეთებიდან ეცნობა ამ ფენომენებს. მაგრამ მათ აღელვებთ საკუთარი ან მეგობრის ცხოვრება; მათთვის უფრო ღირებული არის ადამიანის ცხოვრების ფენომენოლოგიური აღწერა, განსაკუთრებით, თუ ყურადღება მიექცევა ბიოგრაფიის კრიტიკულ მომენტებსა და კრიზისებისათვის დამახასიათებელ პრობლემებს, – რათა შეძლონ საკუთარი ცხოვრების რთული პერიოდების აღქმა მნიშვნელოვანი მთლიანის ნაწილად.

ამ აღწერით უკვე მინიშნებულ იქნა ამ წიგნის შემადგენელი ნაწილები. ჩამოვთვლი მათ: ადამიანის ცხოვრების ფაზების ფენომენოლოგიური აღწერა; ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სულიერი ცხოვრების გზის ანალიზი; განხილვა ადამიანის შესახებ არსებული წარმოდგენებისა და თერაპიული სკოლებისა, რომელთაც შეიძლება სიღრმე მიანიჭონ ცხოვრების გზას; ბიოგრაფიული დარღვევების თავიდან აცილების ან მკურნალობის გზების მიმოხილვა; და ამასთან დაკავშირებით დახმარება ზღურბლის გადალახვაში, რაც ყველა ჩვენთაგანმა უნდა განახორციელოს 40 წლის ასაკის შემდეგ.

## 2. ადამიანის განვითარება

ტერმინით „განვითარება“ აღნიშნავენ გარკვეული პერიოდის განმავლობაში მიზანმიმართულ ცვლილებათა რიგს. ჩემს წიგნში „განვითარებადი ორგანიზაცია“ განხილულია განვითარების ცნება. იქ ერთმანეთისაგან განვასხვავე ცვლილება, ზრდა და განვითარება.

ტერმინი „ცვლილება“ გვეუბნება უბრალოდ იმას, რომ არაფერია სტატიკური და ყველაფერი მოძრაობს დროის ნაკადში. მხოლოდ მაშინ, თუ ცვლილების უკან არის რაიმე სისტემა, ცვალებადობა საინტერესო ხდება. მაშინ შესაძლებელია იმ კანონებზე საუბარი, რომელთაც მეცნიერები აღწერენ. ზრდა არის სისტემატური ცვლილება, რომლის დროსაც ერთსა და იმავე სისტემაში ადგილი აქვს მოცემული ელემენტის რიცხვის, ზომის ან წონის რაოდენობრივ გადიდებას. კრისტალი იზრდება წონასა და განზომილებებში, ქალაქი იზრდება ფართობისა და მოსახლეობის მხრივ, კლუბი წევრების მიხედვით და ა.შ. განვითარება არის ზრდა, რომლის დროსაც სისტემის შიგნით კრიტიკულ პუნქტებში სტრუქტურული ცვლილებები ხდება. შარლოტე ბიულერის მიხედვით, განვითარება არის ცვლილება, რომელიც ერთი

მიმართულებით ხდება და რომელსაც მომწიფების კანონები მართავს.

„განვითარება ძირითადად ბიოლოგიურია“, — ამბობს დეილ პარისი თავის ნაშრომში „განვითარების ცნება“. იზრდება რა რაოდენობრივად, ორგანიზმი აღწევს ზღვარს, რომლის შემდეგაც მისი თავდაპირველი მარტივი სტრუქტურა გედარ ნარჩუნდება. მაშინ ზრდის გაგრძელება ნიშნავს ორგანიზმის დეზინტეგრაციას (მაგ., ბიოლოგიური სიკვდილის სახით), ან მისი შინაგანი სტრუქტურის ხელახალ მოწესრიგებას ისე, რომ მიუხედავად ორგანიზმის გაზრდისა, კონტროლი შენარჩუნებულ იქნეს. განვითარებას ადგილი აქვს უმარტივეს ცოცხალ ორგანიზმებშიც კი. ამ მარტივ განვითარებასთან დაკავშირებით დეილ პარისი ლაპარაკობს „დაგეგმილ ზრდაზე“. ის იწყება უჯრედის დაყოფისა და დიფერენციაციის განმეორებადი პროცესებით, რაც ორგანოების ჩამოყალიბებით მთავრდება; ამას კი მივყავართ ორგანიზმის საბოლოო ფორმამდე. ეს არის აღმშენებლობის სტადია. შემდეგ მოდის აღმშენებლობასა და დაშლას შორის წონასწორობის საფეხური — ზრდასრული ორგანიზმის ფუნქციონირების ფაზა. დაბოლოს, არის მესამე საფეხური, სადაც სულ უფრო დომინირებს დაშლა, სანამ სიკვდილი მოვიდოდეს.

ამ პროცესისას მცენარე იზრდება თესლიდან ღერომდე და ფოთლამდე, ყვავილებამდე და თესლამდე, ხშირად ერთწლიანი ციკლით, მრავალწლოვან მცენარეებში პროცესი თავის თავს იმეორებს და გამყარებული ვარჯი ყოველ წელს ახალ-ახალ ყლორტებს ამოიყრის.

ცხოველებს სიცოცხლის იგივე ციკლი გააჩნიათ — აღმშენებლობა-წონასწორობა-დაშლა, თუმცა ყოველ სახეობას სიცოცხლის საკუთარი ხანგრძლივობა აქვს. ვამბობთ, რომ ცხოველის სიცოცხლე ქრონოტიპულადაა განსაზღვრული. თავი ცოცხლობს წელიწადნახევრიდან ორ წლამდე, ძალიან — 12-15 წელი, ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა ადრე 60-70 წელი იყო, ახლა კი გაიზარდა.

თუ განვიხილავთ ორგანიზმის სტრუქტურას, ვნახავთ, რომ



განვითარების პროცესი არაა უწყვეტი. განვითარება არის ზრდა სტრუქტურული კრიზისიდან სტრუქტურულ კრიზისამდე. აქაც გამოირჩევა რამოდენიმე საფეხური:

- ა) მთლიანი ორგანიზმის (ან მისი ნაწილების) ზრდა;
- ბ) დიფერენციაცია და ორგანოების ჩამოყალიბება: ფუნქციები, რომელნიც თავდაპირველად თანაბრად ზორციელდებოდა მთელი სისტემის მიერ, ახლა კონცენტრირებული და დახვეწილია ქვესისტემებში (ორგანოებში);
- გ) იერარქიზაცია: ზოგიერთი ორგანო სხვების მართვის ფუნქციას იღებს. ეს ცნობილია აგრეთვე როგორც „იერარქიული ინტეგრაცია“;
- დ) ინტეგრაცია: ყალიბდება ახალი სისტემა; ორგანიზმი როგორც მთლიანი ახლა უფრო რთულად და მაღალ დონეზე ფუნქციონირებს.

ბიოლოგიური განვითარება მუდამ ფინალისკენაა მიმართული. ყოველი ცოცხალი არსება ვითარდება მიზნისკენ, დასასრულისკენ, ზრდასრული ორგანიზმის წინასწარ განსაზღვრული ფორმისაკენ. ეს პროცესი მოიცავს აღმშენებლობას, წონასწორობასა და დაშლას. ეს წესი ეხება ყველა ცოცხალ ორგანიზმს ადამიანის ჩათვლით, რომლის წონასწორობის ფაზას აღმშენებლობასა და დაშლას შორის ქვემოთ განვიხილავთ.

აქამდე უსაფრთხო, ნაცნობ ნიადაგზე ვიდევით. მაგრამ ადამიანში ერთდროულად განვითარების არაერთი პროცესი მიმდინარეობს. თითოეულს საკუთარი ნიშნები აქვს, მაგრამ ისინი ურთიერთქმედებენ. ერთმანეთისგან განვასხვავებ განვითარების სამ პროცესს:

*ბიოლოგიურ განვითარებას  
მშენიერი განვითარებას  
სულიერ განვითარებას*


როგორც კი ვიწყებთ ფსიქოლოგიური და სულიერი განვითარების შესახებ საუბარს, წინააღმდეგობრივ სფეროში გადავდივართ. სხვადასხვა სკოლები დღემდე ედავებიან ერთმა-

ნეთს. ყოველ მხარეს თავი აბსოლუტურად მართალი ჰგონია, ემიჯნება ყველა სხვა აზრსა და მიდგომას. ქცევის მეცნიერებებსა და სიღრმის ფსიქოლოგიას, ერთი მხრივ, და ექსპერიმენტულ სენსორულ ფსიქოლოგიასა და ფსიქოთერაპიას, მეორე მხრივ, არ გააჩნიათ საერთო ნიადაგი, სადაც შეიძლება ერთმანეთს შეხვედროდნენ.

რაც შეეხება წარმოდგენებს ადამიანზე და თერაპიულ სკოლებს, შეიძლება შემდეგი დაკვირვების გაკეთება. ვენელი ფსიქიატრი ფრანკლი ეხება ბიოლოგიის, ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის მიერ წარმოდგენილ ადამიანის რედუცირებულ ხატებს. მათ ის უწოდებს ბიოლოგიზმებს (ადამიანი არის გენეტიკურად ჩამოყალიბებული ბიოლოგიური ობიექტი), ფსიქოლოგიზმებს (ადამიანი ყალიბდება აღზრდა-განათლების საშუალებით) და სოციოლოგიზმებს (ადამიანი ყალიბდება გარემოს ანუ კლასის გავლენით). ადამიანის შესახებ ეს წარმოდგენები ბრმა არის მასში სულიერის, როგორც თავისთავადი საწყისის, მიმართ. მთლიანი ადამიანი, რომელზეც გვესაუბრება ფრანკლი, არ იმართება ბრმა ლტოლევების ან სურვილების მიერ, არ არის ჩამოყალიბებული აღზრდის, განათლების, გარემოს მიერ. პირიქით, ის მიიკვლევს საკუთარ გზას ყოველივე ამის მიუხედავად. ეს გზა მოიცავს სიხარულსა და სევდას, სიყვარულსა და ტკივილს, როგორც სრულყოფილი ადამიანობის მოპოვებისკენ მიმავალი განვითარების გზის მნიშვნელოვან ასპექტებს.

მე წლის წინ მშობლებისა და პედაგოგებისთვის მე დავწერე წიგნი „ბავშვის განვითარების ფაზები“. მასში სქემატურად ასეა წარმოდგენილი ადამიანის ხატი, რომელიც საფუძვლად უდევს ამ ნაშრომს. ( იხ. სქემა )

ადამიანის სამშენიველი (ფსიქიკა, რომელიც ვლინდება აზროვნებაში, გრძნობაში, ნებელობაში და რომლის ცენტრშია ჩვენი ყოველდღიური მე) მოიცავს ორ პოლუსს: ერთ მხარეს არის სხეულებრივი სფერო, საიდანაც სათავეს იღებენ ლტოლვები და სურვილები. მეორე მხარეს არის სულიერი პოლუსი, სადაც სამშენიველი გონების სფეროში, ნამდვილ ღვთაებრივ



სულიერ სამყაროში მკვიდრობს. აქ, თვითცნობიერებისა და ცხოვრებისათვის აზრის მინიჭების გზით, სამშენიველი სწვდება ადამიანის ნამდვილ მეს, როგორც სულიერ არსებას.

შემდგომი განხილვისათვის დაგუმატებ, რომ აზროვნება ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული სულიერ სამყაროსთან, ნება კი სხეულის ფიზიკურ სამყაროსთან. გრძნობა შუაშია და ბევრისათვის ფსიქიკის ნამდვილ თვისებას წარმოადგენს.

ცხოვრების შუა ფაზაში, როგორც მომდევნო თავებში ვნახავთ, აზროვნება, გრძნობა, ნება ინდივიდუალიზდება მაღალი მეს მიერ ისე, რომ ისინი იქცევიან „შეგრძნებათა სამშენიველად“, „განსჯით სამშენიველად“ და „ცნობიერ სამშენიველად“. ვითარდებიან რა ერთმანეთის მიყოლებით, ისინი საკუთარ ელფერს აძლევენ ცხოვრების თითოეულ ფაზას. სიცოცხლის ბოლო ფაზაში მეს შეუძლია მოახდინოს შემდგომი ზეგავლენა აზრებზე, გრძნობებზე, ნებელობაზე ისე, რომ შეგრძნებათა სამშენიველის ცხოვრება მიგვიყვანს იმაგინაციაში, განსჯითისა — ინსპირაციაში, ცნობიერი სამშენიველისა კი ინტუიციაში (იხ. ბოლო თავი).

ამ წიგნში აღვწერ ზრდასა და განვითარებას ზრდასრულობასა და მომწიფებისკენ. გარკვეულწილად ეს განვითარება ბუნებრივად მიმდინარეობს, მაგრამ მისი დასრულება მოხდება მხო-

ლოდ მაშინ, თუ ჩვენ შეგნებულად მოვისურვებთ მის ბოლომდე მიყვანას. მაშინ გარედან აღზრდას დაემატება თვითაღზრდა, რომელსაც ზოგჯერ შინაგანი განვითარების გზას უწოდებენ. მხოლოდ ასე შეიძლება აზროვნების, გრძნობისა და ნების განვითარების დასრულება და მხოლოდ მას შემდეგ გაიშლება მთლიანად ადაშიანი, რათა გახდეს ის, რაც *ძალუძს*, რომ გახდეს. გონიერება გადაიქცევა *სიბრძნედ*, კონტაქტების უნარი — *სიღბოდ*, თვითცნობიერება — *ნდობის* უნარად.

### 3. სულიერი ელემენტი ადაშიანში

როგორც უკვე აღვწერეთ, ყოველდღიურ განცდებში ვხვდებით ლტოლვებსა და სურვილებს, რომელნიც აღმოცენდებიან ფიზიკურ-ბიოლოგიური სფეროდან და სულიერ მიზნებსა და ნორმებს, რომელნიც მომდინარეობენ ჩვენი სულიერი მეობიდან ანუ ძალაღი მედან.

სხვა სიტყვებით, ადაშიანის სამშენიველში განუწყვეტლივ ურთიერთქმედებს ძალთა ორი ველი. ერთი გამომდინარეობს ფიზიკური სფეროდან, სადაც ურთიერთმონაცვლეობს სურვილები და მათი დაკმაყოფილება; ხოლო მეორე — სულიერი სფეროდან, სადაც ცნობიერი შე სამშენიველს მიმართავს ხან გარეთ — სამყაროსაკენ, ხან შიგნით — საკუთარი თავისკენ. ინტროვერსია და ექსტრავერსია ისევე მონაცვლეობს, როგორც სურვილი და დაკმაყოფილება.

ექსტრავერსიისას ფსიქიკა ანუ სამშენიველი შეგრძნებების საშუალებით კონცენტრირებულია გარე სამყაროზე, განიცდის რა ფერებსა და ფორმებს, ექსტაზსა და ტანჯვას, სიმპათიასა და ანტიპათიას. ინტროვერსიისას სამშენიველი მიმართულია შიგნით, საკუთარი შინაგანი სამყაროსაკენ. ესაა განცდის სამყარო, სადაც წინ წამოიწევეს მოგონებანი, სადაც ვფიქრობთ, ვგრძნობთ და გვნებაგს. აქ აზრებთან ერთად სამშენიველს ალა-

ვსებს განცდები და ამბიციები იმდენად, რამდენადაც სამშენ-  
ველი ცნობიერია (ფხიზელია). სიღრმის ფსიქოლოგიამ ცხადყო,  
რომ სამშენველი აქტიური რჩება არაცნობიერ და ნახევრად  
ცნობიერ, ძილისა და სიზმრის მდგომარეობაშიც. ადამიანის სული  
განიცდება, როგორც ჩვენი საკუთარი მე ან ძალაღლი მე, რომე-  
ლიც, როგორც ცნობიერად, ისე არაცნობიერად მიმართულებას  
აძლევს ჩვენს ბიოგრაფიას. სული მიმართულია ცხოვრების  
მიზნისკენ: ის მუდამ *ფინალზე* ორიენტირებული არის. სამშენ-  
ველში ეს მიზანი შეიძლება განიცდებოდეს როგორც ძახილი,  
იაზრებოდეს, როგორც ცხოვრების გეგმა, ან დასახულ იქნეს,  
როგორც ცხოვრების გზა.

როგორც სურვილი და დაკმაყოფილებაა ბიოლოგიური სფე-  
როს ურთიერთსაწინააღმდეგო პოლუსები, ასევეა სულიერი სფე-  
როსთვის მიზანი და მისი განხორციელება. მიზანი შეიძლება  
თანდათან განხორციელდეს ცხოვრების განმავლობაში. განხორ-  
ციელება არის ბედნიერების ან სიხარულის ეგზისტენციალური  
განცდა, რომელიც — სურვილის დაკმაყოფილებისაგან განსხვა-  
ვებით — არ მოითხოვს ახალ დაკმაყოფილებას (თავის წიგნში  
— „*ადამიანის ცხოვრების სტადიები*“ — რიუმკემ აღნიშნა ეგზის-  
ტენციალური განსხვავება სურვილის დაკმაყოფილებასა და ცხო-  
ვრების განხორციელებას შორის).

თუ მე აქტიურადაა მიქცეული გარეთ, ის თავის თავს კრეა-  
ტიულობაში ავლენს. *კრეატიულობა არის სულის აქტივობა  
სამყაროში*. გონებამ ანუ სულმა საკუთარი თავი შეიძლება გამო-  
ავლინოს ხელოვნებაში, მეცნიერებასა თუ სწავლულობაში, სო-  
ციალურ აქტივობაში. შემოქმედებაში ვხვდებით პიროვნების  
ინდივიდუალობის ნაწილს. ჩვენ ვცნობთ კომპოზიტორს მის მუ-  
სიკაში, დიდ სწავლულს — მის მეთოდში, ლიდერს — მის სო-  
ციალურ ნამოღვაწარში.

კრეატიულობის დიაპეტრულად საპირისპირო არის *სიბრძნე*.  
სიბრძნე აღმოცენდება არა გარეთ მიმართული აქტივობიდან,  
არამედ მოცდის უნარიდან, *თავშეკავებულობიდან, აქტიური  
შინაგანი სიმშვიდიდან*. ბრძენმა პიროვნებამ იცის, რომ შემეც-

ნებას ადგილი აქვს, თუ იგი არაა დაჩქარებული, რომ ყველაფერს დრო სჭირდება. ახალგაზრდობას კი ცოტა მოთმინება გააჩნია: ყველაფერი ახლავე უნდა მოხდეს. სიბრძნე ემყარება ინსპირაციას, ხოლო ინსპირაცია სიტყვასიტყვით „შესუნთქვას“ ნიშნავს. სიბრძნე შესუნთქვას, საკუთარი თავის ავსებაა სულით, ნორმებითა და ღირებულებებით, აზრით, ადამიანობითა და ზეადამიანობით — რწმენით, სიყვარულით და სასოებით.

*ბიოლოგიური განვითარება მიმდინარეობს აღმშენებლობისა და დაშლის პოლუსებს შორის.*

*ფსიქიკის (ანუ სამშვიინველის) განვითარება - ექსტრავერსიისა და ინტროვერსიის პოლუსებს შორის;*

*სულიერი განვითარება კი კრეატიულობისა და სიბრძნის პოლუსებს შორის.*

ახალგაზრდობისას და ზრდასრულობის ექსპანსიური პერიოდისას სულიერ განვითარებაში მთავარ როლს კრეატიულობა თამაშობს, სიცოცხლის მეორე ნახევარში კი სიბრძნე.

სული ერთდროულად არის კრეატიულობა და სიბრძნე. ამდენად სამშვიინველი ერთსა და იმავე დროს არის ექსტრავერსია და ინტროვერსია, სამყაროს ამოსუნთქვა და შესუნთქვა, დიასტოლა და სისტოლა.

ხელოვანებმა და მეცნიერებმა იციან, რომ ინსპირაციის ძალდატანება შეუძლებელია. ინსპირაცია მოდის მხოლოდ მაშინ, როდესაც აქტიური სულიერი სიმშვიდისათვის ბრძოლისას პირდაპირი შედეგი უკანა პლანზე გადაიწევა. აქტიური სულიერი სიმშვიდე მიიღწევა ემოციების, ყველა ასოციაციური ფიქრის დადუმებით, ყველა სასურველ შედეგზე უარის თქმით. ადამიანისთვის ეს ყველაზე ძნელად მისაღწევია. ინსპირაციისას სამშვიინველის ექსპრესიულობის ძალა მაქსიმუმს აღწევს. ექსტრავერტულ სამშვიინველზე ინსპირაციის ზემოქმედების შედეგი არის კრეატიულობა; ხოლო ინტროვერტული სამშვიინველი მას სიბრძნედ აქცევს.

აქ „სიბრძნეში“ ვგულისხმობ არა მარტო ამაღლებულ ფილოსოფიურ სისტემებს, არამედ ცხოვრებისეულ სიბრძნესაც, რომლის პოვნაც ყველგან შეიძლება. მე ისევე ხშირად მინახავს სიბრძნე საამქროში, როგორც სამმართველოში. იგივე ითქმის, რა თქმა უნდა, უგუნურებაზე! სიცოცხლის მეორე ნახევარში უგუნურებას წარმოშობს ის, რომ ადამიანს არ შეუძლია მოიცადოს, პერსპექტივაში შეხედოს მოვლენებს. ამას მოსდევს ნაჩქარევი გადაწყვეტილებები, რომელთაც, თავის მხრივ, უბედურება მოაქვთ. ყოველი დიქტატორი (ხოლო კრეატიულობა, უნდა დაეფუძვას, რომ ყველა დიქტატორს გააჩნია) ბოლოს და ბოლოს მარცხდება საკუთარი სიჯიუტის გამო, იმის გამო, რომ არ იცის, როდის გაჩერდეს.

პოლარობებს, რომელთაც შევხვხე, გააჩნია შუაგული. ეს არ არის ერთი შეხედვით მყარი წონასწორობა ორ ურთიერთსაპირისპირო ძალას შორის, არამედ თვითონაა აქტიური ძალა ადამიანში. ეს მართლაც რომ ადამიანის არსებობის ბირთვია.

ბიოლოგიურ აღმშენებლობასა და დაშლას შორის ეს არის სიჯანსაღის მდგომარეობა, ფსიქოლოგიურ ექსტრავერსიასა და ინტროვერსიას შორის — სულიერი სიმშვიდისა, სულიერ კრეატიულობასა და სიბრძნეს შორის კი — ადამიანური ბედნიერება, განხორციელება.

ამგვარად, ამ პოლარობებს სამსახოვანი ბუნება გააჩნია:

აღმშენებლობა . . . . . სიჯანსაღე . . . . . დაშლა  
ექსტრავერსია . . . . . სულიერი სიმშვიდე . . . . . ინტროვერსია  
კრეატიულობა . . . . . განხორციელება . . . . . სიბრძნე

სიჯანსაღე, სულიერი სიმშვიდე და ბედნიერება არის სტაბილური განვითარების ნაყოფი. ამ საკითხს უფრო დეტალურად განვიხილავ თავში, რომელიც ფსიქოთერაპიას ეხება. ადამიანის ცხოვრების გზის ფენომენოლოგიურ აღწერასთან ერთად განვიხილავთ დაძაბულობის ზემოაღნიშნულ სფეროებს. ისინი ძალზე განსხვავებულ როლს თამაშობენ ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა ფაზებში.

მეექვსე თავში შევხებით ჩვენს საზოგადოებაში გავრცელებულ წარმოდგენებს ადამიანზე. ვნახავთ, რომ ყოველი მათგანი ხაზს უსვამს ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ ანდა სულიერ განვითარებას. ჩემი აზრით, სამივე მათგანი იძლევა კანონიერ მონაცემებს ადამიანის ცხოვრების გზის შესახებ. სურათი უფრო სრულყოფილი მხოლოდ მაშინ ხდება, როცა მხედველობაში ვიღებთ *სამივეს*, მათს ურთიერთქმედებაში.

#### 4. ადამიანის ხატი

აქ მოკლედ აღვწერ რამოდენიმე შეხედულებას ადამიანის შესახებ, რომელიც უფრო ვრცლად არიან განხილულნი მეექვსე თავში. არსებითად რომ ვთქვათ, შესაძლებელია არსებობდეს ოთხი სახის წარმოდგენა ადამიანის შესახებ:

##### 1. ადამიანის მექანიკურ-მატერიალისტური ხატი

XIX საუკუნის დასასრულის იდეალი იყო: „ადამიანი მანქანა“ ან ადამიანი, როგორც „ინდუსტრიული სასახლე“, სურათი, რომელიც ჩემს ახალგაზრდობაში ჯერაც ეკიდა აფთიაქის ვიტრინებში. ადამიანს განიხილავდნენ როგორც მანქანის ნაწილების ჯამს: ტვინი იყო სატელეფონო კავშირი, გული — ტუმბო, საჭმლის მონელების სისტემა — ღუმელი, სასუნთქი მილი კი საკვამური, საიდანაც კვამლი ამოდიოდა. ადამიანის ეს პრიმიტიული ხატი მიტოვებულ იქნა, თუმცა მისი ნაწილები დროდადრო კვლავ ჩნდება ხოლმე. ამის მაგალითია წარმოდგენა გულზე, როგორც ტუმბოზე.

შეიძლება ითქვას, თანამედროვე „სამედიცინო მოდელი“ არის გადასვლა ადამიანის მექანიკური ხატიდან ქიმიურზე: სხეულის ქიმიური პროცესების მიმდინარეობისა და წარმართვისათვის ქიმიური ნივთიერებები არის საჭირო. ამ აზრს მივყავართ მედიცინამდე, რომელიც დაავადებათა ქიმიური საშუალებ-



ბებით მკურნალობის მომხრეა და თანამედროვე ფარმაცევტულ წარმოებაზე, რომელიც განუწყვეტლივ აწარმოებს ამგვარ ქიმიკატებს და აყლაპებს მათ დასავლეთის კაცობრიობას.

## 2. ადამიანის ბიოლოგიური ხატი

პირველ რიგში, ეს არის ბიოქიმიკოსების მიერ შექმნილი ადამიანის ხატი. მასში ყოველი ადამიანური გამოსატულება არის რთული ქიმიური პროცესების შედეგი – არა მარტო საჭმლის მონელების ქიმიური ან თავის ტვინის ელექტროქიმიური პროცესები, არამედ ისეთი ფსიქიკური პროცესებიც, როგორცაა აზროვნება, გრძნობა, ნებელობა. ადამიანის ამ ხატში არაა ადგილი სულიერი ღირებულებებისა და სტანდარტებისთვის, თუმცა თავად ბიოქიმიკოსები განუწყვეტლივ იყენებენ მათ.

გარდა ამ ბიოქიმიური წარმოდგენისა, ამავე კატეგორიას მიეკუთვნება ადამიანის ზოოლოგიური ხატიც, რომელიც ეყრდნობა მოძღვრებას მემკვიდრეობითობის შესახებ. მას მხარს უჭერენ ბიოქიმიკოსები, როცა იკვლევენ გენეტიკური მასალის მოლეკულურ სტრუქტურას. აქ ადამიანი არის „არა უმეტეს“ უმაღლესი ძუძუმწოვრისა, შემთხვევითი მუტაციებისა და სელექციის შედეგისა. შიმპანზესა და ადამიანის ქცევას შორის ოდნავ მსგავსებას აზვიადებენ ისინი, ვინც ვერ ხედავს უფრო მნიშვნელოვან განსხვავებებს.

ადამიანის ბიოლოგიური ხატის მიმდევრებს შეიძლება ნატივისტები ვუწოდოთ. მათ ყველაფერი დაჰყავთ მემკვიდრეობითობასა და გენეტიკაზე. მათთვის დამახასიათებელია თავიანთი შეხედულებების აგრესიულად დაცვა და დაცინვა განსხვავებული აზრის მიმდევრებისა.

## 3. ადამიანის ფსიქოლოგიური ხატი

აქ ყურადღება პრინციპულად ფსიქიკასა და ფსიქიკურ პროცესებზეა კონცენტრირებული. ბიპევიორისტული მეცნიერების აზრით, ის, რაც პიროვნების შიგნით მიმდინარეობს, შეიძლება

ცნობილი გახდეს მხოლოდ სუბიექტური აღწერების საშუალებით, მაშინ როცა ქცევა ობიექტურად დგინდება და ამიტომაც არის შესაძლებელი მისი მეცნიერული კვლევა. თუ დავუშვებთ, რომ ფსიქიკა შავი ყუთია, მაშინ ის, რაც მასში შედის (სტიმული) და რაც გამოდის (რეაქცია), შეიძლება დაკვირვებულ და ჩაწერილ იქნეს. ასე აღმოცენდა ბიპევიორიზმი, ქცევის თეორია, და სტიმულ-რეაქციის ფსიქოლოგია.

ემპირიზმმა ადამიანის ეს ხატი აღზრდა-განათლებას მიუყენა. ნახევრად მშვიერი მტრედებისა და ვირთხების წვრთნით მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით განავითარეს ვარჯიშისა და დასწავლის მეთოდი, რომელიც ადამიანზეც გადაიტანეს. ამან მიგვიყვანა კარგად ცნობილ პროგრამული სწავლებისა და მრავალატერნატიული გამოცდების პროგრამამდე. ემპირისტები არ ითვალისწინებდნენ თანდაყოლ მზაობას, რომელიც, მათი შეხედულებით, იმდენად მრავალფეროვანი და ღიაა, რომ პრაქტიკულად ქცევა გარეშე ფაქტორებით (კულტურითა და აღზრდით) განისაზღვრება. ბიპევიორიზმი დომინანტურ ზეგავლენას ახდენს სოციოლოგიაზე, ფსიქოლოგიასა და ეკონომიკაზე, თუმცა ამ მეცნიერებით საყოველთაო გატაცების პერიოდმა კარგა ხანია, რაც ჩაიარა.

#### 4. ადამიანის პერსონალისტურ-სულიერი ხატი

აქ აქცენტი კეთდება ადამიანის მაღალი მეს მნიშვნელობაზე, პიროვნებაზე, რომელიც ისახავს მიზნებს, იღებს გადაწყვეტილებებს, პოულობს და განსაზღვრავს ღირებულებებსა და ნორმებს და თანთადან თავს იჩენს ბიოგრაფიის ძირითად მიმართულებაში.

ხელოვანნი და განსაკუთრებით ბიოგრაფიების აღმწერნი თავიანთი ინტერესის საგნად აქცევენ ადამიანის პიროვნების განვითარების შესწავლასა და აღწერას, იქნება ის ბრძენი თუ უგუნური, გაწონასწორებული თუ არაკონტროლირებადი, ჯანმრთელი თუ ავადმყოფი. ამ სფეროში ვხვდებით როგორც იაფფასიან პოპულარულ ნაწარმოებებს, ისე მსოფლიო ლიტერა-

ტურის შედეგებს. რამოდენიმე ათწლეულის წინ ეს ჯერაც ხელოვნება იყო და არა მეცნიერება, მაგრამ თანდათან სულ უფრო მეტმა ფსიქოლოგმა და პედაგოგმა დაინახა ბიპევიორისტული მეცნიერების ცალმხრივობა და სიღარიბე. ისინი შეეცადნენ, ადამიანისა და მისი სოციალური მოღვაწეობის გაგებისას გაეთვალისწინებინათ სულიერი განვითარება. აქედან აღმოცენდა პედაგოგიური მიმდინარეობები, რომელნიც აღარ განიხილავდნენ სწავლას როგორც ვარჯიშს ან დასწავლას წინასწარ განსაზღვრული პროგრამებით. მათ პედაგოგიურ მიზნებამდე აკყავდათ ისეთი ცნებები, როგორიცაა საკუთარი თავის აღმოჩენა, თვითგანვითარება და თვითრეალიზაცია. ისინი იზიარებდნენ პერაკლიტეს აზრს: „აღზრდა კასრის ავსება როდია, იგი ცეცხლის ანთება არის“.

1945წ-ის შემდეგ ფსიქოლოგიაში ახალი განშტოება აღმოცენდა: ჰუმანისტური ფსიქოლოგია. იგი დაინტერესებული იყო ადამიანის პიროვნების, მისი გამოვლინებისა და განვითარების აღწერითა და კვლევით. ასევე ზემოაღნიშნული უნარებით — სულიერი სიმშვიდე, კრეატიულობა, სიბრძნე. იმ სფეროებში, სადაც აქამდე ბატონობდა ბიოლოგია და ბიპევიორისტული მეცნიერება, წინ წამოიწია ახალმა ცნებებმა, როგორიცაა ეკოლოგიური წონასწორობა და თვისობრივად კარგი ცხოვრება, ნაცვლად ცხოვრების სტანდარტის აშაღლების. ეს განვითარება იმდენად აშკარა გახდა და ისეთი რევოლუციური ცვლილებები გამოიწვია ჩვენს ღირებულებათა სისტემაში, რომ თითქმის შესაძლებელია ვისაუბროთ სულიერ-სოციალურ რევოლუციაზე, რომელიც, ალბათ, XX ს-ის ჭეშმარიტი რევოლუციაა!

ვიმედოვნებ, ეს მოკლე აღწერა საკმარისი იქნება მკითხველისათვის, რათა გამომყვეს ადამიანის ცხოვრების გზის აღწერისას. ეს წარმოდგენები ადამიანის შესახებ უფრო დეტალურად იქნება განხილული მეექვსე თავში.

## 5. ცხოვრების დაყოფა ფაზებად

სიცოცხლის ყოველ პერიოდს გააჩნია საკუთარი საზრისი, საკუთარი ამოცანა. მათი პონა და მიღება უმნიშვნელოვანესია ცხოვრებასთან შესაგუებლად.  
(ერა შტერნი, „ადამიანი ცხოვრების მეორე ნახევარში“)

ადამიანის ცხოვრების ფაზებად დაყოფა გარკვეული ხნის განმავლობაში წინააღმდეგობრივი სფერო იყო. არსებობს შეხედულება, რომლის მიხედვითაც ფაზები არ არსებობს, განვითარება კი თანდათანობით სვლა არის ერთი მდგომარეობიდან მეორისაკენ, რაც შეუქმნევლად ხდება, თუკი ბიოგრაფიას ახლოდან, დღიდან დღემდე გავადევნებთ თვალს. უფრო მეტიც, ისეთი რამ, როგორიცაა გარდამავალი ასაკის კრიზისი, აღწერილი ასაკობრივი ფსიქოლოგების მიერ, მიჩნეულია ხელოვნურ, კულტურით განსაზღვრულ ფაქტად, იმ თვალთახედვიდან გამომდინარე, საიდანაც უყურებს დასავლეთის კულტურა სქესობრივ და სოციალურ მომწიფებას.

შეხედულებას, რომელიც ეხება მოკლე ინტერვალებში მოხდარ თანდათანობით ცვლილებებს, საქმე არა აქვს ბავშვობის, სიყრმის, მოზრდილობის არსებობასთან. ეს ჰგავს დღის გადასვლას ღამეში: თუ მას თვალს მივადევნებთ, წუთიდან წუთზე ვერასოდეს ვიტყვი, რომ რომელიმე მომენტში დღე დამთავრდა და ღამე დაიწყო. მაგრამ მაინც დგება პერიოდი, როცა სრულიად ბნელა: ეს ღამეა და შეგვიძლია ერთმანეთს დაგუბირისპიროთ დღე და ღამე. ასევე შეუძლებელია ერთი გარკვეული დღე მივიჩნიოთ იმ მომენტად, როცა ხდება გადასვლა სიყრმიდან სიჭაბუკეში; და მაინც დგება ხანი, როცა მოცემული ინდივიდი ზრდასრულის იმდენ მახასიათებელს იძენს, ყრმისას კი იმდენს კარგავს, რომ შეიძლება ვთქვათ: მან მიაღწია ზრდასრულობას (თუმცაღა ესეც წარმავალია).

მეორე, უფრო სოციოლოგიურ არგუმენტს, რომელიც ამტკიცებს ე.წ. ცხოვრების ფაზების კულტურულ განპირობებულობას,

გააჩნია გარკვეული საფუძველი. მაგ., ის, თუ როგორ განიცდება გარდამავალი ასაკი შინაგანად, დამოკიდებულია მთელ რიგ გარეგან ფაქტორებზე. პირველ რიგში, იგი დამოკიდებულია ყრმისადმი წაყენებულ მოთხოვნებზე. მაგ., ინტელექტუალურ ოჯახში გაზრდილი ბრიტანელი ბავშვი სკოლაში სულ სხვანაირ სტრესს განიცდის, ვიდრე კენიაში კიკუიუს ტომის ბიჭი, რომელსაც გარდამავალი ასაკის გავლის შემდეგ მოზრდილ მამაკაცთა საზოგადოებაში იღებენ. მაგრამ ის ფაქტი, რომ ორივე ბავშვმა მიაღწია ეტაპს, როდესაც უნდა დაასრულოს ბავშვობა და შეიცვალოს ორიენტაცია სამყაროში, ნათლად მიუთითებს ცხოვრების ერთი ფაზიდან მეორეში გადასვლას.

ბიოლოგიური განვითარება, განსაკუთრებით სიცოცხლის პირველ ნახევარში, მშენებითი და სულიერი რეორიენტაციის მნიშვნელოვანი საფუძველია. სიცოცხლის მეორე ნახევარში ამ ამოცანას თავის თავზე სულ უფრო და უფრო იღებს სულიერი პროცესები, რომელიც ისახავს მიზნებს და ირჩევს ნორმებს. როგორც განხავთ, სწორედ ორმოცი წლის ასაკის შემდეგ, როცა ბიოლოგიური ხაზი დაღმასვლას იწყებს, მნიშვნელოვანი ხდება ბიოლოგიური ინვოლუციიდან გამოთავისუფლება და მზარდი მშენებითი და სულიერი მოდგაწეობისაკენ სწრაფვა.

რამდენადაც სხეული, სამშენებელი და სული მოქმედებს როგორც ერთი მთლიანობა, საქმე ეხება არა ერთ-ერთი მათგანის ზეგავლენას, არამედ ამ სამს შორის წონასწორობის გადანაცვლებას. სწორედ ეს ცვალებადი წონასწორობა იწვევს ნელ, მდორე, მაგრამ მაინც ნათლად შესამჩნევ გადასვლებს.

ახლა შევეხები იმათ, გინც წარსულში იკვლია ადამიანის ცხოვრების ფაზები, ამის შემდეგ კი — ჩემი საკუთარი პოზიციის საფუძველს.

არსებობს სისტემები, სადაც ადამიანის ცხოვრების გზა დაყოფილია 7, 14 ან 21-წლიან რეგულარულ პერიოდებად. არის ისეთი სქემებიც, რომელნიც ჩვენს ცხოვრებას 5, 7 ან 8 ფაზად ყოფენ. ამ შეხედულებებს შორის სხვაობა ნაკლებია, ვიდრე შეიძლება გვეგონოს. გარდატეხის მნიშვნელოვანი პუნქტები ბიო-

გრაფიაში ფაქტობრივად ყველა სქემაში ემთხვევა ერთმანეთს, ხოლო, სხვა მხრივ, დაყოფა მეორად კრიტერიუმებზეა დამოკიდებული.

უძველესი სისტემა, რომელმაც გავლენა მოახდინა დასავლეთის კულტურაზე, არის ბერძნული. იგი სიცოცხლეს ყოფს პეტომადებად, ათ შვიდწლიან ფაზად. თუმცაღა პტოლომეოსის შეხედულება მისი თანამედროვეების საწინააღმდეგო იყო. იგი აღწერდა სიცოცხლის ირეგულარულ ფაზებს, რომელთაგან თითოეულზე გავლენას ახდენდა რომელიმე პლანეტა (ლაპერე: „ადამიანის ცხოვრების მსვლელობა“).

რომაელები საუბრობდნენ ცხოვრების ხუთ ფაზაზე:

0-15 წლები: pueritia — ადრეული ბავშვობა და ადრეული სასკოლო ასაკის ლატენტური პერიოდი;

15-25 წლები: adolescentia;

25-40 წლები: iuventus — მოზრდილობის პირველი პერიოდი;

40-55 წლები: virilitas — მოზრდილობის მეორე პერიოდი;

55 და მომდევნო წლები: senectus — ხანდაზმულობა.

ბოლანდიელ ავტორთაგან რიუმკე ეთანხმება რომაელთა თვალსაზრისს, თუმცა უმატებს praeseniium-ს — 55-65 წლები. ხანდაზმულობა მასთან 65 წლიდან იწყება.

უოტერიინგიც, ბერძნების მსგავსად, ათ შვიდწლიან ფაზას არჩევს:

0-7 წლები: ფანტაზიით ცხოვრების პერიოდი;

7-14 წლები: იმაგინაციური ცხოვრების პერიოდი;

14-21 წლები: გარდამავალი ასაკი და სიყრმე;

21-28 წლები: საკუთარი ცხოვრების საფუძვლის აღმოჩენა და კონტროლი;

28-35 წლები: აღმოჩენილი საფუძვლის გამტკიცება და გაძლიერება;

35-42 წლები: მეორე გარდამავალი ასაკი — რეორიენტაცია ცხოვრებაში საკუთარ მოწოდებასთან დაკავშირებით;

42-49 წლები: დებრესიული კლიმაქტერიული პერიოდი;

49-56 წლები: ბრძოლა საკუთარი დაღმასვლის წინააღმდეგ;

56-63 წლები: სიბრძნე;

63-70 წლები: მეორე ბავშვობა — მან შეიძლება ახალი აღმავლობა მოიტანოს, თუკი გადასვლის მიღება ცნობიერად ხდება.

*ვეენგაარდენმა* განასხვავა სამი ძირითადი ფაზა:

0-18 წლები: *გაცნობა* შინაგანი და გარეგანი სამყაროსი;

28-42 წლები: *მიღება* შინაგანი და გარე სამყაროსი;

42-გარდაცვალება: *რეფლექსია* შინაგანი და გარე სამყაროსი.

*ანდრეესენი* განიხილავს არა იმდენად ცხოვრების ფაზებს კალენდარული წლების მიხედვით, რამდენადაც პრინციპებს, რომელნიც განსაზღვრავენ ცხოვრების ფაზების ბუნებას. ამ პუნქტში შეიმჩნევა, რომ ყველა ავტორი, ვისაც კი უფიქრია ცხოვრების ფაზებზე და უკვლევია ისინი, მეტ-ნაკლებად აშკარა პერსონალისტია.

ფროიდის ფსიქონალიზის თვალთახედვიდან ბევრი რამ დაწერილა ასაკობრივი ფსიქოლოგიის შესახებ, მაგრამ მასში განვითარება მთავრდება 6 ან 14 წლის ასაკში, რომლის შემდეგაც მიჩნეულია, რომ პიროვნება აღარ ვითარდება, რადგანაც, ამ მიმდინარეობის მიხედვით, განვითარება მომდინარეობს მხოლოდ ბიოლოგიური ლტოლევების სფეროდან, ფსიქიკური პიროვნება კი მხოლოდ „ზესტრუქტურა“ არის, რომელიც დაშენებულია ასეთ ლტოლევებზე: id-ზე.

შემდგომში ფროიდის ზოგიერთმა მიმდევარმა უფრო მეტი ყურადღება მიაქცია თვით მეს — არა უბრალოდ როგორც id-ის პროდუქტს. ისინი საუბრობდნენ მეს ინდივიდუალურ დისპოზიციასზე, რომელიც იმთავითვე არსებობს და არ აღმოცენდება id-დან (ერიკსონი და სხვები).

ყველაზე ცნობილი ქალი, რომელიც წერდა ადამიანის ცხოვრების გზის შესახებ, არის შარლოტე ბიულერი. იგი განასხვავებს ცხოვრების ხუთ ფაზას, რომელნიც რიუმკეს ფაზების იდენტურია. მაგრამ ასაკობრივ პერიოდებად დაყოფაზე უფრო მნიშვნელოვანია შარლოტე ბიულერის შეხედულება, რომ ყოველ

ინდივიდს გააჩნია ლაიტმოტივი, რომელიც მიმართულია მიზნისკენ და ამ მიზნისკენ მიმავალი გზის არჩევანი. შარლოტე ბიულერის აზრით, ინდივიდის ცხოვრების განმავლობაში განვითარებას ადგილი აქვს იმისდა მიხედვით, თუ რომელი ბაზისური ბიოლოგიური ლტოლვაა დომინანტური. ესენი შემდეგია:

1. მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება;
2. თვითშემზღვრავი შეგუება თვითდეტერმინაციის საშუალებით; სხვა სიტყვებით, ინდივიდის ცხოვრების რეგულაცია;
3. შინაგანი წესრიგის შენარჩუნება, რითაც შესაძლებელი ხდება უწყვეტობა (შარლოტე ბიულერი ეხება ნამდვილ სინდისს, რომელიც უზრუნველყოფს „ჭეშმარიტი მეობით“ ხელმძღვანელობას);
4. შემოქმედებითი ექსპანსია.

ცხოვრების სხვადასხვა ფაზებში ეს ბაზისური ლტოლვები სხვადასხვა ზეგავლენას ახდენს.

ვიტალურობისა (ადამიანის ფიზიკურ-ბიოლოგიური ასპექტი) და მენტალურობის (ადამიანის სულიერ-მშენიანი ასპექტი, მიმართული ცხოვრების ამოცანის შესრულებაზე) პოლარობაზე შარლოტე ბიულერი აგებს განვითარების შესაძლებლობებს. ის ხედავს ორ ურთიერთმოქმედ ხაზს: ბიოლოგიურსა და მშენიანი-სულიერ განვითარებას. ბაზისური ლტოლვები ბიოლოგიურ პიროვნებაში მოქმედებს, მოტივები კი — სულიერ პიროვნებაში.

აქ ცხოვრების გზის ფსიქოლოგიური ასპექტი „მოტივაციის გზად“ იქცევა. ყოველი ადამიანის ცხოვრებას აქვს მთავარი მიზანი: ლაიტმოტივი. ბიოლოგიური სიცოცხლის გზის გვერდით — აღმშენებლობა — წონასწორობა — დაშლა — სიკვდილი — შარლოტე ბიულერი ათავსებს ბიოგრაფიული ცხოვრების გზის სქემას: გზაზე დადგომა — ძიება და მცდელობა — საბოლოო გზა — მწვერვალი — წონასწორობის შენარჩუნება და დაღმასვლა.

ცხოვრების ფაზების შემდგომი განხილვისას ვნახავთ, რომ



ჩემეული მიდგომა ცხოვრების გზისადმი სრულიად განსხვავებული თვისების მქონე ორ შესაძლო ზენიტს გამოავლენს.

შარლოტე ბიულერი გრძნობს, რომ ვიტალურობასა და მენტალურობას შორისი პოლარობის აღწერით ვერ მოახერხა ადამიანის ცხოვრების გზის სრულყოფილად წარმოჩენა. მის ნააზრევში მენტალურობის ცნება არაა მკაცრად განსაზღვრული — ზოგჯერ იგი შეიძლება იყოს პიროვნების მშვიფნვიერი ძთლიანობა, ზოგჯერ კი მე, რომელიც უკვე ორი წლის ასაკიდან ცნობიერად და ძალდატანებით ახორციელებს საკუთარ მიზნებს გარემოსეულ წინააღმდეგობათა დაძლევით. მაგრამ ამასთანავე, ამ ადრეულ სტადიაზე ცნობიერება მხოლოდ ეს-ესაა იწყებს ფუნქციონირებას.

ადამიანის ცხოვრების გზა უნდა აღიწეროს, როგორც სამეულის — სხეულის, ფსიქიკისა და სულის — ფუნქცია, სადაც ფსიქიკა არის აზრების, გრძნობებისა და ნებულობის მუდმივად ცვალებადი კონსტელაცია. ეს აზრები, გრძნობები და ნებულობა, ერთი მხრივ, ბიოლოგიური განვითარებიდან მომდინარეობს, მეორე მხრივ, კი სულიერი განვითარებიდან (ცხოვრების მიზნის დასახვიდან). ცხოვრების ამ მიზანს, ინდივიდის ბიოგრაფიისა და მიხედვით, მივყავართ ცხოვრების მეტ-ნაკლებ განხორციელებამდე, რისი განცდაც სამშენველში ხდება. შარლოტე ბიულერი განხორციელებას უწოდებს ცხოვრების ღირებულებათა წარმატებით რეალიზაციას.

ქორუსი („ადამიანის ცხოვრების მსვლელობის ფსიქოლოგია“) აშკარა პერსონალისტია. მისთვის კვლევის ბიოგრაფიული მეთოდი მეცნიერულის დიამეტრულად საპირისპიროა. პირველი ახდენს ინდივიდუალიზებას, მეორე — განზოგადებას.

ბიოგრაფიული მეთოდი ინდივიდს იკვლევს მისი ცხოვრების გზის გათვალისწინებით. ქორუსი დეტალურად განიხილავს ადამიანის განსაკუთრებულ ადგილს უმაღლეს ძუძუმწოვართა შორის და ადასტურებს ჩემს მოსაზრებას ადამიანის ბავშვის ნაადრევი დაბადების შესახებ: „პირველი წლის დასასრული იქნებოდა ადამიანის დაბადების დრო, ის რომ ძუძუმწოვარი ცხოველი

ყოფილიყო“. მაშინ ორსულობა ერთი წლით უფრო ხანგრძლივი იქნებოდა. (ბაზელელი ზოოლოგი ადოლფ პორტმანიც იმ აზრს იზიარებს, რომ ადამიანი „ფსიქოლოგიურად ნაადრევებაა დაბადებული“.) ბიოგრაფიული მეთოდი ადგენს, რომ ყოველ ფაზას საკუთარი ფორმა გააჩნია — რომ მას საკუთარი მნიშვნელობა აქვს და არ შეიძლება შეცვლილ იქნეს მეორით.

ადამიანის ცხოვრების გზის გაგებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ფილოსოფოსმა გუარდინიმ. მისი წიგნი „ცხოვრების პერიოდები“ ყველას ბიბლიოთეკაში უნდა იდოს. თუმცა მისი წაკითხვა ერთ საღამოს შეიძლება, იგი შეიცავს სათუთად ფორმულირებული ადამიანური სიბრძნის და ფაქიზი აღქმების საუნჯეს. მოვიყვან რამოდენიმე წინადადებას ამ პატარა ნაშრომიდან: ადამიანი გაშუდებით ახლებურად ახასიათებს თავის თავს... მაგრამ მაინც ერთი და იგივე ადამიანი ცხოვრობს ყოველ ფაზაში... ის, ვინც აცნობიერებს საკუთარ თავს და პასუხს აგებს მოცემულ ფაზაზე. ყოველ ფაზას გააჩნია საკუთარი ბუნება, რომელიც არ გამოიყვანება არც წინა და არც მომდევნო ფაზებიდან. ღირებულებები (ადამიანებში) ქმნის სურათს, კონფიგურაციას. ეს ხერხდება იმით, რომ ისინი განისაზღვრებიან ღირებულებათა ცენტრით. ბავშვი სამყაროში არსებობს არა უბრალოდ იმისთვის, რომ მოზრდილი უნდა გახდეს, არამედ აგრეთვე და, უმთავრესად, იმისთვის, რომ შეუძლია იყოს ბავშვი და როგორც ბავშვი — კაცობრიობის ნაწილი. რამეთუ კაცობრიობა მოიცავს ყველა ცოცხალ ადამიანს, ცხოვრების რა ფაზაშიც უნდა იმყოფებოდეს იგი. ასე რომ, ჭეშმარიტი ბავშვი არანაკლებადაა კაცობრიობის ნაწილი, ვიდრე ჭეშმარიტი მოზრდილი“.

ყოველი ფაზისათვის გუარდინი ეძებს დომინანტურ ფაქტორს, რომელსაც იგი სიმძიმის ცენტრს, ღირებულებათა ცენტრს უწოდებს. მის მიერ აღწერილი ფაზები შემდეგია:

1. მუცლად ყოფნა, დაბადება და ბავშვობა;
2. მომწიფების წლების კრიზისი (პუბერტეტი);

3. ახალგაზრდა ადამიანი (სიყრმე);
4. განცდის კრიზისი (სიყრმიდან ექსპანსიურ მოზრდილობაზე გადასვლა);
5. ზრდასრული ადამიანი (ოცდაათიანი წლები);
6. შეზღუდვების კრიზისი (ორმოციანი წლების დასაწყისი);
7. გონიერი ადამიანი;
8. გამოთავისუფლების კრიზისი;
9. ბრძენი ადამიანი.

ჩანს, რომ გუარდინი ყურადღებას აქცევს უპირველეს ყოვლისა მნიშვნელოვან გადასვლებს ცხოვრების ერთი ფაზიდან მეორეზე. ყველა ამ ფაზას ეხება შემდეგი: „ცხოვრება დამოუკიდებელი ერთეულების გაერთიანება კი არ არის, არამედ ერთი მთლიანობაა, რომელიც სახეზეა მისი მსვლელობის ნებისმიერ მომენტში. და ამდენად, სიცოცხლის განმავლობაში მასზე ზეგავლენას ახდენს მისივე დასასრული, კერძოდ, ის ფაქტი, რომ სიცოცხლის სინათლე იკლებს და ერთ დღესაც ქრება; რომ ყველაფერი, რაც ხდება, მოძრაობს დასასრულისკენ — დასასრულისკენ, რომელსაც დღეს სიკვდილს ვუწოდებთ“. დაბოლოს: „ყოველი ფაზა არსებობს მთელისა და ყველა ცალკეული ფაზის საკეთილდღეოდ; თუ იგი დაირღვევა, იზარალებს როგორც მთლიანობა, ისე ყველა ინდივიდუალური ფაზა“.

ადამიანის ცხოვრების გზის ბრწყინვალე გამოკვლევა — „ადამიანის ცხოვრების განვითარების ფაზები“ — ეკუთვნის მეორე ქალს, მართა მოერსს ბონიდან. იგი უფრო დეტალურია და, ჩემი აზრით, უფრო შთამბეჭდავი, ვიდრე შარლოტე ბიულერი-სა. წინასიტყვაობაში მართა მოერსი ამბობს, რომ მისი მიზანია, წარმოადგინოს ცხოვრება როგორც ამოცანა, რომელიც ადამიანმა უნდა შეასრულოს თავისი ფიზიკური და ფსიქიკურ-სულიერი ძალების დახმარებით. აქცენტი გაკეთებულია სულიერ ძალებზე, რადგან სწორედ ისინი აძლევენ ცხოვრებას ჭეშმარიტ, ღრმა, ადამიანის ღირსების შესაბამის აზრს.

შემდეგ მართა მოერსი ცდილობს ადამიანის მთლიანი ცხო-

ვრება დაინახოს, როგორც მეტ-ნაკლებად უწყვეტი განვითარება, კერძოდ, ადამიანში სულიერის განვითარება. ზრდასრული პიროვნებისთვის ეს თვითაღზრდის საჭიროებასაც გულისხმობს.

წიგნში მოცემულია ცხოვრების თითოეული ფაზის ბიოლოგიური, ფსიქიკური და სულიერი ფაქტორების საკმაოდ სრულყოფილი მიმოხილვა. აქ მნიშვნელოვანია, რომ ცხოვრების შუა ფაზის, ოციანი წლებიდან ორმოციან წლებამდე აღწერისას ავტორს შემოაქვს *ვიტალურ-მშენიანი*, *საქმიან* და *სულიერ მისწრაფებათა* ცნებები. ფაქიზი დაკვირვებისა და აღწერის საშუალებით იგი ავითარებს სინამდვილესთან საკმაოდ ახლომდგომ აზრს იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს ერთმანეთის თანმიმდევრულად ეს სამი სახის მისწრაფება (იქცევიან რა „ღირებულებათა ცენტრად“, გუარდინის ტერმინს თუ მოვიხმობთ). ცხოვრების ყოველი ფაზისთვის იგი აღწერს ზოგად მახასიათებლებს (ანუ იმ გზას, რომლითაც ადამიანი მიდის თავის ამოცანამდე), *სოციალურ ურთიერთობებსა და ღირებულებებისადმი ზოგად განწყობას*.

მართა მოერისიეულ ცხოვრების სქემაში ექვსი ფაზაა:

1. ბავშვობა და ყრმობა, დაახლოებით 14 და 21 წლის ასაკამდე;
2. პირველი მოზრდილობა და ოციანი წლები (21-28 წლები);
3. დაახლოებით 28 წლიდან დაახლოებით 42 წლამდე;
4. დაახლოებით 42 წლიდან დაახლოებით 58 წლამდე;
5. და ნ. ხანდაზმულობის ორი საფეხური (რიუმკეს praesenum-ის და senium-ის მსგავსი).

მართა მოერისი უდიდესი სიფაქიზით აღწერს ფენომენებს. შრომასა და ღირებულებებს შორის დამოკიდებულებაზე საუბრისას კი უაღრესად ორიგინალურ მოსაზრებებს ავითარებს. სხვაგან არსად შემხვედრია ცხოვრების ფაზების ამ ორი წახნაგის განხილვა. იგი ძლიერ ემთხვევა მოზრდილთა განათლების სფეროში მიღებულ ჩემს საკუთარ გამოცდილებას.

მომდევნო ფურცლებზე ხშირად მივმართავ მართა მოერისს. მისი ნაშრომი შედარებით უცნობი დარჩა, ალბათ, იმიტომ, რომ

ნაკლებად ცნობილ საუნივერსიტეტო სერებში გამოქვეყნდა. გარდა შარლოტე ბიულერისა, იგი არავის უხსენებია. არც ვინმეს მოუყვანია ნაწყვეტი მისი ნაშრომიდან.

თვალსაზრისი ცხოვრების მიმდინარეობის შესახებ განუყოფელია ადამიანზე ჩვენი შეხედულებისგან. ადამიანის ჩემულ ხატზე გადაწყვეტი ზეგავლენა მოახდინა რუდოლფ შტაინერის პიროვნებამ. განვითარების ცნებას ცენტრალური ადგილი უჭირავს სამყაროსა და კაცობრიობის შტაინერისეულ ხატში. იზიარებს რა გოეთეს მოძღვრებას მეტამორფოზის შესახებ და შილერის თეორიას ადამიანის მშენებელი მისწრაფებების სამსახოვანი ბუნების შესახებ, შტაინერი ავითარებს სრულიად ახალ გოეთეანიზმს, რომელშიც ადამიანი განხილულია როგორც სხეული, სამშენებელი და სული. სხეული წინასწარ განსაზღვრული კანონებით ვითარდება. იგი განვითარების ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არის შექმნილი. მისი დიამეტრულად საპირისპიროა სული, რომელიც, ცნობიერი გახდა რა ადამიანის მეში, მიმართულია მომავლისკენ და ისწრაფვის თავისუფლებისაკენ. ამ ორს შორის იმყოფება ადამიანის სამშენებელი ანუ ფსიქიკა — არენა, სადაც ძალთა ეს ორივე ველი ერთმანეთს ხვდება და სადაც ადამიანი არის „ადამიანი აქ და ამჟამად“.

ადამიანის განვითარებაში შტაინერი გამოყოფს ათ შვიდწლიან პერიოდს:

3Xშვიდი წელი ფიზიკური და ფსიქიკური განვითარებისთვის;

3Xშვიდი წელი ნამდვილად მშენებელი განვითარებისათვის;

3Xშვიდი წელი სულის განვითარებისათვის.

ასე რომ, 63 წლის ასაკში ადამიანს გავლილი აქვს განვითარების საფეხურები და გააჩნია მომდევნო შვიდწლიანი პერიოდი, რათა გააერთიანოს ისინი. 70 წლის ასაკში მან უნდა აიღოს ცხოვრებიდან მოსავალი და დაუბრუნოს იგი საზოგადოებას.

აქ საჭიროა სიფრთხილე. არც ერთი ავტორი, რომელიც ადამიანის ცხოვრების გზაზე აღწერს 7 ან 14-წლიან რიტმებს, რუდოლფ შტაინერის ჩათვლით, არ ფიქრობს, რომ ეს რიტმები

გლინდება კალენდრის ფიქსირებული თარიღების მიხედვით. ესენი არიან ნიშანსვეტები, საშუალოები, იდეალური დისტანციები, რომელთა გარშემოც მოძრაობს ინდივიდუალური განვითარება. და მაინც, ისინი ნიშანსვეტებად რჩებიან, რომელნიც გამოიყენებიან ნორმიდან მნიშვნელოვან გადახრათა გამოსაცნობად.

აქედან შეიძლება ვეძიოთ აქსელერაციის ან ჩამორჩენის მიზეზები. ბავშვობისას ეს საფეხებით შესაძლებელია. ბავშვი, რომელიც 7 წლის ასაკში არაა მზად სკოლისთვის, განვითარებაში გარკვეული სახის დარღვევას განიცდის. ახალგაზრდა პიროვნება, რომელიც გარდამავალ ასაკს გადის 9 წლის ასაკში, ანდა მაშინ, როცა უკვე 17 წლისაა, უთუოდ ნამყოფი იქნება ექიმთან. მაგრამ რაც უფრო ხანში შედის პიროვნება, მით უფრო უჩნდება უნარი, გაიაროს განვითარების ფაზები დაჩქარებულად ან შენელებულად პათოლოგიური მდგომარეობის გარეშე.

შტაინური განიხილავს ფსიქიკური განვითარების სამ დონეს, რომელსაც უწოდებს შეგრძნებათა სამშვინელს, განსჯით სამშვინელებსა და ცნობიერ სამშვინელებს. 21-დან 42 წლამდე ისინი შეიძლება ერთმანეთის მიყოლებით გახდნენ ნათლად დასანახნი, როგორც „ღირებულებათა ცენტრი“. ისინი შეესაბამებიან მართა მოერსის მიერ აღწერილ 30 წლის ასაკის შემდგომ საფეხურებს, რომელიც დომინანტურ ღირებულებათა ცენტრის იმავე გადანაცვლებას უწოდებს ვიტალურ-მშვინვიერ, სულიერ და საქმიან მისწრაფებებს. ესენი ერთი და იმავე მოვლენის სხვადასხვა სახელებია.

მე გაგაცანით მნიშვნელოვანი წყაროები ადამიანის ცხოვრების ფაზების შესასწავლად. მათ ეყრდნობა ადამიანის ცხოვრების გზის აღწერა, რომელიც მომდევნო თავებშია წარმოდგენილი.

## II. ადამიანის ცხოვრების მიმდინარეობა

### 1. ცხოვრების ფაზები

ჩემი განზრახვაა, სამი მხრიდან მივუდგე ადამიანის ცხოვრებას:


- ა) ბიოლოგიურიდან
- ბ) მშენებლურიდან
- გ) სულიერიდან

#### ა) ბიოლოგიური განვითარება

უკვე ვნახეთ, რომ ყოველი ცოცხალი ორგანიზმი ქრონოტიპულადაა განსაზღვრული თავისი სახეობის მიერ.

თუ ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობას ჩავთვლით 80 წლად, ამ პერიოდის შიგნით შეგვეძლება გავარჩიოთ შემდეგი სამი ფაზა:

- ზრდის პერიოდი, როდესაც აღმშენებლობა გადასწონის დაშლას;
- აღმშენებლობასა და დაშლას შორის წონასწორობის პერიოდი
- ინვოლუციის, მზარდი დაშლის პერიოდი.



ზრდის პერიოდი, რომელიც დაახლოებით 20 წლის ასაკამდე გრძელდება (ცოტათი ადრე გოგონებში, ცოტათი გვიან ბიჭებში) არ არის ერთგვაროვანი. იგი მოიცავს სამ ფაზას, სადაც ერთმანეთს ენაცვლება სიმალლეში და სიგანეში ზრდა. ეს პროცესი უფრო

დეტალურად განხილულია ჩემს წიგნში „ბავშვის განვითარების ფაზები“. მასში საუბარია ბავშვის განვითარებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე.

აქ საკმარისი იქნება მოკლე შეჯამება. ადრეული განვითარების სამი ფაზა არის:

1. დაბადებიდან სიმაღლეში პირველ მთავარ ზრდამდე და კბილების მოცვლამდე;
2. კბილების მოცვლიდან გარდამავალ ასაკამდე;
3. გარდამავალი ასაკიდან ზრდასრულობამდე.

გავსების პერიოდებს (გაფართოება და დამძიმება, მაშინ როცა სიმაღლეში ზრდა ნელა მიმდინარეობს) ცვლის *სიმაღლეში ზრდის ფაზები* (სიმაღლეში სწრაფი ზრდა, როცა სიგრძეში განსაკუთრებით კიდურები მატულობს). ტანის აყრის პერიოდს ადგილი აქვს კბილების მოცვლისა (ბრიტანეთში სკოლის ასაკი, კონტინენტზე წინასასკოლო პერიოდი) და გარდამავალი ასაკის წინ. მათ მოსდევს სივანეში ზრდის პერიოდები.

კვება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს *სხეულის საბოლოო სიდიდეზე* და არა განვითარების ფაზების რიტმზე. მისი ზეგავლენა უდიდესია *კრიტიკული ფაზების დროს*, რომელნიც სხვადასხვანი არიან სხვადასხვა ორგანოთათვის. მაგ., თავის ტვინის შემთხვევაში აღსანიშნავია შემდეგი სტადიები: სიცოცხლის პირველი ხუთი თვის განმავლობაში ადგილი აქვს თავის ტვინის უჯრედების *რაოდენობის* საგრძნობ ზრდას. მხოლოდ ამ პერიოდის შემდეგ იზრდება მათი *სიდიდე*. დიფერენციაცია და ზრდა ერთმანეთს ცვლის: მათგან დიფერენციაცია, უჯრედების რაოდენობის ზრდა, უფრო მნიშვნელოვანია. თუ ამ ფაზაში ტვინს საკვები მოაკლდება, ეს ზიანი ვეღარ გამოსწორდება შემდგომში. ხოლო უჯრედების სიდიდეში ზრდის პერიოდში არასაკმარისი კვების კომპენსაცია შესაძლებელი არის.

ამიტომ უკიდურესად მნიშვნელოვანია ჩვილი ბავშვის კარგი საკვებით უზრუნველყოფა, რადგან სწორედ ამ ფაზაში გააჩნია საკვების უკმარისობასა და დაავადებებს მყარი შემდგომი ეფექტი.



მსოფლიოს განვითარებადი ქვეყნებისათვის ეს მძაფრი პრობლემა არის.

ზემომოყვანილი დიაგრამა, რომელიც ძლიერ სქემატურია, უჩვენებს აღშენებლობის, წონასწორობისა და დაშლის პერიოდების საშუალო ხანგრძლივობას. ორგანოთა ყოველ სისტემას აქვს საკუთარი ქრონოტიპული გრაფიკი. ადამიანთა უმრავლესობამ იცის, რომ, მაგ., დაახლოებით 40 წლის ასაკიდან თვალის ბროლი მოქნილობას კარგავს, აკომოდაცია ირღვევა და საკითხავი სათვალე ხდება საჭირო. ყურის შემთხვევაში განსხვავებული სურათი გვაქვს: 19 წლის ასაკიდან მცირდება ბგერათა დიაპაზონი, რომლის გაგებაც შეუძლია ადამიანის ყურს. სხვა სიტყვებით, რაც უფრო ხანში შევდივართ, მით უფრო ნაკლები უმაღლესი და უდაბლესი ბგერები გვესმის — ან როგორც ერთ-ერთმა გაუიშვილმა მითხრა: „მამა, რაღად გაინდა ძვირადღირებული სასმენი მოწყობილობა, შენ მაინც არ გვესმის უმაღლესი ბგერები“.

სმენის დიაპაზონი საკმაოდ ადვილად დგინდება. მიღებულ შედეგს აუდიოგრაფას უწოდებენ. ყოველი ასაკობრივი ჯგუფისთვის დადგენილია საშუალო აუდიოგრაფა. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ თუ ვინმეს, ვთქვათ, 35 წლის ასაკში გააჩნია 45 წლის ასაკის აუდიოგრაფა, ის ნაადრევად დაბერებულია (ყოველ შემთხვევაში სმენასთან მიმართებით). ეს საკმარისი მიზეზი იქნებოდა გამოკვლევისთვის — ორგანოთა სხვა სისტემებიც ხომ არ ბერდება ნაადრევად. ინვოლუციის პერიოდს ახასიათებს მთელი სხეულის ქსოვილების მოქნილობის დაკარგვა. ამის დაკვირვება შეიძლება პაერის იმ მოცულობის მიხედვით, რომლის ჩასუნთქვაც შეუძლია ადამიანს ერთი შესუნთქვით. იგივე ფაქტი ვლინდება სირბილის შემდეგ სუნთქვის უკმარისობის ზრდაში. ასევე კარგადაა ცნობილი, რომ სისხლძარღვების კედლები უხეშდება და გადაგვარებას იწყებს. ფუნქციონირების ეს დაქვეითება განსაკუთრებით საშიშია კორონარული არტერიისთვის. მას ხშირად გულის შეტევა მოსდევს, რომლის დროსაც არტერიის კედლები თანდათანობით გადაგვარებას განიცდის და სისხლძარღვებში თრომბი ჩნდება.

ზოგი ნაადრევად ბერდება, სხვები „ახალგაზრდები“ რჩებიან წლების განმავლობაში და გვიან ასაკამდე ინარჩუნებენ ცხოველქმედების უნარს. მაგრამ ისინიც საჭიროებენ საკითხავ სათვალეს 40 წლის შემდეგ და უფრო ადვილად იღლებიან, ვიდრე ახალგაზრდობისას.

მომდევნო თავში განვიხილავთ, თუ როგორ მისდევს ფსიქიკური და სულიერი ფუნქციები ბიოლოგიური განვითარების ფაზებს.

როგორც დავინახეთ, მართა მოერსი ცხოვრების ფაზებს უდგება შრომის, სოციალური დამოკიდებულებებისა და ღირებულებებისადმი განწყობათა კუთხით. ეს დიდად შეესაბამება ჩემს მიდგომას, რომელიც ერთმანეთისგან განასხვავებს ბიოლოგიურ, ფსიქიკურ და სულიერ ასპექტებს. შემდეგი კითხვა ასეთია: ფსიქიკური და სულიერი განვითარების მრუდები ბიოლოგიურის პარალელურია, თუ არა? მისდევნ მას, თუ დამოუკიდებელნი არიან მისგან?

### ბ) მშენიერი განვითარება

ზრდის პირველ ფაზაში, მოზრდილობამდე, ნათლად ჩანს აზროვნების, გრძნობის, ნებულობის ფსიქოლოგიური განვითარების ხაზი, რომელიც თავისი რთული ფორმითა და მუდმივად ცვალებადი შინაარსით აღწერილია წიგნში „ბავშვის განვითარების ფაზები“.

ზრდის პერიოდის სამ ფაზას სხვადასხვა თემა აქვს ლაიტმოტივად. ჩველი ბავშვი სრულიად გახსნილია გარე შთაბეჭდილებების მიმართ. იგი გარშემომყოფთა იმიტაციით სწავლობს. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც შეგვიძლია მივცეთ მოზარდს ცხოვრების გზაზე, არის სიმტკიცის, რწმენისა და უსაფრთხოების გრძნობა: განცდა, რომ მისი ამქვეყნად მოსვლა უხარიათ, რითაც იგი სიყვარულსა და სითბოს იღებს. სიმტკიცესა და რწმენას წარმოშობს რიტმული ცხოვრება და ბავშვის კონტაქტების განუწყვეტლობა, უსაფრთხოებას კი გარშემომყოფთა თბილი სიყვარული. ბავშვს უნდა გაუღვივოთ გრძნობა იმისა, რომ სამყარო კეთილია. ტანის პირველად აყრისა და კბილების მოცვლის შემდგომი ფაზა, ანუ სასკოლო პერიოდი ხასიათდება ძლიერი ჩაკეტილობით: ბავშვი მიქცეუ-

ლია თავისი თავისკენ და იკვლევს საკუთარი სამშენებლის თვისებებს აზროვნებაში, გრძობასა და ნებელობაში. ბავშვი ამას ფანტაზიის ძალით აკეთებს. იგი საკუთარ ბაღში ცხოვრობს, რომელსაც მაღალი ღობე აქვს გარშემოვლებული: მის შიგნით ბავშვი აგებს საკუთარ სამყაროს, სადაც შეუძლია აკეთოს ყველაფერი ის, რასაც ვერ აკეთებს რეალურ გარე სამყაროში. ბავშვის ფანტაზია საფუძვლად ედება კრეატიულობას შემდგომი წლების სოციალურ ცხოვრებასა და პროფესიაში. ინდივიდი, რომელსაც რაიმე მიზეზის გამო ამ ფაზაში არ შეეძლო ფანტაზირება და ოცნება, შემდგომში ინტერპერსონალურ ურთიერთობებში სპონტანურობისა და მრავალმხრივობის დანაკლისს განიცდის. ინტელექტუალური აღზრდა-განათლება თრგუნავს ფანტაზიას და წარმოშობს ადამიანებს, რომელნიც ცხოვრებაში მარტონი რჩებიან და ვერ ამყარებენ ნამდვილ კონტაქტებს სხვა ადამიანებთან. თუ გავიხსენებთ დაწყებითი განათლების თანამედროვე სისტემას, გასაკვირი აღარ იქნება ის ფაქტი, რომ კონტაქტების უუნარობამ თითქმის ეპიდემიურ დონეს მიაღწია. შემოქმედებითი სწავლება და თამაში, მშობლების მიერ ამბების მოყოლა აგარჯიშებს ფსიქიკური უნარების მობილურობას, ზრდის ორიგინალობასა და სპონტანურობას.

მეორე ფაზაში ბავშვი უნდა დარწმუნდეს, რომ სამყარო სავსეა სინარულითა და მშვენიერებით. მშვენიერებას ბავშვისთვის სულ სხვა მნიშვნელობა გააჩნია, ვიდრე მოზრდილებისთვის, რომელნიც ხშირ შემთხვევაში ვერ აღიქვამენ ზოჭოს, ფოთლის ან მთის ბროლის სილამაზეს.

მესამე ფაზაში (გარდამავალი ასაკი ანუ სიყრმე) ხდება რეალობისკენ გარღვევა. როგორც კი ირღვევა პრეპუბერტეტის მზრუნველი სამყარო, ახალგაზრდა პიროვნება აღმოაჩენს სინამდვილეს, რომელიც ხშირად არამეგობრულია. ბავშვის ფანტაზიის სამყაროს ნგრევის შედეგად გარდამავალ ასაკში გღებულობთ მარტობას, განცდას, რომ ვერაფერ ვიკვებ, და გმირის თაყვანისცემის ტენდენციას. სიყრმისას (რომელიც, ჩემი აზრით, იწყება 16-17 წლის ასაკში) დგება სამყაროსადმი საკუთარი დამოკიდებულების

(თუმცაღა დროებითის) პოვნის ამოცანა.

ყრმა ექებს მსოფლმხედველობას, ინტერესდება რელიგიით ან პოლიტიკით (რაც ამ ასაკში რელიგიურ ხასიათს ატარებს), ირჩევს პროფესიას (თუ აქვს ნორმალური განვითარების საშუალება). ყოველივე ეს აღწერილია წიგნში „ბავშვის განვითარების ფაზები“. იწყება ჭეშმარიტების ძიება: რას წარმოადგენს სინამდვილეში „სამყარო?“

უკვე პლატონი აღნიშნავდა, რომ სიკეთე, მშვენიერება და ჭეშმარიტება ადამიანობის საფუძველი არის. სიყრმისას მათ უნდა მიეცეს გაფურჩქვნის საშუალება, რათა შემდგომში გადაიზარდონ მორალში, კრეატიულობასა და სიბრძნეში. ეს განვითარება დამოკიდებულია არა გარეგნულ კეთილდღეობაზე, არამედ შინაგან სისავსეზე.

უკვე 1945 წ. დაადგინეს, რომ დანაშაულია 14-15 წლის მოზარდი აიძულო, იმუშაოს ფაბრიკაში ან აირჩიოს პროფესია. ასეთ სიტუაციაში მას არ შეუძლია ზრდასრულობისკენ წინსვლის მესამე ფაზის დასრულება. ის ფაქტი, რომ სადღეისოდ ამ ასაკის ბავშვებს მაფორმირებელ, ე.წ. პარტიციპაციულ განათლებას ვაძლევთ, მხოლოდ პირველი ნაბიჯია ამ მხრივ. ყოველ ადამიანს აქვს ზოგადი მაფორმირებელი განათლების უფლება 18 წლამდე, რათა როგორც სრულყოფილმა პიროვნებამ შეიტანოს თავისი წვლილი საზოგადოებაში.

ნაშრომში „ბავშვის განვითარების ფაზები“ ყურადღება მივაქციე ფიზიკურ და ფსიქიკურ განვითარებას შორის არსებულ მჭიდრო კავშირს. ადრეულ ასაკში იგი თითქმის აბსოლუტურია. კუჭის ოდნავი აშლილობა ან მოსალოდნელი ავადმყოფობა პირველად ბავშვის ქცევით შეინიშნება: იგი გულგრილი და გაღიზიანებადი ხდება გარდამავალი ასაკის შემდეგ ბავშვის მშვინვიერი განვითარება აღარაა სრულად დამოკიდებული ბიოლოგიურ პროცესებზე, თუმცა ურთიერთდამოკიდებულება მათ შორის ჯერ კიდევ უფრო მჭიდროა, ვიდრე მომდევნო წლებში.

რა ხდება შემდეგ? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას მივადექით


ამ წიგნის ცენტრალურ საკითხს: ვიტალურ-მშენიანებელი სწრაფვები საკმაოდ ახლოს მისდევს ბიოლოგიურ განვითარებას, ხოლო სულიერ-მშენიანებელი ფუნქციები გამოეყოფა მას და შეუძლია განვითარების მწვერვალზე იმყოფებოდეს მაშინ, როცა ბიოლოგიური ფუნქციები უკვე საკმაოდ დაკნინებული არის. ამის გამო ფსიქიკური განვითარებისათვის ვერ იხაზება ერთი სწორხაზოვანი გრაფიკი. პირველი 20 წლის განმავლობაში ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური ფუნქციები უპირატესად პარალელურად ვითარდებიან, რის შემდეგაც ისინი ერთმანეთზე ძალზე ძლიერად მოქმედებენ (ადამიანის ფსიქოსომატური ერთიანობა განსაკუთრებით აშკარაა ცხოვრების შუა ფაზაში). მაგრამ 40-იან წლებში დგება დრო, როცა ვიტალურ-მენტალური ფუნქციები სუსტდება. სუსტდება ვიტალური მოთხოვნილება აქტიური სიცოცხლისა, სამყაროსთან კონტაქტისა. შრომისას უფრო და უფრო ძნელად მიიღწევა იგივე შედეგი, რაც ადრე. გვეწყება შიში მომავალი თაობისა, რომელსაც გააჩნია სიცოცხლისუნარიანობა, რასაც ჩვენ ვკარგავთ და ა.შ. ეს პროცესი უფრო დეტალურად ქვემოთ იქნება განხილული. მხოლოდ მაშინ, თუ ცხოვრების შუა ფაზაში გამოიღვიძებს სულიერ-მშენიანებელი ფუნქციები, მათ შეეძლება შეცვალონ დაზარალი ვიტალურ-მშენიანებელი ფუნქციები.

ამრიგად, 40-იანი წლების განმავლობაში საფუძველი ეყრება შემდგომი განვითარების ორ შესაძლო ვარიანტს (შუალედური საფეხურებით ორ უკიდურესობას შორის): საკუთარ თავს ვაფასებთ ან ჩვენი გარეგნული მიღწევების მიხედვით და ამ შემთხვევაში კრიზისამდე მივდივართ, ან იმ დახმარებისდა მიხედვით, რაც სხვებს შეგვიძლია გავუწიოთ და მაშინ ახალ, სოციალურ ფაზაში შევდივართ, როდესაც შეგვიძლია ჩვენ მიერ დაგროვილი გამოცდილება სხვებს გადავცეთ. ამ ფაზაში თანდათან ვშორდებით ჩვენს საშუალოს და უფრო ფართო სოციალურ კონტექსტში განვიხილავთ მას. ხელმძღვანელებისთვის ეს ნიშნავს შემდეგს: თუ აქამდე თვითონ ახდენდნენ ყველაფრის ორგანიზებას, ახლა უნდა გადავიდნენ ისეთ პოლიტიკაზე, რომლის განხორციელებისას სხვებს შეეძლება

საკუთარი ძალების გამოვლენა.

40-ანი წლების დასაწყისის ეს ფაზა შეიძლება აღაწეროს, როგორც სოციალური ან მართვის ფაზა. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ამგვარი განვითარება თავისთავად არ ხდება, არამედ შესაძლებლობას წარმოადგენს. მართალია, იდეალური ვერ იქნება ამ რთული და თვისებრივად განსხვავებული პროცესების ერთი დიაგრამით გამოხატვა, მაგრამ იგი რამდენადმე მაინც ახდენს ამ პროცესების ილუსტრაციას.

ფაზები:



### გ) სულიერი განვითარება

აღაპიანის სულიერი განვითარება თავდაპირველად მეს ცნობიერებაში ვლინდება, რომელიც აღმოცენდება ფეხის ადგმისას, სკოლის ასაკში მეს განცდისას, სიყრმისას — მეს რეალიზაციისაკენ სწრაფვისას. ცხოვრების შუა ფაზაში მეს ცნობიერება, მეს განცდა და მეს რეალიზაცია შეიძლება კიდევ უფრო განვითარდეს, რაც მოგვიანებით იქნება აღწერილი. გარედან ეს ჩანს პიროვნების სულიერ-მშენებელი ძალებისშეგებში, რომელნიც მიმართულნი არიან ნორ-

მების პოვნის, განცდისა და გამოყენებისკენ, ინტერპერსონალურ ურთიერთობებში, შრომაში, შრომისადმი განწყობაში, გარემოების ფარგლებს გარეთ ინტერესის სფეროს აღმოჩენისკენ. სხვა სიტყვებით, ესაა უნარი, *ამაღლდე სტიმულ-რეაქციის სიტუაციაზე*, რაც ჯერაც ახასიათებს ვიტალურ-მშენიანიერ სწრაფვებს.

ინდივიდი, რომელმაც ცხოვრების შუა ფაზაში უკვე იპოვა ინტერესის სფერო ხელოვნებაში, მეცნიერებასა თუ სოციალურ საქმიანობაში, თითქმის შეუმჩნევლად გაივლის ცხოვრების გზის დიდ გასაყარს 40 წლის ასაკის შემდეგ და შეეძლება მეტწილად სულიერი წყაროთი საზრდობა. მეორე მხრივ, პიროვნება, რომელსაც ცხოვრების შუა ფაზაში არაფერი გაუკეთებია გარდა იმისა, რომ ზრუნავდა პირად წარმატებაზე, ყველაფერს თავიდან იშორებდა, რასაც მისი კარიერისთვის ხელის შეშლა შეეძლო, ანდა უშვებდა, რომ მისი ცხოვრების წარმართველი ყოფილიყო მხოლოდ სამუშაო და სხვა გარეგანი გარემოებები — ასეთი პიროვნება 40 წლის ასაკის შემდეგ აღმოჩნდება ეგზისტენციალურ კრიზისში და 55 წლის ასაკში იქცევა ტრაგიკულ ფიგურად, რომელიც გამუდმებით მისტირის კარგ ძველ დროს, ახალში კი მუქარის გარდა ვერაფერს ხედავს.

*ბიოლოგიური* რიტმები განვითარებაზე ყველაზე ღრმა ზეგავლენას მოზრდილობის წინა პერიოდში ახდენს. საკუთრივ მშენიანიერ განვითარება ყველაზე მკაფიოდ ცხოვრების შუა ფაზაში ვლინდება. *სულიერი* განვითარება ცხოვრების ბოლო ფაზისთვისაა გადამწყვეტი.

## 2. სიყრმე

ყრმის ძირითადი საქმიანობაა, შეწყვიტოს ყრმად ყოფნა.  
(კოულ და პოლი, „სიყრმის ფსიქოლოგია“)

ყო ადამიანი, ნიშნავს იცხოვრო სიცოცხლის ყოველ ფაზაში.  
(გუარდინი, „სიცოცხლის პერიოდები“)

გარდამავალი ფაზა: სიყრმე (16-17 წლიდან 21-24 წლამდე).

მომწიფების წლების კრიზისისას, გარდამავალ ასაკში, ინდივიდის პიროვნება გამოკვეთას იწყებს. პიროვნების ეს გამოვლიძება გრძელდება სიყრმის განმავლობაში და წარმოადგენს ღერძს, რომლის გარშემოც ბრუნავს ყველაფერი. თუ ეს არ მოხდება, ინდივიდი დარჩება გარემოზე დამოკიდებულად, ან ჯიუტად შეინარჩუნებს ყოველგვარი ავტორიტეტის წინააღმდეგ ამბოხების სიყრმისეულ განწყობას.

აქედან გამომდინარეობს ამ ასაკის უმთავრესი კითხვები: ვინ ვარ მე? რა მინდა? რისი უნარი შემიწევს?

სწორედ იმის გამო, რომ პასუხი ამ კითხვებზე ჯერ არ არის გაცემული, ნათელი ხდება, თუ რას გულისხმობს რიუმკე, როცა სიყრმის მახასიათებლებს აღწერს, როგორც არამდგრადობის გრძნობას, მყარი საფუძვლის ან მოწოდების ვერ პოვნას და პუბერტეტისეული იდეების მიმართ გულისგატეხვას.

ცხოვრების ამ საფეხურზე ინდივიდის ერთ-ერთი ამოცანაა „გრძნობადი (ბიოლოგიური) სექსუალობისა და მშვინვიერი ეროტიზმის გაერთიანება“. პირველი ცნობიერდება გარდამავალი ასაკისას. ხოლო ეროტიზმმა ყრმაში ისე უნდა გამოიღვიძოს, რომ მომდევნო ფაზაში მან შეძლოს მეორე ადამიანისადმი სიყვარულის განცდა.

სიყრმისას მშვინვიერი ეროტიზმის მნიშვნელობას განიხილავს კიუნკელიც. იგი წერს: „სამშვინველი აღინთება შენ-ში – შენ-ის სამყაროში, რომელიც გადაეხსნება ეროსს... სამყარო გაბრწყინდება მაშინვე, როგორც კი სამშვინველი აღინთება“. კიუნკელი ეხება იმ ფაქტს, რომ სიცოცხლის ამ ფაზაში ინდივიდის ცხოვრება უპირა-



ტესად შიგნიდან გარეთკენაა მიმართული. შეყვარებული პიროვნებისთვის მთელი სამყარო სხვაგვარად გამოიყურება. ცხოვრების განცდა დამოკიდებულია რეალობის სუბიექტურ განცდაზე და არა მის ობიექტურ მნიშვნელობაზე. ამასთან დაკავშირებით კიუნკელი ამბობს: „ბედი შიგნიდან მოდის“. ეროტიზმის საშუალებით ყრმა ახლებურად ხედავს სინამდვილეს, მხოლოდ ახლა შეუძლია მას, თავად აირჩიოს საკუთარი გზა. ამიტომ სიყრმისას არსებობს საფრთხე, რომ სექსუალობას არ მოჰყვეს ეროტიზმის გამოღვიძება.

ეროტიზმის ცნება, რომელსაც აქ ვიყენებ, იგივეა, რასაც შუა საუკუნეებში ცერემონიალურ ანუ რომანტიკულ სიყვარულს უწოდებდნენ. რაინდული ეპოქის ბოლოს სიყვარული კულტურულ ფაქტორად იქცა. მინუზინგერები უძვეროდნენ წმინდა მშენივიერ მიზიდულობას მამაკაცსა და ქალს შორის. სიყვარული იყო მამაკაცის მიერ ქალის იდეალის თაყვანისცემა და ქალის მიერ მამაკაცის იდეალის თაყვანისცემა. როცა რაინდი ომში ან ტურნირში იბრძოდა თავისი ქალბატონის სახელისათვის, მათ ურთიერთდამოკიდებულებაში არ იყო სექსუალობის ნიშან-წყალიც კი. სიყვარული იყო ხელოვნება, ისევე როგორც მუსიკაა ხელოვნება; თამაშის ელემენტი იყო უმაღლესი რამ და სიყვარულს, როგორც ყველა თამაშს, თამაშობდნენ წინასწარ დადგენილი წესების მიხედვით.

სიყვარულის გაცნობიერება უძლიერესი განცდა იყო ახალგაზრდა კაცის ან ქალისთვის, მაგრამ ის ჯერ კიდევ არ იყო პიროვნული მოვლენა. მხოლოდ სულიერმა სიყვარულმა, რომელსაც ბადებდა *მეორე მესთან* შეხვედრა და მისი აღიარება, მოიტანა შინაგანი სიმტკიცე, რასაც პარტნიორის ინდივიდუალობისადმი ერთგულება მოჰყვა. გოლფრამ ფონ ეშენბახის „*პარციფალში*“ პარციფალი და გავანი ბევრ რაინდულ საქმეს სწადიან მანდილოსნებისთვის, მაგრამ მათი სიყვარული კონდვირამურისა და ორგელუზესადმი ამით არ ირყევა.

ეროტიზმი არის სამშენიველის განვითარების საფეხური, მაგრამ არა სულისა. განსხვავებას ბიოლოგიურ სექსუალობას, მშენივიერ ეროტიზმსა და სულიერ სიყვარულს შორის უფრო დეტალ-

ლურად განვიხილავ თავში ქორწინების შესახებ. აქ ფსიქიკის განვითარების ეს გზა რეალობად იქცევა. „უდიდესი ადამიანური დრამა მხოლოდ ახლა იწყება“.

გუარდინი სიყრმეს აღწერს, როგორც გარდამავალი ასაკის კრიზისის გაგრძელებას. იგი იწყება პიროვნების გამოღვიძებით, მეს განვითარებით, მესი, რომელიც საკუთარ თავს სხვებისგან განასხვავებს.

ამ დროს განვითარებას საფუძვლად უდევს და განამტკიცებს ვიტალური ძალა. არ განიცდება რა სინამდვილის შეუპოვარი წინააღმდეგობა, აღმოცენდება რეალობის გრძნობის დანაკლისი, რომელიც წარმოშობს მსჯელობების უშუალობას და ყოველგვარი კომპრომისის უკუგდებას. გუარდინი ამას უწოდებს „ჯერ კიდევ უცნობი დასაწყისის უსასრულობას“. ჭეშმარიტ იდეებსა და სწორ განწყობას უნდა შეეძლოს სინამდვილის შეცვლა. „არსებობს მკვეთრი ტენდენცია დაუფიქრებელი, უეცარი მსჯელობისა და მოქმედებისკენ, ვინაიდან პიროვნება ჯერ კიდევ დაურწმუნებელია საკუთარ თავში“.

ხდება დიდი იდეის, უსამართლობისადმი პროტესტის შედეგების გაზვიადება. ის, რაც ჯერ კიდევ აკლიათ, არის „სიმშვიდის ფუნდამენტური განწყობა“ ყოველდღიური ყოფის მიმართ. მაგრამ სინამდვილის წინააღმდეგობათა განცდამ შეიძლება წარმოშვას გადაწყვეტილებების მიღებისთვის საჭირო გამბედაობა, რომელთა განხორციელებისთვისაც შემდგომში ათწლეულები იქნება საჭირო. პროფესიის არჩევაც კი ყოველთვის სარისკო საქმეა. ცხოვრების ფაზების განხილვისას გუარდინი საუბრობს ღირებულებათა კონფიგურაციის ძიებაზე, რომელიც აკონტროლებს და წარმართავს ცხოვრების ფაზას არჩევანის გაკეთების საშუალებით. როგორც უკვე ვნახეთ, ამ კონფიგურაციას იგი ღირებულებათა ცენტრს უწოდებს.

სიყრმის ასაკისთვის ღირებულებათა ასეთი კონფიგურაცია არის „საკუთარი თავის ბატონ-პატრონად ყოფნა“. ეს ნიშნავს, თვალში გაფუსწოროთ საკუთარ თავს, პასუხი ვაგოთ გადაწყვეტილებებსა

და არჩევანზე. ანუ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის აღებას. მაგრამ ყოველივე ამის განსახორციელებლად საჭიროა სათანადო გამოცდილების შექმნა: „ყველამ უნდა ჩაიდინოს საკუთარი სისულელეები“. მთავარია, გვსურდეს ვისწავლოთ მათგან.

გუარდინი მიუთითებს, რომ ცხოვრების ყოველ ფაზას განსაკუთრებული ამოცანა გააჩნია და მოპყავს გოეთეს სიტყვები: „ჩვენ ვმოგზაურობთ არა მარტო იმიტომ, რომ მივიდეთ, არამედ იმისთვის, რომ ვიცხოვროთ მოგზაურობისას“. ეს სიტყვები უდიდესი მნიშვნელობისაა სიყრმის როლის გათვალისწინებისათვის. ისინი დიამეტრულად საპირისპირონი არიან ამ თავის დასაწყისში მოყვანილი პირველი ეპიგრაფისა, რომელიც სულ სხვა თვალსაზრისიდანაა დაწერილი. კოულ და პოლის წიგნში „სიყრმის ფსიქოლოგია“ სიყრმე ბიპევიორიზმისა და ემპირიზმის თვალთახედვიდან არის განხილული. როგორც ასეთი, იგი სასარგებლო სახელმძღვანელოა. ის იწყება ძირითადი წანამძღვრიდან — „იმისთვის, რომ გადავიდეს ბავშვობიდან მოზრდილობაში, ყრმამ არაერთი პრობლემა უნდა გადაჭრას“.

აქ სიყრმე დანახულია, როგორც გარდამავალი ფაზა, რომლის დროსაც პრობლემები უნდა გადაიჭრას, რათა ინდივიდი ბავშვობიდან მოზრდილობის სამოთხეში მოხვდეს, რაც მას ასე სურს. არსებობს შემდეგი ცხრა პრობლემა: (1) ზოგად-ემოციური მომწიფება; (2) პეტეროსექსუალური ინტერესის აღმოცენება; (3) ზოგად-სოციალური მომწიფება; (4) პროფესიის არჩევა; (5) თავისუფალი დროის გამოყენების სწავლა; (6) ცხოვრების ფსიქოლოგიის ჩამოყალიბება, რომელიც კულმინაციას აღწევს შეგნებასა და მოვალეობის გრძნობაზე დამყარებულ ქცევაში; (7) მეს იდენტიფიკაცია ანუ აღქმა.

ამდენად, ესაა მრავალგვაროვანი ამოცანებზე ენერჯიული მუშაობის ხანა, რომელიც იმით მთავრდება, რომ ინდივიდს შეიძლება ვუწოდოთ მოზრდილი — ზრდასრულობა აშეკარად სიყრმის ფაზის მიზანია. სხვა სიტყვებით, ყრმის ძირითადი საქმიანობაა, შეწყვიტოს ასეთად ყოფნა.

ამ დეტალური და ბრწყინვალე წიგნის მიერ დატოვებული

ზოგადი შთაბეჭდილება ასეთია: რა უბედური ხანაა სიყრმე — რაც შეიძლება სწრაფად უნდა გაიარო გასაგლეჯი, რათა მიაღწიო ჭეშმარიტი მოზრდილობის, ნამდვილი ცხოვრების აღთქმულ სამოთხეს!

მაგრამ სიყრმე ცხოვრების თვითმყოფადი ფაზაა საკუთარი სტილით, სიხარულითა და ტანჯვით, რომელნიც მის არსებით თვისებაზე მიუთითებენ. ეს თვისება არის გუარდინის ღირებულებათა ცენტრი: იყო გამბედავი და მიზნად დაისახო შინაგანი თავისუფლების მოპოვება. ამისთვის აუცილებელია მეს ჯანსაღი განვითარება. ნაშრომში „ბავშვის განვითარების ფაზები“ ამ განვითარების სამი საფეხური გამოყავი: *მეს ცნობიერება* — იწყება დაახლოებით მესამე წლიდან, *მეს განცდა* — იწყება დაწყებითი სასკოლო ასაკიდან და პრეპუბერტეტიც გადადის, *მეს რეალიზაცია* სიყრმისას. ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, რომ განვითარების ყოველი ახალი ასპექტი წინარე ასპექტებს ახალი შინაარსით ავსებს. გარდამავალი ასაკისა და სიყრმის დასაწყისის წყალობით ბავშვური მეს ცნობიერება ახალ შინაარსს იძენს. გარდამავალ ასაკში ბავშვის ჩაკეტილი სამყარო უკვე გახსნილია და რეალობა ხილული ხდება.

ახლა ისმის კითხვა: სად ვდგავარ მე სამყაროში? რას წარმოადგენს სამყარო სინამდვილეში? რა ძალები მოქმედებენ მასში? რა არის ძალთა წონასწორობა? სხვა სიტყვებით, რა მნიშვნელობა გამაჩნია მე სამყაროში?

მეს განცდაც ამასთანაა დაკავშირებული. პრეპუბერტეტისას მეს განცდის ნიუანსს ინდივიდი მიჰყავს საკუთარი თავისა და საკუთარი განცდებისაკენ მკვეთრ შემობრუნებამდე. უფიქრდება რა საკუთარ მნიშვნელობას სამყაროში, ყრმას ყურადღება კვლავ გარეთ გადააქვს, თუმცა ჯერაც დაურწმუნებელია. კითხვა ახლა უფრო განივრცობა: რა შემიძლია ვიწამო, რა იდეალები დავისახო? არსებობს რაიმე ამაღლებული, რისკენაც წავაღო, რაც შეიძლება გახდეს ჩემი მანათობელი ვარსკვლავი?

მეს რეალიზაცია მეს ათავსებს სოციალურ რეალობაში

თანატოლები და უფროსების გვერდით. (ამ მომენტში უმცროსი ადამიანები არ თამაშობენ დიდ როლს, მათ მიმართაც მხოლოდ თანატოლებისაგან თავშესაფრის ძიებისას.) სოციალურ პრობლემათა ამ ახალ რეგულაციასთან ერთად ცენტრალურ ადგილს იჭერს პროფესიული განათლების არჩევა (მათთვის, ვისაც შეუძლია ეს).

პროფესიის არჩევა საკუთარი თავისა და სამყაროს ცოდნას მოითხოვს. მაგრამ სადღეისოდ ეს გართულებულია, ვინაიდან პროფესიათა და ხელობათა არსი გარეშე პირთათვის ბუნდოვანი გახდა და ამასთან, არც მოსამზადებელი საშუალებებია მისაწვდომი. ამის შედეგია ის, რომ ეს სასიცოცხლო არჩევანი სიყრმისას მეტ-ნაკლებად შემთხვევითად კეთდება. ის ფაქტი, რომ ბევრი სტუდენტი ვერ აბარებს გამოცდებს, თავს ანებებს სწავლას, ან იცვლის სპეციალობას სწავლის დამთავრებამდე, მიუთითებს იმ სისტემის საშიშროებაზე, რომელიც სკოლის მოწაფეებისაგან მოითხოვს, დაახლოებით 15-16 წლის ასაკში განსაზღვრონ თავიანთი მომავალი პროფესია. სკოლადამთავრებულებთან საუბრები ცხადყოფს, რომ ბევრი მათგანი თავს მახეში გაბმულად გრძნობს, როცა აცნობიერებს, თუ რამდენად არის შეზღუდული პროფესიის არჩევისას სასკოლო საგნების არჩევანით — არჩევანით, რომელიც ხშირად გარდაამავალ ასაკში კეთდება სკოლაში მიღებული ნიშნების საფუძველზე!

ისინი, ვინც უკვე მსახურობენ, ან არჩეული აქვთ რაიმე ხელობა ან პროფესია 15-16 წლის ასაკში, უფრო მწვავედ გრძნობენ ამას. საბედნიეროდ, ორგანიზებული ვარჯიშისა (ტრენინგის) და მრავალგვარი კურსების საშუალებით უკვე ხერხდება სამსახურის შეცვლა. ეს რომ უფრო წესია, ვიდრე გამონაკლისი, იქიდანაც ჩანს, რომ მათგან, ვინც 14-15 წლის ასაკში გაიარა პროფესიული მომზადება, მცირეოდენი ნაწილი თუ მუშაობს იმავე სფეროში ათი წლის შემდეგ.

სიყრმისას ყველაფერს ჯერ კიდევ გააჩნია გარკვეული აბსოლუტურობა და ამავე დროს დროებითობის ნიშანიც აქვს — საინტერესო წინააღმდეგობრივი სიტუაცია, რომელიც თვით ყრმას სულაც არ აწუხებს. მსჯელობები და გრძნობები აბსოლუტურია — მაგრამ მხოლოდ ერთ წამს! ყველა არჩევანი დროებით აბსო-

## ლუტურია

საიუნივერსიტეტო კურსები და განათლების სხვა ფორმები არაბუნებრივად ახანგრძლივებს სიყრმის მდგომარეობას 20-იანი წლების თითქმის ბოლომდე და არღვევს ზრდასრულობის პირველი ფაზის სწორ განვითარებას. ამ პერიოდში ინდივიდმა ვარკვეულ-წილად უნდა ისწავლოს პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება ის ფაქტი, რომ სტუდენტები მოითხოვენ თვითონაც პასუხისმგებელნი იყვნენ თავიანთ სასწავლო სიტუაციაზე, ჯანსაღი რეაქციაა იმ დაქვემდებარებულობის წინააღმდეგ, რომელიც ძალზე შორს წავიდა. როცა ასეთი მოთხოვნები აბსოლუტურ და დოგმატურ ხასიათს იღებს, ეს, თავის მხრივ, გახანგრძლივებული სიყრმის სიმპტომია.

ყრმის წინაშე მდგარი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა, როგორც ვთქვით, საკუთარი დამოკიდებულების პოვნაა იმ ეპოქის სოციალური რეალობის მიმართ, რომელშიც იგი ცხოვრობს. მაგრამ რა არის ეს სოციალური რეალობა? როგორ წარმოიქმნება იგი? პასუხი ერთადერთია, მას ადამიანები ქმნიან.

აქ შეიძლება ვიხელმძღვანელოთ *შილერის* თეორიით სოციალურ ცხოვრებაში მოქმედი სამი პრინციპის შესახებ. იმაში, რასაც ის უწოდებს ფორმის პრინციპს<sup>2)</sup>, ადამიანი არაა თავისუფალი, მიჯაჭვულია სულიერ კანონებსა და ლოგიკას, ფრაზებს, კონვენციას, რუტინას. ნივთიერ პრინციპში<sup>3)</sup> იგი ბუნებისა და ფიზიკური არსებობის კანონების სუბიექტია და კვლავ არათავისუფალია. საკუთარი თავისუფალი სამყარო მას შეუძლია შექმნას სულისა და ბუნების კანონებისგან დამოუკიდებლად, სხვა ადამიანთა შორის ყოველდღიური ცხოვრებისას.

მაგრამ ამ ყოველდღიურ სამყაროში თავისუფლებას გამუდმებით ემუქრება უძველესი შეგონება „შენ გმართებს“ და „შენ არ გმართებს“ და ადამიანისა და სამყაროს შესახებ „მეცნიერულად გამართლებული“ დოგმები. ამავე დროს მას ემუქრება ფიზიკური

2) Formtrieb (გერმ.)

3) Stofftrieb, Sachtrieb (გერმ.)

არსებობის უხეში სინამდვილე, რომელშიც შედის ფულის შოვნის საჭიროება, რათა იარსებო და სხვებზე დამოკიდებული არ იყო.

ფორმასა და მატერიას შორის შეიძლება განვითარდეს ის, რასაც შილერი თამაშის პრინციპს<sup>4)</sup> უწოდებს. იგი ახასიათებს მას, როგორც ადამიანის უმაღლეს შემოქმედებით უნარს. თავისუფლების არე, რომელიც ყრმას სიცოცხლეს უნარჩუნებს, არსებობს სულსა და მატერიას შორის. მიუხედავად ფიზიკური პირობებიდან, კულტურული ტაბუდან და კონკრეტულ სოციალურ სიტუაციაში მიღებული ნორმებიდან გამომდინარე შეზღუდვებისა, ყრმა *ქმნის* რაღაც ისეთს, რაც აბსოლუტურად *პიროვნულია* და უეცრად აღმოჩნდება, რომ ხალხთან, ბუნებასთან, კულტურასთან შეხვედრისას თავისუფლება ძალზე დიდია. ყოველი ადამიანი თავისუფალია, ფულით იქნება თუ უფულოდ, ნახოს ბუნება ან გზა გაიკვლიოს მანში; შეხვდეს თავის მოძმეს ან გაესაუბროს მას.

ეს თავისუფლება აღმოჩენილ და გამოყენებულ უნდა იქნეს სიყრმისას. ხშირად ჩვენ გვეხმარება რაიმე არაორდინალური სიტუაცია, რათა გადავუხვიოთ ჩვეული კალაპოტიდან. პიროვნება, რომელიც იწყებს ხატვას მიუხედავად რწმენისა, რომ არ შეუძლია ეს, უეცრად სამყაროს ახლებურად, აქამდე უცნობ ფერებში დაინახავს. ადამიანი, რომელიც ჯგუფში ექსპრესიულ მოძრაობებს ან ცეკვას სწავლობს, ამჩნევს საკუთარი და სხვების მოძრაობების შებოჭილობას და კონვენციიდან გამათავისუფლებელ ნახტომს აკეთებს. ჯგუფური თერაპიისა და მხატვრული თერაპიის მრავალი ფორმა იძლევა „თამაშის პრინციპისა“ და შინაგანი წონასწორობის განვითარების შესაძლებლობას.

იმისათვის, რომ ყმაწვილმა შეძლოს სასურველი ადგილის დაკავება სოციალურ გარემოში, მან ადრეულ ასაკშივე უნდა შეიმუშაოს სოციალური და შემოქმედებითი ჩვევები და მათი დახმარებით განვიითაროს საკუთარი პოზიცია იმ რთულ სიტუაციაში, რომელიც კეთილდღეობის საზოგადოებას მოაქვს.

4) Spieltrieb(გერმ.)

ყოველი კულტურა მომდევნო თაობებს გადასცემს როგორც წარმატებებს, ისე პრობლემებს. უძველესი ინდოეთის მსგავს სულიერ კულტურებში მთელი ენერჯია და ყველა კითხვა მიმართული იყო სულიერ პრობლემებზე. სულის მსახურს კი სული უხვი მოსავლით აჯილდოებდა. ის, ვინც (როგორც, მაგ., დასავლეთის საზოგადოებაში) მთელ თავის შრომასა და გარჯას მატერიალურ ნივთებს ახმარს, უხვად მოიპოვებს მათ, იმდენად უხვად, რომ ისინი ძირს დასცემენ კიდევ მას. ჩვენ უკვე მეტისმეტად ვართ ამ ნივთებით დაკავებული. ყრმა, რომელიც ახალი, ცრურწმენებს მოკლებული ხედვით შეპყრებს ამ სიგიჟემდე მისულ კონკურენციას, სხვა პოლუსზე ეძებს საწინააღმდეგო ძალას.

ყოველივე ამის გამო დღევანდელი ყრმისათვის ძნელია შემოქმედებითი განწყობის პოვნა, რომელსაც იგი თავის საკუთარს უწოდებდა. სოციალური სტრუქტურების განზოპილებები გაიზარდა, ეს კი სოციალურ სფეროში მშვიინგიერი და სულიერი მარტოობისა და გაუცხოების ზრდას იწვევს.

ბლანერმა შესანიშნავად აღწერა ეს პრობლემა, რომლის სიმპტომებია გაუცხოება, გაზრდილი იზოლაცია, უგრძნობელობა და უძლურება. მან დაადგინა, რომ ყოველივე ეს უფრო იშვიათად ვლინდება მაშინ, როდესაც ინდივიდი მჭიდროდაა დაკავშირებული თავის სამუშაოსთან და ხელმძღვანელთან (სიტუაცია, რომელიც შეიძლება ოფისშიც არსებობდეს). ყველაზე ხშირად ეს დიდ ჯგუფებში იჩენს თავს, რომელნიც მექანიკურ შრომას ეწევიან. იქ კი, სადაც მცირე ჯგუფებს მკაფიოდ განსაზღვრული მოვალეობანი და შრომისას გარკვეული თავისუფლება გააჩნიათ, ეს სიმპტომები ნაკლებად შეიმჩნევა.

ეს მონაცემები დღევანდელი უნივერსიტეტების მდგომარეობასაც ეხება. თუ წარსულში პროფესორთან სტუდენტთა მცირე ჯგუფი მუშაობდა, დღესდღეობით ლექციაზე დასწრების მსურველმა თანამოძმეთა ზღვაში უნდა გაიკვლიოს გზა, რათა მოუსმინოს შორეულ ფიგურას, სცენაზე ლექციას რომ კითხულობს. სემინარული სწავლებაც კი ვერ აწონასწორებს სტუდენტთა გაუგონარ სიჭარბეს



პროფესორ-მასწავლებლებთან შედარებით. ეს ხერხდება მხოლოდ შემდგომ წლებში, როდესაც სტუდენტების თითქმის ნახევარი „აორთქლდება“, როგორც ამას წინათ ერთი უნივერსიტეტის რექტორმა განმაცხადა.

„აორთქლებას“, რომელიც ათასობით ახალგაზრდის ხვედრია, ემატება სასოწარკვეთილებისა და დაუკმაყოფილებლობის გრძნობა და შეუძლია სამუდამოდ დაასვას დაღი პიროვნების ცხოვრებას. სტუდენტთა ფსიქიატრად მუშაობისას მე საქმე მქონია „აორთქლების“ პროცესის შედეგებთან. კარგი იქნებოდა, სწავლის დაწყებამდე მოზარდები უკეთ ყოფილიყვნენ მომზადებულნი ამ იმედგაცრუებისთვის.

სტუდენტის მდგომარეობის საპირისპიროა ახალგაზრდა კვალიფიციური და არაკვალიფიციური მუშების მდგომარეობა. გარდამავალი ასაკის შუა პერიოდში საზოგადოების ეს ძალზე დიდი ნაწილი საკლასო ოთახიდან უეცრად საამქროში ხვდება. იგი ერთბაშად აღმოჩნდება მოზრდილთა საზოგადოებაში, რომელსაც სათანადო სამუშაო საათები და ზნე-ჩვეულებები აქვს. ახალგაზრდებს ართმევენ სიყრმეს. საკუთარი თავის აღმოჩენა უეცარი შოკით ხდება იმ მომენტში, როცა მე ჯერ არაა იმდენად მომწიფებული, რომ აკონტროლოს ეს პროცესი. ახალგაზრდა ძალზე ადრე ხდება მატერიალურად დამოუკიდებელი. იგი საკუთარი როლის გაზვიადებას ახდენს. სამყაროს ხატის ჩამოყალიბებისას და კულტურულ-სოციალური მდგომარეობის შეფასებისას კი იგი არ არის სულიერად თავისუფალი.

პროფესიული მომზადების დაკავშირება პარტიციპაციულ და სხვა სახის განათლებასთან სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია, მაგრამ საკმარისი არ არის. ვიმეორებ: *ყოველ ადამიანს 18 წლის ასაკამდე აქვს ზოგადი განათლების უფლება*. ცხადია, ამგვარი განათლება ყველასთვის ერთნაირად მისაღები არაა, იგი უნდა იყოს მოქნილი, რათა შეესაბამებოდეს ყოველი ინდივიდის მოთხოვნილებებსა და უნარებს.

აქ არ შემიძლია არ ვახსენო „ახალგაზრდების რევოლუცია“,

რომელიც 1968 წლიდან მოყოლებული თითქმის განუწყვეტლივ ყურადღების ცენტრში იყო. დასაწყისისთვის, შეიძლება მოვახდინოთ რამოდენიმე დაკვირვება: ჯერ ერთი, ხშირად „დემოკრატიზაციისათვის ბრძოლას“ ხელმძღვანელობენ ისინი, ვინც ყრმა აღარ არის, მაგრამ ისეთი ადამიანის ხასიათს ამჟღავნებს, რომლის სიყრმე დარღვეული იყო, ან არასრულყოფილად მიმდინარეობდა. ამის შედეგად ისინი მყარად ინარჩუნებენ ისეთ თვისებებს, რომელნიც, წესით, უკვე გადალახული უნდა ქქონოდათ: ფანატიკური იდეალიზმი, სხვა ადამიანთა იგნორაცია, რთული პრობლემების გამარტივება, „დაბალი ღობის“ ფსიქოლოგია. პრობლემათა ნამდვილი გადაჭრა შეიძლება არა „ნაძალადევი დემოკრატიით“, არამედ კონკრეტულ ადამიანურ სიტუაციებთან შემოქმედებითი მიდგომით. საზოგადოების სტრუქტურული პრობლემების წარმატებით გადაჭრა შეუძლია მხოლოდ მას, ვისაც სოციალურ ურთიერთობებში უკვე მოპოვებული აქვს გარაკვეული სიმწიფე. მომდევნო თავებში ნათელი გახდება, რომ ეს ხანგრძლივი და შრომატევადი საქმეა. არსებობს სიმწიფის მრავალგვარი ფორმა. სამართლიანი საზოგადოების მოვალეობაა, ყოველ მათგანს არსებობის თანაბარი შესაძლებლობა მისცეს.

შეჯამებისათვის შეიძლება ითქვას, რომ სიყრმის ცენტრალური პრობლემებია: ვინ ვარ? რა მინდა? რისი უნარი შემწევს? ინდივიდი, რომელიც ვერ დასვამს ამ კითხვებს ცხოვრების აღნიშნულ პერიოდში — თუნდაც არ გააჩნდეს მათზე პასუხი — ვერ ჩაუყრის საფუძველს თავისი არსების ფსიქიკური მხარის გამოვლიძებას და მას ელის საფრთხე, რომ ცხოვრების მნიშვნელოვან, შუა, ფაზაში, როცა საკუთარი თავის პოვნა ხდება, მიეჯაჭვება გენებიანი ვიტალურობის საფეხურს, მარადიულ სიყრმეს, რომელიც ღირებულებების შეფასებისას დამოკიდებულია იმაზე, თუ რას ფიქრობს მის შესახებ გარემო და თავისი დაურწმუნებლობის გამო განუწყვეტლივ ეწინააღმდეგება მას.

სიყრმის ამ აღწერას იდეალურ-ტიპური შეიძლება ვუწოდოთ. ზოგიერთმა მკითხველმა იგი შეიძლება მოძველებულად ჩათვალოს

— ახალგაზრდები ასეთები იყვნენ 50 წლის წინათ, ახლა კი ვითარება შეიცვალა. ამასობაში ადგილი პქონდა ევოლუციას. განვთავისუფლდით მრავალი ტაბუსაგან. სექსუალური ელემენტი ნაცნობია ყოველი ახალგაზრდისთვის, „ეროტიზმი“ კი, როგორც აქაა აღწერილი, ბურჟუაზიული მორალის პროდუქტია, რომელიც კარგა ხანია გადაიღასა.

ჩვეულებრივ, თვლიან, რომ მათ, ვინც გვიანი სიყრმის პერიოდშია და 20 წლის ახალგაზრდებს, უფრო მეტად აქვთ გაცნობიერებული მოვლენები; წარმოდგენა, რომლის მიხედვითაც 20 წლის ასაკის ბედნიერი ცოლ-ქმრის ფეხებთან პატარა ბავშვები უნდა დაცოცავენ, სულ მცირე, 30 წლისწინანდელია. ამის მაგივრად ვხვდებით თავისუფალ ურთიერთობებს და წყვილებს, რომელნიც ერთად ცხოვრობენ, მაგრამ, ჩვეულებრივ, ჯერ არ ფიქრობენ ბავშვებზე.

ყოველივე ისე გამოიყურება, თითქოს საკმაოდ ახალი რამ იყოს. მაგრამ თუ ამგვარ საკითხებს უფრო ფართო ისტორიული ცნობიერებით მივუდგებით, ვნახავთ, რომ სექსუალობა ერთი საუკუნის წინაც ასეთივე ღია განხილვის საგანი იყო, მხოლოდ ამჯერად ხელახლა იქნა აღმოჩენილი. სექსუალური ურთიერთობები კი, მართალია, საჯაროდ იკრძალებოდა სიყრმის ასაკში, მაგრამ კარგად რეგულირებული ინსტიტუტი იყო. განსაკუთრებით სოფლის რაიონებში.

„ვიქტორიანულმა“ ბურჟუაზიულმა მორალმა თავისი პირფერობითა და ორმაგი სტანდარტებით, ფაქტობრივად, მხოლოდ ერთ საუკუნეს გასტანა. ამ მორალის თანახმად, გარკვეული ურთიერთობა დაშვებული იყო მანამ, სანამ იგი გახმაურდებოდა. მაგრამ ამ დუალისტურ მორალსაც კი (აქ მამაკაცებს, რა თქმა უნდა, შეეძლოთ ყველაფრის კეთება, რაც მოესურვებოდათ, ქალებს კი არაფრის) პქონდა თავისი კანონი. ურთიერთობა სერიოზული უნდა ყოფილიყო და იმაზე მეტი, ვიდრე ცხოველური მოთხოვნების დაკმაყოფილებაა ნებისმიერ შემხვედრთან.

ბურჟუაზიულ კლასთა ფარისევლობა დაიშხვრა. ახალგაზრდებს ნება აქვთ იცხოვრონ ერთად — თუმცა კვლავ ივარაუდება, რომ ეს მათთვის მეტ-ნაკლებად სერიოზულია, ანუ სექსის გვერდით

როლს ეროტიზმი თამაშობს. მაგრამ ეს ეხება ევროპის მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილს: თვით ბურჟუაზიულ კლასს. სოფლელებისა და ქალაქის ახალგაზრდა მუშებისათვის არაფერი შეცვლილა: მათ მუდამ პქონდათ საკმაო თავისუფლება, რომელსაც მართავდა კანონი, რომ თუ გოგონა დაორსულდებოდა, ბიჭს უფლება არ პქონდა, ცოლად არ შეერთო იგი — ეს იმ პერიოდის ადვილად გასაგები ნორმაა, როცა ჩასახვის საწინააღმდეგო პრიმიტიული მეთოდები არსებობდა.

დაახლოებით 1925 წელს, სტუდენტობისას, ვეწვიე ბიძაშვილს, რომელიც სოფლის ექიმად მუშაობდა. ერთ კვირა დღეს ის გარეთ გაიხმეს. იგი მომღიძარი სახით შემოვიდა ოთახში და მთხოვა, მეც გარეთ გავსულიყავი. იქ კი სასაცილო რამ ხდებოდა. მოსულიყვნენ ახალგაზრდები, რათა იქაური ჩვეულების მიხედვით გამოეცხადებინათ ორი ახალგაზრდის მომავალი ქორწინება. „მაგრამ მათ შეუძლიათ არ იქორწინონ“, — გაპყვიროდნენ ისინი ნიშნად იმისა, რომ ეს არაჩვეულებრივი და განსაკუთრებულად პატივსაცემი ქორწინება იყო.

წლების განმავლობაში მჭიდრო კავშირი მქონდა ქარხნის ახალგაზრდა მუშებთან და იმ პერიოდში, როცა ბურჟუაზიული (და აკადემიური) ფენებიდან გამოსული ახალგაზრდები ჯერ კიდევ „ვიქტორიანული“ წესებით ცხოვრობდნენ, აქაც ვაწყდებოდი მოძველებული სტანდარტების ბრმად მიღებას. არსებობდა გარიგების, არშიყობისა და დაქორწინების მყარი მოდელი. აქაც სახეზე იყო მიზიდვისა და უკუგდების თამაში, ისევე როგორც რომანტიკულ ხანაში. უნდა მოგესმინათ კონვეიერთან მომუშავე გოგონებისთვის ისინი ხელებს ავტომატურად ამოძრავებდნენ და ასევე ავტომატურად საუბრობდნენ: „ნახე ჯერი გუშინ? ის კეროლთან ტრიალებდა ფრთხილად იყავი“.

ადამიანის განვითარების კანონებს უფრო ღრმად აქვს გამდგარი ფესვები, ვიდრე ნებისმიერ მოდურ მოვლენას. ზოგიერთი თანამედროვე „მიღწევა“ მხოლოდ ხელახალი გამოვლინებაა იმისა, რაც ძველთაგანვე იყო ცნობილი: განვითარებისა, რომელიც ადამიანის

სამივე ასპექტს მოიცავს — სხეულს, სამშენველსა და სულს. თუნდაც დღესდღეობით უპირატესად მხოლოდ სხეულებრივ განვითარებას ითვალისწინებდნენ.

### **3. ადრეული მოზრდილობა - ოციანი წლები**

21 წლის ინდივიდი უკვე ზრდასრულია და პასუხს აგებს თავის მოქმედებებზე. ეს ტრადიციული სამართლებრივი შეხედულება ეყრდნობა მეცნიერებამდელ ცოდნას. აქ როგორც ბიოლოგიური, ისე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით კარგად არის შერჩეული 21 წელი, როგორც ზრდასრულობის მიღწევის მომენტი. თუმცა, რასაკვირველია, ზრდასრულობის მიღწევა პროცესი არის და ერთ დღეში არ ხდება.

ცხოვრების ფაზებად დაყოფისას შეუძლებელია ერთი ფაზიდან მეორეში გადასვლის მომენტის დაფიქსირება. როგორც აღვნიშნეთ, ეს დღის ღამეში გადასვლას ჰგავს. სიყრმე თანდათან გადადის მოზრდილობაში, სანამ უკანასკნელის მახასიათებლები არ გაბატონდებიან.

ზრდასრულობის დასაწყისი შინაგანად დადებითად განიცდება: სიყრმის ექვებისა და არამდგრადობის შემდეგ ინდივიდს უჩნდება მომავლის აღქმის უნარი. იგი განიცდის ექსპანსიის მძლავრ მოთხოვნილებას. მამაკაცისათვის ორი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ოჯახის შექმნა და კარიერის დაწყება. ქალისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ პასუხისმგებელი ხდება საკუთარი გარემოს გაფორმებაზე. თუკი ეს თავის დროზე ვერ ხორციელდება, წარმოიშვება დეპრივაციის განცდა, რომელიც ცნობიერებიდან განიდევნება. მაგრამ ყველა შემთხვევაში საჭიროა კრეატიულობის განვითარება.

ცხოვრების თანამგზავრის ძიება და პოვნა, საცხოვრებელი ადგილის პოვნა და მოწყობა, სამუშაოზე მოწყობა — შინაგანი მშენიერი სტრუქტურის გარე გამოვლინებებია. ახლა ორმა ინდივიდმა უნდა შექმნას ცხოვრების საკუთარი სტილი: როგორ მოვეპყროთ

ერთმანეთს, როგორ შევქაბთ, რა სახეს მივცემთ ჩვენს საღამოებს? ვაქცევთ თუ არა რაჰედ ერთად ყოფნის მომენტებს — საუზმეს, სახლში მოსვლას? ვაპირებთ თუ არა ერთმანეთთან ნამდვილ საუბარს, ერთმანეთზე რეაგირებას, თუ არაფერი იქნება გარდა მოკლე შენიშვნებისა ორმხრივი დაინტერესების გარეშე, თუ რა ხდება მეუღლის სამშენებელში? როგორ უნდა მოვაწყოთ და მოვრთოთ სახლი? იქნება იგი რაიმე პიროვნული თვისების გამომხატველი, თუ ავეჯის საგამოფენო დარბაზი ან ოთახი ძველმანებისთვის?

ეს კითხვები უნდა დასვან ახლადდაქორწინებულებმა, რომელთაც სურთ ერთად ცხოვრება. იმას, ვისაც აქვს მომსახურე პერსონალის შერჩევის გამოცდილება, ეცოდინება, რომ ოჯახში სტუმრობამ შეიძლება უფრო მეტი თქვას პიროვნებისა და მისი ცხოვრების შესახებ, ვიდრე დაწესებულებაში მშრალმა საუბარმა. ცხოვრების ახალი სტილი მოიცავს გარკვეული კულტურის შექმნას, გარემოს ჩამოყალიბებას, რადგან სწორედ გარემო აყალიბებს ახალ თაობას. ეს ეხება ინტერპერსონალური ურთიერთობის მანერასაც. ბავშვს, რომელიც მაგიდის ფეხებთან დაცოცავს, ჯერ არ ესმის მშობლების საუბრის შინაარსი. მაგრამ ფაქტი, რომ მამას შეუძლია თქვას რაიმე, დედამ კი უპასუხოს: „კი, შენ ასე ამბობ, მაგრამ მე სხვაგვარად ვფიქრობ“, ერთმანეთზე იერიშის მიტანის, მორალური განკითხვის გარეშე, ანუ საუბრის ფორმა, ურთიერთპატივისცემა და ერთმანეთისათვის თავისუფლების მინიჭება, ყოველივე ეს განიცდება ბავშვის მიერ და აყალიბებს ცხოვრებისადმი მის განწყობას — კარგა ხნით იმაზე ადრე, სანამ შეძლებდეს მათი შინაარსის გააზრებას.

ბავშვის ჩამოყალიბებაზე დიდ ზეგავლენას ახდენს დიფერენცირებული მეტყველება. ფიზიკური და მშენებითი გარემოს შექმნა დიდ ენერჯიასა და ინტერესს მოითხოვს, სამაგიეროდ დიდი სიამოვნება მოაქვს. სამსახურში თავის დასამკვიდრებლად, უფროსების და კოლეგების მხრიდან პატივისცემის მოსაპოვებლად დიდი შემოქმედებითი ძალისხმევაა საჭირო სოციალურ სფეროში. სხვაგვარად ინდივიდი ვერ იარსებებს მშენებითურად.

პირველი სამუშაო მხოლოდ უზანგია, რომლის საშუალებითაც

ინდივიდი ჯდება უნაგირზე: შემდეგ მან უნდა გამოსცადოს საკუთარი თავი ამ სფეროში. 20-იან წლებში ინდივიდის ემოციური ცხოვრება კვლავ მძაფრი და არასტაბილურია. 27 წლის გოეთემ, გადახედა რა თავისი ცხოვრების გასულ ფაზას, უკვდავი სიტყვებით დაახასიათა იგი: „ჯად აღტაცებული — სიკვდილამდე დათრგუნული“.

საკუთარი ღირებულების განცდა კვლავ ძლიერაა დამოკიდებული გარე სამყაროს რეაქციაზე ინდივიდის (ექსპანსიურ) მოქმედებისა და მუშაობის მიმართ. თუ უფროსმა შეაქო, იგი სიხარულით ცას ეწევა და სახლშიც ზემის მართავს. საყვედურის ან სამუშაოს ნაწილის ჩაფარდნის შემთხვევაში კი მთელი სამყარო შავ-ბნელი და პირქუში ხდება.

საკუთარი თავის აღმოსაჩენად ახალგაზრდამ თავისი უნარები მრავალგვარ პირობებში უნდა გამოსცადოს. ძველ დროში ეს იყო შეგირდობის ფაზა, როცა ინდივიდი ერთი ოსტატისგან მეორესთან გადადიოდა და სხვადასხვა პირობებში იძენდა ცოდნას. თანამედროვე შრომითი ცხოვრება ამისათვის ნაკლებ შესაძლებლობას იძლევა, თუკი საერთო ტენდენციის საპირისპიროდ ინდივიდი თავად არ გამოიჩინოს ინიციატივას.

ყველაზე უარესი, რაც შეიძლება ადამიანს შეემთხვეს ამ ასაკში, იქნება ის, რომ ათი წლის განმავლობაში მოუწიოს ერთი და იმავე საქმის კეთება და აქედან გერაფერი ისწავლოს. უფრო ძლიერი პიროვნებები თავს აღწევენ ამ მდგომარეობას იმით, რომ თავიდან იწყებენ კარიერას და თითოეულ თანამდებობაზე რჩებიან მანამ, სანამ ისწავლიან ყველაფერს, რისი სწავლაც უნდათ ან შეუძლიათ. მიუხედავად ამისა, ამბოხების პერიოდის შემდეგ უმრავლესობა ბედს ემორჩილება, ცხოვრების დარჩენილი წლებისთვის კი სწავლობს, რომ არ აიღოს ინიციატივა საკუთარ თავზე. სამაგიეროდ იზრდება დამოკიდებულება გარეგან უსაფრთხოებასა და სოციალურ უზრუნველყოფილებაზე.

20-იან წლებში და, განსაკუთრებით, მის მეორე ნახევარში ინდივიდის შინაგანი, მშვიინგიური ცხოვრება პირველად იღებს პიროვნულ ფორმას. ამ ფორმას რუდოლფ შტაინერი უწოდებს

„შეგრძნებათა სამშვინველს“, მართა მოერსი კი „ვიტალურ-მშვინვიერ მისწრაფებებს“. გროსარტის მსგავსად ის ამბობს, რომ მხოლოდ ახლა განიცდება ინდივიდის სამშვინველი ჩაკეტილ ერთიანობად. „ვიტალურ-მშვინვიერი მისწრაფებები არ არის ბიოლოგიური მოთხოვნილებების გაძლიერება ან სუბლიმაცია, არამედ სპეციფიკურად ახალი რამაა. ესაა ნახტომი ფსიქიკურ განვითარებაში, რაც დიდად სცილდება ბიოლოგიურად მიზანშეწონილს და აგრეთვე ლტოლვათა და ინსტინქტთა სფეროს“.

თავდაპირველად ეს ძალები საკუთარი თავისკენაა მიმართული და გრძნობებში განიცდება, მაგრამ მათ მიყვარათ სულიერი პრობლემებით დაინტერესებამდე და საჭიროებამდე, დაინახო საკუთარი თავი განვითარებაში, რომელიც მთელ ცხოვრებას მოიცავს.

პირადად მე ასე ვიტყვოდი: ინდივიდში აღმოცენდება შინაგანი სამყარო, რომლის მხოლოდ ერთ-ერთი პარამეტრია სხეულებრივი ლტოლვები. მეორეა, მაგ., საკუთარი ცხოვრების, როგორც ამოცანისა და მთლიანობის ცოდნა. და არა მარტო ცოდნა, არამედ უშუალო განცდა დასაწყისისა და დასასრულის, მიზნისა და უმიზნობის, ადამიანებისა და სოციალური ინსტიტუტების მიმართ ნებაყოფლობით აღებული პასუხისმგებლობისა.

ცხოვრების შუა ფაზაში — ადრეული მოზრდილობიდან 40-იანი წლების დასაწყისამდე — ვითარდება მდიდარი შინაგანი ცხოვრება, მთელი თავისი მრავალფეროვნებით და გარეთ მიმართული მიზნებით.

ამდენად, „შეგრძნებათა სამშვინველისა“ და „ვიტალურ-მშვინვიერი მისწრაფებების“ ფაზაში აღმოცენდება ძლიერი ემოციური ცხოვრება და ინდივიდი იძენს პირველ, დროებით ფორმას. გასაგები მიზეზების გამო ჯერ კიდევ ლაბილურია შეგრძნება იმისა, რომ პიროვნება ქმნადობის პროცესშია, რაც გამოიხატება გრძნობათა მერყეობით, ინტერპერსონალურ ურთიერთობებსა და პროფესიულ ცხოვრებაში საკუთარი შესაძლებლობების გამოცდის საჭიროებით.

მართა მოერსის აზრით, ამ წლების განმავლობაში ქალის განვი-



თარება ოდნავ განსხვავებულად მიმდინარეობს: უმთავრესად იმიტომ, რომ სიყრმიდან მოზრდილობაზე გარდამავალი ფაზა 21 წლის ასაკში უკვე დამთავრებულია, მამაკაცში კი შეიძლება 24 წლამდე გრძელდებოდეს. „ამდენად, პიროვნების მომწიფებულობის მხრივ, ქალი წინ უსწრებს კაცს“. ამავე დროს ქალის არსება უფრო ესწრაფვის მშენიანი სიყვარულს. ქალებში (ნაკლებად განვითარებულ პიროვნებებშიც კი) სექსუალობა ყოველთვის განიცდება დედობასთან ერთად, სულიერი დედობის ჩათვლით.

ეს ნიშნავს, რომ ზრდასრულობის დასაწყისში ქალი ორმხრივი ამოცანის წინაშე დგას, რასაც ხშირად შინაგანი კონფლიქტი მოსდევს. მან მთელი თავისი ძალა უნდა მოახმაროს ადამიანთა მოდგმის გაგრძელებას, რისთვისაც მძიმე ტვირთი უნდა ატაროს. მეორე მხრივ, თანამედროვე ცხოვრება მოითხოვს მის ინტენსიურ მონაწილეობას მამაკაცთა მიერ ორგანიზებულ საზოგადოებრივ საქმიანობაში. ქალი უკვე მოზარდობისას ებმება ამ კონფლიქტში, რომელიც სულ უფრო და უფრო მძაფრდება. თუ გოგონა გათხოვდება, მას შეუძლია საკუთარი თავი მიუძღვნას ქალის საგანგებო დანიშნულებას. ეს ამოცანები იმიტომაა ასე მნიშვნელოვანი ქალის განვითარებისთვის, რომ ხელს უწყობს „მშენიანი-სულიერი მისწრაფებების“ გამტკიცებას.

ადრეული მოზრდილობისას ხდება სექსუალობიდან სიყვარულისკენ განვითარება ეროტიზმის გავლით. ბავშვი ადამიანად იქცევა თავისი მშობლების სიყვარულის წყალობით. შემდეგ ის განიცდის ეროტიზმის გამოღვიძებას თამაშის ელემენტის ფორმით და ბიოლოგიური მომწიფების, პუბერტეტის დროს აღმოაჩენს სექსუალობას. (აქ მე არ ვეთანხმები ფსიქონანალიზური სკოლის შეხედულებას, რომელიც ბავშვურ ლტოლვებს სექსუალობად თვლის ჩემი აზრით, ესაა ცნების არასწორი გამოყენება, როდესაც ყურადღება არ ექცევა განვითარებას სექსუალობიდან სიყვარულისკენ ეროტიზმის გავლით.) სექსუალობასთან ეს პირველი შეხვედრა შეიძლება იყოს შოკი, ძლიერი განცდა ან მხოლოდ შემთხვევითი მოვლენა, რაც დამოკიდებულია ინდივიდსა და მის კულტურულ

გარემოზე. სიყრმისას ბავშვს ეძლევა შესაძლებლობა, ხელახლა აღმოაჩინოს ეროტიზმი, აშჯერად უკვე საპირისპირო სქესთან მიმართებით.

ეროტიზმი სამშენებლის ელემენტია, სადაც ურთიერთმონაცვლეობს მიზიდვა და განზიდვა, იმედი და იმედგაცრუება, კითხვა და პასუხი. ბიოლოგიური სექსუალობისგან დამოუკიდებლად ეროტიზმი შეიძლება გადაიზარდოს მეგობრობასა და პატივისცემაში: იგი ხელოვანების, განსაკუთრებით, პოეტებისა და მუსიკოსების, დიდი ინსპირატორია. ის გადაიზრდება სიყვარულში, როცა სამშენებელი კარს გაუღებს მეორე პიროვნებას, როცა ერთი ადამიანი შეძლებს მეორის განცდას ისე, რომ ეს უკანასკნელი მიხვდება, რომ აღიარებულია საყვარელი ადამიანის მიერ. ყოველივე ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია 20-30 წლის ასაკის ადრეულ ეტაპზე.

ცხოვრების თანამგზავრის არჩევა შეიძლება განაპირობოს უბრალოდ ბიოლოგიურმა ფაქტორმა. ამ დროს მას არ ექნება დიდი სიმყარე. მეორე მხრივ, ეს შეიძლება დაიწყოს სექსუალური მიზიდვის საფუძველზე, გადაიზარდოს პატარა სიურპრიზებისა და ინციტატივების ინტიმურ თამაშში, რაც უფრო მეტს ნიშნავს სამშენებლისთვის, ვიდრე სხეულისათვის, ხოლო შემდეგ იქცეს მეუღლის სულიერი არსების სიყვარულად. მხოლოდ ამ დროს შეუძლია მეუღლეს იგრძნოს, რომ იგი ნამდვილად აღიარეს და სულიერი განვითარებისკენ უბიძგეს.

სწორედ ამ საწყის ეტაპზე ეყრება საფუძველი მეუღლეთა ურთიერთობის შემდგომ განვითარებას. ეს მოითხოვს მათ შინაგან განვითარებასაც. თუ ამ უკანასკნელს ახლა არ ექნება ადგილი, იგი განსაკუთრებით გაძნელდება 30-იან წლებში (როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ) და 40-იანი წლების კრიზისისას ინდივიდი ხელცარიელი დარჩება.

28 წლისათვის (წლოვანება, რომელსაც, ფაქტობრივად, ამ სფეროს ყველა მკვლევარი აღნიშნავს) ემოციების ტალღები სუსტდება, მეტ მნიშვნელობას იძენს განსჯითი მიდგომა, მოვლენებამდე მანძილი იზრდება. ამის შემდეგ ინდივიდი პირველად იხედება უკან,

ნათლად განიცდის სიყრმესთან დამშვიდობებას, წინასწარ გრძნობს და ხედავს იმ ფაზას, რომელშიც სრულიად განსხვავებული ამოცანები წამოიწვეს, ემოციური განვითარების სპონტანურობა კი უკან იხევს. ბევრ ბიოგრაფიასა და საუბარში ამას შემდეგნაირად აღნიშნავენ: „ახალგაზრდობა წავიდა — ახლა იწყება სერიოზული ცხოვრება“.

#### 4. ორგანიზატორული ფაზა

დაახლოებით 28 წლის ასაკში ადამიანმა უნდა განიცადოს, რომ მასში კვდება ეროსის ახალგაზრდული ფორმა.  
(კოუნკელი, „სიცოცხლის პერიოდები“)

მომდევნო ფაზა, რომელიც იწყება 20-იანი წლების ბოლოს და გრძელდება 30-იანი წლების შუამდე, წინა ფაზისაგან სრულიად განსხვავებულ ხასიათს ატარებს. ახალგაზრდობამ გაიარა, ბოლოს და ბოლოს დაიწყო სერიოზული ცხოვრება. ეს ფაქტი მრავალნაირად ვლინდება. ინდივიდი აღარ იცვლის სამსახურს. ახლა საჭიროა სამუშაოსთან მტკიცედ დაკავშირება, სამსახურებრივი წინსვლა და მოვალეობების რამდენადმე გაფართოება. ინდივიდის განწყობა ახლა უფრო ინტელექტუალურია: მართალია, ექსპანსიურობა ჯერ კიდევ არსებობს და საგრძნობი ვიტალურობითაც ხასიათდება, მაგრამ გაბატონებას იწყებს განსჯა. დაახლოებით 30 წლის ასაკში ინდივიდმა უკვე შეაფასა თავისი თავი, მან იცის, რისი უნარი აქვს, რაში მდგომარეობს მისი პრობლემები და რას ვერ გააკეთებს ვერასდროს. 20-იანი წლები საკუთარი იმედისა და სურვილების გამოცდის ნაყოფიერი პერიოდი იყო. ახლა მომავალი მოქმედებები უნდა დაიგეგმოს.

რუდოლფ შტაინერი ამას უწოდებს „განსჯითი საშვინველის“ განვითარებას, მართა მოერსი ხმარობს ტერმინს „საქმიანი მისწრაფებები“ — კვლავ ორი, ერთი და იმავე მნიშვნელობის მქონე, ცნება.

პროფესიულ ცხოვრებასთან მიმართებით ამ ფაზას შეიძლება ვუწოდოთ *ორგანიზატორული ფაზა*, რადგან ამ პერიოდში მიდრეკილნი ვართ, ყველა პრობლემა ორგანიზატორულად გადავჭრაო. ახლა საჭიროა მოვლენების მთლიანობაში დანახვა, ფაქტორების ანალიზი, ლოგიკური გადაწყვეტილებების მიღება ნაკვლევ ფაქტებსა და პროგნოზებზე დაყრდნობით. ამავე დროს, განსაკუთრებით მამაკაცებში, იზრდება მოთხოვნილება, ორგანიზატორული უნარი დაუკავშირონ ძალაუფლების პოზიციას. ჯერ კიდევ 1920 წელს კიუნკელი წერდა: „მამაკაცობის ადრეული ასაკისთვის დამახასიათებელია ბრძანებები. ყველაფერი უნდა იყოს მოკლე, ლაკონური, ზუსტად აღწერილი, მკაცრი. ბრძანებებსა თუ მოჩივებაში, ორგანიზაციული სამუშაოს გონივრულ შესრულებაში პოვებს 30-40 წლის ადამიანი საკუთარ თავს“. თუმცა ეს შეიძლება ძლიერ გერმანულად უღერდეს, თუ დავაკვირდებით ჩვენს თავს, განსაკუთრებით ამერიკიდან მოსულ მენეჯმენტურ განწყობებს, დაფინახავთ, რომ კიუნკელის აზრი დასტურდება ჩვენს ინდუსტრიულ და კომერციულ ცხოვრებაში. კარიერაზე ზრუნვა 40 წლამდე უნდა მოხდეს. გინაიდან გავრცელებული აზრის თანახმად, ვინც ამ ხნისათვის ვერ გამოიჩენს თავს, შემდგომში ვეღარ დაწინაურდება.

35 წლის მამაკაცი შრომისნაყოფიერების მწვერვალზეა, რა თქმა უნდა, რაოდენობრივი თვალსაზრისით. მას ახასიათებს საგრძნობი დარწმუნებულობა საკუთარ თავში. ცხოვრება მის ხელთაა მან იცის, თუ რა შეუძლია და რას მიაღწევს და დაყინებით იღვწის ამ მიზნისკენ. მას სჯერა, რომ ნებისმიერი პრობლემის (პიროვნულის ჩათვლით) გადაწყვეტა შეიძლება ლოგიკურ-ორგანიზატორულად. ესაა ცხოვრების ფაზა, რომელშიც მამაკაცი თავისი პიროვნული სტრუქტურის მიხედვით ყველაზე მეტად მატერიალისტია.

როგორია ქალის მდგომარეობა? ისიც გადის განსჯით ფაზას. 28-29 წლის ასაკი მისთვის უფროა ძველ დროსთან გამოშვებობების პერიოდი, ვიდრე კაცისთვის. 30-იან წლებში ქალსაც მოეთხოვება ორგანიზატორულ სფეროში აქტიურობა. მისი შვილები იზრდებიან,

მიდიან სხვადასხვა სკოლებში, სადაც დღის სხვადასხვა პერიოდში სწავლობენ. დროულად წაიყვანოს თითოეული ბავშვი სკოლაში, უზრუნველყოს ისინი ყველაფრით, რაც მატერიალურად და ფსიქოლოგიურადაა საჭირო, მოაწესრიგოს სახლი, სანამ პირველი ბავშვი დაბრუნდება სადილისთვის (თუ დავუშვებთ, რომ ყველა მათგანი არ სადილობს სკოლაში), მოუაროს ბავშვებს, საღამოთი კი იყოს მომხიბლავი და კარგი კომპანიონი — ყველაფერი ეს იმდენივე ორგანიზატორულ ნიჭს მოითხოვს, რამდენსაც კომპანიის მართვა მამაკაცისგან.

მრავალი ადამიანის ბიოგრაფიაში, ვისთანაც კი საუბრის საშუალება მომცემია (იქნებოდნენ ისინი პაციენტები, თუ ჯანმრთელი და შრომისუნარიანი ადამიანები), 30-იანი წლების საწყისი ეტაპი შინაგანად ყველაზე წყნარ პერიოდად განიცდება. ვგულისხმობ, რომ გარეგნულად შეიძლება ბევრი რამ ხდებოდეს, მაგრამ შინაგანი წონასწორობისა და თავდაჯერებულობის გრძნობა უდიდესია.

მეუღლით თავდაპირველმა გატაცებამ ჩაიარა, უკვე სხვა წყაროები უნდა მოიძებნოს, რათა ქორწინება არ იქცეს მშრალ, საქმიან დამოკიდებულებად, რომელშიც მეუღლეებს თავ-თავისი საქმე აქვთ. ზოლო სქესობრივი ცხოვრება ყოველგვარი მოულოდნელობებისა და მღელვარებისაგან დაცლილ რუტინად იქცა მხოლოდ ორმხრივი სულიერი კავშირი შეიძლება გაუძღვეს ოჯახურ ურთიერთობას შემდგომი, ახალი ფაზისაკენ.

ოცდათხუშეტი წელი — ცხოვრების მთავარი მონაპოვარი! ფაუსტი 35 წლისაა, როცა მეფისტოფელთან ხელშეკრულებას დებს, რადგან გრძნობს, რომ წინ ველარ მიდის. დანტე თავის დიდ მოგზაურობას იწყებს, რადგან თავი უღრან ტყეში პგონია, საიდანაც ვერ გამოდის. ორივე ეს მაგალითი, ფაქტობრივად, უფრო გვიანი პერიოდის განცდას წარმოადგენს. ესაა წინათგრძნობა იმისა, რომ ცხოვრებას, გარდა მშრალი, აწონ-დაწონილი, საქმიანი ასპექტებისა, სხვა მხარეც გააჩნია. ჩემი გამოცდილებით, ასეთ „წინათგრძნობებს“ ჩვენს დროში ადგილი აქვს მხოლოდ 30-იანი წლების ბოლოს ან 40-იანის დასაწყისში. ამ პერიოდში სამყაროს უნდა დაეუფლო და შეცვალო. ინდივიდი აკეთებს არჩევანს და მზადაა მიიღოს მისი

## შედეგები.

საკუთარი თავის ხატი ახლა უფრო მკაფიო ხდება. ინდივიდს უჩნდება საკუთარი თავის რწმენა და სჯერა, რომ ცხოვრება შემდგომშიც ასე გაგრძელდება. ახლა განსაკუთრებით დიდად საფრთხე, რომ ადამიანი გაუხეშდება და ეგოისტი გახდება. ინდივიდი ხშირად სამუშაოში იფლობს თავს და ამით საფუძველს უყრის თავის სოციალურ იზოლაციას. მას აღარაა ჰყავს ახალი „ჩეგობრები“, მაგრამ ჰყავს განსაკუთრებით სასარგებლო „ნაცნობები“, ვისთანაც „კავშირს ამყარებს“. იგი ჩართულია პოლიტიკაში, ან როგორც პროფესიონალი, ანდა იმისთვის, რომ მხარი დაუჭიროს კარგსა და ლოგიკურ პროგრამას. (ის ფაქტი, რომ მეუღლეებმა შეიძლება დიამეტრულად საპირისპირო პარტიები აირჩიონ, კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ არ არის აუცილებელი, ლოგიკა ზუსტად ემთხვეოდეს ლოგიკური მსჯელობის შინაარსს.) 20-იან წლებში ნიჭიერ ინდივიდებს დიდი წვალების გარეშე შეუძლიათ მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევა. 30-იანი წლების შუა პერიოდში კი იგივე რამ მოითხოვს დაჟინებასა და სიბეჯითეს შრომაში. ცნობილია რომ რიპარდ გაგნერს, როგორც თავად ამბობდა, უკვე 28 წლის ასაკში გააჩნდა მთელი თავისი მუსიკალური ზეშთაგონება. და მანაც მას წლობით უნდა ეშრომა, რათა მიეყვანა მრავალი თემა იმ საფეხურამდე, როცა შესაძლებელი გახდებოდა მათი გადმოსარგმნა მუსიკალური ნაწარმოების ენაზე. იგივე ითქმის მეცნიერული და აკადემიური მუშაობის შესახებ, აგრეთვე კომერციასა და ინდუსტრიაზე, სადაც კომპანიის წარმატებით მართვისთვის აუცილებელია ძალების ის საოცარი მარაგი, რომელსაც ფლობენ ახალგაზრდა მენეჯერები.

ყველა ამ ადამიანის პროდუქტიულობის შესასწავლად ჩატარდა ღრმა და დაწვრილებითი კვლევა, რაც ადასტურებს, რომ პროდუქტიულობის პიკი 30-სა და 40 წელს შორისაა, უფრო 30-იანი წლების შუაში.

30-იანი წლების ასაკში ინდივიდი მიდრეკილია (შეფარდებით) საკუთარი თავი წარმოიდგინოს, როგორც რაღაც განსაკუთრებული

მოვლენა. აქ ვარ მე — და იქ არის სამყარო, რომელიც დაპყრობილი, მოვლილი და შეცვლილი უნდა იქნეს, რომელსაც უნდა ებრძოლო ან გეშინოდეს მისი. ყოველი სწრაფვა ძალაუფლებისკენ საკუთარი განსაკუთრებულობის იდეიდან იწყება. აქვე ძვეს „დაბალი ღობის“ ფსიქოლოგიის საშიშროება — მუდამ სხვები არიან დაძნალებული; ოღონდაც შეიძლებოდა მათი გაქრობა ან ჩამოშორება და პრობლემაც გადაიჭრება. ცხოვრების ამ საფეხურზე უფრო მნიშვნელოვანია სხვებმა გაგამართლონ, ვიდრე ნამდვილად მართალი იყო.

## 5. ოცდაათიანი წლების მეორე ნახევარი.

30-35 წლის ასაკში შემუშავებული განწყობა ცხოვრებისადმი და თავდაჯერებულობა უმრავლესობას 40 წლის ასაკის დასაწყისამდე მიჰყვება. ხშირად კერძო საუბრებსა და ჯგუფურ დისკუსიებში ამას ასე გამოხატავენ: „მე ვიცი, რაც არის მთავარი. 20-იანი წლების ასაკის რომანტიზმს ბოლო მოეუღე; რეალისტი გახდი. ერთადერთი მნიშვნელოვანი ამქვეყნად არის ის, თუ რისი უნარი გაქვს და ხარ თუ არა მზად, განახორციელო, რაც შეგიძლია და რაც გსურს“; ან: „მე ვიცი, რაც უნდა ვაკეთო — კიდევ საში წელი ვიქნები აქ, შემდეგ კი გადავალ უფრო მაღალ თანამდებობაზე შედარებით მომცრო ორგანიზაციაში“; ან: „მე ვიცი ჩემი შესაძლებლობები და არ მინდა გადავაჭარბო მათ — სხვა რას აკეთებს, არ მაინტერესებს. კარგად ვგრძნობ თავს იქ, სადაც ვარ. თუ ცხოვრების დონე აიწევს, მეც იმდენივე მერგება, რამდენიც სხვებს“.

მაგრამ შემდეგში გაუგებარი რამ ხდება: ამ დარწმუნებულობისა და გეგმაზომიერების სამყაროში, „ვით ქურდი ღამით“, შემოიპარება ეჭვი. და მართლაც, ჩვეულებრივ, ეს ღამით ხდება: გულვიძებათ და ველარ იძინებთ, გაგონდებათ ყოველდღიური მოვლენები. მცირე გაღიზიანებები და ჩაშლილი საქმეები გაფორიაქებთ. გადაწყვეტთ, გამოთქვით ყოველივე ის, რასაც ფიქრობთ. შემდეგ ძილი გერევით

და უცებ მოვიცავთ აზრი: „მე თითქმის 40 წლისა ვარ — 25 წელი მიკლია პენსიამდე. ღმერთო ჩემო, კიდევ 25 წელი იმავე ერთფეროვნებისა! აღარაფერია მოსალოდნელი ახალი, მხოლოდ ძველი პრობლემების ასლებურად დანახვა... 25 წელი... მოხდება რაიმე ახალი? მაგალითად, ჩემს ქორწინებაში? ჩვენ უკვე მივეჩვიეთ ერთმანეთს. სხვებზე უარესი არაფერი გვჭირს, მაგრამ შეიძლება კი რაიმე ახალი მოხდეს ამ ქორწინებაში? ან სამსახურში? ვიცი, იქ რასაც უნდა მოველოდე — დიდს არაფერს! აბა სად? ახალი შობი გაგიჩინო? ვიყიდო ის იალქნიანი ნაფი ბოლოს და ბოლოს?“

მეორე დილით ვითომც არაფერი და ცხოვრება ჩვეულებრივ გრძელდება. მაგრამ ამგვარი მომენტები მეორდება — ახლა დღისითაც. შუა კონფერენციის დროსაც კი. უეცრად აღარ შეგიძლიათ აზრის შეჩერება მოცემულ საკითხზე.

თუ მამაკაცი ამის შესახებ სახლში სიტყვას დაძრავს, ცოლი ურჩევს, მიმართოს ექიმს — ალბათ, გადაიღალა. სხვას რას უნდა მოელოდოს, როცა ასეთ ცხოვრებას ეწევა? მაგრამ ექიმი შემამფოთებელს ვერაფერს აღმოაჩენს, მხოლოდ ორიოდ ბრძნულ სიტყვას ამბობს გულის დაავადების საფრთხის შესახებ, რომ არ უნდა აღელდეს მეტი სმეტად და ასე შემდეგ.

„იმახ რა ენაღვლება. შეუძლია კი მას რაიმე იღონოს, რათა შეანელოს დაძაბულობა ამ ბოლო ხანების ქაოსის შემდეგ, როცა ყველა გაგიჟებულია და ეშინია, არ დაკარგოს სამსახური? ახალგაზრდები უკვე მზად არიან, რომ შეგცვალონ“.

მაგრამ სხვა ვარიანტიც არსებობს: კაცი ბედნიერია სამსახურითა და ოჯახით. იგი მეგობრობს თავის შვილებთან და მათ მეგობრებთან, რის გამოც სახლში მუდამ არიან ახალგაზრდები. ეს კი საკმარისია, რათა თავად გახდეს ახალგაზრდა! მაგრამ უეცრად მას შოიციავს აბსურდული აზრი: ნეტავ ვიცოდე, სინამდვილეში რა უნდა ვაკეთო ამ ცხოვრებაში! ცოლი არწმუნებს: „შენ დასვენება გჭირდება. მოდი გავისეირნოთ საღამოთი და ყველაფერი დალაგდება. შენ ხომ გიყვარს შენი სამუშაო. ხომ არ გინდა სამსახური შეიცვალო?“ შვებულების შემდეგ ყველაფერი უკეთაა და მაინც... ეჭვის ჭია



განაგრძობს ღრღნას და როგორც კი შინაგანი სიმშვიდე მყარდება, მისი ხმა უფრო და უფრო მეტად ისმის...

ყოველივე ეს არის ვარიაციები ერთი და იმავე თემისა, რომელსაც შეიძლება ეწოდოს ღირებულებათა კრიზისი, ახალ ფაზაში გადასვლა. 30-იანი წლების ასაკში ინდივიდი წარმატებით მოქმედებდა ღირებულებათა გარკვეული სისტემის შიგნით. ყველაფერი კარგად მიდიოდა, ან ყოველ შემთხვევაში შეიძლებოდა პრობლემათა გადაჭრა მანამ, სანამ ძალაში იყო ღირებულებათა ეს სისტემა. იგი საბოლოო და ერთადერთ ჭეშმარიტ სისტემად მოსჩანდა.

ახლა ღირებულებათა სწორედ ეს სისტემა ირყევა – თითქოს დასახული მიზანი, ოდესღაც ასე სასურველი, უეცრად გაუფასურდა და აღარ იძლევა მოსალოდნელ კმაყოფილებას. ამის შემდეგ ინდივიდი მართლაც რომ იბნევა! საკუთარი გზის დაკარგვის შიში, როგორც საზარელი მოჩვენება, შეიძლება არაცნობიერში განიდევნოს, სადაც დამწყვდეულ იქნება; შეიძლება იგი ჩახშულ იქნეს სულ მეტი და მეტი შრომით, დათრობით, ეროტიკული თავგადასავლის ძიებით ანდა ნახევრად მძინარე მდგომარეობაში ტელევიზორის ყურებით.

მაგრამ არაცნობიერში განდევნილი შიში არანაკლებ აქტიურია. 42 წლის მენეჯერთან საუბრისას ეს შემდეგი სიტყვებით გამოიხატა: „იცი, საქმის დაწყება ნასესხები კაპიტალით მომიხდა. 12 წელი ვმუშაობდი, რათა გადამეხადა ეს ვალი. და მთელი ეს ხანი თვალწინ ასეთი სურათი მედგა: ვალის გადახდას რომ მოვრჩები, მაშინ დაიწყება ჭეშმარიტი ცხოვრება – მე დამოუკიდებელი ვიქნები – და დიდ წვეულებას გადავიხდი. გასულ კვირას აღსრულდა ეს, მაგრამ ქეიფის ხასიათზე დადგომის ნაცვლად ღრმა დეპრესიაში ჩავყარდი. ახლა მომდევნო 30 წელი უნდა გავატარო იმავე ძველ დაწესებულებაში, იმავე ძველ პრობლემებთან, ახლა დამოუკიდებლად გახდომის იდეაც კი გაშიქრა... როგორ ფიქრობთ, გაყვიდო საქმე და ახლიდან დავიწყო ყველაფერი? მაშინ რალაციისთვის მაინც ვიცხოვრებ“.

მაგრამ თავშესაფრის სხვაგან ძიება არაა გამოსავალი: საკუთარ თავს ვერ გაექცევი. ველარასოდეს გახდება 19 წლისა და ვერ გა-

დაურჩები ღირებულებათა კრიზისს, გინდაც შექლო მისი ცოტა ხნით განდევნა. არაფერია დასაძრახი თუ ვინმეს სხვა რამის კეთება სურს, ოღონდ მას ჯერ მართებს ჩვეული სხვაგვარად გააკეთოს – ამის შემდეგ ხშირად საჭირო აღარ არის სამუშაოს ან პროფესიის შეცვლა.

„ჩვეულის სხვაგვარად გაკეთება“ ნიშნავს ახალ ღირებულებათა პონანსს, რომელთათვისაც „ღირს ცხოვრება“. ისინი სულიერი ინტერესის სფეროდან მოდიან. ამიტომაც საუბრობს მართა მოერსი ამ ასაკის პრობლემატიკაზე, როგორც „სულიერ-მშენებელი მისწრაფებების“ განვითარებაზე. რუდოლფ შტაინერი აქ ლაპარაკობს ცნობიერი სამშენებლის განვითარებაზე, აზროვნების, გრძნობისა და ნებელობის სფეროში ჩვენი სულიერი პიროვნების გაცნობიერებაზე. აქ საქმე ეხება პრობლემას, რომლის გადასაჭრელადაც ნებისყოფა არის საჭირო.

განსჯა დამოკიდებულია ღირებულებებზე, რომელთა მიხედვითაც ინდივიდს სურს მოაწესრიგოს ფენომენები. ეს თავისებურად გამოთქვა გერმანელმა ქირურგმა ზაუერბრუნმა: „განსჯა არის მუცელი, რომელშიც შეიძლება ჩაისახოს ნებისმიერი სულიერი ბავშვი“. ღირებულებები, თავის მხრივ, განისაზღვრება ნებით, რომელიც აკეთებს არჩევანს და იღებს გადაწყვეტილებას.

როგორც უკვე ვთქვი, ორმოცი წლის ასაკში სულიერი განვითარება აღამიანს გზის გასაყართან აყენებს. ან ბიოლოგიურ ფუნქციებთან ერთად უნდა დავეშვათ თავქვე, ანდა გადავინაცვლოთ სრულიად ახალ სფეროში, სადაც სულ სხვა შემოქმედებითი ძალები იღვიძებს, რომელთა აღმავლობის პიკი 50-იანი წლების მეორე ნახევარზე მოდის და 70-იან წლებშიც კი გრძელდება, თუმცა, ჩვეულებრივ, 60-იანი წლების მეორე ნახევარში ადგილი აქვს აშკარა დაღმასვლას. საკითხავია, ხშირ შემთხვევაში ამ დაღმასვლაზე კულტურული ფაქტორი ხომ არ ზემოქმედებს, კერძოდ, ის როლი, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში პენსიონრებს გააჩნიათ.

თუ გადავხედავთ ცხოვრების შუა ფაზას, 21-დან 42 წლამდე, შეგვეძლება საში მთავარი პერიოდის გარჩევა, რომელთაგან თითოე-

ულს საკუთარი დომინანტური ნიშანი აქვს: (1) შეგრძნებათა სამშვინველის განვითარება, რომლის მამოძრავებელი ძალაა ვიტალურ-შვინვეიერი მისწრაფებები. ეს არის „ზეცად აღტაცებული – სიკვდილამდე დათრგუნული“ ხანა. ექსპანსიისა და თვითგამოკვლევის, ოჯახის შექმნისა და სამსახურის ცვლის პერიოდი; (2) განსჯითი სამშვინველის განვითარება. პერიოდი, როდესაც დომინანტურია „საქმიანი მისწრაფებები“. საქმესთან დაკავშირებულ ღირებულებათა სისტემაში დიდი აქტიურობისა და მიღწევების ხანა; (3) ცნობიერი სამშვინველის განვითარება, „სულიერ-შვინვეიერ მისწრაფებების“ გამოვლინების დასაწყისი. როდესაც რღვევას იწყებს წინა პერიოდის დარწმუნებულობა და უსაფრთხოება და შესაძლებელი ხდება ცხოვრების სრულიად ახალ, მნიშვნელოვან ფაზაში გადასვლა. ესაა ცხოვრების მესამე დიდი ფაზა, როდესაც ინდივიდი მოწიფული ადამიანური ყოფიერებისაკენ ვითარდება.

როგორც ვნახეთ, გუარდინი მიუთითებს, რომ ცხოვრების არც ერთი ფაზა არ დგას მეორესთან შედარებით არც მაღლა და არც დაბლა. ყოველ ფაზაში ადამიანს შეუძლია მთლიანად იყოს ის, რაც ამ დროისათვის შეუძლია რომ იყოს. ბავშვი, ყრმის ჩათვლით, „ჯერ არაა მოზრდილი“, ის მთლიანად ბავშვია განვითარების განსაკუთრებული ამოცანით, რომელიც ისევე მნიშვნელოვანია ინდივიდის მთელი ცხოვრებისათვის, როგორც 50-იანი წლების ამოცანა. ორივე ასაკის ადამიანმა შეიძლება ხელიდან გაუშვას ან გააცნობიეროს იგი.

ცხოვრების შუა ფაზაში, 21-დან 42 წლამდე, ადამიანის ხასიათი ყალიბდება რეალობის წინააღმდეგობათა დაძლევის გზით. ამ ფასად მიღწევა სიფხიზლე და ობიექტივაცია ამ პერიოდის შემდეგ დგება გადამწყვეტი საკითხი – შესაძლებელია თუ არა სხვა, ახალი ღირებულებების პოვნა.

## 6. ცხოვრების მესამე ძირითადი ფაზა -

### ორმოციანი წლები.

*ბიოლოგიური დაღმასვლა და სულიერი განვითარების შესაძლებლობები.*

ცხოვრების შუა ფაზის პრობლემების აღწერა დავამთავრეთ შემდეგი სიტყვებით: „დგება გადამწყვეტი საკითხი — შესაძლებელია თუ არა სხვა, ახალი ღირებულებების პოვნა“. ვნახეთ, რომ ეს არაა ადვილი ამოცანა.

ცხოვრების შუა ფაზაში ჩვენთვის ზურგი ქარი ქროდა დასავლურ კულტურაში გარდაუვლად საქმე გვაქვს მატერიალურ (ინტელექტუალურ) ღირებულებებთან და თითქმის ავტომატურად ვითავისებთ მათ. ჩვენი კულტურა ჯერ კიდევ განსჯითი სამშენ-ველის კულტურაა, მხოლოდ ზოგან, მაგ., მეცნიერებასა და ტექნიკაში, ღირებულებები თვითცნობიერებაზეა დამყარებული.

ჩვენი ცივილიზაცია იმყოფება ახალი, თვით მის მიერ აღმოჩენილი სულიერი ღირებულებების კვლევის ზღურბლზე. მაგიურ-მითური წარსულიდან მომავალი ძველი ღირებულებები გააუფერულა რაციონალიზმმა, განდევნა მატერიალიზმმა. თუ გვსურს რწმენისა და რელიგიის გაცოცხლება — რაც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ადამიანთა სოციალური ურთიერთობებისთვის — მაშინ სულიერ ღირებულებათა ძველმა იერარქიულმა სისტემამ გზა უნდა დაუთმოს ახალ იერარქიულ სტრუქტურას, რომელიც ამჯერად ქვევიდან ზევით უნდა აიგოს. დღეს უკვე სხვა აღარ წყვეტს, თუ რა არის ჩემთვის სულიერად სასარგებლო. პირიქით, მე თვითონ ვეძებ მასწავლებელს, ან რეალურს ანდა ლიტერატურიდან, ვისაც ჩემს სულიერ მოძღვრად მივიჩნევ და ვისგანაც ვსწავლობ მანამ, სანამ სხვას არ მოეძებნი. ამ დროს აღმოჩნდება, რომ ძველმა იდეებმა შეიძლება ახალი რეალობა შეიძინოს.

ახალი ღირებულებები, რომელნიც მოპოვებულ უნდა იქნენ, ეგზისტენციალური ღირებულებები არის, ანუ ჩვენ არა მარტო

ვიღებთ, ან „მხარს ვუჭერთ“ მათ როგორც თეორიას, არამედ თავად „ვართ“ ეს ღირებულებები, რამეთუ ვახორციელებთ მათ. როგორც კი ვიწყებთ ჩვენი მაღალი შესძლებას, აღმოვჩნდებით სულიერ რეალობათა სამყაროში და თითოეული ფსიქიკური თვისება იქცევა ძალად, რომლის საშუალებითაც შეგვიძლია ავითვისოთ ან დავიპყროთ ეს სულიერი სინამდვილე. ყოველ სულიერ ნაბიჯს შევყავართ ახალ ლანდშაფტში, როგორც მას ფენომენოლოგები უწოდებენ, სადაც ადგილი აქვს ახალ შეხვედრებს, რომელნიც, განსაკუთრებით დასაწყისში, შეიძლება სულაც არ იყვნენ შეგობრულნი.

ცხოვრების მესამე ფაზა (ჩინური ანდაზის მიხედვით, ის, რომელშიც ვბრძნდებით) იწყება ორმოციან წლებში, დაახლოებით 42 წლიდან. მაგრამ განვითარება შეიძლება ირხეოდეს ამ საშუალოს გარშემო.

ცხოვრების ეს ფაზა საგრძნობი არეულობით იწყება. ბიოლოგიურად იგი მოასწავებს სიცოცხლის ძალის დაკნინების დასაწყისს. ქალისთვის ხშირად აღინიშნება, როგორც გენერაციული ფაზის დასასრული. მამაკაცისთვის ესაა გაზრდილი სქესობრივი მოთხოვნილების ფაზა, რაც ხშირად არასწორადაა გაგებული მეუღლის მიერ. ფსიქოლოგიურად ესაა ეჭვის, დეზორიენტაციის, ილუზორული ვადაწყვეტილებებისადმი მიდრეკილების წლები, ბედნიერების ხანმოკლე პერიოდებით. სულიერად ეს წლები ნიშნავს ბრძოლას სიცარიელესთან: ძველი ნიადაგის ფეხქვეშ გამოცლასა და ახლის ჯერ არქონას.

სხვადასხვა ადამიანები სხვადასხვაგვარად რეაგირებენ ამ მდგომარეობაზე. ბევრისთვის, ვინც მოუმზადებელია, ასეთი სიტუაცია წარმოადგენს შოკს, მასში ხედავენ საკუთარი სისუსტის ნიშანს და ცდილობენ, რაც შეიძლება სწრაფად გათავისუფლდნენ მისგან. ისინი კიდევ უფრო მეტს მუშაობენ, გამწარებით და აგრესიულად ცდილობენ წინ წაიწიონ სამსახურში, ან ჩაახშონ სისუსტისა და ეჭვის ხმები ალკოჰოლით, სექსუალური თავგადასავლებით ანდა ტელევიზორის ყურებით. ზოგი ყველაფერს გადააბრალებს მეუღ-

ლეს, შეიღოს ან თავის უფროსს, რომელნიც თითქოსდა სიცოცხლეს უპწარებენ. ქმრებისთვის ჩვეული სიტუაციაა: „ჩემი ცოლი ველარ მიგებს...“, ცოლებისთვის კი: „ჩემს ქმარს აღარ ვაინტერესებ“. ეს შეიძლება გადაიზარდოს საკუთარი თავის ან ახლობლების ორეულის განცდაში (ამას უფრო დაწვრილებით ქვემოთ შევეხები).

ამ დროს ცხოვრების გზაზე გზაჯვარედინებს ვაწყდებით: ჩვენი არჩევანი განსაზღვრავს ჩვენი ცხოვრების მომავალ მიმართულებას, ახლა წყდება, შესაძლებელი გახდება თუ არა ახალი ლაიტმოტივის რეალიზაცია, თუ იგი გაუჩინარდება ქვეცნობიერის სიღრმეებში, საიდანაც მთელი დარჩენილი ცხოვრების მანძილზე დაემუქრება საკუთარი ღირსების გრძნობას. ამ დროს ეგზისტენციალურ პრობლემად იქცევა ის, რამაც თავი იჩინა 30-იანი წლების დასასრულს, კერძოდ, ცხოვრებისადმი ექსპანსიურ, მეზე ორიენტირებულ მიდგომაში დაეჭვება.

მათთვის, ვისაც აქამდე არასოდეს უძებნია არამატერიალური ღირებულებები, ეს სიტუაცია უკიდურესად საშიშია. ამ დროს კლებულობს ვიტალურობა, ძნელდება მოქმედება და გადაწყვეტილების მიღება. ამას ემატება უკმაყოფილება საკუთარი მდგომარეობით. ყოველივე ეს დარტყმებს აყენებს შეს განცდასა და საკუთარი ღირსების გრძნობას.

მართა მოერსი ამბობს, რომ ცხოვრების მეოთხე ფაზას (42-დან 56 წლამდე) აქვს დისპოზიცია კრიზისისადმი. იგი იძლევა ანალოგიას გარდამავალ ასაკთან, რომელსაც ყოველთვის წინ უსწრებს თავდაჯერებულობის პერიოდი და უეცრად მთავრდება აღმოჩენით, რომ ჩვენ არა ვაგვეგება რა არც საკუთარი თავისა და არც ცხოვრებისა. მაგრამ დიდი განსხვავება ისაა, რომ ჩვენი პირველი გარდამავალი ასაკი ცხოვრების აღმავალ ფაზაში მიმდინარეობს, მეორე კი დამავალში. თუმცა ორივე შემთხვევაში წინა პერიოდის პარამონიაა საფრთხეში, კრიზისის არსი საკმაოდ განსხვავებულია: მაშინ ეს იყო „ჩამდვილი ცხოვრებისკენ“ მძლავრი გარღვევა; ახლა კი ძალის შესუსტებასთან ერთად იზრდება ეჭვი იმავე „ჩამდვილი ცხოვრების“ ღირებულების მიმართ.

ვიტალურობის შემცირება გამოწვეულია სხეულის ყველა ქსოვილის ინვოლუციის დაწყებით. ადამიანის სხეულის ყველა ორგანოს გააჩნია სიცოცხლის საკუთარი გრაფიკი. გარკვეული ორგანოებისთვის, როგორცაა სმენის, მხედველობის, შინაგანი სეკრეციის ორგანოები, შეიძლება ზუსტად გაიზომოს ცხოველქმედების ხანგრძლივობა; ამის შესახებ ბევრი რამ უკვე ცნობილია. სხვა ორგანოებისთვის კი, როგორცაა ნერვული და ნივთიერებათა ცვლის მარეგულირებელი სისტემები, კვლევის შედეგები არაა ერთმნიშვნელოვანი.

დაბერების ყველაზე ცნობილი ნიშანია თვალის ქსოვილის გამაგრება, რის შედეგადაც ბროლი კარგავს ადაპტაციის უნარს და კითხვისას ძნელდება ფოკუსირება. 40 წლის ასაკში ბევრი ჩვენთაგანი აღმოაჩენს, რომ ახლო მანძილზე ზუსტი ოპერაციების შესრულებისას სათვალეს საჭიროებს.

ასევე ყველამ იცის საკუთარი გამოცდილებიდან, რომ ამ ასაკში ფილტვების ქსოვილი ნაკლებად მოქნილი ხდება: ავტობუსის ან მატარებლის დასაწევად თუ მოგვიხდა გაქცევა, უფრო მეტი დრო გვჭირდება სუნთქვის აღსადგენად, ვიდრე ახალგაზრდობაში. მოქნილობასა და ძალას კარგავს მთელი კუნთური სისტემაც, ამიტომ და განსაკუთრებით მოქნილობის დაკარგვის გამო, ხანშიშესულებს მეტი ენერჯია სჭირდებათ ფიზიკური სამუშაოს შესასრულებლად. ცვლილებები თანდათან ხდება, მაგრამ, ჩვეულებრივ, მათ უცებ აღმოვაჩენთ, როცა რაიმე შემთხვევა გამოავლენს აქამდე დაფარულ ნაკლოვანებას. ამ ცვლილებებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი და ცნობილი არის ენდოკრინულ ჯირკვლებში მიმდინარე ცვლილებები. სასქესო ჯირკვლები, როგორც მამაკაცებში, ისე ქალებში, იწყებს ფუნქციონირების შეწყვეტას. მაგრამ ამ პროცესის მიმდინარეობა ქალსა და მამაკაცში დიდად განსხვავებულია (ჩვენ ცალკე თავში განვიხილათ კლიმაქტერიული პერიოდის მნიშვნელობას ქორწინებისთვის).

ცნობილია ამერიკელმა გინეკოლოგმა ელიზაბეტ პარკერმა თავის წიგნში „ქალის შვიდი ასაკი“ აღწერა ქალის ცხოვრება

სხეულის სიცოცხლის მრუდთან ბრძოლაში და განიხილა ფსიქიკური და სულიერი განვითარებაც (რასაც სხვა ავტორებთან იშვიათად ვხვდებით). პარკერი აღწერს კლიმაქტერიული პერიოდის სამ ფაზას: პრეკლიმაქტერიული, კლიმაქტერიული და პოსტკლიმაქტერიული პერიოდები.

პრეკლიმაქტერიულ პერიოდში ქალი შეიძლება ჩიოდეს: „არ ვიცი, რა მემართება. ავად ნამდვილად არა ვარ, უბრალოდ, თავს არ ვგრძნობ კარგად. ვნერვიულობ და გლიზიანდები — ოჯახში ძნელად ასატანად მთვლიან — ცოტათოდენიც კი კმარა, რომ გავბრაზდე, შემდეგ ვტირი. სიცოცხლის ხალისი დაგკარგე — მაწუხებს ჩემი მდგომარეობა“. სხვა ქალს კი შეიძლება სხეულებრივი ჩივილები პქონდეს: ზურგის გაშეშება, უცარი და ყრუ ტკივილები მკლავეებში ან ფეხებში, რაც უძილობას იწვევს. ზოგს თავის ტკივილები აქვს, რაც აქამდე არასოდეს პქონია, ან სახსრები უსივდება, განსაკუთრებით, თითებზე. სხვებს ეშინიათ „გულის შეტევისა“ (რადგან ერთ ღამეს უცარი გულისცემის შეტევა პქონდათ. საინტერესოა, რომ გულისცემის შეტევები შეიძლება მამაკაცის კლიმაქტერიული პერიოდის სიმპტომიც იყოს, ოღონდ ათი წლის შემდეგ).

ასეთი სიმპტომები პორმონთა წონასწორობის დარღვევის შედეგია. ამ წონასწორობას აქამდე შინაგანი სეკრეციის ორგანოები ინარჩუნებდა. საკვერცხეების ფუნქცია იწყებს მოშლას, მენსტრუაცია არარეგულარული ხდება, შემცირებული ან დიდად გაზრდილი სიმპტომებით. ქალის პორმონის (ესტროგენების) გამოყოფის შეწყვეტა მეტი აქტივობისკენ უბიძგებს პიპოფიზს, ეს კი თავის მხრივ ზემოქმედებს ფარისებრ და თირკმელზედა ჯირკვლებზე. მოკლედ, ძველი წონასწორობა დაკარგულია, ხოლო ახალი წონასწორობის დამყარებამდე რამოდენიმე წელი უნდა გავიდეს. სწორედ მაშინ გაქრება კლიმაქტერიული პერიოდის ყველა სიმპტომი. ქალი ამ დროს გრძნობს, თითქოს ხელახლა დაიბადა და განიცდის ახალი, ზოგჯერ შეუზღუდავი, ენერჯის მომძლავრებას.

მამაკაცის კლიმაქტერიული პერიოდი სხვაგვარად მიმდინარეობს. კაცის გაზრდილი სქესობრივი მოთხოვნილება შეიძლება



პრეკლიმაქტერიული პერიოდის გამოვლინებად ჩაითვალოს, რაც, ჩვეულებრივ, 40-იანი წლების შუაში ხდება. პორმონული ცვლილებები იწვევს ფსიქიკურ მოუსვენრობას. სხვა მხრივ, მამაკაცის კლიმაქტერიული პერიოდი უფრო ნელა პროგრესირებს; ითვლება, რომ ინვოლუციის პროცესი მთავრდება მხოლოდ 50-იანი წლების მეორე ნახევარში. ფიზიკურ სიმპტომებს თან ახლავს მშენებითი ცხოვრების არასტაბილურობა; რაიმეს განცდისას თვალების უცრაოდ ცრემლებით ავსება ან ყელში ბურთის გაჩხერვა; გულისცემის შეტევები (ტახიკარდია), რაც რამოდენიმე წუთიდან თხუთმეტ წუთამდე გრძელდება. ამან შეიძლება ძალზე შეაშინოს მამაკაცი, რადგანაც, ჩვეულებრივ, ამგვარ გამოვლინებას ადგილი აქვს დღისით, მუშაობისას და ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქოს საფრთხე ემუქრება სიცოცხლეს (რაც სინამდვილეში ასე არაა). თუ გავითვალისწინებთ, რომ ყველაზე ხშირად გულის ინფარქტი ემართებათ 45-დან 60 წლამდე, გასაგები გახდება ის დიდი შთაბეჭდილება, რომელსაც ტახიკარდიული შეტევა ახდენს პაციენტსა და მის გარშემოყოფებზე. ყველაზე კარგია, ასეთი შეტევის შემდეგ ექიმთან მისვლა გულის გასასინჯად.

პორმონული ინვოლუცია პრეკლიმაქტერიული პერიოდის შემდეგ 10-20 წელი შეიძლება გაგრძელდეს. ამის ერთ-ერთი შედეგია ამოხსუცი კაცის ჩივილი: ‘პროსტატის ჰიპერტროფია, რაც სათვისლეების ფუნქციონირების შეწყვეტისას ხდება. მეორე, ასევე უსაძოვნო, გვერდითი ეფექტია სექსუალური ფანტაზიები ძილის წინ და გამოღვიძებამდე, რაც შეიძლება აწუხებდეს ხანში შესულ მამაკაცებს სასქესო ჯირკვლების ჰორმონული დაკნინების დროს. ზოგიერთი მამაკაცისთვის ეს ფანტაზიები აკვიატებულ იდეად შეიძლება იქცეს სწორედ იმიტომ, რომ გმობს მათ. ასეთი მამაკაცები თავიანთ პრობლემებს მხოლოდ მეტად კონფიდენციალური საუბრისას თუ შეეხებიან. საბედნიეროდ, შესაძლებელია ამისი სწრაფი მედიკამენტური მკურნალობა. ძველ აღთქმაშიც ვხვდებით ამ პრობლემას, სადაც მოთხრობილია, თუ როგორ უთვალთვალებდნენ აბანოში ხანშიშესული მსაჯულები სუსანას. ესენი არ იყვნენ ჩვეულებრივი

აღამიანები და მაინც!..

მამაკაცის კლიმაქტერიული პერიოდის განხილვით ჩვენ შევეხეთ ცხოვრების გაცილებით გვიანი ფაზის პრობლემას. 40-იანი წლების ასაკში ლაპარაკი შეიძლება მამაკაცის მხოლოდ პრეკლიმაქტერიულ პერიოდზე. პრობლემები, რომლებსაც ამ პერიოდში აწყდება მამაკაცი, ფსიქიკურ და, განსაკუთრებით, სულიერ პლანს ეკუთვნის. ფსიქიკაში ადგილი აქვს კონფლიქტს შემდეგ ორ სურვილს შორის: ერთი მხრივ, კვლავ იყო ახალგაზრდა, კვლავ გახდე 20 წლისა და ხელახლა გაიარო ექსპანსიური ფაზა, ოღონდ ამჯერად უკეთ, მიღებული გამოცდილების დახმარებით; და მეორე მხრივ, წინ წაიწიო ცხოვრების ნამდვილი ამოცანისკენ, მოახდინო ცხოვრების ლაიტმოტივის რეალიზაცია, მიაღწიო დარწმუნებულობას სულიერ სინამდვილეში, სადაც ბინადრობს მაღალი მე.

გაახალგაზრდავების სურვილი(როგორც შენიღბვა შინაგანი მისწრაფებისა სიახლისაკენ), შეიძლება გარეთ პროეცირდეს. ბევრი მამაკაცი უეცრად იწყებს ელევანტური, ახალგაზრდული ტანისამოსის ჩაცმას, მსუბუქად სიარულს, ცდილობს იყოს საზოგადოების სული და გული. მამაკაცში თავს იჩენს რაღაც მამლაყინწური.

მაგრამ უეცრად ქალებიც იწყებენ სილაპაზის სალონში სიარულს გასაახალგაზრდავებლად და იმედი აქვთ, რომ ჩათვლიან მათი ქალიშვილების უფროს დებად. ილუზიას, კიდევ ერთხელ დაიწყო თავიდან, კიდევ ერთხელ გახდე 20 წლის, რა თქმა უნდა, ბოლო უნდა მოელოს, თუმცა ისეთი ადამიანებიც არსებობენ, რომელთაც დიდ ხანს შეუძლიათ ამ ილუზიის ქვეშ დარჩნენ. როგორც იუნგი ამბობს, ამ დროს ისმის კითხვა, შეუძლია თუ არა ინდივიდს გათავისუფლდეს „მეს მეტისმეტი ტყვეობიდან“. ესაა რესტრუქტურირების პროცესი, რომელსაც მე „სულიერ მომწიფებას“ ვუწოდებ. ამ პროცესს კვლადაკვალ მოჰყვება დროის ახლებურად გაცნადა 40 წლამდე ჩვენს წინ მხოლოდ მომავალია; ყველაფერი ჯერ კიდევ შესაძლებელია. მაგრამ ახლა მომავალი იქნის პორიზონტს: 25 წელი პენსიამდე, შემდეგ კი რა? უფრო მეტიც, დრო უფრო და უფრო სწრაფად გარბის, წარსული კი იზრდება და იზრდება. სულ

უფრო სუსტდება ნებელობითი იმპულსი(უფრო მეტი ძალაა საჭირო იმავე შედეგის მისაღწევად), განსაკუთრებით, სწრაფად ცვალებადი შინაარსის სამუშაოს დროს. იზრდება ისეთი საქმისადმი ინტერესი, რომელშიც მონაწილეობას ღებულობს ცოდნა, ცხოვრებისეული გამოცდილება, მსჯელობის უნარი. ამ ფაზის შემდგომ წლებში კი — ინტერესი შემოქმედებითი შრომისადმი ან დიდი სულიერი მიღწევებისადმი. ეს ძალაშია ნებისმიერი თანამდებობისთვის და უნდა იქცეს ამ ასაკის კადრების სწორი მართვის საფუძვლად (უფრო მეტი ამის შესახებ ცალკე თავში იქნება ნათქვამი).

პროცესი, რომელსაც იუნგი უწოდებს „მეს ტყვეობიდან გამოთავისუფლებას“, მართა მოერსმა შემდეგი სიტყვებით აღწერა: „სანამ მოხუცდებოდეს, ადამიანი ზედმეტადაა მიჯაჭვული საკუთარ თავს, ცდილობს განიმტკიცოს თავი, ელტვის ძალაუფლებას, ორიენტირებულია უტილიტარულ ასპექტებზე და სწორედ ამ დროს ვარდება კრიზისში, რომლის გადალახვისას უნდა გადაწყვიტოს საბოლოოდ, თუ როგორ სურს შეხვდეს თავისი ცხოვრების დასასრულს“.

განსაკუთრებით ის ადამიანები, რომელთა სამუშაო უფრო სულიერი ბუნებისაა — მაგ., ხელოვანები და პოლიტიკური ლიდერები — ახლა აღწევენ ჭეშმარიტ წარმატებას და 50-იან წლებს განიცდიან როგორც ნამდვილად შემოქმედებითი ფაზის დასაწყისს. ამიტომაც აღწერს ლემანი კრიზისის შემდგომ წლებს, როგორც „გამოჩენილი ლიდერების ყაჟს“.

მათთვის, ვისაც ახალგაზრდებთან უხდება მუშაობა, კერძოდ, მასწავლებლებისა და ლექტორებისთვის, კრიზისის წლები განსაკუთრებით მკაცრი გამოცდის პერიოდია. ვინც გადალახავს მას და გათავისუფლდება მეს ტყვეობიდან, გააგრძელებს წინსვლას და მოიპოვებს ნამდვილ ავტორიტეტს, აღიარებას ახალგაზრდების მხრიდან; ხოლო ის, ვინც ვერ უძლებს გამოცდას, მცირდება ახალგაზრდების თვალში, რომელნიც კარგად გრძნობენ პიროვნების თვითმყოფადობას და იმასაც, თუ ადამიანი ნევროტულია და ებღაუჭება თანამდებობას, ცოდნას ან პრესტიჟს. ასე რომ, 40-იანი წლები

განსაკუთრებული შანსია პოტენციური მომწიფებისათვის.

„ცხოვრების არც ერთი შემდგომი პერიოდი არ წარმოადგენს ისეთ ხელსაყრელ მშენიერი კონსტელაციას მეს ტყვეობიდან გამოთავისუფლებისთვის, თანაგრძობისა და არაეკონისტური დახმარების მზაობის გამომუშავებისთვის, როგორც აღნიშნული ხანა“, – ამბობს მართა მოერსი.

აქ უნდა გაეიხსნათ განსხვავება ბიოლოგიურ ლტოლევებს, ფსიქიკურ სურვილებსა და სულიერ მისწრაფებებს ანუ ნებელობით იმპულსებს შორის. ადამიანის სამშენიერებაში ორი მხრიდან შემოდის ძალები, რომლებიც ილექებიან საკუთარი არსებობის განცდაში: ლტოლევები და სურვილები „ქვემოდან“, მისწრაფებები კი „ზემო-დან“.

ცხოვრების შუა ფაზაში ყველა ლტოლევასა და სურვილს „ზემოდან“ უნდა ეგებებოდეს მე და უხვედრებდეს უფრო მაღალ მისწრაფებებს. ამის შედეგია ადამიანის სამშენიერების იმ ასპექტების განვითარება, რომელთაც, რუდოლფ შტაინერის მიხედვით, ვუწოდებ შეგრძნებათა, განსჯითი და ცნობიერი სამშენიერელი.

40-იანი წლების ასაკში ადამიანის ფსიქიკის ყველა ამ ასპექტს შეუძლია ემსახუროს მის შემდგომ ცხოვრებას. ისმის კითხვა: რისთვის უნდა გამოვიყენო ისინი? რა უნდა გავაკეთო ნამდვილად ახლა, ამ ცხოვრებაში? რა არის ჩემი ნამდვილი ამოცანა?

აქ უადგილო არ იქნებოდა რამოდენიმე პირადი მაგალითი. მას შემდეგ, რაც 30 წლის გავხდი, ამ პრობლემებით ვიყავი დაკავებული, ოღონდ თეორიულად. ზუსტად ვიცოდი, რაც უნდა მომხდარიყო და მეგონა, კრიზისს იოლად დაგვძლევა. მაგრამ სინამდვილეში სულ სხვა რამ მოხდა. ამ საკითხების შესახებ ცოდნა არ აგვარიდებს ხსენებული პროცესების განცდას. რამოდენიმე წლის განმავლობაში ვერ ვიძინებდი ღამით და ვფიქრობდი, თუ რა უნდა მეკეთებინა, რა იყო ჩემი ცხოვრების ნამდვილი ამოცანა იმ დროს საინტერესო სამუშაო მქონდა — ვიყავი ბავშვთა ფსიქიატრი და შეფერხებულ ბავშვთა პედაგოგიური დაწესებულების ხელმძღვანელი. ეს სამუშაო მე თვითონ წამოვიწყე და გარშემო-

რტყმული ვიყავი ღირსეული თანამშრომლებით. და მაინც! მასუხი მოვიდა იმდენად მოულოდნელი მხრიდან, რომ ვერასოდეს წარმოვიდგენდი. ინდუსტრიული წრეებიდან მთხოვნენ ქარხნის ახალგაზრდა, არაკვალიფიციურ მუშებთან ჩამეტარებინა აღმზრდელობითი სამუშაო, შემდგომში კი მათი კვალიფიკაციის ამაღლება და შრომის ორგანიზებაც ამელო ჩემს თავზე. ახლა ჩემთვის ნათელია, რომ ეს იყო ჩემი ნამდვილი ლაიტმოტივი: მაგრამ სხვებს უნდა დაეყენებინათ იგი ჩემს წინაშე მანამ, სანამ მე გამოვიცნობდი მას. იმ ფაქტმა, რომ წლების განმავლობაში დიდი შინაგანი ეჭვით ვუცდიდი ამ სამუშაოს, კიდევ უფრო გაზარდა ჩემი ენთუზიაზმი მის მიმართ.

მე ბევრჯერ მინახავს, რომ ბიძგი გარედან მოდის, მაგრამ მასზე არ რეაგირებენ, რადგან არ არიან მისთვის მზად. მიაღწიო ასეთ სიმწიფეს, არის განვითარების პროცესი, რომელიც ყველამ უნდა გაიაროს, მათაც კი, ვინც იცის მის შესახებ. მაგრამ ორმოციანი წლების კრიზისის შესახებ ცოდნას ერთი დიდი უპირატესობა გააჩნია: ადამიანმა იცის, რომ ეს ეხება მხოლოდ და მხოლოდ მას და აღარ ცდილობს, გადააბრალოს ყველაფერი სხვა ადამიანებს ან გარეშე მტრულ ძალებს. კიუნკელის სიტყვები — „ბედი შიგნიდან მოდის“, ზედგამოჭრილია ამ ფაზისთვის. ბედი შიგნიდან მოდის, გინდაც მისი ძახილი გარე სამყაროდან მოგვესმას.

## **7. ორმოცდაათიანი წლების დასაწყისი**

40-იანი წლების დასასრულს კრიზისის ინტენსივობა მცირდება. ახლა ირკვევა, იპოვა თუ არა ინდივიდმა რაიმე ახალი. თუ არა, მომდევნო ფაზები იქცევა სიცოცხლის მრუდის ტრაგიკულ დაღმასვლად. ინდივიდი უფრო და უფრო ებღაუჭება თავის სამსახურს. ყოველი უნარიანი ახალგაზრდა, რომელიც ექსპანსიურ ფაზაში იმყოფება, მუქარას წარმოადგენს მისთვის. იგი ხაზს უსვამს თავის სტატუსს, თანამდებობას ანუ თავის ნომინალურ პოზიციას ვეღარ

ეგუება ახალ სიტუაციებს, აიდეალებს საკუთარ წარსულსა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას. დღევანდელი ახალგაზრდები არაფრის მაქნისები, განებივრებულები, თავხედები და უხეშები არიან, მეტისმეტ გასამრჯელოს იღებენ და უფროსებს პატივს არ სცემენ (ყოველივე ეს ჯერ კიდევ პირამიდების წარწერებზე შეიძლება ამოვიკითხოთ).

ვინც ამგვარად ლაპარაკობს, სინამდვილეში ძალიან ცოტას ამბობს ახალგაზრდებზე, მაგრამ ძალზე ბევრს — საკუთარ ტრაგიკულ მდგომარეობაზე. ასეთი ადამიანები თავიანთი ორგანიზაციისთვის ბორკილებს წარმოადგენენ. მაგ., ერთ ადმინისტრაციულ ორგანიზაციაში განყოფილების გამგე იყო დაახლოებით 55 წლის კაცი, რომელსაც ჩვევად უქონდა, ყოველ დილას ათი წუთით ადრე მისულიყო სამსახურში, მოემარჯვებინა საათი და ყოველი მუშაკის მოსვლისას დაეხედა მასზე. მაგრამ ორშაბათ დილას იგი ათი წუთით გვიან მოდიოდა. ჩანთიდან ქაღალდების დიდ დასტას ამოიღებდა, ხმაურით დადებდა თავის მაგიდაზე და დააყოლებდა: „თქვენ, ბატონებო, რა თქმა უნდა, შაბათ-კვირა მშვიდად გაატარეთ სახლში. მე კი სახლში რომ არ წაშელო საბუშაო, იგი არასოდეს შესრულდებოდა“. თანამშრომლები თავს უქნევდნენ თანხმობის ნიშნად და მიუგებდნენ: „დიას, ბატონო“. ხოლო როცა ზურგს შეაქცევდა, ღრმეაზროვნად მიიღებდნენ თითს საფეთქელზე.

ეს განწყობა — „მე ჯერ კიდევ აქ ვარ. მოგიწევთ ჩემთვის ანგარიშის გაწევა. რამოდენიმე წელიწადი კიდევ ვიქნები ხელმძღვანელი“ — მიუთითებს უსუსურ მცდელობაზე, შეინარჩუნო ავტორიტეტი, რომელიც დიდი ხანია, აღარ არსებობს. ისმის კითხვა ნამდვილად გარდაუვალია ასეთი სიტუაცია იქ, სადაც სწორი საკადრო პოლიტიკა არსებობს? ამ საკითხს მოგვიანებით დაფუბრუნდები.

მამაკაცისთვის, რომელმაც გადალაზა ეს კრიზისი, 50-იანი წლების ასაკი ერთგვარი გათავისუფლებაა. ფართოდება თვალსაწიერი, ჩნდება ახალი, უფრო ღრმა პრობლემები. ცხოვრება უფრო საინტერესო ხდება. მანძილი წვრილმან ყოველდღიურ პრობლემებამდე იზრდება. ინდივიდი ინტერესდება ზოგადი დაგეგმვისა და მართვის პრობლემებით, დიდ სიხარულს განიცდის ახალგაზრდებთან შე-

ხვედრისას, რომელნიც ექსპანსიურ ფაზაში იმყოფებიან. ამგვარ პიროვნებას შეუძლია რჩევა მისცეს ახალგაზრდებს, მხარი დაუჭიროს მათ, მათი მხრიდან კი აღიარება ჰპოვოს. როგორც უკვე ვთქვი, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს მათთვის, ვისაც აღზრდა-განათლებასთან აქვს საქმე.

ამ დროს ვითარდება ახალი შემოქმედებითი უნარები: თუ 35 წლის ასაკში ინდივიდი უნარიანი ადვოკატი ან აქტიური მმართველი იყო, ახლა გამორჩენილი იურისტი ან ბრძენი და რბილი მენეჯერი ხდება. ადამიანისთვის, რომელიც განაგრძობს ფსიქიკურად და სულიერად განვითარებას, 50-იანი წლების შუახანა არის მეორე პიკი შემოქმედებით ცხოვრებაში. მან უკვე თვალი გადაავლო და მოაწესრიგა თავისი გამოცდილება, მაგრამ საკმარისად სიცოცხლისუნარიანია, რათა თავის მოღვაწეობაში შეიტანოს ეს წესრიგი. ესაა „გამორჩენილი ლიდერების“ ასაკი.

ქალისათვისაც ორი შესაძლებლობა არსებობს. ნეგატიური რეაქცია ასეთია: კლიმაქტერიულმა პერიოდმა განვლო და ქალი გრძნობს, რომ დაუბრუნდა სიცოცხლის ძალა, ხშირად უფრო მეტიც, ვიდრე აქამდე გააჩნდა. მაგრამ მას ვერ უპოვია ახალი ამოცანა და ჩივის: „მე არასოდეს მეცალა ჩემთვის. მუდამ ოჯახისთვის ვიყავი, დილიდან ღამემდე ჭაბანს ვწევდი, წიგნის წასაკითხი დროც კი არ მქონია. რომც მქონოდა, ისე ვიღლებოდი, თავში არაფერი შემივიდოდა. ახლა კი გვიანაა. ბავშვებმა დატოვეს სახლი, მეუღლე ჩაფლულია თავის სამუშაოში, მე კი ხელცარიელი დაყრჩი“. და იგი გააფთრებით იწყებს სახლის დალაგებას, უკვე გაწმენდილი ნივთების გასუფთავებას, არარსებული მტერის გადაწმენდას. იგი აწამებს გარშემომყოფებს, სულ ჩივის, რომ მთელი საქმე მარტომ უნდა აკეთოს.

ამ მდგომარეობის ილუსტრაციას იძლევა ერთი საგალალო შემთხვევა. დაახლოებით 60 წლის კაცი უცებ გარდაიცვალა. როცა ანდერძი წაიკითხეს, აღმოჩნდა, რომ გარდაცვლილის უკანასკნელი ნება იყო, მოეხდინათ მისი კრემაცია, ფერფლი კი მისაღებ ოთახში ხალიჩაზე მოეფანტათ. წარმოიდგინეთ, რა

ტანჯვა უნდა გადაეტანა მას, ეს ანდერძი რომ დაეწერა.

პირადი გამოცდილებიდან ვიცი ხანშიშესული მომსახურე ქალების მდგომარეობა, მაგ., საავადმყოფოს უფროსი მედღების. აქაც ორი შესაძლებლობა არსებობს: უფროსი მედღა, რომელსაც საკუთარი სიმწარე გადააქვს სტუდენტ მედღებზე და უფროსი მედღა, რომელიც დედასავეთ გაუძღვება მათ, ამგვარი სიტუაციიდან კი მეგობრული და მხიარული ატმოსფერო წარმოიშვება.

ისეთ რთულ პროფესიებში, როგორიცაა პედაგოგიკა და მოვლა-პატრონობა, ერთადერთი სწორი გამოსავალია, ამგვარი პროფესიის ქალებს წმ წლის ასაკში პენსიაზე გასვლის საშუალება პქონდეთ, რათა საკმარისი დრო და ენერჯია გააჩნდეთ ახალი ცხოვრების დასაწყებად პროფესიული მოღვაწეობის დამთავრების შემდეგ. საბედნიეროდ, ბევრ ქვეყანაში ასე ხდება კიდევ.

საავადმყოფოს ურჩხულებისა და მუშაობაში თავგამოდებით ჩაფლული ქალების საპირისპიროდ არსებობენ ისეთებიც, რომელნიც კლიმაქტერიული პერიოდის კრიზისს პოზიტიურად გადაამუშავებენ და ხალისით აღმოაჩენენ, რომ კვლავ ძალუძთ ყველა სახის საქმის მოგვარება და თავიანთი ლაიტმოტივის ახალი ასპექტების განხორციელება. ისინი მადლიერნი არიან განვლილი ცხოვრებისა, რადგანაც შეძლეს სხვისთვის რაღაც გაეკეთებინათ. ახლა კი ახალ სოციალურ ამოცანას პოულობენ, ენთუზიაზმით შეუდგებიან მებაღეობას, ან მიუბრუნდებიან მივიწყებულ მუსიკალურ ინსტრუმენტს. თავმდაბლობით, მტკიცედ და შემართებით იწყებენ ისინი დიდუდის მოვალეობის შესრულებას. ისინი ქმნიან გარემოს, სადაც მათი შვილიშვილები უსაფრთხოდ და თბილად გრძნობენ თავს და ისმენენ მოთხრობებს, რომელთაც არსად სხვაგან არ ჰყვებიან ასე ცოცხლად.



## 8. ორმოცდათექვსმეტი წლის შემდეგ

ინდივიდის განვითარება ჯერ არ დამთავრებულა. დაახლოებით 56 წლის ასაკში (აღსანიშნავია, რომ ეს თარიღიც გამუდმებით მეორდება გამოკვლევებში) პორიზონტზე კვლავ ღრუბლები იყრის თავს. უკანასკნელი ფაზის განმავლობაში ცხოვრება შეძლებულად იგეგმება თამაშდებოდა: მხედველობის ველი ფართო იყო, მაგრამ ამ პერიოდში მზერა უმთავრესად გარე სამყაროზე იყო მიმართული. ახლა კი იგი შიგნით ტრიალდება. თითქოს ყველა ღირებულება ხელახლა, ეგზისტენციალურად უნდა იყოს განცდილი. (რიუშკე და შარლოტე ბიულერი ამ ფაზას უწოდებენ ხანდაზმულობის წინა ასაკს. მათი აზრით, ამ პერიოდის მნიშვნელოვანი მოვლენა ისაა, რომ ადამიანი დგას სიცოცხლის დასასრულის, ან, ყოველ შემთხვევაში, პენსიაზე გასვლის ფაქტის წინაშე). მე მინდა ეს პრობლემატიკა უფრო ფართოდ განვიხილო, თუმცა ცხადია, რომ დასასრულის, ცხოვრების შეჯამების გარდუვალობა გარკვეულ როლს თამაშობს.

ზოგიერთი ადამიანი გრძნობს, რომ კიდევ ერთხელ უნდა გადაიტანოს მძიმე პერიოდი. ყველაფრმა კვლავ უნდა გაიაროს, გოეთეს სიტყვებით რომ ვთქვათ, პროცესი: „მოკვდი და იქმენ“. ხდება არა მარტო გადაფასება უკვე მოპოვებული ღირებულებებისა, არამედ ისიც ცხადდება, რომ სინამდვილეში ვერც ვფლობთ მათ. თუ მთელი პატიოსნებით ვკითხავთ საკუთარ თავს: რას წავიღებ სიკვდილის კარიბჭის მიღმა, როგორც ჩემი ცხოვრების ნაყოფს? მაშინ უნდა გამოვემშვიდობოთ იმის დიდ ნაწილს, რაც ახლა, ამ ცხოვრებაში დაკავშირებულია ცოდნასთან, გამოცდილებასთან, სტატუსთან. ზოგიერთ ადამიანს ამ ფაზის დასაწყისში უფრო დიდი გამოცდის წინათგრძნობა აქვს. სხვები მოელნიან მთელ რიგ არასასურველ ამოცანებს. მამაკაცისთვის მის პროფესიას ხშირად იმედის გაცრუება მოაქვს. 60 წლის ასაკს გადაცილებულებმა, სხვების აზრით, უკვე მოჭამეს თავიანთი დრო, თუნდაც კარგად და დამაკმაყოფილებლად მუშაობდნენ. ისინი უნდა შეურიგდნენ იმაზე უარის თქმას, რაც თვითონ შექმნეს და რასაც სხვები გააგრძელებენ. ამგვარი განზე

გადგომა მხოლოდ ახლა იქცევა რეალობად: აქამდე ის მხოლოდ თეორია იყო.

ახლა შესაფერისი დროა იმისათვის, რომ ინდივიდმა გაარკვიოს, თუ რისი გაკეთება სურს, რისი მიტოვება მოუხდება და რისი დასრულება შეუძლია. ადამიანს უიში მოიცავს იმის გაცნობიერებისას, რომ უფრო ცოტას გააკეთებას შეძლებს, ვიდრე აქამდე ეგონა. მას თვალწინ წარსული გადაეშლება: დაუჯერებელია, რომ ამდენი ძვირფასი დრო წყრილმანებზე დახარჯა — ოღონდ მეტი დრო მქონდეს დარჩენილი, დრო, რომელიც ქვიშასავით გამებნა ხელიდან! დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დამრჩენია, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა რა არის ისეთი, რაც დარჩება?

გარკვეული აზრით, ნვ წლის ასაკში ინდივიდის ცხოვრების განვითარებამ დროებით დასასრულს მიაღწია. ჩვენ განვლიეთ ახალგაზრდობა, რომელმაც ასე ბევრი რამ მოგვცა. ეს პერიოდი მოიცავდა ბავშვობას, ადრეულ სასკოლო ასაკსა და სიყრმეს. განიცადეთ სიხარული და სევდა, ვფერხდებოდით და წინ მივიწვევდით. ვიტალურ-მშვინვიერმა, საქმიანმა და სულიერმა მისწრაფებებმა განსაზღვრა ექსპანსიური ფაზა. ამ ფაზაში ბევრი რამ მივეცით საძყაროს შრომის, მეგობრობისა და მტრობის, მბრძანებლობისა და მორჩილების სახით. ამავე ფაზაში შესაძლებელი და აუცილებელი გახდა წარსული გამოცდილების გათავისება. ექსპანსიური ფაზის წყალობით ზრდასრულ პიროვნებად ვიქცეით, რომელმაც იცის, თუ რა სურს და რა ღირებულება გააჩნია.

კრიზისმა და ინვოლუციამ, 50-იანი წლების პიკმა და საბოლოო გამოცდამ მოწიფულ პიროვნებად გვაქცია, რომელიც გრძნობს განსხვავებას ჭკუასა და სიბრძნეს, სიამაყესა და თავმდაბლობას შორის. ბიბლიის პატრიარქების ასაკის წინაპერიოდი საშუალებას გვაძლევს, დავამყაროთ წონასწორობა, მშვიდად და თავისუფლად და აგრეთვე უდიდესი შინაგანი აქტივობით შევეგუოთ ხანდაზმულობას, რაც საბოლოოდ სიკეთემდე მიგვიყვანს. მაგრამ ამავე დროს უნდა შევეგუოთ ძალების დაკარგვას, ფიზიკურ უძლურებასა და სხვებზე დამოკიდებულებას. გის არ ახსოვს ამბავი მოხუცებულ პაპაზე, რომელსაც არ უშვებდნენ საერთო მაგიდასთან ჭამას,

რადგანაც წვენი ეღვრებოდა. იგი კუთხეში უნდა მჯდარიყო და ხის კოვზით ეჭამა. ერთ დღეს შამამ დაინახა, რომ მისი შვილი ხისაგან რაღაცას აკეთებდა. „რას აკეთებ?“ — ჰკითხა მას და პასუხად მიიღო: „ჩის ჯამს ვაკეთებ შენთვის, ბაბუსავით რომ მოხუცდები“. შევეგუებით ფიზიკურ დაძაბუნებას თუ ჯანმრთელნი გარდავიცვლებით? ესაა კონკრეტული კითხვები მათთვის, ვინც ხანში შედის.

მე თვითონ არ შემიძლია რაიმე ვთქვა ცხოვრების უკანასკნელ ფაზაზე. ვის შეუძლია ავტორიტეტულად ისაუბროს ცხოვრების იმ ფაზის შესახებ, რომელიც თავად ჯერ არ გაუვლია და ვერ შეუდარებია საკუთარი გამოცდილება სხვების გამოცდილებასთან, რომლის შესახებაც მეგობრული თუ თერაპიული საუბრებიდან იცის. მაგრამ ხანდაზმულთა წერილებიდან და საუბრებიდან ირკვევა, რომ ცხოვრების უკანასკნელი წლები სხვადასხვაგვარად განიცდება. ერთი 80 წელს გადაცილებული კაცი წერს, რომ სრულმა დამოკიდებულებამ სხვაზე ის მიიყვანა საკუთარი თავის განწმენდამდე და სიტყვების „ქრისტე ჩემში“ ჭეშმარიტ და ღრმა განცდამდე. სხვები სასოწარკვეთით ებღაუჭებიან სიცოცხლეს, რომელიც ხელიდან ეცლებათ.

ცნობილია, რომ ღრმა მოხუცებულობის ასაკშიც კი შეიძლება შემოქმედებითი ძალების განვითარება. ოციოდე წლის წინათ ამერიკაში გამოფენებსა და საგაზეთო სტატიებში დიდი წარმატება ხვდა გრანდმა მოსეს, ქალს, რომელმაც თითქმის 80 წლის ასაკში დაიწყო ხატვა. ბევრნი დაადგენენ მის გზას და თუმცა ყოველთვის იმავე გარეგნულ ეფექტს ვერ აღწევდნენ, შინაგანი მონაპოვარი მაინც უდიდესი იყო.

ხანდაზმული გოეთე შემდეგი სიტყვებით აღწერდა ცხოვრების ფაზებს: „ბავშვი რეალისტიკია, ახალგაზრდა — იდეალისტი, მამაკაცი — სკეპტიკოსი, მოხუცებული — მისტიკოსი“.

მნიშვნელოვანი ამოცანაა, დაგეხმაროთ მოხუცებს, რომ თავიანთი სიცოცხლის დაისი შემოქმედებითი და ნაყოფიერი პქონდეთ. მათთვის ისევე აუცილებელია ოჯახური კულტურის განვითარება, როგორც პატარა ბავშვებისთვის. სახლი, სადაც ისინი ცხოვრობენ,

კულტურის ცენტრი უნდა იყოს, ლექციებით, მუსიკალური საღამოებით, შემოქმედებითი კურსებით, რომლებში მონაწილეობის მიღება მეზობლებსაც შეეძლებათ. ამას ორმხრივი ეფექტი ექნება: მეზობლად მცხოვრებლებს ექნებათ ცენტრი, სადაც საინტერესო რამ ხდება, ხანდაზმულები კი კონტაქტს შეინარჩუნებენ ცოცხალ სამყაროსთან. ყველაშ იცის, რომ ხანშიშესულები, ვინც აქტიურ ცხოვრებას ეწევა, უფრო ჯანსაღნი არიან, ვიდრე ისინი, ვინც ტელევიზორის ან რადიოს წინ იყინება. ბევრმა დიდმა ხელოვანმა 70 წლის ასაკის შემდეგ შექმნა საუკეთესო ნაწარმოებები. ამბობენ, ცნობილმა იაპონელმა მხატვარმა შოკუსაიმ განაცხადა, რომ 73 წლის ასაკამდე არაფერი ღირებული შეუქმნია და მხოლოდ ამ ასაკის შემდეგ დაიწყო ნამდვილი მხატვრობა. ტიციანი თავის ყველაზე ძლიერ ტილოებს ხატავდა, როცა თითქმის 100 წლისა იყო. ვერდი, რიპარდ შტრაუსი, შიუტცი, სიბელიუსი და სხვანი 80 წლის ასაკის შემდეგაც წერდნენ მუსიკას. კომპოზიტორთა სია, რომელნიც 70-იანი წლების ასაკის ბოლომდე აქტიურნი იყვნენ, ძალზე გრძელია. მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები გაცილებით დიდხანს აგრძელებენ შემოქმედებას, ვიდრე მეცნიერები და საქმოსნები. ეს იმის შედეგია, რომ ხნიერ ასაკში ადამიანი სულ უფრო და უფრო შორს მიიწევს შინაგან გზაზე, გარე მოვლენების აღქმის უნარი კი სუსტდება. ხშირად მათ ცეხება, რომ ხანში შესული საქმოსნები, რომელთაც რაც შეიძლება მეტ ხანს უნდოდათ მუშაობის გაგრძელება, კარგავდნენ ახალი სიტუაციების სწორად შეფასების უნარს, თუმცა ინტელექტი და ჩვევები შენარჩუნებული ჰქონდათ. ამან ბევრი კომპანია გაკოტრებამდე მიიყვანა.

თუ გავითვალისწინებთ კაცობრიობის მიღწევებს, დავინახავთ, რომ ხანდაზმულობის სიბრძნე თავს იჩენს იმ სამყაროში, რომელიც დროის მიღმაა. აქ კიდევ ერთი სფერო იშლება მათთვის, ვინც აქტიურობით ხასიათდება. ახლა შესაძლებელი ხდება ცხოვრების არსის წვდომა, ღირებულებებისა და აზრთა სამყაროს პოვნა, რომელიც დროს აღარ ექვემდებარება.

### III. მამაკაცისა და ქალის განვითარება – ქორწინება

ნაცვლად იმისა, რომ უფრო მკაფიო გამხდარიყო ქალთა თანასწორუფლებიანობის საკითხი, იგი უფრო გაბუნდოვანდა ეგრეთ წოდებულ ქალთა საერთაშორისო წელს (1975). ამ თავში ჩემი ამოსავალი წერტილი იქნება მამაკაცისა და ქალის სულიერი თანასწორობა: ეს ნიშნავს მეს დონეზე თანასწორობას. კაციცა და ქალიც ადამიანები არიან და გააჩნიათ ინდივიდუალობა: მიუხედავად სქესობრივი განსხვავებისა, სწორედ იგი განსაზღვრავს ინდივიდის განვითარების გეზს.

ამავე დროს, ბრმა უნდა იყო, ორ სქესს შორის ბიოლოგიური განსხვავება რომ უარჰყო. ბიოლოგიურად მამაკაცი და ქალი ურთიერთშემავსებელნი არიან: როგორც ეს სიცოცხლის ნებისმიერი მაღალი ფორმის შემთხვევაში ხდება, მათ ერთმანეთი სჭირდებათ, რათა უზრუნველყონ სახეობის განუწყვეტელი არსებობა.

ვინაიდან მშვინვიერი ცხოვრება განისაზღვრება ბიოლოგიური ძალებისა და სულის ზემოქმედებით, განსხვავება არსებობს მამაკაცისა და ქალის სამშვინველს შორისაც.

კაცისა და ქალის ფსიქიკაში ძალთა ორი განსხვავებული ველი მოქმედებს. ბიოლოგიური მოთხოვნილებების სფეროდან სამშვინველში იჭრება სხვადასხვა იმპულსები და ლტოლვები, სულიერი სწრაფებიდან კი ორივე სქესისათვის ინდივიდუაციის ერთი და იგივე პრობლემა მომდინარეობს. ხოლო რამდენადაც ადამიანი სამი ასპექტის, კერძოდ, სხეულის, სამშვინველისა და სულის, ერთიანობაა, ინდივიდუაციის სულიერ გზას განსხვავებული ელფერი გააჩნია ქალში და მამაკაცში. ყოველი ინდივიდი უნიკალური და თანასწორუფლებიანია მაშინაც კი, როცა სულიერი და მორალური განვითარების დონე ურთიერთგანსხვავებულია. ის ფაქტი, თუ სად დგას ინდივიდი განვითარების გზაზე,

არ განსაზღვრავს მის ღირებულებას, ისევე როგორც მოხუცი ბავშვზე არც მეტია და არც ნაკლები. ვისაც მეტი გაეგება, მეტი პასუხისმგებლობაც ენიჭება მორალურ და სოციალურ პრობლემებთან ან ცოდნის საკითხებთან დაკავშირებით. ამ მიზეზით ვამბობ, რომ ყველა ინდივიდი, როგორც მისწრაფებების მქონე ადამიანი, თანასწორია. სხვა კონტექსტში უკვე ვთქვით: „ადამიანის ფსიქიკა ორი სამყაროს მოქალაქეა — სულიერისა და ბიოლოგიურის“. სწორედ ბიოლოგიური შემოქმედების გამო განსხვავდება ერთმანეთისაგან ქალისა და მამაკაცის მშენებური ცხოვრება.

თავისი ხანგრძლივი და მდიდარი ცხოვრების მანძილზე სიღრმის ფსიქოლოგი კარლ გუსტავ იუნგი ფენომენოლოგიურად აღწერდა არა მარტო თავისი პაციენტების ფსიზელ და სიზმრისეულ მშენებურ ცხოვრებას, არამედ თავის საკუთარ მშენებურ ცხოვრებასაც. იგი ფაქიზი დამკვირვებელი იყო და ფენომენტო დაკვირვებისას ცდილობდა მოეხსნა თეორიის ან სისტემის ფერადი სათვალე, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში გარკვეულ მოვლენებს მკვეთრად დაინახავდა, სხვებს კი სრულიად ვერ შეამჩნევდა. მას სურდა ფსიქოლოგი ყოფილიყო და ასეთად დარჩენილიყო და არა თეოლოგი ან ფილოსოფოსი. ბევრი კრიტიკოსი ადანაშაულებდა მას სისტემის არქონის გამო, ზოგს ძნელად მიაჩნდა გზის გაკვალვა ცოდნის იმ ზღვაში, რასთანაც იუნგს უკონდა საქმე. მის მახვილ თვალს არ გამოპარვია, რომ მამაკაცი და ქალი არ არიან მხოლოდ ურთიერთშემავსებელნი, არამედ სამშენებლის სიღრმეში ყოველი მამაკაცი ატარებს ქალურ კომპონენტს, ქალი კი მამაკაცურს. ქალის მამაკაცურ კომპონენტს იუნგი უწოდებს animus-ს, მამაკაცის ქალურსას კი anima-ს.

მამაკაცს, რომლის ბიოლოგიური არსება მუდამ განვითარებაშია, დაპყრობასა და დამორჩილებაში, anima-ს სახით გააჩნია მარეგულირებელი ფაქტორი, რომელიც სიზმარში შეიძლება მოველინოს, როგორც ქალური არსება, რომელიც განუცხადებს, რომ მას ცხოვრების ჭეშმარიტი ლაიტმოტივის დაე-

## წყება ემუქრება.

Anima-animus დიდად განსხვავდება ცალსახად ბიოლოგიური ხასიათის მქონე თიდიმოსის კომპლექსისაგან. Anima ემსახურება იმ მისწრაფებებს, რომელთა სამი დონეც აღვწერე ადამიანის ცხოვრების გზის განხილვისას. ეს სამსახური ნიშნავს ნორმების განსაზღვრას და ლაიტმოტივის განხორციელების გზაზე შემდგომი წინსვლის სტიმულირებას.

თავის შრომებში იუნგს მოჰყავს anima-animus-ის მძლავრი სიზმრების ბევრი მაგალითი. ეს სიზმრები იქამდე შეორდება ადამიანის ცხოვრებაში, სანამ მათი მნიშვნელობა არ იქნება გაგებული.

ბიოლოგიური თვალსაზრისით, ადამიანი ორსქესიანია. თირკმლის ჩანასახს, რომელშიც ადრეულ ემბრიონულ პერიოდში ჩადებულია მთელი შარდ-სასქესო სისტემა, დიდი ხნის განმავლობაში ერთდროულად უვითარდება ორივე სქესის ორგანოები, სანამ მამაკაცურობა ან ქალურობა არ გადასწონის და საპირისპირო სქესის ორგანოები არ შეწყვეტენ განვითარებას. ზრდასრულ მამაკაცსა და ქალში შესაძლებელია მეორე სქესის ორგანოების ნაშთების აღმოჩენა. მაგ., სარძევე ჯირკვლები თავდაპირველად ორივე სქესშია წარმოდგენილი, მაგრამ სრულ განვითარებას მხოლოდ ქალში აღწევს.

პოტენცია, რომელიც ვერ პოულობს ფიზიკურ გამოხატულებას, არსებობას განაგრძობს და ზეგავლენას ახდენს ფსიქიკაზე, არა პორმონული მოქმედების ან ფიზიკურ-ბიოლოგიური ლტოლევების თუ მოთხოვნილებების საშუალებით, არამედ ქვეცნობიერის უფრო ღრმა ფენებში გადადის. აქ იუნგი სამ განსხვავებულ შრეს გამოყოფს:

1. პიროვნული არაცნობიერი — ჩვენი მოგონებები, დავიწყებული შთაბეჭდილებები, ცხოვრების მანძილზე შექმნილი კომპლექსები;
2. კოლექტიური არაცნობიერი — ემოციები და ინვაზიები, რომელნიც საერთოა მთელი ჯგუფებისთვის, როგორცაა

ხალხი, რასა;

3. არქეტიპები — მათ ზოგადსაკაცობრიო ხასიათი აქვთ, მათი ხატოვანი ენა მთელი მსოფლიოსთვის ერთია.

არქეტიპები სიმბოლოთა სახით განიცდება. მათი ნახვა შეიძლება ყველა რელიგიასა და ბევრ ზღაპარში. თავიანთი ზოგადსაკაცობრიო ბუნების გამო მათ გააჩნიათ ის, რასაც იუნგი animus-ის ხასიათს უწოდებს. ისინი შოკისებურ ეფექტს ახდენენ. ასევე მოქმედებენ სინდისის სახით მაშინ, როცა გვემუქრება ადამიანობის დონის ქვემოთ დაშვება.

მნიშვნელოვან არქეტიპებს განეკუთვნება anima და animus. იქ, სადაც მამაკაცს ემუქრება ცალმხრივობა და ადამიანობის დაკარგვა, anima მას ზოგადადამიანურობის მოთხოვნას უყენებს. ასევეა ქალშიც. იუნგი ასე ამბობს: ყოველი მამაკაცი საკუთარ ევას დაატარებს თავის თავში, ყოველი ქალი კი — საკუთარ ადამს. ყოველი მათგანი ამქვეყნად ეძებს იმ ადამიანს, რომელიც ჰგავს მის საკუთარ ევას ან ადამს, რათა შეინარჩუნოს სულიერი წონასწორობა. მაგ., ფაუსტს გზაზე მიჰყვება გარდაცვლილი გრეთჰენი, დანტეს უმაღლეს სფეროებში — გარდაცვლილი ბეატრიჩე. გოეთეს „ფაუსტი“ მთავრდება Chorus mysticus-ით: „მარად ქალური ზეაღვთიანება“.

გარდამავალ ასაკში და განსაკუთრებით მომდევნო წლებში ინდივიდში იღვიძებს არა მარტო საკუთარი სქესის შეგნება და საპირისპირო სქესისადმი ინტერესი, არამედ საკუთარი anima-animus-ის განცდის უნარიც. სიყრმის საწყის პერიოდში არსებობს პომოეროტიკული ფაზა: პატარა ბიჭი თავის თავში განიცდის საკუთარ ქალურობას და მამაკაცური არსების თაყვანისცემაში ეძებს შინაგან წონასწორობას. ესაა პერიოდი, როცა გოგონები გატაცებულნი არიან ქალი მასწავლებლით, ბიჭები კი უფროს მამაკაცებს ეთაყვანებიან. ყოველივე ეს შეიძლება გამოიხატებოდეს ფეხბურთელებითა და კინოვარსკვლავებით გატაცებაში, მაგრამ შეიძლება დახვეწილ და ინტიმურ ოცნებებშიც გამოვლინდეს.



იზრდება რა ყრმა, ხდება მისი მშენებელი გამოღვივება საპირისპირო სქესის მიმართ, რაც ეროტიზმის სახეს ღებულობს. ეს ეროტიზმი მტკიცდება საკუთარი ევას ან ადამის ძიებით საპირისპირო სქესთან შეხვედრისას.

ჰომოეროტიკიდან ჰეტეროეროტიკაზე გადასვლა განვითარების ნორმალური კომპონენტია და გასაგებია, რომ ამ დროს შეიძლება აღმოცენდეს დარღვევები. თუ ინდივიდის პირველი სექსუალური განცდები უსიამოვნო ან აგრესიულია, ამას შეიძლება ჰომოეროტიკის ფიქსაცია მოჰყვეს. იქნება თუ არა ამის საბოლოო შედეგი ნამდვილი ჰომოსექსუალობა, ახალგაზრდის სხვა ურთიერთობებზეა დამოკიდებული.

ჰომოსექსუალობის ანუ ჰომოფილიის პრობლემები უკიდურესად რთულია. 1930-იან წლებში ჩემს ფსიქოთერაპიულ პრაქტიკაში საკმაოდ ბევრ ხელოვანთან მქონდა საქმე. მათი წყალობით ვისწავლე ადამიანის სამშენებლის ჰომოეროტიკული კომპონენტის ხედვა როგორც ფენომენისა, რომელიც იმ ადამიანებში იკვეთება, ვინც უფრო მეტ ყურადღებას უთმობს თავის შინაგანს, ვიდრე გარე სამყაროს უხეშ რეალობას. 1950-იან წლებში, როგორც სტუდენტთა ფსიქიატრი, უმთავრესად სიყრმის ჰომოეროტიკას ვავეცანი. ჩემი აზრით, არსებობს განსხვავება ბიოლოგიურ ჰომოეროტიკას, რომელიც უკიდურეს შემთხვევაში უკვე სიყრმისას იჩენს თავს, და ფსიქიკურ ჰომოეროტიკას შორის. უკანასკნელი დაკავშირებულია ინდივიდის მიერ საკუთარი anima-ს ან animus-ის აღმოჩენასთან.

ნებისმიერ ადამიანში ბიოლოგიურად ორივე შესაძლებლობა არსებობს, რომ არაფერი ვთქვათ ქრომოსომების შესახებ, რომლებიც, ალბათ, ემსახურებიან ამ ორი მიდრეკილებიდან ერთ-ერთის განხორციელებას (მე ვამბობ, „ალბათ ემსახურებიან“, რადგან სიცოცხლის ფენომენების შესახებ მსჯელობისას ვისწავლე მოვერიდო მიზეზ-შედეგობრივობის ცნების მექანიკურ გამოყენებას. რამეთუ ძნელი სათქმელია, რა არის ამ სფეროში ნამდვილი პირველმიზეზი და რა — უმაღლესი მომწესრიგებული

პრინციპის ინსტრუმენტი. ვიოლინო ვერ დაწერს სონატას, თუმცა და მის გარეშე სონატა ვერ შესრულდება).

ამ ორსქესიანობის გაცნობიერებიდან, ერთ-ერთი შესაძლებლობის რეალიზაციიდან და მეორის შეფერხებიდან გამომდინარეობს ინდივიდუალური მდგომარეობის სხვადასხვაგვარი განცდა. ყველასთვის გასაგებ ენაზე რომ ვთქვათ: არიან მამაკაცები (და შესაბამისად ქალები), რომელნიც 90 პროცენტი მამაკაცი არიან და 10 პროცენტი ქალი — ისინი უდავოდ, ნამდვილი მამაკაცები არიან. და არიან მამაკაცები (და შესაბამისად ქალები), რომელნიც 10 პროცენტი კაცი არიან და 90 პროცენტი ქალი; ესენი ნამდვილი პომოსექსუალები არიან. ამ ორ ვარიანტს შორის ყველა შესაძლო გრადაცია არსებობს — 60:40, 50:50, 40:60 და ასე შემდეგ. ამ ჯგუფებში ადამიანის მიერ საკუთარი თავის განცდა იცვლება იმისდა მიხედვით, თუ რა სახის ურთიერთობებს ამყარებს იგი. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ძლიერ ცალმხრივი ადამიანები შინაგანი განცდების სიღარიბით ხასიათდებიან, ზოლო განცდათა გაწონასწორება სამშენებლის გამდიდრებას იწვევს.

ამ პრობლემებს დაგუბრუნდები, როცა განვიხილათ ცოლქმრულ ურთიერთობებს ცხოვრების სხვადასხვა ფაზებში. „სრულ მამაკაცში“ და „სრულ ქალში“ ზემოთქმული მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მთლიანად კაცური კაცი და ქალური ქალი იმდენად მიჯაჭვულნი არიან საკუთარ სამყაროს, რომ ვერ გრძობენ მეუღლის განსხვავებულობას. ისინი იმდენად ეგოისტები არ არიან, რამდენადაც ვერ უგებენ მათგან განსხვავებულ ტიპებს; ეს ერთგვარი „ფერთა სიბრმავეა“. ჩვენ მეუღლეს ვუგებთ ჩვენი სამშენებლის იმ ნაწილით, რომელიც შესაბამისად ქალურია ან კაცური. სრულიად ცალმხრივი ადამიანები მუდამ რამდენადმე ინფანტილურ შთაბეჭდილებას ტოვებენ; ისინი ხშირად იტანჯებიან იმის გამო, რომ მათ პირველყოფლისა ექცევიან როგორც გარკვეული სქესის წარმომადგენელს, შემდეგ კი როგორც პიროვნებას.

სტუდენტთა ფსიქიატრს საქმე აქვს ახალგაზრდებთან, რომელნიც სიყრმის ლაბილურ ფაზაში იმყოფებიან. ამ პერიოდში

ყრმა თანდათან ფხიზლდება. მას აინტერესებს (და გაცილებით მეტად, ვიდრე ჩვეულებრივ პგონიათ), ნამდვილად „ნორმალურია“ იგი, თუ პომოსექსუალური. მხოლოდ ინდივიდის პირადი განცდების ყოვლისმომცველი, დაკვირვებული შესწავლითაა შესაძლებელი, დაეხმარო მას, ჩაწვდეს საკუთარ თავს, იმას, რაც მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ერთმა გაუფრთხილებელმა სიტყვამ შეიძლება სუგესტიური ზეგავლენა იქონიოს და მოახდინოს შინაგანი პრობლემატიკის ფიქსაცია, რაც სხვა შემთხვევაში გადაილახებოდა. მეორე მხრივ, აღიარებული და შეწყნარებული პომოსექსუალობა შეიძლება პირველი ნაბიჯი იყოს გადადგმული ჰეტეროსექსუალურ სამყაროში საკუთარი გზის, ლაიტმოტივის საპოვნელად.

ის, რომ ამჟამად ამ საკითხებზე ღია საუბარია შესაძლებელი, დიდი პროგრესია. მაგრამ ის დამახინჯებული და შეზღუდული ფორმა, რომლითაც ბევრი პომოსექსუალი იბრძვის თავისი უფლებებისთვის, უფრო მეტს გვეუბნება ფრუსტრაციების მიმართ მათ ინდივიდუალურ ტოლერანტობაზე, ვიდრე თვით პომოსექსუალობის პრობლემებზე. პომოსექსუალობაში მუდამ არსებობს ორ უკიდურესობას შორის შესაძლებლობათა ფართო სპექტრი. იგივე ითქმის ქალთა ემანსიპაციაზე. პოლარიზაციით აქაც ვერ მიიღწევა ნამდვილი გათავისუფლება, რომლის დროსაც არსებობის თანაბარი უფლება ენიჭება ქალურობის სხვადასხვა შესაძლებლობებს.

ამით შევეცადე მიმენიშნებინა, რომ არსებობს მამაკაცურობის ან ქალურობის სხვადასხვა ვარიანტი. ახლა დაგუბრუნდები განვითარებას სექსუალობიდან სიყვარულისკენ ეროტიზმის გავლით, რაც მამაკაცისა და ქალის ურთიერთობის (და რა თქმა უნდა, ქალისა და მამაკაცის) საფუძველია.

პრეპუბერტეტიკისას ყმაწვილი პირველად აღმოაჩენს თავის სექსუალობას. გოგონებში ეს აღინიშნება პირველი მენსტრუაციით, ბიჭებში — პირველი ერექციებით და ღამის ეაკულაციებით. ამ მომენტისთვის ინდივიდის ინტერესი საკუთარი სხეულის ფუნქციონირებაზეა მიმართული, მაგრამ მალე საპირისპირო

სქესზე გადაინაცვლებს. ჯანსაღ ატმოსფეროში, სადაც არ არსებობს ნევროტული ურთიერთობები, ბიჭებისა და გოგონების ცხოვრება ნორმალურად გრძელდება. სპორტი, ბანაკში ერთად ყოფნა, შრომა, თამაში – ყოველივე ეს სამშენიველისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სექსუალური პრობლემები.

ამ პერიოდის შემდეგ განვითარება სხვადასხვაგვარად წარიმართება სხვადასხვა სოციალურ ფენებში. ახალგაზრდა მუშებთან მუშაობისას ჩემთვის ცხადი გახდა, თუ როგორ ამცირებს 14, 15, 16 წლის ახალგაზრდების პროფესიული დასაქმება სექსუალობის, ეროტიზმისა და სიყვარულის განვითარების შესაძლებლობებს. იქ, სადაც დღეში 8 საათის განმავლობაში ადამიანი დაკავებულია მხოლოდ სულის მომაკვდინებელი სამუშაოთი და ამასთანავე შეზღუდული აქვს მოძრაობის თავისუფლება, ფსიქიკა ველარვითარდება და ინდივიდს მისჯილი აქვს ზრდასრულობას მიაღწიოს გარდამავალი ასაკის განვითარების დონით. ვინც დაკვირვებია შემფუთველებს კონვეიერთან ანდა გოგონებს მბეჭდავთა ბიუროში, მისთვის ცხადია, რომ აქ სამშენიველი ნახევრად ფხიზელ მდგომარეობაშია გაყინული. იგივე ითქმის ბიჭებზე, რომელნიც ჩაბმულნი არიან არაკვალიფიციურ ან დაპროგრამებულ შრომაში. მშენებლობაზე ან გემთმშენებლობაზე, სადაც სამუშაო უფრო მრავალფეროვანია, ნაკლებად მექანიზებულია, ნაწილდება ხელით შრომის პრინციპების მიხედვით, ინდივიდის განვითარების შესაძლებლობები გაცილებით დიდია.

როდესაც ფსიქიკა იძულებულია ნახევრად ფხიზელ მდგომარეობაში საათობით იყოს ჩაბმული დამღლელ და მონოტონურ სამუშაოში, სამშენიველში ბატონდება სექსუალური გრძნობები და ფანტაზიები და ანგრევს მას. თუ რამოდენიმე წუთი მაინც მოუსმენთ კონვეიერთან მომუშავე გოგონების საუბარს, შეძრულ იქნებით იმის ცალმხრივობით, რაც ავსებს მათ ფსიქიკას. და როდესაც გვიანი სიყრმისას ისინი ინიშნებიან და თხოვდებიან, განვითარების არაცნობიერი, მაგრამ მნიშვნელოვანი ფაზა უკვე დამთავრებულია, მისი ანაზღაურება კი მცირედი ხარისხით თუ

შეიძლება. გვანცვიფრებს ადამიანის განვითარების უნარის ელასტიურობა, როცა ვხედავთ, თუ როგორი წარმატებით გამოდის ამ მდგომარეობიდან ბევრი მათგანი. მაგრამ ეს არ გვათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან ვიბროძლოთ მოსახლეობის უდიდესი ნაწილის განვითარების შესაძლებლობათა გაუმჯობესებისთვის.

რასაკვირველია, სრულიად განსხვავებულ პრობლემებს ვაწყდებით, როცა ვიხილავთ ახალგაზრდობის პრივილეგიურ ნაწილს, რომელსაც საშუალება აქვს მიიღოს უმაღლესი განათლება.

მაგრამ დავუბრუნდეთ ქალისა და კაცის ურთიერთობას სიყრმის ასაკში. რამდენადაც შეუძლებელია განვითარება მთლიანად არახელსაყრელ პირობებში მიმდინარეობდეს, მომდევნო გვერდებზე არ ვაპირებ სტატისტიკის განხილვას იმის შესახებ, თუ რა უნდა მოხდეს ამ დროს. ნაცვლად ამისა იდეალურ-ტიპურ აღწერას შემოგთავაზებთ.

ყრმა, რომელმაც აღიარა საკუთარი სექსუალობა და აღმოაჩინა ეროტიზმი თავის სამშენიველში, მოულოდნელი და სუნთქვის შემკვრელი განცდებით სავსე ჯადოსნურ ქვეყანაში შეაბიჯებს. ერთმანეთს ენაცვლება იმედი და შიში, აღტაცება და დებრესია. აღშფოთებისა და ანტიპათიის გვერდით იღვიძებს სინაზისა და პატივისცემის გრძნობები. სანამ ცხოვრების შუა ფაზაში ინდივიდი სრულყოფილი პიროვნება გახდებოდა, მან უნდა განიცადოს გრძნობათა მთელი სპექტრი. იგი უნდა ფლობდეს მშენივერი ძალების ყველა ნიუანსს, რათა შეძლოს სხვა ადამიანის გაგება, მიღება და პატიება. სწორედ სიყრმისას იწყებს ინდივიდი საკუთარი მამაკაცურობისა და ქალურობის განცდას. თითოეული მამაკაცი თავის ევას ეძებს, ქალი კი თავის ადამს. სამშენიველის სიღრმეში ცოცხლობს იდეალური სურათ-ხატი, რომელიც სრულყოფილად აქცევს სამშენიველს. იპოვის ინდივიდი შესაფერის პიროვნებას, თუ დაუკავშირდება პირველივეს, ვინც ასე თუ ისე შეესაბამება იდეალს? პირველი სასიყვარულო ურთიერთობით ინდივიდი ბევრ რამეს სწავლობს სამომავლოდ. და

თუნდაც ეს ურთიერთობა შეწყდეს, ორივე მხარე გამდიდრებული რჩება. ბევრს არაერთი სასიყვარულო ურთიერთობა სჭირდება, რათა მოიპოვოს შინაგანი თავდაჯერება, რომლიდანაც მომდინარეობს პარტნიორის შეცნობის უნარი.

მათაც კი, ვისაც სჯერა, რომ ერთმანეთისთვის ზედგამოჭრილნი არიან, უნდა მიაღწიონ გარკვეულ სიმწიფეს, რათა შეძლონ მეორე მხარის შეცნობა. საპირისპირო სქესთან პირველი შეხვედრა დამახინჯდება, თუკი სქესობრივი ურთიერთობით შემოიფარგლება. ჩვენი ახალგაზრდობა უხეშ სექსუალობას აწყდება ჟურნალ-გაზეთებში და პირველეს ყოვლისა სექსფილმებში, რაც დამანგრეველად მოქმედებს ფსიქიკური მომწიფების პროცესზე. სქესობრივ მიზიდულობაზე დამყარებული ქორწინება დიდხანს ვერ იარსებებს. ფაქტობრივად, არაფერია იმდენად მომაბეზრებელი, როგორც ცარიელი სექსი. მრავალფეროვნების შესაძლებლობები მალე ამოიწურება და სამშვინველი ცარიელი რჩება. ცოლების გაცვლამ, ჯგუფურმა სექსმა და მსგავსმა შეიძლება ახალი, მაგრამ დროებითი სტიმულაცია უზრუნველყოს, მაგრამ ამით ურთიერთობა ორ ინდივიდს შორის არ ღრმავდება, პიროვნება რჩება დაუკმაყოფილებელი და მარტო.

20-30 წლის ასაკში, როცა ვითარდება შეგრძნებათა სამშვინველი და მასში მოქმედი „ვიტალურ-მშვინვეიერი მისწრაფებები“, სიყრმისას აღმოჩენილი ეროტიზმი განცდადი რეალობა ხდება სამშვინველისთვის. ეს ეროტიზმი, გამოღვიძებული ცხოვრების თანამგზავრთან შეხვედრით, ახლა შეიძლება გაფართოვდეს და გამსჭვალოს ურთიერთობა ბუნებასთან და სხვა ადამიანებთან.

ის, რაც უკვე ითქვა 20-30 წლის ასაკის შესახებ — განცდათა კვლევა, სოციალური ურთიერთობების ფორმისა და შინაარსის „წარმავლობა“, წარმატებასა და მარცხზე ემოციური რეაქცია, „ცად აღტაცებული — სიკვდილამდე დათრგუნული“ — ქორწინებასაც ეხება. თანაცხოვრების საკუთარი სტილის გამომუშავება საფუძველია ერთობისათვის, რომელიც მომდევნო წლებში შეიძლება სულიერ პარმონიაში გადაიზარდოს. გარემოს შექმნა

მომავალი თაობისათვის მეუღლეთა ერთობლივი შემოქმედების აქტია. ბავშვების დაბადება, მათზე ზრუნვა, მათ მიმართ პასუხისმგებლობის ზრდა აყალიბებს და განსაზღვრავს ქორწინების პირველ ფაზას.

ზოგიერთი მარტოხელა კაცი ან ქალი ამ ფაზაში თავისუფალ, გაურთულებელ, ამხანაგურ ურთიერთობას ამყარებს საპირისპირო სქესთან, გამომდინარე შეგრძნებათა სამშენველის იმპულსებიდან. 20-იანი წლების დასასრულს და 30-იანის დასაწყისისთვის ყველაფერი ეს იცვლება. ცხოვრებისადმი ზოგადი დამოკიდებულება საქმიანი ხდება და ეს ქორწინებაშიც იჩენს თავს. განსხვავებანი ტემპერამენტში, აზრებში, ცხოვრების სტილში ახალ მნიშვნელობას იძენს. 20 წლის ასაკში აზრთა სხვადასხვაობას შეიძლება ჩხუბი მოჰყოლოდა, მაგრამ გულითადი შერიგებით დამთავრდებოდა. ახლა მდგომარეობა იცვლება. ერთი მხრივ, ადამიანი ფიქრობს: „ასეთია ცხოვრება. უნდა შევეგუო“, მეორე მხრივ, კი შეიძლება განმარტოვდეს სამუშაოში ან ჰობიში, რასაც მოსდევს ფარული გაუცხოება მეუღლეთა შორის. ეროტიზმმა დაკარგა ბრწყინვალეობა, სექსი რუტინად იქცა. დამოკიდებულება საქმიან ხელშეკრულებად რომ არ გადაგვარდეს, უფრო ღრმა ურთიერთობა უნდა აღმოცენდეს. ეს ღრმა ელემენტი შეიძლება იყოს მხოლოდ ცნობიერი სურვილი, მეუღლესთან დამოკიდებულებაში ერთმანეთისაგან განაცალკევო არსებითი და არაარსებითი. ამგვარი მცდელობის სურვილი საკმარისია, რათა თვალები აგეხილოს მეუღლის ინდივიდუალობისადმი. აქედან ვითარდება ამხანაგური და ურთიერთნდობის თბილი გრძნობა. შემდგომში ცხადი ხდება, რომ შეგრძნებათა სამშენველის განვითარების პერიოდში აღმოცენებული ეს თბილი ამხანაგური გრძნობა საფუძველია უფრო ღრმა ურთიერთსიახლოვისა. ეს უკანასკნელი კი შეიძლება გადაიზარდოს სულიერ კავშირზე დამყარებულ ჭეშმარიტ სიყვარულში. ამას გარდა 30-იანი წლების ასაკში შეიძლება წარმოიშვას ნიადაგი მამაკაცსა და ქალს შორის პრაქტიკული თანამშრომლობისა-

თვის და ოჯახური კულტურის აყვავებისთვის (მაგ., ნიჭი იმისა, რომ შევებულება აქციო ჭეშმარიტად ერთად ყოფნის პერიოდად).

30-იან წლებში საფუძველი ეყრება იმას, თუ როგორ განვითარდება ქორწინება 40-იან წლებში: ოჯახური კრიზისის თუ სულიერ სიახლოვეზე დამყარებული ურთიერთობის გზით. განსჯითი სამშენველი ჩინებულად ხედავს პარტნიორის დადებით და უარყოფით მხარეებს. ამან შეიძლება გამოიწვიოს ურთიერთობათა გაცემა და შესძინოს მათ საქმიანი იერი. მაგრამ ასეთმა საქმიანმა დამოკიდებულებამ შეიძლება ნიადაგი მოუმზადოს მეუღლის ისეთად მიღებას, როგორიც ის არის. და შეიძლება გარმაყდეს კავშირი ლაიტმოტივთან, რომელიც მეუღლეში გამოიხეურდება. აქ ბევრია დამოკიდებული იმაზე, თუ რა დამოკიდებულება აქვს ინდივიდს საკუთარი თავის მიმართ: პიროვნება, რომელიც ვერ იღებს საკუთარ თავს მთელი ღირსებებითა და ნაკლით, გაურბის საკუთარი თავისთვის თვალის გასწორებას და თავს აფარებს კარიერასა თუ წარმატებაზე განუწყვეტელ ზრუნვას, პატივმოყვარეობის დაკმაყოფილებას, ვერ შეძლებს მეორე ადამიანის ნამდვილ პიროვნულ არსებასთან შეხვედრას. ამ დროს ქორწინება ან დაირღვევა, ან დეკორაციად იქცევა იმ წარმოდგენისთვის, რომელიც გარე სამყაროსთვის სრულდება. ეს დეკორაცია შეიძლება სასარგებლო იყოს ანდა დამანგრეველი. უკანასკნელ შემთხვევაში ინდივიდი იფიქრებს, რომ ის ახლით უნდა შეიცვალოს, რომელიც უკეთ მიესადაგება დრამის მოცემულ აქტს.

უკვე ბევრი ითქვა 40-იანი წლების კრიზისზე. პიროვნება, რომელმაც 30-იან წლებში ცოტაოდენი საფუძველი მაინც არ ჩაუყარა უფრო ღრმა კავშირს, ახლა დიდ სიძნელეებს აწყდება. ეს ღრმა კავშირი მჭიდროდაა დაკავშირებული ადამიანის იმ სურათ-ხატთან, რომელიც ცნობიერად თუ არაცნობიერად ყველას გაგვაჩნია. ვინც დარწმუნებული იყო, რომ ადამიანი მხოლოდ ბიოლოგიური არსებაა, შიშით მოელის იმ დროს, როცა სხეულებრივი სიამოვნებები შემცირდება. იგი ცდილობს



დაიბრუნოს ახალგაზრდობა და გასაგებია, რომ ზოგჯერ სწორედ ამიტომ ეძებს თავისზე გაცილებით უმცროს ცხოვრების თანამგზავრს. ეს განსაკუთრებით კაცებს ეხება — ქალმა იცის, რომ მას გარდაუვლად ელის კლიმაქტერიული პერიოდი; ბევრი გვიანი ბავშვი ამ დღის გადაწევის მცდელობის ნაყოფია. მაგ., ერთმა 46 წლის ქალმა ასე განაცხადა თავისი დაორსულება: „სწორედ მალაზიის დაკეტვამდე გაძვრა კარებში“.

ამერიკელმა ფსიქონალიტიკოსმა ედმუნდ ბერგლერმა თავის წიგნში „შუახნის კაცის ამბოხი“ აღწერა მამაკაცის კლიმაქტერიული პერიოდი და მისი ზემოქმედება ქორწინებაზე. ამ წიგნის პოლანდიური გამოცემის შესავალში ვან ემდე ბოასი წერს: „ქალთან შედარებით, გარდატეხის პერიოდში მყოფი მამაკაცი არაფის ახსოვს... ცნობილია, რომ ქალის კლიმაქტერიული პერიოდი ხშირ შემთხვევაში დიდ დაძაბულობას ქმნის ქორწინებაში. მამაკაცისა კი ქორწინებისთვის ხშირად მუქარას წარმოადგენს: რადგან სწორედ ამ პერიოდში ცდილობს იგი დაამსხვრიოს ბორკილები, რომელნიც, მისი აზრით, ხელს უშლიან არსებობაში“.

შეიძლება არ გავიზიაროთ ბერგლერის მოსაზრება, რომ ყოველი ნევროზი (აღნიშნულის ჩათვლით) „ფსიქიკური მახოხიზმის“ გამოვლინებაა. მაგრამ ეს მეტად სასარგებლო წიგნი უდავოდ დასაფასებელია. ბერგლერი ასე იწყებს პრობლემის განხილვას: „შუახნის მამაკაცის ამბოხი — უეცარი უკმაყოფილება ყველაფრით (ქორწინების, სამსახურებრივი მოვალეობების, კონვენციური სიამოვნებების ჩათვლით), რაც შუა ხნის ასაკში შეემთხვევა მამაკაცს — არის სევდიანი ამბავი მეორე ბუბერტეტის შესახებ, რომლის დროსაც გმირის სიტყვები მაღალფარდოვანია, მოქმედებები — არაადექვატური, დასასრული კი მარცხს წარმოადგენს. ცხადია, რომ ამბოხება უნაყოფოა: შეამბოხე თავისი ნებით ემორჩილება საკუთარ შეუცვლელ (რადგანაც თვით ინდივიდის მიერაა შექმნილი) ბედს — იმის ჩათვლით, რომ მიუხედავად გრანდიოზული გეგმებისა, აღარ გაეყრება ცოლს — ანდა უფრო დიდ სირთულეებში გაეხლართება, ბოლოს და

ბოლოს კი აღმოჩნდება იქ, საიდანაც დაიწყო, მაგრამ ამჯერად სიმწართა და საყვედურებით აღსავსე“.

შემდეგ ბერგლერი აღწერს ამაოებასთან დაუსრულებელ და უნაყოფო ბრძოლას, რომლის ძირითადი თემა ამგვარია: ცოლი არ უშვებს მას, ოჯახური პირობების გამო კი არ შეუძლია, რომ შემოქმედებითი იყოს, მის მიერ არჩეული მეგობარი ქალი იშვიათად თუ ხდება მისი მეუღლე — გაყრა ვერაფერს შევლის, თუ მდგომარეობა ნევროზად იქცა. სიტუაცია რთულდება იმიტაც, რომ თავისი კლიმაქტერიული პერიოდის შემდეგ ცოლი ახალ ვიტალურობას იძენს (როგორც ზემოთაა აღწერილი), რაც ბადებს ილუზიას, რომ ის დროის მიღმაა, აღარ ბერდება და ისევე მიმზიდველია, როგორც ადრე იყო. ამავე დროს ამ სახიფათო ასაკში მამაკაცი ცხოვრობს მეორე ახალგაზრდობის ილუზიით. ცოლი ხედავს ქმრის ქცევის უსუსურობას და ღრმად შეურაცხყოფილია მისი საყვედურებით; ქმარს სურს, თავი დააღწიოს იმ შევიწროებას, რომელშიც იმყოფება საკუთარი რწმენით და ვერ ხედავს გამოსავალს, რომელიც შეუნარჩუნებდა ღირსეულ არსებობას.

ცხადია, ასეთი სიტუაცია იმ წყვილებთან არსებობს, რომელთაც ცალ-ცალკე ან ერთად ვერ მიუნიჭებიათ ცხოვრებისათვის ახალი სულიერი შინაარსი, რომელიც მათ ახალ განზომილებაში გადაიყვანდა და აგრძნობინებდა, რომ მიაღწიეს იმ ადგილს, სადაც ცხოვრების ლაიტმოტივი ცნობიერდება და სამშენებელს აღავსებს ახალი მიზნებით. ამგვარ კონფლიქტს გადაჭრის არა ბიოლოგიური წარსულისაკენ ყურება, არამედ ახალი ამოცანის პოვნა, რომელიც ახალ ენთუზიაზმს ბადებს იმ პერსპექტივების მიმართ, რომელნიც ეს-ესაა ჩნებიან.

გასაგებია, რომ როგორც ფსიქოანალიტიკოსს, ბერგლერს კატეგორიულად უნდა განეცხადებინა, რომ შუახნის ასაკის ამბოხის თავიდან აცილება შეუძლებელია, „რადგან ახალგაზრდობა აღარ დაბრუნდება... ყველამ (ამ ასაკში) უნდა გადაყლაპოს მწარე აბი და შეიგნოს, რომ ახალგაზრდობა დაკარგულია...“

გარდაუვალი შინაგანი კონფლიქტის, იპოხონდრიული ჩივილების აღმოცენების და მთელი ამ ქარიშხლის წარმავლობის“ შესახებ ცოდნა შეიძლება დაეხმაროს ცოლს გვერდში ამოუდგეს ქმარს, რასაც თვითონ მოელოდა ქმრისგან საკუთარი კლიმაქტიკურიული პერიოდისას. უფრო მძიმე შემთხვევების შევლა, ბერგლერის აზრით, შეიძლება მხოლოდ ფსიქოანალიზის საშუალებით. მაგრამ ამ წიგნში მე ვერ ვნახე რაიმე მინიშნება იმაზე, რომ არსებობს ცხოვრების ახალი შინაარსის პოვნისა და სულიერიდან გამომდინარე სოციალური ურთიერთობების დამყარების შესაძლებლობა. ნამდვილი თერაპიული მიდგომისას არა მარტო ბიოლოგიური ინვოლუცია უნდა იყოს მხედველობაში მიღებული, არამედ უნდა ხდებოდეს ერთობლივი ძიება ცხოვრების ახალი შინაარსისა, რომელიც შესაძლებელს გახდის ახალ შეხვედრებს, თვით ცოლსა და ქმარს შორისაც. ცხადია, ამგვარ სიტუაციას სამსახურშიც შეიძლება პქონდეს ადგილი. აქაც მუდამ „სხვები“ გელობებიან შენი (ილუზორული) განვითარების გზაზე. ამ მდგომარეობაშიც მამაკაცის მომავალი ტრაგიკულია. ხშირად ის მწარედ განიცდის, რომ სხვები არ ცნობენ მის სამართლიან მოთხოვნებს გარკვეულ თანამდებობასთან დაკავშირებით. აქ სირთულე ისაა, რომ, ჩვეულებრივ, უარყოფენ ხოლმე ნამდვილ თერაპიას: ინდივიდს არ ძალუძს და არ სურს თვალი გაუსწოროს სინამდვილეს. მას მხოლოდ ახალი შეხვედრა შეიძლება დაეხმაროს.

ქორწინებაში ასეთი შეხვედრა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა ინდივიდი მუუღლესი დაინახავს მის მთლიან პიროვნებას – გამოყოფილს სხეულისაგან. ზოგიერთისთვის ეს შეიძლება იყოს რელიგიური ხილვა, ზოგისთვის უფრო ფილოსოფია, სხვებისთვის თანამომკმეთა მესადმი ღრმა მოწიწება. ასეა თუ ისე, ინდივიდმა უნდა შეამჩნიოს სხვა ადამიანის „პიროვნული გეშტალტი“, რათა შეძლოს მისი შეცნობა და სიყვარული. უმეტესად ეს ქალებისთვის უფრო ადვილია, ვიდრე მამაკაცებისთვის; მამაკაცი სხვა ადამიანის მეს განიცდის საკუთარი „ქა-

ლური“ ნაწილის საშუალებით, რომელიც განსაკუთრებულ როლს თამაშობს 40-იან წლებში.

ამ ურთიერთობიდან, რომელსაც თანდათან სიყვარული შეიძლება ეწოდოს, აღმოცენდება ერთგულება, რომელიც სიკვდილის მიღმაც კი ნარჩუნდება და არ ირყევა, რაც უნდა შეემთხვეს მეორე ადამიანს. ამ ურთიერთობას, რომელიც იბადება 30-იან წლებში განსჯითი სამშენველის განვითარებისას, უნდა გაეფრთხილდეთ, რათა მან სიმწიფეს მიაღწიოს 50-იან წლებში. ეს სიყვარული არ ითხოვს, არამედ გასცემს. ხანში შესვლისას ქორწინების ინტენსივობამ შეიძლება იმატოს კიდევ. იქ, სადაც გამოიძებნა საერთო სულიერი ან მხატვრული ინტერესი, ხანდაზმულობისას კვლავაც შესაძლებელია მასტიმულირებელი საუბარი ერთმანეთთან. უსიტყვო ერთიანობა მეუღლესთან ბედნიერების ღრმა გრძნობას ბადებს. ეს დიამეტრულად საპირისპიროა იმ მოხუცებულ წყვილთა მდგომარეობისა, რომელთა ხილვაც შეიძლება სასტუმროების პოლში. ისინი მდუმარედ სხედან ერთმანეთის პირდაპირ, სანამ ერთი არ ეტყოდეს მეორეს: „მორჩი ცხვირის ფხანას“, რაზეც იგი მიუგებს: „თუ მსურს ცხვირის ფხანა, მოვიფხან“, რის შემდეგაც გრძელდება დაძაბული სიჩუმე. აქ ქორწინება იქამდეა დაკნინებული, რომ გადაქცეულია საკუთარი თავისუფლების შენარჩუნებისთვის წარმოებულ ჩუმ ბრძოლად, როდესაც თითოეული მხარე მეორეს გაუთავებელ ერთსა და იმავე არაფრისმთქმელ საყვედურებს ესვრის.

მეუღლის პიროვნების წვდომისას გამოიკვეთება მისი ბუნების უარყოფითი მხარეები. ეს მეორე „გემტალტი“ შეიძლება განიცდებოდეს, როგორც საზარელი არსება ან მეუღლის დადებითი ხასიათის კარიკატურა.

ერთი მწერლის ცოლმა, მეტად განათლებულმა და ნიჭიერმა პიროვნებამ, შემდეგი ისტორია მიაშობ(მეგობრების აზრით, ეს ბედნიერი წყვილი იყო): ქმარმა დაასრულა ერთ-ერთი წიგნი და ხანგრძლივ მოგზაურობაში წავიდა. თვითონ ეს ქალი სახლში დარჩა ბავშვებთან ერთად და გადაწყვიტა წაეკითხა მეუღლის

ახალი წიგნის კორექტურა. ერთ საღამოს იგი ღრმად იყო ჩაფლული ამ სამუშაოში, დაკვირვებით კითხულობდა და ინტენსიურად განიცდიდა შინაარსს. უეცრად თვალწინ დაუდგა საშინელი არსება, რომელმაც უზომო სიძულვილი აღუძრა. მალე ეს ხატი გაქრა, მაგრამ ამ „შეხვედრით“ წარმოშობილ ემოციას დიდ ხანს არ გაუვლია; სწორედ ასე შეიძლება მოგვიცვას რამოდენიმე კვირის მანძილზე მნიშვნელოვანმა სიზმარმა. ცხადი იყო, რომ ამ საზარელ არსებაში მან დაინახა ყოველივე ის, რაც უარყოფითი იყო ქმარში. ეფექტი გაზარდა მეუღლის ფიზიკურად იქ არყოფნამ და ამავე დროს, სულიერად სახეზე ყოფნამ, რაც წიგნის საშუალებით მოხდა. მისთვის ჩვეული სიფხიზლით ქალბატონმა მითხრა: „ესეც უნდა გამოძევლო, რათა უფრო მეტად შემძლებოდა მისი სიყვარული“.

ამ პროცესს ყველა არ განიცდის ასე ცხადად: ამისთვის ინდივიდი ხელოვანი უნდა იყოს, რომელიც მიჩვეულია ამგვარ განცდებს. მაგრამ ნახევრად ცნობიერად ყველა ჩვენთაგანი იძენს ამ გამოცდილებას. ჩვენ ვიცნობთ საყვარელი ადამიანის „ორეულს“ ანუ ჩრდილოვან მხარეს, მეტ-ნაკლებად იგი გვაღიზიანებს და ხშირად ხელს გვიშლის იმაში, რისი გაკეთება ან თქმაც გვსურს ცნობიერად. სხვა ადამიანის ორეულს ჩვენ უკეთ ვიცნობთ, ვიდრე საკუთარს. ამ უკანასკნელს მხოლოდ მაშინ ვავიცნობთ, როცა ვისწავლით ჩვენს მიერ სხვაზე მოხდენილი ეფექტის აღქმას და იმის შემჩნევასაც, თუ როგორ ხდება კეთილი განზრახვის არასწორად გაგება. ნაცვლად იმისა, რომ სხვებში ვეძებთ დამნაშავე, უნდა გავბედოთ დაგინახოთ საკუთარი უარყოფითი მე როგორც „გეშტალტი“ ან როგორც „გეშტალტის წინათგრძნობა“ მაინც. ვოლფრამ ფონ ეშენბახის „პარციფალში“ იმ მომენტში, როცა არტურ მეფე პარციფალს მრგვალი მაგიდის რაინდად აკურთხებს, ჩნდება შესახედად საზარელი კუნდრი და გაჰყვირის, რომ პარციფალი უსამართლოდ გახდა მრგვალი მაგიდის რაინდი; იგი დაწყევლილია, რადგან გრაალის კოშკში არაფერი იკითხა მეფე ანფორტასის ავადმყოფობის

შესახებ. აქ კუნდრი არის პარციფალის anima და ამავე დროს „ორეული“. ასეთი ინტერპრეტაციის სისწორე ნაწარმოების ბოლოდანაც ჩანს: როცა არაერთი გამოცდის შემდეგ პარციფალი გრაალის ხელმწიფე ხდება, მის შესახვედრად გამოდის კუნდრი, მაგრამ ამჯერად როგორც ბრწყინვალე ფიგურა. იგი გათავისუფლდა თავისი ამოცანისაგან — ყოფილიყო პარციფალის უარყოფითი მხარის სარკე.

40-იანი წლების კრიზისში დიდ როლს თამაშობს ის ფაქტი, რომ ადამიანს არ სურს შეიცნოს საკუთარი ორეული, ხოლო მეუღლის ორეულს ნათლად აღიქვამს. ჩემი სამსახურის გამო დაკავებული ვიყავი გაყრის პრობლემებით. მეუღლეებთან ინტენსიური საუბრების შემდეგ შემდეგი შთაბეჭდილება მრჩებოდა: ორივე თავის მხრივ მშვენიერი ადამიანია, მაგრამ თითოეული მათგანი მეორეში მხოლოდ ორეულს ხედავს, ჭეშმარიტ ინდივიდუალობას კი ვერ ამჩნევს. ხშირად ცხადი ხდება, რომ თუმცა ორმა ადამიანმა მრავალი წელი გაატარა ერთად, ისინი არ იზიარებდნენ ერთმანეთის სიხარულსა და სევდას. ასე რომ, საყვედურებით გაჟღენთილი განწყობილება ძლიერდებოდა და სჯაბნიდა იმ დიდი სიხარულის გრძნობას, რომელსაც წარმოშობს ორმხრივი ნდობის გაცნობიერება. საუბედუროდ, როცა ურთიერთგაუცხოება ასე შორს წავა, ინდივიდი იშვიათად ახერხებს თვალის გაახილოს და დაინახოს მეუღლის ნამდვილი არსება. ხშირად ამისათვის მრავალი წლის დისტანციაა საჭირო.

ამდენად, ქორწინება მიჰყვება ადამიანის ცხოვრების გზას. ქორწინებაში წარმატება ან მარცხი მიუთითებს, შეიძლება თუ არა ორ ადამიანს შორის ურთიერთობამ სრულ სიმწიფეს მიაღწიოს. ქორწინებაში აისახება მეუღლეების სვლა შინაგანი სიმწიფისაკენ; ქორწინებამ მაშინ შეიძლება მიაღწიოს სიმწიფეს, როცა მეუღლეები განაგრძობენ ზრდას, რათა მიაღწიონ სრულყოფილ ადამიანობას. ეს სრულყოფილი ადამიანობა შეიძლება ხანგრძლივი ცხოვრების ნაყოფი იყოს, როდესაც ინდივიდს შეუძლია შეაფასოს საკუთარი განვითარება მეორე ადამიანთან ურთიერ-

თობის ხანგრძლივობის მიხედვით. პიროვნება, რომელსაც არასოდეს შეუწყვეტია ყველაფრის სხვაზე გადაბრალება და არ შეუგნია, რომ ნამდვილი განვითარება იწყება საკუთარი არსების ისეთად მიღებით, როგორც ის სინამდვილეში არის, ვერასდროს მიაღწევს ჭეშმარიტ თვითშემეცნებას. ეს თვითშემეცნება, თავის მხრივ, შეიძლება ორივე მეუღლეს გაუძღვეს ცხოვრების გზაზე.

ზემოთქმულიდან არასწორი იქნებოდა დაგვესკვნა, თითქოს დაუქორწინებელ ხალხს განვითარების შანსი არ გააჩნია: უბრალოდ, აქ მხედველობაში მქონდა ქორწინება, ინდივიდუალურ განვითარებას კი შემდგომში დაგუბრუნდები.

უჩვეელია, რომ ცოლ-ქმარს შორის დაძაბულობა შეიძლება აღმოცენდეს ასაკში დიდი სხვაობის გამო: მაგრამ ამავე სიტუაციაში შეიძლება ხელი შეუშალოს დაძაბულობას. ვინც პრობლემის ყველა ასპექტს მთლიანობაში განიხილავს, მივა იმ დასკვნამდე, რომ მხოლოდ შინაგანი არსების განუწყვეტელმა განვითარებამ შეიძლება იხსნას ნგრევისაგან ადამიანთა შორის ურთიერთდამოკიდებულება.

უფრო ძნელად გადასალახია დაძაბულობა, რომელიც აღმოცენდება იმის გამო, რომ მეუღლეებს ურთიერთგანსხვავებული რელიგია ან ცხოვრების ფილოსოფია გააჩნიათ. აქ უაღრესად დიდი ტოლერანტობაა საჭირო, რათა მეუღლეს მივანიჭოთ ის თავისუფლება, რომელსაც საკუთარი თავისთვის მოვითხოვთ.

ახლა უნდა განვიხილოთ თანამედროვე ოჯახის კულტურა. ეს ცნება უკვე ვახსენე ამ თავში და საჭიროა, რაიმე ითქვას მის შესახებ. იმ პერიოდში, როცა ოჯახი იყო რამოდენიმე თაობისაგან შემდგარი სოციალური ერთეული, ოჯახის კულტურის შენარჩუნება შეიძლებოდა ამ თაობებს შორის ამოცანებისა და მოვალეობების დანაწილებით. ახალგაზრდების ქორწინებებს ცხოვრებისეულ პრობლემებზე ახლებურ შეხედულებებთან ერთად სიახლე შემოჰქონდა, მაშინ როცა უწყვეტობას უზრუნველყოფდა უფროსი თაობა, რომელიც შვილიშვილებს გადასცემდა თავის ცხოვრებისეულ სიბრძნეს. სწორედ აქედან წარმოიშვებოდა ზღა-

პრები, რომელთაც დიდებები ჰყვებოდნენ და გლეხური სიბრძნე, რომელსაც ბაბუები ანდაზებში დებდნენ. მრავალ ბიოგრაფიაში თვალში მცემია ის სასიცოცხლო როლი, რომელსაც ბაბუა ან ბებია თამაშობდა სუბიექტის ცხოვრებაში. მაგრამ დღესდღეობით ეს როლი სულ უფრო მცირდება.

დღეს უნდა შეიქმნას ახალი ოჯახური კულტურა თვით მშობლების ცნობიერი მონაწილეობით. ეს მეტწილად ქალის ამოცანა არის. ოჯახური კულტურის შექმნისათვის არსებობს წინაპირობები: უმირველეს ყოვლისა, ოჯახის ცხოვრებაში შემოტანილ უნდა იქნეს რიტმი. ყველასათვის ცნობილია, რომ ჩვილი ბავშვისთვის საჭიროა ყოველდღიური რიტმი. ჭამის, ძილისა და თამაშის რეგულარობის მეშვეობით ბავშვი შინაგან სიმტკიცეს იძენს. ბაღისა და სასკოლო ასაკში ამ რიტმმა უნდა შეიძინოს ოჯახისთვის დამახასიათებელი ფორმა. მაგ., შემუშავებულ უნდა იქნეს კვების გარკვეული ჩვეულებანი — მყარი მომენტები დღის განმავლობაში, რომელთაც შეიძლება დაეყრდნოს ბავშვი და იგრძნოს, რომ არსებობს დრო და ადგილი მისი საკუთარი ცხოვრებისათვის. ან წესი, რომ ძილის წინ ყოველთვის არსებობს ნახევარი საათი მშვიდი ერთადყოფნისათვის, როცა პყვებიან ამბებს, ხმამაღლა კითხულობენ, მიმოიხილავენ დღის მოვლენებს და ასე შემდეგ. ძველი ზღაპრები დღესაც ღირებულია პატარა ბავშვისთვის, უფრო მოზრდილი ბავშვისთვის კი — თავად მშობლის მიერ გამოგონილი ამბები. მნიშვნელოვანი როლი გააჩნია მამას. მაგ., ყოველ კვირადღეს დილით მოჰყვეს მის მიერ შეთხზული მოთხრობის ახალ-ახალი ეპიზოდები. საკუთარი ბავშვობიდან მახსოვს ერთი თამაში, რომელსაც 8-12 წლის ასაკში ვთამაშობდით: ბავშვებს უნდა მოგვეფიქრებინა რაიმე სათაური, მამას სამი წუთი ეძლეოდა მოსაფიქრებლად, რის შემდეგაც ამ სათაურის მიხედვით უნდა მოეყოლა მოთხრობა. ჩვენ ისეთი სათაური უნდა მოგვეგონებინა, რომ მამას ვერ მოეფიქრებინა მოთხრობა. და თუ მამა მაინც შეძლებდა ამას, ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ასეთი სავარჯიშო



მნიშვნელოვანია არა მარტო ბავშვებისთვის, არამედ 30-40 წლის მაშისთვისაც! იგი დაინახავს, რომ უვითარდება გარკვეული უნარები, რომელნიც თავის საკუთარ გზაზე გამოადგებიან. წარმატების მქონე მოთხრობები სტანდარტულ მოთხრობებად იქცევა, რომელნიც მხოლოდ მოცემულ ოჯახში არსებობენ და მტკიცე საფუძველს უყრიან ამ ოჯახის წევრად ყოფნის განცდას.

მშობლებს ზოგჯერ აღარ უნდათ შეასრულონ ბავშვების თხოვნა, კვლავ და კვლავ მოისმინონ ერთი და იგივე ამბავი. ზოგჯერ ბავშვები თვეობით ითხოვენ ერთი და იმავე ისტორიის მოყოლას. ნაცნობი კულმინაციური ადგილების მოლოდინით გამოწვეული სიხარული უზარმაზარია. სწორედ ამავე მიზეზის გამო უნდათ მათ, არდადეგებზე დაბრუნდნენ იმავე ადგილას, რათა განაახლონ ურთიერთობა ნაცნობ ადგილებსა და ადამიანებთან. გარდამავალი ასაკის წინ ეს მოთხოვნილება სუსტდება და ადგილს უთმობს ახალი ამბების მოსმენისა და ახალი განცდების მიღების სურვილს; აქედან იწყება უფრო ვრცელი სამყაროს ათვისება.

ყოველდღიური და ყოველკვირეული რიტმების გვერდით (კვირადღე განსხვავდება სხვა დღეებისაგან) დიდი მნიშვნელობა გააჩნია დღესასწაულებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაბადების დღეები და საშობაო მყარი ცერემონი-ალები, განსაკუთრებით, როცა ბავშვები თავად მონაწილეობენ მათ მომზადებაში. ვინაიდან ამ დღესასწაულების ერთ-ერთი ყველაზე არსებითი ელემენტი სწორედ მათი მომზადება არის: მაგ., წარმოიდგინო, თუ როგორ განცვიფრდებიან სხვები რაიმე დეკორაციით ან თამაშით.

მოლოდინის სიხარული მუდამ უფრო დიდია, ვიდრე მომენტით მიღებული სიხარული. სწორედ პირველს ვიხსენებთ ნოსტალგიის თბილი გრძნობით.

ჩვენ ვცხოვრობთ უხეშსა და არამყარ დროში. იმას, რისი მიცემაც შეგვიძლია ჩვენი ბავშვებისთვის სითბოსა და უსაფრთხოების საშუალებით, ვერასოდეს წაართმევენ მათ, რაც უნდა მოხდეს მომავალში. ბავშვებისთვის არსებითია განივითარონ

ბუნებასა და ხელოვნებასთან კავშირი. სასეირნოდ წასვლა, ბუნების საოცრებათა ხილვა, ქვების, ნიჟარების ან მცენარეების შეგროვება, ჩიტების გამოცნობის სწავლა — ყველაფერი ეს საკვებია სამშენებლისთვის, ისევე მნიშვნელოვანი, როგორც სხეულის სწორი კვება. ამ მხრივ, ყველამ უნდა ეცადოს, შექმნას ოჯახის კულტურა საკუთარი ძალებისა და შესაძლებლობების მიხედვით. უფანტაზიო ხალხს, რომელთაც არ უყვართ ბუნება, ბავშვებთან ერთად ბუნებაში ყოფნამ, ხატვამ, მუსიკამ, ამბების მოყოლამ შეიძლება აღმოაჩინოს ახალი სამყაროები, გამოასწორობინოს ბავშვობისდროინდელი გამოცდილებები, გადააღაზინოს საკუთარი შეზღუდულობა.

გავბედავ და ვიტყვი, რომ დასაყვლეთის კულტურის მომავალი დიდადაა დამოკიდებული იმაზე, შეიქმნება თუ არა ახალი, უფრო დიდი მასშტაბის ოჯახური კულტურა.

## IV. ძირითადი ორიენტაციები

ახალგაზრდა პიროვნებას საკუთარი თავის პოვნის პროცესში უხდება შემდეგ კითხვებთან ჭიდილი: ვინ ვარ მე? რა მინდა? რა შემიძლია? პირველი კითხვა ყველაზე უფრო ღრმა არის. ესაა ეგზისტენციალური კითხვა, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში ახალ-ახალი განზომილებებით წარმოჩნდება. მოცემული მომენტისთვის მნიშვნელოვანია პასუხი გაეცეს კითხვებს: რა შემიძლია? და რა მინდა? ამჟამად ბევრი ცდილობს ადამიანთა კლასიფიკაციას მიდრეკილებების მიხედვით, მათ ტიპოლოგიზაციას. მაგ., იუნგმა განასხვავა ინტროვერტული და ექსტრავერტული განწყობები, რომელთაც 4 შესაძლო ვარიაცია გააჩნიათ: ექსტრავერტული – მოაზროვნე, ემოციური, შეგრძნების და ინტუიციური ტიპები; ინტროვერტული – მოაზროვნე, ემოციური, შეგრძნების და ინტუიციური ტიპები – სულ 8 ტიპი, რომელნიც ქმნიან ერთგვარ კომპასს ფსიქიკის სტრუქტურაში ორიენტაციისთვის. ტიპოლოგიის შექმნა ნაცადი იყო პროფესიულ მიდრეკილებებთან დაკავშირებითაც. დიდი მოცულობის მასალის დამუშავების შედეგად პოლანდერმა გამოყო 6 ტიპი: ინტელექტუალური, აქტიური (ინიციატივანი), რეალისტური, სოციალური, კონვენციური და ხელოვნების. ეს 6 ტიპი მიღებულია ცალკეული პროფესიის ან საქმიანობისაკენ ფსიქიკური მიდრეკილებების სტატისტიკური ანალიზიდან. ჩემი საკუთარი გამოცდილებიდან, რომელიც ახალგაზრდებთან 40 წლის მანძილზე საუბრებმა მომაპოვებინა, განვასხვავე 6 ტიპი, რომელთაგან თითოეულს ორი ვარიანტი შეიძლება პქონდეს: მკვლევარი, მოაზროვნე, ორგანიზატორი, რეფორმატორი, მზრუნველი და კონსერვატორული ანუ ადმინისტრაციული ტიპები. თითოეულ ამ ტიპს ორი ვარიანტი გააჩნია – კრეატიული და არაკრეატიული.

კრეატიულობა შემოქმედებით ძალად აქცევს ამ ტიპებს, არაკრეატიულობა — მიდრეკილებად სტოვებს მათ. ამ ტიპებს ვუწოდებ ძირითადი ორიენტაციები.

პოლანდერისაგან განსხვავებით, რომელსაც თავისი ტიპები რეალურად არსებული პროფესიებიდან გამოჰყავს, ცნებით „ძირითადი ორიენტაცია“ მინდა აღვნიშნო, რომ ეს შესაძლებლობები ქმნის იმ ტონალობას, რომელშიც ბიოგრაფიული კომპოზიციაა დაწერილი. ისევე როგორც ტონალობა თავისთავად არაფერს ამბობს კომპოზიციის შინაარსის, ტემპის ან ინსტრუმენტის შესახებ, არამედ იმ „განწყობილებაზე“, რომელშიც გაიშლება ნაწარმოები, ასევე ძირითადი ორიენტაცია არაფერს გვეუბნება ცხოვრების დრამის შინაარსზე, მის ტემპზე ან ინსტრუმენტადაც. მაგრამ იგი გარკვეულ თვისებას ანიჭებს ცხოვრებას: ძირითადი ორიენტაცია არის თავად ფსიქიკის შინაგანი არსის გამოხატულება. ფსიქიკა თავის ლაიტმოტივს სულიერი სამყაროდან იღებს, მოთხოვნილებებსა და ლტოლვებს კი ბიოლოგიური სფეროდან. მაგრამ თავად სამშეინველსაც გააჩნია საკუთარი სტრუქტურა, რომლის გამოცნობა და კვლევა ძირითადი ორიენტაციის მიხედვით შეიძლება. პიროვნებას, რომელსაც მკვლევარის ძირითადი ორიენტაცია გააჩნია, მუდამ ექნება მისწრაფება საგნების კვლევისაკენ, იქნება ის მეცნიერი, სწავლული, დიასახლისი თუ მებაღე.

მუსიკალურობა შეიძლება მემკვიდრეობითი იყოს, ტემპერამენტის საშუალებით იგი იძენს აქტიურ ან პასიურ ფორმას, ძირითადი ორიენტაცია ამ ფორმას გარკვეულ თვისებას ანიჭებს; მაგრამ მე განსაზღვრავს, იქნება მუსიკა ამ ინდივიდუალური ცხოვრების ლაიტმოტივი, თუ უბრალოდ სასიამოვნო თანმხლები მოვლენა. მხოლოდ ბირველ შემთხვევაში შეიძლება გახდეს კაცი მუსიკოსი. მემკვიდრეობით მიდრეკილებას და ტემპერამენტს ადაშიანი განიცდის როგორც შესაძლებლობას, როგორც თვისებას, რომელიც შეუძლია ან გამოიყენოს და განიფიქროს, ან არა. განცდაში საკუთარი ძირითადი ორიენტაციისაგან დის-

ტანცირება ძალზე ძნელია. უმეტესწილად ეს მაშინ ხდება შესაძლებელი, როცა ხანდაზმულობისას ინდივიდი გადახედავს განვლილ გზას. სიყრმისას, როცა ჩვენი ლაიტმოტივი ჯერ არ გაცხადებულა, მას ხშირად ცვლის ძირითადი ორიენტაცია, რომელიც შემდგომში ხდება პროფესიის არჩევის კრიტერიუმი.

თითოეული ძირითადი ორიენტაცია ყველა პროფესიაში შეიძლება წარმოვიდგინოთ. მაგ., ექიმმა თავის პროფესიაში შეიძლება გამოავლინოს მკვლევარის, მოაზროვნის, ორგანიზატორის, მომვლელის, განმაახლებლის ან ადმინისტრაციული ტიპის ტენდენციები. თუ რომელი მიიზიდავს მას და შეაძლებინებს წარმატებულ მოღვაწეობას – დამოკიდებულია მის ფსიქიკურ სტრუქტურაზე, მის ძირითად ორიენტაციაზე. მაგრამ თუ მან გააცნობიერა თავისი ლაიტმოტივი, მას შეუძლია გადაერთოს მეორე თვისებაზე და ამით განივითაროს სხვა ორიენტაცია, გარდა დომინანტურისა. ამ შემთხვევაში საქმე თავისით არ წავა, არამედ საჭირო იქნება მეტი ცნობიერება.

ძირითადი ორიენტაციები უფრო სიცოცხლის პირველ ნახევარშია განმსაზღვრელი, ვიდრე მეორეში – 40 წლის ასაკის შემდეგ. როგორც ვნახეთ, ძირითადი ორიენტაცია არის ფსიქიკის თვისობრიობა, ფერი, ტონალობა და ამიტომაც უდიდეს ზეგავლენას ახდენს ცხოვრების შუა ფაზაზე. სიყრმისას, როცა განათლების ან პროფესიის არჩევანი კულტურითაა განსაზღვრული, ძირითადი ორიენტაცია დიდად ზემოქმედებს ამ არჩევანზე. არჩევანი, რომელიც აშკარად ეწინააღმდეგება დომინანტურ ძირითად ორიენტაციას, ანტიპათიისა და დაუკმაყოფილებლობის გრძნობებს იწვევს. ჩემი აზრით, სწორედ ამაში მდგომარეობს საუნივერსიტეტო სწავლების უკიდურესად ცუდი შედეგების მთავარი მიზეზი. ლექციებისა და მეცადინეობების წინასწარ დაპროგრამებული მეთოდი ძალზე მცირე შესაძლებლობას იძლევა, რათა ინდივიდმა მონახოს სწავლის საკუთარი სტილი.

მე ვახსენე ცნება „დომინანტური ძირითადი ორიენტაცია“, რომელიც უნდა განვმარტო. ყოველ ადამიანში წარმოდგენილია 6 ან 7 ძირითადი ორიენტაცია, მაგრამ ერთი ან რამოდენიმე

მათგანი დომინირებს და საკუთარ ელფერს აძლევს სიცოცხლის პირველ ნახევარს ექსპანსიური ფაზის ჩათვლით. ადამიანებს, რომელთაც ერთი, აშკარად დომინანტური ორიენტაცია გააჩნიათ, ამ მხრივ არავითარი პრობლემა არა აქვთ. ამ შემთხვევაში ახალგაზრდა უპირატესობას ანიჭებს ქცევის გარკვეულ სტილს. მაგრამ ბევრისთვის ერთზე მეტი შესაძლებლობა არსებობს, რაც პოლანდერმაც აღნიშნა. მათთვის არაა ასე ადვილი არჩევანის გაკეთება. ისინი მიდრეკილნი არიან უპირატესობა მიანიჭონ სამშენებლის ხან ერთ ასპექტს, ხან მეორეს. მათთვის განსაკუთრებით რთულია პროფესიის არჩევა — ხოლო მრჩეველთათვის რჩევა.

ჩემი აზრით, როჯერსმა თავისი არადირექტიული საუბრების მეთოდით გვიჩვენა გზა, თუ როგორ დავეხმაროთ ახალგაზრდებს, გააკეთონ საბოლოო არჩევანი იმის სრული გაცნობიერებით, რომ სხვა რამის არჩევაც შეეძლოთ. ცხოვრების შემდგომ საფეხურებზე ეს სხვა ვარიანტი შეძლებს ითამაშოს გარკვეული როლი, ან მნიშვნელოვანი გახდეს პროფესიის თანმხლები საქმიანობის სახით. ერთმნიშვნელოვანი ძირითადი ორიენტაციები თავდაპირველად დასაწყისში ხელს უწყობს არჩევანს, მაგრამ მოგვიანებით იწვევს შესაძლებლობათა შეცირებას. აქ დაწვრილებით ვერ განვიხილავთ ძირითად ორიენტაციებს. მაგრამ მათი მთლიანად გამოტოვება დაუშვებელია ადამიანის ცხოვრების გზაზე მოქმედ ფაქტორებზე საუბრისას. ამ პრობლემას ცალკე ნაშრომი უნდა დაეთოს. აქ კი დავკმაყოფილდები ძირითადი ორიენტაციების აღწერით და მივუთითებ, თუ რომელნი განამტკიცებენ ან უპირისპირდებიან ერთმანეთს.

*მკვლევარის ტიპის მოთხოვნილებაა, გამოიკვლიოს, თუ როგორ ფუნქციონირებს მის გარშემო მყოფი სამყარო და როგორ შეიძლება აიხსნას მიმართებები მოვლენებს შორის. ამასთან, კვლევის ობიექტი მეორადი მნიშვნელობისაა. ეს შეიძლება იყოს ენა, ნივთიერება, კოლპერაცია, სასუქი ან ნებისმიერი სხვა რამ. მაგ., არსებობს ხალხი, ვინც მთელი ცხოვრება სწავლობს მიწის ჭიაყელას და იცის ყველაფერი ამ მარტივი არსების შესახებ.*

მკვლევარებს, რომელნიც ერთ რომელიმე სფეროში სპეციალიზ-  
დებიან, იქნება ეს ქიმიის პრობლემები თუ ზოჯოს ყბები, ემუქ-  
რებათ „პროფესიულ იდიოტებად“ ქცევა და თვალახვეულად  
ცხოვრების გაგლა. ვისაც უცდია კვლევითი ლაბორატორიის  
ხელმძღვანელობა, იცის, თუ რაოდენ ძნელია მეცნიერებისთვის  
თანამშრომლობა. კრეატიული მკვლევარი დამოუკიდებლად მუ-  
შაობისკენაა მიდრეკილი. არაკრეატიული კი რუტინული სამუ-  
შაოსკენ და მზადაა საჭიროებისას მოუსმინოს სხვებს.

*მოაზროვნე ტიპის მოთხოვნილებაა, მოაწესრიგოს იდეების*  
საკუთარი სამყარო სისტემებისა და თეორიების სახით. ფილო-  
სოფოსების გარდა, რომელთაც თავიანთი ცხოვრების ცენტრა-  
ლურ თემად აზროვნება აქციეს, ნებისმიერ მეცნიერებაში მკვლე-  
ვართა გვერდით მოაზროვნეებიც არსებობენ. ბევრი მკვლევარი  
ცუდი მოაზროვნეა, მას სულაც არ იზიდავს ეგზისტენციალური  
კითხვების დასმა ან თავისი არასრული ცოდნის დანახვა შექე-  
ცნების თეორიის შუქზე. ნატივიზმის განხილვისას უკვე აღვნიშნე  
ის საექვო გამარტივებები, რასაც ახდენენ დიდი ბიოქიმიკოსები,  
როცა იწყებენ ფილოსოფოსობას კაცობრიობის მომავლის შესა-  
ხებ. მეორე მხრივ, ცალმხრივად მოაზროვნეები სიძნელეებს აწ-  
ყდებიან კონკრეტულ, ადამიანურ საკითხებთან დაკავშირებით.

მოაზროვნე ტიპი თავისთავს ადრეულ ასაკშივე ავლენს.  
იგი, ჩვეულებრივ, დიდ სირთულეებს აწყდება სკოლაში, რადგან  
საითაც გაიხედავს, ყველგან არათანმიმდევრულობას ხედება და  
უხერხულ შეკითხვებს სვამს. ასეთი ადამიანებისთვის თანამედ-  
როვე მრავალარჩევანიანი გამოცდები გონიერების შეურაცხ-  
ყოფას წარმოადგენს. ისინი ცუდ მდგომარეობაში ვარდებიან,  
რადგან თავიანთი რიგითი თანაკლასელებისაგან განსხვავებით  
ვერ იგებენ გამომცდელების აზროვნების სტილს და მათ  
ფილოსოფიას ერთადერთი საუკეთესო გზის შესახებ. ბენ ჰოფმან-  
მა თავის წიგნში „ტექსტირების ტირანია“ მისთვის დამახასია-  
თებელი იუმორით განიხილა ეს პრობლემები.

*ორგანიზატორული ტიპის აღწერა არაა რთული. იგი უნდა*  
დაეუფლოს, მოაწესრიგოს და მართოს სამყარო. ეს ტიპიც ადრე-

ულ ასაკში ვლინდება, მისი ნახვა შეიძლება სკოლაში, საბავშვო და ახალგაზრდულ წრეებში. მე უკვე აღვწერე ადრეული 30-იანი წლები, როგორც ცხოვრების ორგანიზატორული ფაზა; აქედან ცხადია, რომ სწორედ ამ ფაზაში აღწევს ორგანიზატორული ტიპი თავისი ცხოვრების მწვერვალს. მაგრამ ამ ადამიანთა საფრთხეა, მოგვიანებით ველარ დათმონ ეს ნიშან-თვისება და თავიანთ ცხოვრებაში ადგილი ვერ მოუძებნონ პრაქტიკულის გარდა სხვა ღირებულებებს.

ორგანიზატორული ტიპი აგრესიულობამდე აქტიურია, ცნობიერად თუ არაცნობიერად ცდილობს მოიპოვოს ძალაუფლება ადამიანებსა და საგნებზე. ჩვენს ინდუსტრიულ საზოგადოებაში ადამიანთა ეს ჯგუფი ქმნის „ძლიერი“ მენეჯერებისა და კარიერისტების ბირთვს. თუ ეს ძირითადი ორიენტაცია შერბილებულია რომელიმე სხვა ძირითადი ორიენტაციით (რაც, საბედნიეროდ, ხშირად ხდება), ორგანიზებისაკენ სწრაფვა უფრო მეგობრულ ხასიათს იღებს. ორგანიზატორული სულისკვეთება შეიძლება მიმართული იქნეს კვლევაზე, თვით აზროვნებაზე, სხვებზე ზრუნვაზე, განახლებაზე ან მართვაზე.

ზრუნვის ტიპი განიცდის მოთხოვნილებას, მოუაროს ყოველივე ცოცხალს, გამოკვებოს იგი, იზრუნოს მასზე და გაახაროს. ეს სულისკვეთება არის განათლებისა და აღზრდის საფუძველი და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მიწათმოქმედებაში, მებადეობასა და მეცხოველეობაში. სოციალურ ცხოვრებაში ეს ტიპი ქმნის გარემოს, სადაც სხვებს შეუძლიათ განვითარება და აყვავება, მაგრამ ამ დროს თვითონ წინა პლანზე არ გამოდის. მზრუნველობის ძირითადი ორიენტაციის გარეშე ამქვეყნად არ იქნებოდა მხიარულება და უსაფრთხოება. უკიდურესად მნიშვნელოვანია, ბავშვი ისეთ გარემოში იზრდებოდეს, სადაც მზრუნველობითი ორიენტაცია სჭარბობს. ზედმეტად აქტიური დედა, რომელიც მუდამ ახერხებს ყველაფრის წინასწარ ორგანიზებას, ბავშვში წარმოშობს მუქარისა და დაუკმაყოფილებლობის გრძნობებს.

*რეფორმატორული ძირითადი ორიენტაცია მრავალწახნაგო-*



ვანია. იგი გულისხმობს უკვე არსებული შეცვლისა და გაუმჯობესების სურვილს. ცხოვრებაში ის შეიძლება გამოვლინდეს, მაგ., თერაპევტში, რომელსაც სურს ავადმყოფების განკურნება, ან რევოლუციონერში, რომელიც მზადაა დაანგრის არსებული საზოგადოება იმ იმედით, რომ ფერფლიდან ახალი, უკეთესი წყობა აღმოცენდება. აქედან ჩანს, რომ ამ ტიპს ბევრი ასპექტი შეიძლება ჰქონდეს. ყველა დიდი ნოვატორი განათლებაში, მეცნიერებაში, რელიგიაში და საზოგადოებაში ამ ძირითად ტენდენციას ატარებდა. ხშირად მათ სიცოცხლე შეუწირავთ თავიანთი შინაგანი მრწამსისთვის; ისინი არიან „შინაგანი ხმის ერეტიკოსები“, როგორც ნოიმანი უწოდებს. მათი ხვედრია, მუდამ დეენილ იქნენ, მაგრამ არასოდეს უღალატონ განახლებისაკენ სწრაფვას. პროფესიის არჩევისას ისინი ეძებენ ახალ ან ჯერ არარსებულ პროფესიებს, რომელთაც თვითონ ქმნიან. ახალ პროფესიაში ან კარიერაში პირველობა აძლევს მათ თავისუფლებას, რომელიც ჰაერივით ესაჭიროებათ.

ნაკლებად უკიდურეს შემთხვევებში ისინი ცხოვრებაში ნონკონფორმისტებს წარმოადგენენ. მედიცინაში აშკარა განსხვავება არსებობს მეცნიერული ინტერესების მქონე მკვლევარებსა და მკურნალ პრაქტიკოს ექიმებს შორის. უკანასკნელნი წყნარად ვერ უყურებენ დაავადებულ ადამიანს და ყოველ ღონეს ხმარობენ მის განსაკურნად.

*კონსერვატორული ანუ ადმინისტრაციული ტიპის* სურვილია, შეინარჩუნოს უკვე არსებული, აღნუსხოს ის, მოახდინოს მისი რეპროდუქცია, კონტროლი და შეძლებისამებრ განავითაროს. ეს განწყობა ხშირად გვხვდება ბუღალტრებში, ბიბლიოთეკარებში და მსგავს პროფესიებში ჟურნალისტებისა და დიპლომატების ჩათვლით. კარგი ჟურნალისტი ახალ ამბებს იმდენად ობიექტურად და მოწესრიგებულად წარმოადგენს, რამდენადაც ეს შესაძლებელია. დიპლომატი განასახიერებს თავის მთავრობას და არა საკუთარ აზრებს. ეს ორიენტაცია არ უნდა მივიჩნიოთ უარყოფითად: უკვე არსებულის მართვისა და შენახვის გარეშე განვითარებას საფუძველი არ ექნებოდა. სისტემატურად ათვი-

სებული წარსული აწმყოს საფუძველი და მომავლის ამოსავალი ბუნქტია.

*კრეატიული ორიენტაცია* იშვიათად გვხვდება სუფთა ფორმით. მიახლოებით იგი შეიძლება ხელოვანში ვნახოთ. ეს განწყობა მსჭვალავს დანარჩენ ექვსს, აცოცხლებს და ააქტიურებს მათ: კრეატიულ მკვლევარს, მოაზროვნეს, ორგანიზატორს, მზრუნველს, რეფორმატორს თუ ადმინისტრატორს ინდივიდუალური მოტივაცია შემოაქვს ძირითად ორიენტაციაში და მთლიანად პიროვნულად აქცევს მას. ამით ბიოგრაფიას ინდივიდუალური ელფერი ენიჭება და იგი აღარაა უბრალოდ პასიური ბედი. *სული კრეატიულობის სახით იჩენს თავს ფსიქიკაში.*

ძირითადი ორიენტაციები ფსიქიკის ყველაზე თავისებური ელემენტია. მეს მათთან ისეთივე ურთიერთობა აქვს, როგორც მუსიკოსს თავის ინსტრუმენტთან. მან უნდა გამოიყენოს და აამოქმედოს იგი. ფსიქიკის ძირითადი ორიენტაცია შეესაბამება ადამიანის სხეულებრივ კონსტიტუციას. მემ ანგარიში უნდა გაუწიოს კონსტიტუციას, როგორც მოცემულობას, რადგანაც ადამიანი არის სხეული, სამშენიველი და სული. მისი თავისუფლება ამდენად შეზღუდულია, მაგრამ ადამიანი თავისუფალია იმ პოზიციაში, რომელსაც დაიჭერს ამ მოცემულობების მიმართ. სხვა სიტყვებით: მე თავისუფალი რჩება თავის დამოკიდებულებაში კონსტიტუციისა და ძირითადი ორიენტაციის მიმართ, მას თვითონ შეუძლია აირჩიოს, თუ როგორ გამოიყენებს მათ საკუთარი მიზნების მიღწევისას.

აღლერმა მიუთითა, რომ შესაძლებელია ფიზიკური ნაკლის კომპენსაცია. იგივე ითქმის ფსიქიკის ძირითად ორიენტაციაზეც. ეს შესაძლებლობა ვლინდება ცხოვრებისა და სამყაროსადმი განწყობაში, სადაც მე აკეთებს საკუთარ არჩევანს და შემდგომში შეუძლია მოახდინოს მხოლოდ პოტენციურად არსებული ორიენტაციის რეალიზაცია.

ვინც გარკვეულ რელიგიურ ან მსოფლმხედველობრივ გარემოცვაში იზრდებოდა, მოგვიანებით თავად უნდა მოიპოვოს და განახორციელოს თავისი მრწამსი, თუკი სურს მისი შენარჩუნება.

ვინაიდან „დაბადების მოწმობის“ მიხედვით ამა თუ იმ რელიგიის ან მსოფლმხედველობის მიმდევარი არავის სჭირდება.

ასევე შესაძლებელია იმ რელიგიისა და მსოფლმხედველობის მიტოვება, რომელთა ატმოსფეროშიც აღვიზარდეთ, რათა ზრდასრულობისას მოვახდინოთ საკუთარი არჩევანი. ეს რომ შესათვისებ ზისტენციალური გადაწყვეტილებაა, იქიდანაც ჩანს, რომ მისი გულისთვის ადამიანი არ ერიდება სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებასაც კი და მზად არის, მსხვერპლად გაიღოს თავი, ხოლო სულს არ უღალატოს.

## V. სამსახურებრივი წინსვლა და საკადრო პოლიტიკა

სხვადასხვა ადამიანს სხვადასხვა მოლოდინი გააჩნია პროფესიასა და თავის პროფესიულ მომავალთან დაკავშირებით.

ახალგაზრდა, პროფესიული მომზადების მქონე ან არმქონე მუშებს ძალიან ადრე უხდებათ თავიანთი პროფესიის არჩევა. ინდუსტრიული იერარქიის უდაბლეს საფეხურებზე მდგომი ბიჭებისა და გოგონებისთვის, რომელთაც თითქმის არაფითარი პერსპექტივა არ გააჩნიათ ოდესმე თავი დააღწიონ ამ იერარქიას, ჩვეულებრივ, ძალიან გვიან ირკვეოდა, თუ როგორი იქნებოდა მათი მომავალი. ამჟამად სიტუაცია შეიცვალა. ახალგაზრდა მუშებმა შექმნეს თავიანთი ინტერესების დამცველი ორგანიზაცია, რომელიც გასაოცარი მიღწევებით გამოირჩევა. 1950-იან წლებში დაწყებულმა პროფესიულმა მომზადებამ, რომელიც მიუხედავად კეთილი განზრახვებისა მდგომარეობას ვერ ცვლიდა, წლების განმავლობაში შეძლო განვითარება და ნელ-ნელა კონტაქტი დაამყარა მუშათა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემასთან. აქ ვერ განვიხილავ განათლების ამ ორ ფორმას შორის არსებულ უნაყოფო ბრძოლას. „პარტიციპატორული აღზრდა-განათლება“ (16-18 წლის ახალგაზრდების განათლება, სადაც ერთმანეთს ენაცვლება საშუალო სკოლა და პროფესიული საქმიანობა), რომელიც პოლანდიაში წამოიწყო ლივეხუდის კომისიამ და მიიღო პოლანდიის მთავრობამ, განვითარების ორივე ფორმის კომბინაციას ახდენს.

ლივეხუდის კომისია ამოდიოდა იქიდან, რომ ყოველ ინდივიდს 18 წლის ასაკამდე აქვს განათლების უფლება; და რომ ეს განათლება უნდა პასუხობდეს ახალგაზრდების ძირითადი ნაწილის მოთხოვნილებებს, მათ წარმოდგენებს პიროვნების სტრუქტურისა და მომავლის შესახებ. ამ კონცეფციის განხორციელება საკმაოდ ძნელია და ახლახან დაიწყო. საჭიროა პრობლემების

გზადაგზა გადაჭრა, რათა განათლებაში ამ სრულიად ახალი მოძრაობისათვის შეგროვდეს პედაგოგიურ-დიდაქტიკური გამოცდილება. ბრწყინვალე მაგალითია ჰიბერნიის სკოლა ვანე-აიკელში(გერმანია). აქ მოხდა 12-კლასიანი თავისუფალი ვალდორფის სკოლის გაერთიანება ხელობის დასაუფლებელ კურსებთან, რაშიც ყველა მოსწავლე მონაწილეობდა. ამით მათ შეეძლოთ აერჩიათ ან ხელობის დაუფლებაზე ორიენტირებული უმაღლესი სასკოლო განათლება, ან ისეთი, რომელიც უნივერსიტეტში შესვლის შესაძლებლობას იძლეოდა. ჰოლანდიაში ამჟამად ჩატარებულმა ექსპერიმენტმა ვერეთ წოდებულ საშუალო სკოლებზე უნდა აჩვენოს, არის თუ არა სასკოლო განათლების ეს ფორმა მომავლისათვის გამოსადეგი.

სადღეისოდ თანდათან იზრდება სავალდებულო საშუალო განათლების ხანგრძლივობა, რის გამოც ახალგაზრდები უფრო გვიან შედიან შრომისა და წარმოების სამყაროში. მაგრამ სკოლის დამთავრების შემდეგ მათი მომავალი მეტ-ნაკლებად წინასწარაა განსაზღვრული იმ შემთხვევის გარდა, როცა მათ აქვთ *éducation permanente*-ს შესაძლებლობა. იმ პერიოდის შემდეგ, როცა მათ უხდინენ ახალგაზრდებისთვის დაწესებულ დაბალ გასამრჯელოს, მათი ხელფასი იზრდება და მოზრდილისთვის განკუთვნილ ოდენობას აღწევს. მაგრამ ამის შემდეგ პერსპექტივა აღარ არსებობს, რადგანაც უმაღლესი საფეხური ძალიან სწრაფად მიიღწევა. „კარიერა“ ანუ შემდგომი წინსვლა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ ინდივიდი დასპეციალდება ან იმუშავებს დაბალ თანამდებობაზე ადმინისტრაციულ სისტემაში. მაგრამ ორივე შემთხვევაში ადგილების რიცხვი ძალზე მცირეა. ქვემოთ ვნახავთ, თუ რისი გაკეთება შეიძლება ამ მხრივ წარმოებაში. განსხვავებულ მდგომარეობაში არიან ისინი, ვისაც შეუძლია გააგრძელოს ინტელექტუალური განათლება. საშუალო განათლების მიღების შემდეგ მათთვის შესაძლებელია აკადემიური, უფრო მეცნიერული ორიენტაციის მქონე განათლების მიღება.

აქ ჩვენ განსაკუთრებული პრობლემის წინაშე ვდგებით: ჩვენ

დღევანდელი განათლების სისტემის გამო მაღალ კლასებში უნდა მოხდეს სასწავლო საგნების გარკვეული კომბინაციის შერჩევა. ეს ხდება ან გარდამავალი ასაკის შუა პერიოდში, ან პუბერტეტიდან სიყრმის ასაკში გადასვლისას. ამ დროს კი მოსწავლეს ჯერ არ შეუძლია ნამდვილი არჩევანის გაკეთება; ე.წ. არჩევანი დამოკიდებულია იმ ნიშნებზე, რომელნიც მას მიღებული აქვს სხვადასხვა საგნებში. ამ მომენტიდან წყდება კავშირი თანაკლასელებს შორის, ყოველი მოსწავლე საკუთარი გზით მიდის. აქაც სოციალური აღზრდა ეწირება ინტელექტუალურ განათლებას. უფრო დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ გაკეთებული არჩევანის შედეგად ბევრი ახალგაზრდა მახეში გაბმულად გრძნობს თავს. იმ მომენტში, როცა სამყარო იხსნება მათ წინაშე, ირკვევა, რომ უამრავი კარი მაინც დაკეტილია. შესაძლებელია დამატებითი გამოცდების ჩაბარება, რაც საქმეს შველის, მაგრამ უმნიშვნელოდ. ახალგაზრდას უნდა შეეძლოს ვრცელი ინფორმაციის მიღება საზოგადოების სტრუქტურის, პროფესიების, პროფესიული მომზადების შესაძლებლობების, ფილოსოფიური და მსოფლმხედველობრივი პრობლემატიკის შესახებ. მთავარი ისაა, რომ ყმაწვილის მიერ არჩეულ განათლებას მოსდევს სამსახური, რომელიც უმრავლესობისათვის საკმაოდ ბუნდოვანი სფეროა. ამიტომაც კონსულტაციები პროფესიების შესახებ უაღრესად საჭიროა.

ახალგაზრდას, რომელიც 20 წლის ასაკში მუშაობას იწყებს ფაბრიკაში, ბიუროში ან სერვისში, ჯერ კიდევ აქვს დრო, რათა ეძიოს ცხოვრებაში საკუთარი ადგილი. მან უნდა მონახოს ან თვითონ შეიქმნას შევიწროების პერიოდისთვის დამახასიათებელი პირობები. სავსებით ნორმალურად უნდა ჩაითვალოს სამუშაო ადგილის მიტოვება მაშინვე, როგორც კი ინდივიდი ისწავლის ყველაფერს, რისი სწავლაც შესაძლებელია აქ. ახალგაზრდათა უმრავლესობა კი ერთი სახის სამუშაოზეა მიჯაჭვული, რომელსაც ძალიან სწრაფად ითვისებს და ახალს ველარაფერს იძენს, თუკი ისეთი კეთილგონიერი უფროსი არ ჰყავს, რომელიც ზრუნავს განსხვავებული სასწავლო სიტუაციების შექმნაზე. 20-დან

30 წლამდე ადამიანი უნდა გაეცნოს რაც შეიძლება მეტ პროფესიულ სიტუაციას — უნდა ისწავლოს სხვადასხვა შესაძლებლობების გამოყენება. ეს ფაზა მთავრდება დაახლოებით 28 წლის ასაკში. ამ დროისთვის ინდივიდს დაგროვილი აქვს საკმაო გამოცდილება და შეუძლია დაგეგმოს თავისი მომავალი არჩეულ საქმიანობაში.

სწავლის პერიოდის გაგრძელების გამო კოლეჯის ან უნივერსიტეტის სტუდენტებს ხელოვნურად უხანგრძლივდებათ სიყრმის ასაკი, როცა სხვაზე არიან დამოკიდებულნი. ისინი უფრო გვიან ასაკში აღმოჩნდებიან ხოლმე საბასუხისმგებლო თანამდებობებზე, ვიდრე ის ახალგაზრდები, რომელნიც სკოლიდან პირდაპირ სამსახურში ხვდებიან. ამის გამო კი ველარასოდეს ახერხებენ განიცადონ ის, რისი განცდაც მთელი ინტენსივობით შეიძლება მხოლოდ „ცად აღტაცებულ — სიკვდილამდე დათრგუნულ“ ფაზაში.

გვიან შუა საუკუნეებში ახალგაზრდას უკვე გარდამავალ ასაკში მიაბარებდნენ ოსტატს შეგირდად. იგი ცხოვრობდა ოსტატის სახლში, სადაც ისე ეპყრობოდნენ, როგორც ოჯახის წევრს. და შეუმჩნევლად ითვისებდა ცხოვრების სტილსა და პროფესიულ ეთიკას. დაახლოებით 20 წლის ასაკში შეგირდისთვის იწყებოდა მოგზაურობის ხანა. იგი მოგზაურობდა მთელ ქვეყანაში და მუშაობდა სხვადასხვა ოსტატებთან, რომელთაგანაც სწავლობდა არჩეული ხელობის განსხვავებულ ასპექტებს. 30-იანი წლების შუა ასაკში მას შეეძლო ჩაებარებინა გამოცდა ოსტატობაზე, დაფუძნებულიყო და საკუთარი საქმე დაეწყო. მხოლოდ დაქორწინებულ ოსტატს პქონდა შეგირდების აყვანის უფლება, რადგანაც სწორედ ოსტატის ოჯახში იძენდა შეგირდი სათანადო გამოცდილებას. ამ სისტემაში ჯერ კიდევ არსებობდა ცხოვრების სხვადასხვა ფაზების არსებითი ელემენტების ინსტინქტური გაგება. დღესდღეობით ყოველმა ადამიანმა საკუთარი მიგნებებიდან და გამოცდილებიდან თვითონ უნდა განსაზღვროს თავისი პროფესიული მომავალი. ამისათვის შესაფერისი გარემო პირობების შექმნა შეუძლია სწორ საკადრო პოლიტიკას. ნებისმიერ შემთხვევაში ყველაზე ცუდი გამოსავალია,

ცხოვრების ამ ფაზაში ათი წლის განმავლობაში ერთი და იგივე სამუშაო ასრულო.

30-იანი წლები არის ენერგიული მუშაობის, ორგანიზებისა და დასახული მიზნების მიღწევის პერიოდი. ინდივიდმა უნდა დაამტკიცოს, რომ შეუძლია საკუთარი თავის დაცვა. ამ ფაზაში წარმატებებსა და მარცხს უფრო ფხიზლად შეიძლება მივუდგეთ. სიცოცხლის არც ერთ სხვა ფაზაში ადამიანი არაა ისე მზად, იბრძოლოს შედეგებისა და მიგნებებისთვის, როგორც ამ პერიოდში. იზრდება ინდივიდის რწმენა საკუთარი თავისადმი; იგი ხედავს, თუ რა არ ძალუძს და რისი მიღწევის მცდელობებს უნდა დაანებოს თავის. 30-იანი წლების მეორე ნახევარში ადამიანი შრომისნაყოფიერების მწვერვალზეა რაოდენობრივი თვალსაზრისით. მან იცის თავისი საქმე, საკუთარი თავის ფასი და რისი მიღწევაც სურს.

*ორმოციანი წლები.* როგორც ვნახეთ, 40 წლის ასაკთან მიახლოებისას და მისი საზღვრის გადაკვეთისას საკუთარი თავის რწმენაში ჩნდება ბზარი. ადამიანს ეჭვი ეპარება არჩეული გზის სისწორეში, ეშინია შრომისუნარიანობის დაკარგვის და ამ ორი მოვლენიდან აღმოცენდება ახალი ღირებულებების პოვნის მოთხოვნილება. ეს ხელსაყრელი მომენტია სამსახურს გარეთ არსებულ სემინარებსა და მოსამზადებელ კურსებში მონაწილეობისათვის; იმ ადამიანებთან შეხვედრისთვის, რომელნიც სხვა სფეროში მუშაობენ, მაგრამ იგივე პრობლემები აწუხებთ; მუშაობის ახალი მეთოდების, ახალი ღირებულებებისა და მიგნებების გასაცნობად. მოკლედ, გადაუდებელია თვალთახედვის გაფართოება. გამომდინარე ამ გაფართოებულ თვალთახედვიდან, რომელშიც აქამდე უხილავი მიზნები გამოიკვეთება, ინდივიდმა უნდა ხელახლა შეაფასოს თავისი მდგომარეობა და შესწორებები შეიტანოს აღებულ გეზში. მან შემდეგ კითხვებს უნდა უპასუხოს: რა მინდა მე? ნამდვილად იქ ვდგავარ, სადაც უნდა ვიდგე? უნდა გამოვიცვალო სამსახური? რა უნდა შევცვალო ჩემში? რა უნდა გავაკეთო სხვაგვარად?

ამ კითხვებზე პასუხი განსაზღვრავს, მოახდენს თუ არა ინდი-



ვიდი ამ ცხოვრებაში დასახული მიზნის განხორციელებას. ამ ასაკში ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდება შემდეგი საკითხები: შემიძლია მივადწიო ხელმძღვანელის თანამდებობას? შესაძლებელია ეს ჩემს ამჟამინდელ სამსახურში თუ კიდევ ერთხელ სრულიად ახალი რამ უნდა დავიწყო? 40-იანი წლების ბოლოსთვის ახალი ამოცანების პოვნა იმავე ან სხვა, ახალ სამსახურში გამაახალგაზრდავებელ ზემოქმედებას ახდენს. ეს გაახალგაზრდავება ფიზიკურ სფეროზეც კი ვრცელდება და 50-იანი წლების ასაკში ახალი ვიტალურობა მოაქვს. თუ ეს ვერ მოხერხდება, მაშინ მალე სიბერის სიმპტომები იჩენს თავს, როგორცაა მაღალი არტერიული წნევა, ადრეული გაჭაღარავება, გარეგნული დაძაბუნება.

*ორმოცდაათიანი წლები.* ესაა პერიოდი, როდესაც ინდივიდი ხდება ან „გამოჩენილი ლიდერი“, ან „ფრუსტრირებული ტირანი“. „ფრუსტრირებულ ტირანად“ გადაქცევისთვის ადამიანმა შეიძლება დაადანაშაულოს ცხოვრება, სამსახური ან ოჯახი, მაგრამ სინამდვილეში ეს თვითონ მან „მოაწყო“; მან ათწლეულები იმუშავა ენერგიულად, რათა მიეღწია ამისთვის. ესაა ცხოვრების არჩევანის პირდაპირი შედეგი!

მაგრამ ყველაფერი მაინც არ არის დაკარგული. ვინც ცხოვრების ამ ფაზაში საკუთარ თავში აღმოაჩენს ფრუსტრაციის სიმპტომებს და ტენდენციას, სხვების ტირანიზირებით მოახდინოს განტვირთვა, ჯერ კიდევ შეუძლია აინაზღაუროს ის, რაც 40-იან წლებში უნდა გაეკეთებინა. ჩემს პრაქტიკაში ამის ბევრ გმირულ მაგალითს შევხვედრივარ. მართალია, თითქმის ყოველთვის საჭირო იყო გარედან ბიძგი, ზოგჯერ სამსახურის შეცვლა, რაც ძალდატანებით ხდებოდა. მაგრამ ერთმა, განვითარებაზე ორიენტირებულმა, თერაპიულმა საუბარმა შეიძლება რევოლუცია გამოიწვიოს.

„გამოჩენილი ლიდერები“ თავიანთ გარშემო სხვა გამოჩენილ ლიდერებს ამრავლებენ; ეს ეხება ყველა სფეროს, დაწყებული უფროსი მუშით, დამთავრებული დირექტორით; მაგრამ, საუბედუროდ, ფრუსტრირებული ტირანები ფრუსტრირებულ ტი-

რანებს წარმოშობენ. თუნდაც ამ მიზეზის გამო ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა განვითარების პროცესი არ შეწყდეს. ამერიკული გამოთქმა „მოძრაობაში ამყოფე კაცი“ განსაკუთრებით მიესადაგება 40-იან წლებს და 50 წლის ასაკში გარდამავალ პერიოდს.

განვითარების გზაზე დაბრუნების ერთ-ერთი კარგი საშუალებაა პოზიტიური აზროვნების გამომუშავება. ამისთვის მარტივი ხერხი არსებობს. აიღეთ რვეული და ყოველ საღამოს რამოდენიმე სიტყვით ჩაწერეთ ის დადებითი შემთხვევა, რომელსაც დღის განმავლობაში პქონდა აღგილი. ეს შეიძლება იყოს ისეთი უბრალო მოვლენა, როგორცაა, მაგ: სახლიდან გამოსვლისას, მზე ანათებდა წაბლის ხის ფოთლებიდან; ან: როცა კრებაზე შევედი, X-მა მხიარულად შემომხედა. თუ ამას თვეების მანძილზე განაგრძობთ, ნახავთ, თუ რაოდენ ბევრი სასიამოვნო რამ ხდება ყოველ დღე.

მეორე საშუალებაა აუმღვრევლობის გამომუშავება. უნდა შეგვეძლოს, საკუთარ თავს ვუთხრათ: „რას იზამ?!“ ან „მერე რა!“ უნდა შევამჩნიოთ, რამდენჯერ არ გამოვდივართ მოთმინებიდან, თუმცა ამის ყველა მიზეზი არსებობს.

მესამე საშუალებას წარმოადგენს, საკუთარ მოვალეობად აქციო ახალგაზრდა თანამშრომლების განვითარებით ნამდვილად დაინტერესება. ერთხელაც დაფიქრდი, თუ რა შეეძლო რომელიმე შენს თანამშრომელს ერთი წლის წინ და რა ისწავლა ამასობაში. შეგიძლია ცოტათი შეაქო ან მისცე მამობრივი რჩევა-დარიგება; ეცადე, დაეხმარო ახალგაზრდებს, როცა ისინი სირთულეებს აწყდებიან განვითარებაში.

შემდეგ 60-იანი წლები მოდის. ნუ დააგვიანებთ სამსახურიდან წასვლას! გამოიყენეთ მოკლე სამუშაო დღის ან პენსიაზე აღრე გასვლის შესაძლებლობა, მოემზადეთ ახალი ამოცანისთვის. ამ დროს არსებითი ისაა, რომ რაც აქამდე გისწავლიათ ცხოვრებაში, ახლა იძენს მთელს თავის ძალას. როცა საპენსიო ასაკს მიაღწევთ, უნდა შეუდგეთ ახალ, შემოქმედებით აქტივობას; ეს შეიძლება იყოს ხატვა ან ნაფის აგება, საღამოს კურსებზე

სიარული ან რომელიმე ქვეყნის, მისი კულტურის, ხელოვნების, ენის, ხალხის ინტენსიური შესწავლა.

სულ ერთია რა იქნება, მთავარია გააკეთოთ რაიმე ახალი! ამასთანავე იარსებებს უფრო ზოგადი სოციალური ამოცანები, რომელნიც აჩქარების გარეშე შეგიძლიათ განახორციელოთ. იზრუნეთ, რათა სულიერი სიხალასე შეინარჩუნოთ; იყავით პოზიტიურნი, დაინტერესდით ყველაფრით, რაც თქვენს გარშემო ხდება და ეცადეთ, კურთხევად მოეგლინოთ სხვებს. მაშინ მოიპოვებთ ცხოვრების ბოლო წლების მოსაგაღს.

### საკადრო პოლიტიკა

ჯანსაღი და სწორი საკადრო პოლიტიკა მოიცავს ხელმძღვანელობას, ზრუნვას თანამშრომლებზე, ადამიანთა შორის დამოკიდებულებებზე და, უწინარეს ყოვლისა, თანამშრომელთა განვითარებაზე. აქ ამ უკანასკნელს მინდა მივაქციო ყურადღება.

ყველამ, ვინც სამუშაოზე იღებს 20 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს, იცის, რომ დაწესებულებაში შემოპყავს ჯგუფი, რომლის ინტეგრირებაც საკმაოდ ძნელია, ვინაიდან სირთულეს წარმოადგენს უწყვეტი სამუშაოს უზრუნველყოფა, როცა მომუშავეთა ნაწილი კვირაში ორჯერ დადის პროფესიულ სკოლებში და კვალიფიკაციის კურსებზე. თეორიულად, რა თქმა უნდა, ყველაფრის ორგანიზება შეიძლება, მაგრამ გარკვეული სახის სამუშაოებში, სადაც საჭიროა განსაზღვრული ოდენობის პრაქტიკა, ამან სპეციფიკური პრობლემები შეიძლება წარმოქმნას. მეორე მხრივ, ნაწილობრივ სავალდებულო განათლებაზე გადასვლისას საგრძნობლად იზრდება უმუშევრობა ახალგაზრდებს შორის. კომისია, რომელმაც ნიდერლანდებში გზა გაუკაფა ნაწილობრივ სავალდებულო განათლებას, აცნობიერებდა ამ პრობლემებს. მან წამოაყენა წინადადება, ეს გახანგრძლივებული სავალდებულო სწავლება თანდათან შეეტანათ უპირველეს ყოვლისა ექსპერიმენტულ ცენტრებში, მომდევნო 5-10 წლის განმავლობაში კი მთელ ქვეყანაში გაეცვრცელებინათ.

მაგრამ პოლიტიკური მიზეზების გამო ამ ცვლილების განხორციელება ერთბაშად და მთლიანობაში გახდა საჭირო. ამისთვის კი არც სასწავლო დაწესებულებები იყო მზად და არც ეკონომიკა. პოლიტიკური აჩქარებულობის ნაყოფი კი უმუშევარმა ახალგაზრდებმა იგემეს. გარდაქმნის საფეხურზე, არახელსაყრელ ეკონომიკურ კლიმატში, როცა მომუშავე გოგონების დენადობა ისედაც დიდია, პრობლემას ვერ გადაჭრის ერთ ცალკეულ საწარმოში განხორციელებული ღონისძიებები.

განსხვავებულ მდგომარეობაში არიან 20 წელს გადაცილებულნი, რომელნიც მუდმივი სამუშაო ძალის ნაწილს შეადგენენ. მათთვის შესაძლებელია საკონსულტაციო სისტემის შექმნა, სადაც ისინი მიიღებენ რჩევა-დარიგებებს კარიერასთან დაკავშირებით. ერთ-ერთი დიდი კომპანიის კვალიფიციური ახალგაზრდა მუშების გარკვეული ჯგუფისთვის ნიდერლანდების პედაგოგიურმა ინსტიტუტმა (NPI) ასეთი გეგმა შეიმუშავა: ახალგაზრდა (დაახლოებით 20 წლის) მუშებს (ბევრი მათგანი პირდაპირ სამხედრო სამსახურიდან იყო მოსული) იწვევდნენ გასაუბრებაზე და სთავაზობდნენ, მოეხდინათ არჩევანი: ან დარჩენილიყვნენ თავიანთ იმჟამინდელ თანამდებობაზე, სადაც კარგი ანაზღაურება პქონდათ, მაგრამ წინსვლის საშუალება არ იყო, ანდა შეერთებოდნენ ჯგუფს, რომელიც დიფერენცირებულ ტრენინგს გადიოდა. ეს ტრენინგი ისე იყო მოწყობილი, რომ დაახლოებით 18 თვეში ერთხელ მონაწილეები გადაჰყავდათ ფირმის სხვა განყოფილებაში, სხვა სახის სამუშაოზე. ყოველ მუშაკს გააჩნდა პირადი ბარათი, სადაც აღინიშნებოდა, თუ როგორ გაართვა თავი სავალდებულო სამუშაოს და როგორ განივითარა სოციალური უნარები. როცა დაახლოებით 24 წლის ასაკს აღწევდნენ, მათ მეორე გასაუბრებაზე იწვევდნენ. და კვლავ ეძლეოდათ არჩევანის საშუალება – ან დარჩენილიყვნენ ნაცნობ სამუშაოზე, ან გაეველოთ შემდგომი მომზადება, რათა დაუფლებოდნენ სხვადასხვა სპეციალობებს. ვინც უკანასკნელს აირჩევდა, დაახლოებით ნახევარი წლის მანძილზე ეცნობოდა სხვადასხვა სპეციალობის პირობებსა და მოთხოვნებს. მაგ., მათ ასწავლიდნენ საწ-

ყოფსა და საგეგმო განყოფილებაში ადმინისტრაციულ სამუშაოს. შესაძლო გასაუბრებისას ირკვეოდა, უნდოდათ მათ გაეგრძელებინათ მუშაობა ამ სპეციალობებიდან ერთ-ერთში, თუ სურდათ ხელმძღვანელი პოსტების დაკავება მართვასა და მენეჯმენტში. უკანასკნელ შემთხვევაში უნდა გაეფლათ გარკვეული სახის ტრენინგი, რათა პირადად გასცნობოდნენ ყველა იმ სფეროს, რომელთანაც საქმე ექნებოდათ როგორც ხელმძღვანელებს. ამ ტრენინგის შემდეგ მათ ეძლეოდათ განყოფილების გამგის ასისტენტის თანამდებობა, სანამ განყოფილების გამგის ადგილი გათავისუფლდებოდა. სისტემა კარგად მოქმედებდა. მხოლოდ ზოგჯერ იმდენად ბევრი განყოფილების გამგის ასისტენტი იყო საჭირო, რომ პრაქტიკანტები იქამდე უნდა დაენიშნათ ამ ადგილზე, სანამ მომზადების ყველა სტადიას გაივლიდნენ. ამგვარი სიტუაცია ადგილობრივ პირობებთანაა დაკავშირებული და შეიძლება სრულიად განსხვავებული იყოს სხვა ადგილას ან სხვა დროში.

ახალგაზრდა მუშა-მოსამსახურისთვის ვითარება ნათელი იყო: თუ მინდა, შემიძლია წინ წავიდე; თუ არ მინდა, მე თვითონ ვაგებ პასუხს. გარდა ამისა ბუნებრივად, თავისთავად გამოეყოფოდნენ ერთმანეთს უფრო ტექნიკური ინტერესის მქონე მუშაკები (მომავალი სპეციალისტები) და უფრო სოციალური ინტერესის მქონენი (მომავალი მმართველები). „დისკუსიებს“, რომლებიც ტრენინგის სრულ, რვაწლიან, კურსს თან სდევდა და მისაწვდომი იყო ნებისმიერ დროს, ყველაფერთან ერთად უკუკავშირის ეფექტიც<sup>5</sup> მქონდა, რითაც პრაქტიკანტს შეეძლო ემსჯელა საკუთარ მიღწევებზე. ცხოვრების ამ ფაზის განხილვისას უკვე აღვნიშნე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ასეთი განმტკიცება 20 წლის ასაკში, როცა საკუთარი ღირებულების გრძნობა ჯერ კიდევ ორიენტირებულია გარე სამყაროს აზრზე. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს ადმინისტრაციულ სისტემაშიც შეიძლება იქნეს გამოყენებული.

---

5) Feed-back effect(ინგლ.)

მცირე წარმოებებს, რომელნიც მხოლოდ დროდადრო ქირათბენ გარკვეული კატეგორიის ახალგაზრდებს, ეს სისტემა შეიძლება გამოადგეს იმის მაგალითად, თუ როგორ მოახდინონ გამოცდილების რაც შეიძლება მეტად გავრცელება. მცირე დაწესებულებებში სხვადასხვა ფუნქციები არაა იმდენად გამიჯნული და ფორმალიზებული, როგორც დიდში. ასეთ დაწესებულებებში „შევირდობის ფაზა“ შეიძლება ბევრად უფრო პიროვნული და არაფორმალური იყოს. აქ შესაძლებელია მიუჩინო ახალგაზრდას მასზე უფროსი და გამოცდილი მუშაკი, რომელიც მოვალე იქნება გააცნოს სამუშაოს ყველა მხარე.

იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს პიროვნების განვითარება გვიან ასაკშიც, კადრების განყოფილება უნდა თანამშრომლობდეს მუშა-მოსამსახურეთა კომისიებთან, რათა არსებული თანამდებობებისთვის დადგინდეს პროფესიული მოთხოვნები და განისაზღვროს ტრენინგებისა და პრაქტიკის ხანგრძლივობა, რომელიც საჭიროა გარკვეული სახის სამუშაოს ასათვისებლად. რა თქმა უნდა, ამასთან ერთად საჭიროა ამა თუ იმ სამუშაოს მოთხოვნათა რაოდენობრივი შეფასება. მხოლოდ ასე შეუძლია როგორც კადრების განყოფილებას, ისე მუშაკს, შეიქმნას რეალისტური წარმოდგენა იმ პირობებზე, რომლებიც საჭიროა ცალკეული საქმიანობებისა და თანამდებობებისთვის. აქედან ყველას შეუძლია გამოიტანოს საკუთარი დასკვნები და დასახოს მომავალი გეგმები.

რამოდენიმე წლის განმავლობაში არსებობდა შეხედულება, რომ ყველაფერი შესაძლებელი უნდა იყოს — ყველას უნდა შეეძლოს საშუალო განათლების მიღება, ჰქონდეს უმაღლესი განათლების მიღების უფლება და შეეძლოს იმსახუროს სასურველ თანამდებობაზე. ამ ილუზორული პოზიციის შედეგები ახლა სახეზეა: დაწყებული უნდა დამთავრდეს; ყველამ უნდა დაინახოს, რომ ეპოქა და კულტურა ადამიანის ბიოგრაფიის გადამწყვეტი კომპონენტებია; და რომ ყოველ კულტურასა და ეპოქას გააჩნია დადებითი და უარყოფითი მხარეები და შესაძლებლობების ლიმიტი. ადამიანმა უნდა ისწავლოს, თავი გაართვას მათ.

ახალგაზრდებისთვის, რომელნიც სწავლობდნენ მოსამზადებელ კოლეჯში ან უნივერსიტეტში და ამის გამო გვიან დაიწყეს მუშაობა, სხვადასხვა პირობებში და სხვადასხვა თანამდებობებზე გამოცდილების დაგროვების ფაზა რამდენადმე განსხვავებულია. როცა ორგანიზაცია ყოველწლიურად ღებულობს დაახლოებით 23 წლის ასაკის პოლიტიქნიკური ან პროფტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა გარკვეულ რაოდენობას, მაშინ ეს ახალმოსულები შეიძლება გადადიოდნენ ერთი განყოფილებიდან მეორეში. თითოეულმა მათგანმა ყოველ განყოფილებაში საკმარისად დიდი დრო უნდა დაჰყოს, რათა არ გამოუვიდეს განყოფილებისთვის მხოლოდ „თვალის გადავლება“. ორი წელი ამისთვის შესაფერისი პერიოდია. ეს წლები უნდა მოიცავდეს ნამდვილი სწავლებისათვის განკუთვნილ დროსა და საპასუხისმგებლო სამუშაოსთვის განკუთვნილ პერიოდს.

30-იანი წლების დასაწყისში ინდივიდმა კვლავ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება — გადავიდეს სხვა განყოფილებაში და იქ გაიაროს შემდგომი სპეციალიზაცია, ან ზოგად მენეჯმენტს მიუბრუნდეს და იმუშაოს, ვთქვათ, განყოფილების უფროსის თანაშემწედ. თუ ადამიანი აირჩევს პირველს, მაშინ ის უფრო ტექნიკურად ან მეცნიერულად ორიენტირებულია; ხოლო თუ მეორეს აირჩევს, მაშინ ორგანიზატორულ ან ადამიანთა მართვის სფეროში იმუშავებს.

ამრიგად, ორგანიზაციას გააჩნია 35 წლის ადამიანთა დიდი კონტინგენტი, რომელთაგან თითოეულმა შეძლო საკუთარი გზის პოვნა ინდივიდუალურ შრომით ცხოვრებაში. არ არის გასაკვირი, რომელიმე ორგანიზაციაში ვერ მოხერხდეს განვითარების გარკვეული შესაძლებლობის რეალიზაცია. მაშინ ორგანიზაციის და თვით მუშაკის ინტერესს შეადგენს სხვა დაწესებულებაში გადასვლა, სადაც შესაძლებელია ამ მიმართულებით წასვლა. ამ შემთხვევაში ორგანიზაციისა და მუშაკის ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა.

დაუკმაყოფილებელი თანამშრომელი არც ერთ ორგანიზაციას არ მოუტანს სიკეთეს. და ვერც ერთ მუშაკს ვერ არგებს

ისეთი სამუშაო, რომელიც აშკარად ეწინააღმდეგება მის განვითარებას. აქედან გამომდინარე, საჭიროა სამუშაო ძალის მობილურობის ხელშეწყობა, რაც რამოდენიმე ხნის წინ ჯერაც არ იყო საყოველთაოდ მიღებული ვეროპაში. მაგ., ათი წლის წინ ეჭვის თვალით უყურებდნენ დაახლოებით 34-37 წლის ადამიანს, რომელსაც უკვე ოთხი სამსახური პქონდა გამოცვლილი. ამერიკაში, პირიქით, იგივე რეაქცია იყო მოსალოდნელი, თუკი ადამიანს იმავე ასაკში მხოლოდ ერთი სამუშაო გამოეცვალა. ნათელი იყო, რომ მას ნაკლები ინიციატივა და პატივმოყვარეობა გააჩნდა. სამუშაო ძალის მობილურობას ყველანაირად უნდა ეწყობოდეს ხელი.

როცა ბავშვი იზადება, ვიცით, რომ ის მარადიულად არ იცოცხლებს: იგი გარდაიცვლება და სხვებს დაუთმობს ადგილს. ორგანიზაციაზე კი ფიქრობენ, რომ მუდმივად უნდა იარსებოს; შესაძლებელია მისი წარმოქმნა, სიკვდილი კი არა, რადგანაც ეს შერცხვენა იქნებოდა. მაგრამ სოციალურ ორგანიზაციებს, ისევე როგორც ყოფიერების სხვა ფორმებს, გააჩნია სიცოცხლის საკუთარი ხანგრძლივობა. თუ შევეცდებით, ხელოვნურად შევუნარჩუნოთ მათ სიცოცხლე, მათი სტრუქტურა გაქვავდება. ისინი ან უნდა შეცვალოს ახალმა, ახალგაზრდულმა ინიციატივებმა, ან ძირეულად უნდა გარდაიქმნან ახალგაზრდა თაობის მიერ ისე, რომ ფაქტობრივად ახლიდან დაიბადონ. მაგ., ასეთ მოძველებას განიცდიან ჩვენი უნივერსიტეტები; კარგი იქნებოდა, რომ მათში შიგადაშიგ განახლების ქარი ქროდეს. რა თქმა უნდა, რეფორმამ დროთა განმავლობაში უნდა აჩვენოს თავისი მართებულობა.

ორგანიზაციები ცხოვრების იმავე ფაზებს გადიან, რასაც მათი შემოქმედნი. მაგ., შეიძლება ვილაპარაკოთ ორგანიზაციის კბილების მოცვლის, გარდამავალი ასაკისა და ადრეული მოზრდილობის ფაზებზე. მაგრამ ეს პრობლემები ცალკე გამოკვლევას საჭიროებს. ეს საკითხები განხილულია ჩემს ნაშრომში „განვითარებადი ორგანიზაცია“.

საკადრო პოლიტიკის ერთ-ერთი განსაკუთრებული ასპექტია



იმ თანამშრომლებზე ზრუნვა, რომელნიც 40 წლის ასაკს უახლოვდებიან, რათა გაეწიოს წინააღმდეგობა მათ მიდრეკილებას, მიეჯახჭვონ ერთ სამუშაოს, რომელიც შინაგან სიმტკიცეს ანიჭებთ. აუცილებელია დაისვას შემდეგი კითხვები: უფიქრიათ თუ არა მათ მსგავს ან სხვა სახის სამუშაოზე? თვლიან თუ არა საკუთარ თავს შეუცვლელებად? თავად ხომ არ ახდენენ თავიანთი სამუშაოს იმგვარ ორგანიზებას, რომ შეუცვლელნი იყვნენ? ხელს უწყობენ თუ არა განვითარებაში ახალგაზრდა, იმედისმომცემ თანამშრომლებს? თუ გასაქანს არ აძლევენ აქტიურ ახალგაზრდა მუშაკებს, რადგანაც ეშინიათ, რომ ისინი ადგილს წაართმევენ?

ამ კითხვებს მოცემულ პიროვნებასთან საუბრისას უნდა გაცუცხოს პასუხი. 40-იანი წლების შუაში ირკვევა, თუ ვინ შეძლებს თვითონ გადადგას უკანასკნელი ნაბიჯი წინ და დაიკაოს ხელმძღვანელის თანამდებობა და ვინ ვერ მოახერხებს ამას დახმარების გარეშე. არაა აუცილებელი, ყველამ მიაღწიოს ამ დროს განვითარების მწვერვალს. მაგრამ ორგანიზაციას ყველა სფეროში (იქნება ეს დირექტორის, უფროსი მედლის, ბუღალტრის თუ ადმინისტრატორის თანამდებობა) ესაჭიროება ადამიანები, რომელნიც არ გადაიქცევიან ფრუსტრირებულ ტირანებად. დაახლოებით 55 წლის პატარა ტირანები დიდ დაბრკოლებას წარმოადგენენ ყველა დაწესებულებისთვის და დიდ ტკივილს აყენებენ თანამშრომლებს. სწორედ აქ ირკვევა, კადრების განყოფილება მხოლოდ ადმინისტრაციულ და ორგანიზაციულ საქმიანობას ეწევა, თუ თერაპიულ-განვითარებითსაც.

ზოგჯერ უმჯობესია, თუ დახმარება გარეშე პირისგან მოდის: იგი არ ემუქრება ინდივიდის თანამდებობას და შეუძლია უთხრას ის, რასაც ეს ადამიანი არ მოისმენდა კოლეგებისაგან.

დაბოლოს, საკადრო პოლიტიკის ამოცანაა თანამშრომელთა მომზადება საპენსიო ასაკისათვის, მათთვის ხელის შეწყობა, რათა ჩაერთონ არასამსახურებრივ სოციალურ აქტივობებში, იქნება ეს მეზობლების დახმარება, სასკოლო თუ სხვა საზოგადოებრივ სფეროებში მოღვაწეობა.

საკადრო პოლიტიკის შემუშავებაში უნდა მონაწილეობდეს ორგანიზაციის უმაღლესი ხელმძღვანელობა. მისი დანერგვა სპეციალისტების საკმეა, მაგრამ მისი სტილი და მიზანი დაწესებულების ხელმძღვანელობამ უნდა განსაზღვროს. საკადრო პოლიტიკა განსაზღვრავს თვით ორგანიზაციის შეუფერხებელ ფუნქციონირებას.

## VI. ადამიანის ხატი, ბიოგრაფია და ფსიქოთერაპია

### 1. ადამიანის თანამედროვე ხატი

ახლა მსურს მივუბრუნდე წარმოდგენებს ადამიანის შესახებ, რომლებიც საფუძვლად უდევს ფსიქოლოგიის სხვადასხვა მიმდინარეობებს. პირველ თავში შინაგანი ცხოვრების გზა პერსონალიზმის თვალსაზრისიდან განვიხილეთ. სურათი სულ სხვაგვარი იქნებოდა, სხვა ამოსავალი წერტილი რომ ამერჩია. მკითხველს უფლება აქვს იცოდეს, თუ რაში მდგომარეობს ეს სხვა ამოსავალი პუნქტები და რა სფეროებს იკვლევს თითოეული მათგანი.

სხვადასხვა მიმდინარეობები ეყრდნობა განსხვავებულ წარმოდგენებს ადამიანის შესახებ ანდა აზროვნების მოდელს. არსებითად რომ ვთქვათ, არსებობს აზროვნების ოთხი ასეთი მოდელი:

1. ტექნიკურ-მექანიკური და ფიზიკურ-ქიმიური მოდელი.  
ბოლო ხანებში მას სამედიცინო მოდელსაც უწოდებენ;
2. აზროვნების ბიოლოგიური მოდელი, რომლის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია მემკვიდრეობითობის მოდელი ანუ ნატივიზმი;
3. ფსიქოლოგიური მოდელი, რომლის უმთავრესი განშტოებებია ბიპევიორიზმი ანუ მეცნიერება ადამიანის ქცევის შესახებ და ემპირიზმი ანუ მეცნიერება გამოცდილების შესახებ. ამ მიმართულების ნაირსახეობაა სოციალოგიური მოდელი, რომლის მიხედვითაც, ადამიანს მხოლოდ და მხოლოდ მისი სოციალური კლასი განსაზღვრავს;
4. პერსონალისტური მოდელი, რომელიც ორად შეიძლება დაგყოფილიყოს: (ა) ფსევდოპერსონალიზმი, რომლის მიხედვითაც პიროვნება მემკვიდრეობითობისა და გამოცდილების ურთიერთქმედების შედეგია და (ბ) ნამდვილი პერსონალიზმი, რომელიც მემკვიდრეობითობისა და აღზრდის გვერდით სცნობს

აუთენტიკურ „მესამე ძალას“. პერსონალიზმის სხვადასხვა წარმომადგენლები ამ მესამე ძალას უწოდებენ პიროვნებას, ინდივიდუალობას, მაღალ მეს ან თვითებას<sup>6</sup>. იგი არის სულიერი „გემეტალტი“ სულიერ სინამდვილეში.

ამ მიმდინარეობებიდან თითოეულს საკუთარი მოდელი მიაჩნია ერთადერთ მეცნიერულად სწორ მოდელად. მაგრამ მათთვის, ვისაც შეუძლია სხვადასხვა თვალსაზრისების მიღება ან სხვადასხვა მოდელებში აზროვნება, ცხადია, რომ თითოეულ მათგანს საკუთარი მეცნიერული მეთოდი გააჩნია. ამა თუ იმ მოდელიდან და შესაბამისი მეცნიერული მეთოდიდან გამომდინარე იმება სრულიად განსაზღვრული კითხვები, რომელთაც განსაზღვრული პასუხები გაეცემა.

ფსიქოლოგიური ან პერსონალისტური მოდელი ვერ გადაჭრის ფიზიკურ-ქიმიურ პრობლემებს; ბიოლოგიური მოდელის გამოყენება დაუშვებელია ფსიქოლოგიური ან პერსონალისტური პრობლემების გადასაჭრელად. სხვა სიტყვებით, აზროვნების თითოეული მოდელი ადამიანის რედუცირებულ სურათ-ხატს იძლევა. ამასთან დაკავშირებით ვლადიმერ კობთ ბიოლოგიზმზე, ფსიქოლოგიზმზე, სოციოლოგიზმზე. მარქსიზმი და ისტორიული მატერიალიზმი ეყრდნობა ადამიანის სოციოლოგიურ ხატს, ბიპევიორიზმი — ფსიქოლოგიურს.

ეს ურთიერთგანსხვავებული სურათ-ხატები სხვადასხვა ფსიქოლოგიურ სკოლებში შეიძლება ვნახოთ. გარკვეული პერიოდის განმავლობაში რომელიმე ერთი მათგანი არის საყოველთაოდ მიღებული, შემდეგ კი მას მეორე ცვლის. მაგ., ამ საუკუნის დასაწყისში განათლებულ და მეცნიერულ წრეებში ბიოლოგიური ნატიფიზმი იყო გავრცელებული. მის მიხედვით, ცხოვრების მიმდინარეობას განსაზღვრავს მემკვიდრეობითობის ფაქტორების სრულიად შემთხვევითი ხასიათის ურთიერთქმედება სოცოცხლის ბოლოს კი ყველაფერი მთავრდება.

1920-იან წლებში ფსიქოლოგიაში წინ წამოიწია ბიპევიორიზმმა (ქცევის მეცნიერება). აქ მემკვიდრეობითობა თითქმის არავითარ როლს არ თამაშობს, ადამიანის ქცევას განსაზღვრავს აღზრდა და კულტურა უოტსონი ამბობდა: „იმშეცით რამოდენიმე ჯანმრთელი, კარგად

6) Selbsi(გერმ.), Selbst(ინგლ.).

განვითარებული ჩველი ბავშვი და თითოეულს იმად გაქცევ, რადაც მოისურვებთ“.

ემპირიზმი უმთავრესად ამერიკაში გავრცელდა, სადაც დიდი პედაგოგიური ერთეულია ზნეობა. მის მიხედვით, საუკეთესო აღზრდით საუკეთესო სამყაროს შექმნა შეიძლება!

თავისი თანამედროვე ფორმით პერსონალიზმი 1930-იან წლებში წარმოიშვა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბუნდოვანი ფსევდოპერსონალიზმი საფუძვლად დაედო აღზრდა-განათლების რეფორმას. აღზრდა აღარ მიაჩნდათ პირობითი რეფლექსების ან ვარჯიშის პროცესად, არამედ ითვლებოდა თვითაღმოჩენის, თვითგანვითარებისა და თვითრეალიზაციის წინამძღვრად. ახლა ინტერესის ობიექტად ინდივიდის შემოქმედებითი ძალების გამოვლილება იქცა ეს იდეები შემდგომში გადაიტანეს მოზრდილთა განათლებასა და სოციალურ სამსახურში.

ამავე დროს, არსებობენ ნატივიზმისა და ემპირიზმის ფანატიკური მიმდევრები, რომელნიც ცდილობენ აღზრდა-განათლებაში აღმოფხვრან ეთიკური მაღალფარდოვანი ლაპარაკი პიროვნების ღირებულების შესახებ. ზოგიერთის ლოზუნგია *სელექცია*, ზოგისა — *პროგრამირებული სწავლება*. ისინი მზად არიან ხელიხელაკიდებულებმა იმეშაონ, ოღონდ თუ პიროვნება განზე დარჩება. შეიძლება ზოგჯერ სრულიად მოულოდნელად გამოჰქვავდეს პიროვნებისადმი ეს ზიზღი. პოლანდელი ბიოლოგის დ. პილენიუსის სტატია, სადაც იგი იხილავს სკინერის წიგნს თავისუფლებისა და ღირსების მიღმა შემდეგი სიტყვებით იწყება: *ამ ნაშრომს, განსაკუთრებით მის დასაწყისს, ხალისით წაიკითხვენ ისინი, ვისაც გაზუდმებით აღიზიანებს ადამიანის სიღრმისეული მოტივების, ადამიანის უნიკალურობის, ავტონომიურობის, თვითცნობიერებისა და თავისუფლების შესახებ ქადაგება.*<sup>7)</sup>

ესაა ემპირიზმის ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენლის წიგნის განხილვა ჭეშმარიტი ნატივიზმის მიერ. არაა გასაკვირი, რომ პილენიუსი მალე კარგავს ყოველგვარ ინტერესს, რადგან სკინერი ერთ სიტყვასაც არ ძრავს მემკვიდრეობითობაზე. კრიტიკა მეცნიერული დისკუსიის ფარგლებში რჩება. მისთვის და-

7) ხაზგასმა ბ. ლივებუდისა

მახასიათებელია მოწყალეებითი კილო და გაღიზიანება, რომელიც პერსონალიზმის ხსენებისას ვლინდება. ეს გაღიზიანება შეიძლება მხოლოდ იმას ნიშნავდეს, რომ ამ ადამიანებს სურთ, რაღაც არ უნდა დაუჯდეთ, საკუთარ თავში რაღაც ჩაახშონ.

### **ტექნიკურ-მექანიკური მოდელი**

აზროვნების ამ მიმართულებას მრავალი მიმდევარი ჰყავდა გასულ საუკუნესა და ამ საუკუნის დასაწყისში. ადამიანი სხვადასხვა მანქანების კომბინაციად ითვლებოდა. აქედან წარმოდგება, მაგ., შეხედულება გულზე, როგორც ტუმბოზე, რომელიც ჯერ კიდევ პოპულარულია სამედიცინო მოდელში.

აზროვნების ტექნიკურ-მექანიკური მოდელის გვერდით განვითარდა ფიზიკურ-ქიმიური მოდელი. მის მიხედვით, სიცოცხლე და თვით ადამიანიც არის ქიმიური ჯაჭვური რეაქცია, საიდანაც ყველაფრის ახსნაა შესაძლებელი. ფიზიკურ-ქიმიური მოდელის აღორძინება მოხდა ბიოგენეტიკაში XX საუკუნის შუა წლებში. მასზე უფრო მეტს ვიტყვი ნატივიზმის ბიოლოგიური მოდელის განხილვისას.

### **ნატივიზმი**

თანამედროვე ნატივიზმი ადამიანს ბიოლოგიურ თბიექტად წარმოგვიდგენს, მთლიანად დაპროგრამებულს გენეტიკური კოდით, პოპულარულად რომ ვთქვათ, შემკვიდრეობითობით. ადამიანი არის ენდოსომატური ანუ შიგნიდან განსაზღვრული არსება. აქედან ცხადია, რომ ნატივიზმს სრულიად არ აინტერესებს ადამიანის სულიერი ბიოგრაფია; მისთვის არსებობს მხოლოდ სამი ფაზა: ახალგაზრდული ზრდა, მოზრდლობის ასაკის წონასწორობა და დაშლა ანუ ინვოლუცია. ადამიანის ცხოვრების ყველა სხვა გამოვლინება ამ ფენომენებით უნდა აიხსნას. ამასთან, მხოლოდ ზრდის ფაზაშია შესაძლებელი განვითარება (როგორც უკვე მოცემულის განვითარება).

ნატივიზმის ისტორია ისევე ძველია, როგორც კაცობრიობისა

მაგ., შინაური ცხოველების მოშენება უძველესი დროიდან ხდებოდა, ამ პირველ მომშენებლებს მემკვიდრეობითობის კანონების ინსტინქტური ცოდნა გააჩნიათ. მეორე მხრივ, ადამიანთა ყველა ერთობაში სოციალური წესრიგის საფუძველი იყო კასტის, მეფობის, კეთილშობილების, მოგვიანებით კი პროფესიის მემკვიდრეობითობა. მემკვიდრული უფლებები ქმნიდა ფეოდალური საზოგადოების საფუძველს. ადამიანი მემკვიდრეობით იღებდა როგორც უფლებებს, ისე მოვალეობებს. ღმერთმა შექმნა ადამიანები რანგებისა და მდგომარეობების მიხედვით. ადამიანი იბადებოდა ან ბატონად, ან მსახურად. ვინც დაარღვევდა ამ წყობას, მოღალატედ ითვლებოდა და სიკვდილს იმსახურებდა.

XIX ს-ში ევოლუციის თეორიის ძიების შედეგად ახალი ნატივიზმი აღმოცენდა. მის დასახასიათებლად საკმარისია დარვინისა და ჰეკელის სახელების ხსენება.

ადამიანის წარმოშობის შესახებ ამ თეორიამ XX ს-ში კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ ფროიდის ფსიქოანალიზში. მისი აზრით, მთელი კულტურა არის მხოლოდ ზესტრუქტურა, სუბლიმაცია ადამიანის ცხოველური ლტოლვებისა, რომელნიც ყველაფერზე ბატონობენ, ხოლო ეს ლტოლვები მემკვიდრულადაა განსაზღვრული. ამას გარდა ქცევას საგრძნობლად განაპირობებს ადამიანის ცხოვრებისეული გამოცდილება, რომელსაც იგი დაბადების შემდეგ იძენს. მაგრამ ამ ადაპტირებული ქცევის უკან იმალება ცხოველური ადამიანი ერთადერთი ლტოლვით: libido sexualis.

ამას წინათ კინოსურათში „მაიმუნი და სუპერმაიმუნი“ პოლანდიელმა რეჟისორმა ბერტ პაანსტრამ სცადა ფართო მასების დამუშავება პრიმიტიული დარვინიზმ-ნატივიზმის იდეებით. რეჟისორი იმასაც გვაცნობებს, რომ ფილმი გადაღებული იყო ბიოლოგებისა და მეცნიერების ხელმძღვანელობით. უკიდურესი დარვინიზმის პოზიციიდანაა აგრეთვე დაწერილი დესმონდ მორისის ძალზე პოპულარული წიგნი „შიშველი მაიმუნი“.

XX ს. შუახანებში აღმოცენდა ნატივიზმის ახალი განშტოება: ბიოგენეტიკა. ბიოგენეტიკოსები ქიმიურად იკვლევდნენ მემკვი-

დრეობითობის მატარებელს, გენს და ააგეს დნმ-ს გიგანტური სპირალური მოლეკულის მოდელი. როგორც კომპიუტერის მაგნიტური ფირი, ისე შეიცავს ეს მოლეკულა მემკვიდრეობითობის კოდს. ადამიანმა იმიტომ დააღწია თავი პრედესტინაციის რელიგიურ მოძღვრებას, რომ მისი ადგილი ახლა პრედესტინაციის ბიოლოგიურ მოძღვრებას დაეკავებინა.

ამრიგად, ნატივიზმმა განვითარების გზა განვლო უძველესი სოციალური ინსტიტუტებიდან ზეთანამედროვე, მეცნიერულ კანონებამდე. ორივესთვის საერთოა წარმოდგენა, რომ ადამიანი დაბადებიდან დეტერმინირებულია — ინდივიდუალური თავისუფლება მხოლოდ მოჩვენებაა.

რამდენადაც ბიოგენეტიკოსი ნატივისტები ე.წ. წმინდა მეცნიერებად რჩებიან, მათ ასე ექსპლიციტურად ფორმულირებული აქსიომატური არჩევანი კანონიერია. იზღუდებიან რა ბიოლოგიური მემკვიდრეობითობის ასპექტებით, ისინი აღწერენ თავიანთ საკვლევ სფეროს, სვამენ გარკვეულ კითხვებს, იღებენ პასუხებს და აზუსტებენ მათ ამ კითხვებისდა მიხედვით მოხაზულ კონტექსტში. მაგრამ მდგომარეობა იცვლება, როგორც კი ისინი სტოვებენ წმინდა მეცნიერული კვლევის სფეროს და გენეტიკური მასალის მანიპულირებით ცდილობენ კაცობრიობის გაუმჯობესებას. ბიოგენეტიკოსი იქცევა ბიოტექნოლოგად, რომელიც ერევა ჩვენს ცხოვრებაში. მათ შორსშიმავალი გეგმები აქვთ: მათი იდეალია მსოფლიო, რომელსაც აკონტროლებენ და მართავენ ბიოქიმიკოსები. ეს იდეალი მსოფლიოს გააცნეს 1962 წელს ლონდონის სიმპოზიუმზე, რომელსაც ყველა დიდი ბიოქიმიკოსი ესწრებოდა ნობელის პრემიის ლაურეატების ჩათვლით: ადამიანის სახეობის სასარგებლო ვარიანტების შექმნის მიზნით გენეტიკური მანიპულაციები ჩათვლილი იყო არა მარტო პრინციპულად შესაძლებლად, არამედ მისაწვდომად უახლოესი 20 წლის განმავლობაში (იხ. Man and his Future - London, 1963). ამით დაიწყება კაცობრიობის ხსნის ახალი ერა.

უკიდურესი ნატივისტები ცდილობენ ყველა სოციალური პრობლემა ენდოსმატური გზით გადაჭრან. ზომიერი ნატივის-



ტები ინტერესდებიან ექსტრაგენეტიკური, ე.წ. პლაზმური, მემკვიდრეობითობითაც, რომლის შესახებაც წლითი წლობით იზრდება ცოდნა. იგი მემკვიდრეობითობაზე გავლენას ახდენს კვერცხუჯრედის პლაზმის საშუალებით.

საკრიტიკებს რა რადიკალურ ბიოტექნიკოსებს, ბაზელელი ზოოლოგი ადოლფ პორტმანი ამბობს: რადიკალური ბიოტექნიკოსისთვის მწერების თჯახი არის ცისფერი ოცნება ადამიანთა სოციალურ ცხოვრებასთან დაკავშირებით. იგი მიუთითებს აგრეთვე იმ საფრთხეზე, რომელიც წარმოიშვება, თუ ეს ტექნიკა ხელში ჩაუვარდება ძალაუფლების მქონე ჯგუფებს ან დოქტრინორ პოლიტიკოსებს. ამას გარდა, ექსტრაგენეტიკური პლაზმური მემკვიდრეობითობის შესახებ გამოქვეყნებულმა მასალამ პორტმანი დააეჭვა გენეტიკოსების განცხადებებში.

ზომიერი ნატივისტები იწყებენ პროგრამისა და გარემოს პრობლემების გათვალისწინებას. ნამდვილად ყველაფრის განსაზღვრელია გენეტიკური კოდი? სხვა სიტყვებით: განსაზღვრავს თუ არა ის არა მარტო სხეულებრივ გამოვლინებებს, არამედ მთლიანი სიცოცხლის ხასიათსაც? ხომ არაა გენეტიკური კოდი განვითარების მხოლოდ ერთ-ერთი ფაქტორი? ხომ არ იძლევა იგი განვითარების შესაძლებლობებს, რომელთა გაშლასაც შემდგომში გარემო (მასში ვგულისხმობ ბიოლოგიურ და ემბრიონულ გარემოს) ან შეუწყობს ხელს, ან შეუშლის?

ნატივიზმიდან გამომდინარე, აღზრდა-განათლების პრობლემების გადაჭრა სრულიად გარკვეული მიმართულებით უნდა ვეცადოთ. აღზრდა-განათლება ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო ზუსტი სელექციის პროცესის მიხედვით უნდა წარიმართოს, რასაც თანამედროვე მასწავლებლების წრეებში ტესტირებას უწოდებენ. მხოლოდ ისინი, ვინც გაიარა სელექციის პროცედურა და აკმაყოფილებს პედაგოგ-ტექნოლოგების მიერ წინასწარ დადგენილ მოთხოვნებს, მოიპოვებენ უმაღლესი განათლების უფლებას, რომელიც ზეგონიერთათვისაა შექმნილი. საფრანგეთში ეს სისტემა დიდ ხანს იყო ბოპულარული და, მართლაც, გამოიწვია სუბერსკოლების — Écoles Supérieures

Polytechniques, Hautes Écoles d'Administration — მიუხედავად წარმოქმნა. ამ სკოლების მოსწავლეთა უმრავლესობა ამ სკოლადამთავრებულია შეილება არიან. მაგრამ არის კი ეს ნიჭიერების მემკვიდრეობითობის საბუთი?

ასევე საუბრობენ „დახურულ საზოგადოებაზე“, რომელიც ღიაა მხოლოდ მათთვის, ვინც ერთმანეთს ხელს ბანს.

ემყარება რა ყველა სასკოლო კლასის ობიექტურ ტესტირებას, ნიდერლანდებში განათლება ნელ-ნელა გადაიქცევა განუწყვეტელი სელექციის პროცედურად, სადაც ტესტებში წარმოდგენილი ნორმები ეხება ყველა ბავშვს — მიუხედავად პიროვნული სტრუქტურისა. ამ ტენდენციაზე, რომელიც ცდილობს განუწყვეტელი სელექციის საშუალებით მიუჩინოს ბავშვებს მათთვის შესაფერისი ადგილი, ტიპური ინგლისური მანერით მოხდა რეაგირება. ბენ პოფმანის წიგნში *ტესტირების ტირანია* ტესტირება ირონიითაა გაკრიტიკებული. სასკოლო ტესტირების ე.წ. ობიექტური შედეგები სულაც არ ნიშნავს ერთსა და იმავეს სხვადასხვა ბუნების ბავშვებისათვის. მრავალარჩევანიანი ტესტების შემთხვევაში განსაკუთრებით ზარალდებიან უფრო გონიერი და რეფლექსიისაკენ მიდრეკილი მოსწავლეები.

ფანტასტიკურ ნაწარმოებში „*მერიტოკრატია*“ აღწერილია 2056 წლის მსოფლიო. მასში დახატულია საზოგადოება, დაფუძნებული მარტოოდენ ინტელექტუალურ მოღვაწეობაზე. რომელიც ადამიანების მთელი სიცოცხლის განმავლობაში მოწმდება ტესტებით. ავტორი აჩვენებს, რომ ასეთ საზოგადოებაში მთელი ცოდნა განისაზღვრება ან წარსულით, ან გამომცდელების მიერ დადგენილი სტანდარტებით. ყველა ერთსა და იმავე უღელშია შებმული. ნაწარმოებში ბოლოს და ბოლოს ხდება იმათი ამბოხება, ვისაც სურს, თვითონ დაუდგინოს საკუთარ თავს მასშტაბი.

მაგრამ ყოველივე ეს ჯერ არ სცემს პასუხს კითხვაზე, თუ რა არის მემკვიდრეობით განსაზღვრული და რა არა.

ყველა პოტენციური ფაქტორი შეიძლება იყოს მემკვიდრეობითი. ქორუსის მიხედვით, მემკვიდრეობითია შემდეგი ფაქ-

ტორები: სხეულებრივი კონსტიტუცია, გრძნობათა ორგანოების ფუნქციონირება, მეხსიერების ფუნქციონირება, ყურადღებისა და ინტერესის გარკვეული ელემენტები, ინტელექტის ტიპი, ემოციების მიმართულობა, განვითარების ტემპი. ეს ძალზე ზოგადი მახასიათებლებია, რომელთა გამოყენებაშიც ადამიანი საკმაოდ თავისუფალია. შეიძლება ითქვას, რომ თავისი ბიოლოგიური ბუნების შიგნით ადამიანს ფართო შესაძლებლობები აქვს. ყოველი კულტურა ამ შესაძლებლობათა მხოლოდ მცირედს მოითხოვს, დანარჩენები კი განუვითარებელი რჩებიან. მცენარის მსგავსად ადამიანს უამრავი მძინარე თვალი გააჩნია, რომელნიც აუხილებიან მხოლოდ ექსტრემულ პირობებში (მაგ., საკონცენტრაციო ბანაკში), ან როცა თავად პიროვნება ანუ მე გადაწყვეტს, მოახდინოს მათი რეალიზაცია თავისი ინდივიდუალური მიზნების დასახვისას.

ემპირისტები მართაღნი არიან, როცა ამბობენ, რომ ადამიანს გაცილებთ მეტი შესაძლებლობა გააჩნია, ვიდრე ცხოვრების მანძილზე მუღავნდება. მაგრამ ემპირიზმს უნდა შევედგეთ, როცა განვითარებას პირობითი რეფლექსების შექმნასთან ან ვარჯიშთან აიგივებს.

მეს გაცილებით მეტის მიღწევა შეუძლია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. ყოველ ადამიანში არის მთვლემარე ძალები, რომელნიც მან თვითონ უნდა გამოაღვიძოს.

აზროვნების ნატივისტური მოდელი იძლევა მიმართულებას, რომლითაც შესაძლებელია გარკვეულ პრობლემათა გადაჭრა. უკვე ვაჩვენე, რომ სკოლისთვის ეს ნიშნავს კლასიდან კლასში განუწყვეტელ სელექციას. პროფშერჩევისას — გასაღებისა და ბოქლომის თეორიას, რაც შემდეგში მდგომარეობს: ახალგაზრდა პიროვნება ან კანდიდატი სამუშაოსთვის არის გასაღები, რომლის ფორმა შეიძლება ტესტებით განისაზღვროს; თუ გავაჩნია მონაცემები სხვადასხვა პროფესიის შესახებ, შეიძლება ვეძებოთ ბოქლომი, რომელიც მოერგება გასაღებს. და როცა ის ნაპოვია, პრობლემა გადაჭრილია. საქმე ეხება მხოლოდ შესაბამისი ადამიანის მოთავსებას შესაბამის ადგილას, ოთხკუთხედი გასაღებისა

— ოთხკუთხედ ნახვრეტში.

ნატივისტები მიუთითებენ, თუ რამდენად განსაზღვრავს მემკვიდრეობითი განწყობა ადამიანის გარეგანოვლინებათა ფორმას. ადამიანის ხასიათიც დამოკიდებულია მემკვიდრეობით დისპოზიციებზე. მაგრამ ეს დისპოზიციები იმდენად მრავალფეროვანია, რომ მათი მხოლოდ მცირედი ნაწილია გამოვლენილი კულტურისა და გარემოს მიერ. მაგრამ ადამიანში მიმდინარეობს ახალი შთაბეჭდილებების გადამუშავების პროცესი, რომელნიც ასევე აყალიბებენ მას. ყველა ინსტრუმენტული, წმინდა ფორმალური ფუნქცია მემკვიდრეობითია. უფრო მეტიც, ინდივიდს მხოლოდ მაშინ შეუძლია სწავლა, როცა მიაღწევს მომწიფებულობის გარკვეულ დონეს. მიუხედავად ფსიქიკური და პიროვნებისეული განვითარებისა, ცხოვრების მანძილზე არსებობას განაგრძობს ძირეული მემკვიდრული სტრუქტურა. იგი შეიძლება საფუძველი გახდეს სხვადასხვა ნაგებობებისთვის. ეს ნაგებობა შემდეგში შეიძლება ნაწილობრივ დანგრეულ და გარდაქმნილ იქნეს. (ქორუსი)

### *ემპირიზმი და ბიჰევიორიზმი*

ემპირიზმის და ბიჰევიორიზმის ამოსავალი წერტილებია გარემოს ეგზოსომატური ზეგავლენა, რომელსაც ადამიანი დაბადების შემდეგ ექვემდებარება აღზრდისა და ქცევის კულტურით განპირობებულობის გამო.

ემპირიზმმა წარმატებით მიუთითა ნატივიზმის სუსტ მხარეებზე. ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტიკული არგუმენტი ბიოლოგიური ხასიათისაა: ემპირისტები ხაზს უსვამენ, რომ ადამიანი ძუძუმწოვარია, რომელიც სხვა ძუძუმწოვრებისაგან განსხვავებით ინსტინქტთა მცირე რაოდენობით იბადება. მეცნიერული ენით რომ ვთქვათ, ადამიანი არის ნაადრევად დაბადებული, ბუდიდან ადრე ამოფრენილი. მას ბუდიდან ადრე ამოფრენილისთვის დამახასიათებელი გახსნილი გრძნობის ორგანოები გააჩნია, მაგრამ ბუდეში მცხოვრების უმწეობაც ახასიათებს. ამ თვალსაზრისითაც, ადამიანი გამოჩნდება ცხოველთა სამყაროში. კანისა და თმის ფერი,

საერთო შესახედაობა, სხეულებრივი კონსტიტუცია შეიძლება მემკვიდრეობითი იყოს, მაგრამ როგორც ძუძუმწოვარი, ადამიანი ნაადრევად დაბადებულია. მისი ემბრიონული პერიოდი შემოკლებულია: დაბადებისას ნერვული სისტემა ბოლომდე არაა განვითარებული ის, რაც ხბოს დაბადებისთანავე შესწევს — დგომა, სიარული, დედისაკენ გზის პოვნა — ადამიანის შვილს გარემომ უნდა ასწავლოს.

უფრო ხანგრძლივი ემბრიონული პერიოდის წყალობით უმაღლეს ძუძუმწოვრებს გააჩნიათ დასრულებული რეფლექსური სისტემა და მათი სახეობისთვის დამახასიათებელ ინსტინქტთა მთელი კომპლექსი. ეს ინსტინქტები უცხო გარემოშიც კი ელინდება, სადაც ქცევის სხვა ფორმებია შესაფერისი. (ამის კარგი მაგალითია ქათამი, რომელიც იხვის კვერცხებზე იჯდა და გაცივებით უყურებს წიწილებს, რომელნიც წყლისაკენ გარბიან) ადამიანის შვილი ვერასოდეს გახდება ადამიანი, თუ რეფლექსური მოქმედებების გვერდით (წოვა, დახამება და სხვა) არ შეიძენს სოციალურ ქცევებს (მეტყველება, აზროვნება). ლანგეფელდის გამოთქმა რომ ვიხმართ, ადამიანი დამოკიდებულია აღზრდასა და სწავლებაზე. ამდენად, ეგზოსომატური განვითარების ცნება მოიცავს სიარულს, მეტყველებას, აზროვნებასა და კულტურის გავლენით შექმნილ სხვა უნარებს.

ბიოლოგიური მემკვიდრეობითობის გარდა არსებობს კულტურული მემკვიდრეობითობაც, რომლის საშუალებითაც — აღზრდისა და სწავლების გზით — კულტურა მომდევნო თაობებს გადაეცემა. ეს გადაცემა დიდად განსაზღვრავს, თუ რომელი მემკვიდრეობითი შესაძლებლობები განვითარდება ინდივიდში. ბავშვი ამართულ სიარულსაც კი ვერ ისწავლის, თუ გარემო არ სთავაზობს ამის მაგალითს — რომ არაფერი ვთქვათ მეტყველებასა და ადამიანთა კულტურის სხვა ფორმებზე. ადამიანის ინსტინქტები რუდიმენტულია, შემოიფარგლება გარკვეული ძირითადი ინსტინქტებით, როგორცაა საკუთარი თავის გადარჩენის სურვილი.

თუ ადამიანი განვითარდა ჯოგებად მცხოვრები ჯგუფებიდან, როგორც ამას ნატივისტები ამტკიცებდნენ, მაშინ მას სახეობის შენარჩუნების ინსტინქტიც კი დაუკარგავს. ჯოგებად მცხოვრებ ცხოველებში ერთი და იმავე სახეობის ორ წარმომადგენელს შო-

რის ბრძოლა მაშინვე წყდება, როცა მებრძოლთაგან ერთ-ერთი დამორჩილების ნიშანს იძლევა. აქ ბრძოლა ემსახურება იერარქიის დამყარებას ან გამტკიცებას და არა სახეობის წარმომადგენლების მოსპობას.

გორდონ ოლბორტის სიტყვებით, ემპირისტები ლოკისეული ტრადიციით ცხოვრობენ. ამ ტრადიციის ყველაზე ცნობილი დებულებაა ლოკის განცხადება, რომ დაბადებისას ადამიანი არის *tabula rasa*, სუფთა ფურცელი და ყველაფერს შეგრძნებებიდან იღებს. ამ აქსიომიდან შეიძლება განვითარდეს მეცნიერება, რომელმაც საშართლიანად შეიძლება უწოდოს თავს ქცევის მეცნიერება. თუ კიდევ გავყვებით ლოკისეულ აზროვნებას, რომლის მიხედვითაც მარტივი იდეა რთულ მთლიანობაზე უფრო მნიშვნელოვანია, ხოლო რთული ეს არის მარტივი იდეათა ჯამი, მაშინ დაუბრკოლებლივ შეგვეძლება უფრო მარტივი კონსტელაციათა ძიება და მარტივი ელემენტებისაგან რთულის რეკონსტრუქცია.

ამის საპირისპიროდ, არსებობენ ისეთი ადამიანებიც, რომელნიც მიუთითებენ, რომ თუმცაღა საყდარი არის ყველა აგურისა და ქვის ერთობლიობა, რითაც ისაა აგებული, ამას *ემატება* პროექტი, რომელიც თითოეულ ქვას მის ადგილსა და დანიშნულებას ანიჭებს. განსხვავებით ემპირისტებისგან და მათი მოძღვრებისა ელემენტების შესახებ, პერსონალისტებს აინტერესებთ საყდრის პროექტთან დაკავშირებული პრობლემები. ამ პრობლემებს აღნიშნავენ ცნებებით „მთლიანობა“<sup>8)</sup> ან „ფორმა“<sup>9)</sup>, ჩვენს შემთხვევაში კი — პიროვნება.

ამა თუ იმ მეცნიერების აქსიომატური პრინციპი ყველაზე ცხადად ვლინდება ამ მიმდინარეობის რადიკალურ წარმომადგენლებში, რომელთაც პყოფნით გამბედაობა, ბოლომდე მიიყვანონ ამ აქსიომიდან გამომდინარე მსჯელობა. ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინ უოტსონი ამტკიცებდა, რომ ჯანსაღი ჩვილი ბავშვისაგან იმას გამოიყვანდა, რასაც მისგან მოითხოვდნენ. პედაგოგიური ფსიქოლოგიის ცნობილი წარმომადგენელი სკინერი კი აცხადებდა, რომ ნებისმიერი ადამიანი

8) Ganzheit(გერმ.)

9) Gestalt(გერმ.)

შეიძლება ნებისმიერი სახის პროფესიისთვის აღიზარდოს, თუკი მივმართავთ მის (სკინერის) მეთოდს, რომელიც შეიმუშავა მშვიერი გირთხებისა და მტრედების გაწვრთნით. სკინერის აზრით, სამყაროს მთელი უბედურების მიზეზი ისაა, რომ ადამიანები არასაკმარისად გაწვრთნილნი არიან, რათა გამოიცნონ, თუ რა არის კარგი-სასიამოვნო და ცუდი-უსიამოვნო.

სკინერმა საგრძნობი ზეგავლენა მოახდინა დღევანდელ პედაგოგიკაზე, თუმცა ეს გავლენა მცირდება. ადამიანები ნელ-ნელა აცნობიერებენ, რომ უმარტივეს სტიმულსაც კი პიროვნებისთვის საგსებით განსაზღვრული მნიშვნელობა გააჩნია. თუ ეს მნიშვნელობა არ შეიცვლება, დასწავლას არ ექნება ადგილი. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ქცევის თერაპიისთვის, სადაც წმინდა გარეგნული დასწავლის მეთოდი უკუგდებულ იქნა. მაგრამ სკინერისეული სკოლიდან ჯერ კიდევ მომდინარეობს იდეები, რომელთა მიხედვით, პროგრამირებული სწავლებისა და მრავალარჩევანიანი გამოცდების საშუალებით ადამიანებს უნდა დაგასწავლოთ გარკვეული სახის, ამა თუ იმ პროფესიისთვის ან მეცნიერული მუშაობისთვის აუცილებელი მოქმედებები. წარმოებაში ამას უწოდებენ „საუკეთესო სახის ტრენინგს“.<sup>10)</sup> სკინერი წუხს, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არასწორად ვიყენებთ მის შესანიშნავ მეთოდს. მისი აზრით, პერმანენტული დასწავლა მხოლოდ მაშინ მიიღწევა, თუ ხდება სწორი ქცევის სისტემატური განმტკიცება და მცდარის იგნორირება. სინამდვილეში ჩვენ ვსჯით არასწორი მოქმედებებისთვის (მაგ., დაბალი ნიშნის დაწერით ან მოსწავლის ჩაქრით), ხოლო სწორ მოქმედებებს ჩვეულებრივად მივიჩნევთ (ანუ უგულებელვყოფთ მათ). ამით ადამიანში აღმოცენდება არასწორ მოქმედებათა შიში, რომელიც სულ უფრო ინტენსიურად გაბატონდება ცნობიერებაზე. სკინერის „დადებითი განმტკიცების“ მეთოდს წარმოებაშიც იყენებენ, კერძოდ, მუშაობის მოტივაციის ასამაღლებლად. ამ მეთოდს დღესდღეობით მართვის კურსებზეც ასწავლიან.

სკინერი საგსება იდეებით, რომელთა საშუალებითაც შესა-

10) One best way training(ინგლ.)

ძლებელია სამყაროს პრობლემების გადაჭრა. ის მომხრეა სრულიად დეტერმინირებული საზოგადოებისა, რომელიც აგრესიისგან თავისუფალია და შეიცავს გეგმაზომიერად დანაწილებულ როლებს, რაც თითოეულ ადამიანს უდიდეს ბედნიერებად მიიჩნია. ამავე დროს სკინერი გვერდს არ უვლის კითხვას, თუ ვინ უნდა განსაზღვროს, რა არის კარგი და ცუდი. პიროვნება, რომელიც ამას ადგენს, ვარ მე, — განაცხადა მან ერთხელ. მთლიანად განპირობებულ სამყაროში მხოლოდ ის არ იქნება განპირობებული. ბოლოს და ბოლოს, ვინმე ხომ უნდა დარჩეს, რომელიც პროგრამას შეადგენს!

თავისი თეორია სკინერმა განავითარა უმთავრესად მშვიერი ვირთხებისა და მტრედების გაწვრთნის შედეგად. ეს მშვიერი ცხოველები მზად იყვნენ დაერღვსათ შინაგანი ინსტინქტები და შეესრულებინათ ყველანაირი ხრიკები, რათა მოეპოვებინათ საკვები და მოეკლათ შიმშილი. სკინერი ამ ექსპერიმენტულ მოდელს აიგივებდა ადამიანში მიმდინარე დასწავლის პროცესთან. მაგრამ ვირთხა სულაც არ მოისურვებს სკინერისეული ხრიკების შესრულებას, თუკი მშვიერი არაა. მართალია, ადამიანიც შეიძლება მზად იყოს, სიცოცხლის გადასარჩენად საოცრებები ჩაიდინოს. მაგრამ ვირთხისაგან განსხვავებით იგი იმიტომ ისწავლის, რომ დაინტერესებულია ამით, მაგ., მათემატიკური პრობლემის გადაჭრით ან სანსკრიტული ტექსტით. და ეს მაშინაც შეუძლია, როცა მშვიერი არ არის.

ძირითადი, რისთვისაც პერსონალიზმი აკრიტიკებს ემპირიზმს, არის ამ უკანასკნელის უუნარობა, განასხვავოს მოტივაციის დონეები. მიუხედავად ამ კრიტიკისა, ემპირიზმსა და ბიპევიორიზმს მნიშვნელობას ვერ დაგუკარგავთ. თითქმის საუკუნოვანი ბეჯითი ბიპევიორისტული კვლევის შედეგად მიღებულია დიდძალი მასალა, მარტივი ელემენტებისა და თეორიების ნამდვილი ოკეანე, რომელნიც დამტკიცებულ იქნა ლაბორატორიული ექსპერიმენტებით. ელემენტების კომბინირება, მაგ., სოციო-ტექნიკური სისტემის აგება, შესაძლებელს გახდის გარკვეულ პრობლემათა ნაწილობრივ გადაჭრას.



ბიპევიორისტები თავს მეცნიერული ფსიქოლოგიის წარმომადგენლებად თვლიან, რადგანაც ცდილობენ მეცნიერული ექსპერიმენტით იკვლიონ სათუთად შერჩეული და განსაზღვრული მარტივი ფენომენები. ვინც არ იზიარებს ამ მიმართულების მიერ ამორჩეულ(და ამდენად აქსიომატურ) მიზნებსა და მეთოდებს, არამეცნიერულად მუშაობს და განეკუთვნება ლიტერატორებს ან მათ, ვინც სუბიექტურ მტკიცებებს იძლევა. ყოველი პიპოთეზა უნდა დამტკიცდეს რემპროდუცირებადი ექსპერიმენტით ან სტატისტიკური კვლევით (ვან ლენტი).

ამ გზით მართლაც შეიძლება ზოგიერთი ასპექტის კვლევა. მაგრამ თუ გვსურს, შევიმეცნოთ მთლიანი ადამიანი მის სასიცოცხლო გარემოში (და არა რამოდენიმე ცვლადამდე ხელოვნურად დაყვანილ სიტუაციაში), მაშინ ეს მეთოდი ვერ დაგვეხმარება. ამ საკითხს პერსონალიზმის განხილვისას დავუბრუნდები.

ემპირიზმს მიესადაგება შემდეგი სიტყვები გოეთეს „ფაუსტიდან“:

Dann hat er die Teile in seiner Hand,  
Fehlt, leider! nur das geistige Band. <sup>11)</sup>

და მართლაც, ემპირიზმის მიმდევრები არამეცნიერულად თვლიან „სულიერი ბმის“ ძიებასაც კი.

ემპირიზმმა დიდი ენთუზიაზმი გამოიწვია პედაგოგიურ წრეებში. დევეისა და მისი მიმდევრების კვლევების შემდეგ ახალი იმედი ჩაისახა იმ პედაგოგიკისადმი, რომელმაც უნდა გააუმჯობესოს კაცობრიობა და საზოგადოება. იდეა ადამიანის მოქნილობის შესახებ, რაც შესაძლებელს ხდის მის მომზადებას სხვადასხვა სახის სამუშაოებისთვის, იწვევს პროფესიული მომზადებისადმი ნატივისტების შეხედულების სრულიად საპირისპირო განწყობას. ნატივისტების აზრით, მემკვიდრეობითობის შედეგად ადამიანს მხოლოდ ერთი პროფესიის შესაბამისი თვი-

11) და მას ნაწილები უჭირავს ხელში.  
ვაი, რომ მხოლოდ სულიერი ბმა აკლია.

სებები აქვს. ნატივისტების თეორია გასაღებისა და ბოქლომის შესახებ ემპირიზმმა ყირაზე დააყენა. არსებობს რიგი პროფესიები (ბოქლომები), რომელთათვისაც ყოველწლიურად ადამიანთა გარკვეული რაოდენობაა (გასაღებები) საჭირო. ამრიგად, აუცილებელია ამ გასაღებების გაკეთება. ამას შეიძლება ვუწოდოთ „მოთხოვნაზე ორიენტირებული პროფესიული მომზადება“. რომელშიც გამორიცხულია არასაჭირო სახის განათლება. ყოველწლიურად საჭიროა გარკვეული ოდენობის ტექნიკოსი, ეკონომისტი, მასწავლებელი და ა.შ.. არაა აუცილებელი მეტისმეტად ბევრი მათგანის მომზადება. ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ იმ მოთხოვნებს, რომელთაც სამუშაო უყენებს. ამის საპირისპიროა პერსონალისტის რეკომენდაცია: რაც შეიძლება ფართო განათლება მიეცით ახალგაზრდებს, რაც შეიძლება ფართო ასპარეზი გადაუშალოთ წინ, მოანდომეთ მათ, გააცნობიერონ თავიანთი ცხოვრების მიზანი, დაეხმარეთ არჩეულ გზაზე პირველი ნაბიჯების გადადგმაში. ამ კონცეფციის მიხედვით, პროფესიული მომზადება არის მხოლოდ უზანგი, რომლის მეშვეობითაც ადამიანი ჯდება თავისი პირველი სამსახურის უნაგირზე. შემდეგში ადამიანი ბევრჯერ გამოიცვლის ადგილს. და „ზედმეტი განათლების“ მადლიერიც კი იქნება.

### **პერსონალიზმი**

პერსონალიზმს ნატივიზმსა და ემპირიზმთან შედარებით უფრო ფართოდ განვიხილავ, ვინაიდან ადამიანის განვითარება პერსონალისტური თვალთახედვიდან აღვწერე. პირველ რიგში, ზოგადად მიმოვიხილავ პერსონალიზმის წარმოშობასა და მის მიერ დასმულ საკითხებს, შემდეგ კი უფრო დაწვრილებით განვიხილავ ცალკეულ პუნქტებს.

პერსონალიზმი უძველესი წარმოდგენაა ადამიანის შესახებ. ყველა უძველეს სულიერ კულტურაში ადამიანი აღწერილია როგორც ღვთაებრივი საწყისის მქონე არსება, რომელიც ცხოველებსა და მცენარეებზე მაღლა დგას. მას შთაბერეს მაცოცხლებელი სული და მან ცნობიერებისა და არჩევანის თავისუფ-

ლებისტვის გამოიღვიძა.

ადამიანი საკუთარი მომავლისკენაა მიმართული. იგი მუდამ რაიმე მიზნისაკენ მიმავალ გზაზე დგას. მისი მოქმედებები შეზღუდულია წარსულში შექმნილი უნარებით, მაგრამ ამ ფარგლებში იგი თვითონ ირჩევს მიზანს. საჭიროებისას მას შეუძლია გადაწყვიტოს ახალი უნარის შექმნა. ამით განსხვავდება იგი ცხოველისაგან. ადამიანი ფინალზე ორიენტირებულია. მშვიერ ვირთხას შეიძლება რაიმე დავასწავლოთ, მაგრამ ეს არ იქნება დროში გამძლე. ექსპერიმენტატორმა პირობითი რეაქცია დადებითი გამღიზიანებლით უნდა განამტკიცოს. ეს უკვე პავლოვმა იცოდა ძაღლებზე ჩატარებული ცდებიდან. ესაა ცხოველისთვის ტიპური სტიმულ-რეაქციის სიტუაცია. ადამიანს კი შეუძლია მომწიფების პერიოდში შეცვალოს გარეგანი აღზრდა თვითაღზრდითა და საკუთარი მიზნების დასახვით. და ამას აკეთებს იმისგან დამოუკიდებლად, მშვიერია თუ არა. უფრო მეტიც, ყოველ სტიმულს მთლიანი ფსიქიკისთვის სრულიად გარკვეული მნიშვნელობა გააჩნია.

თანამედროვე პერსონალიზმი (ამერიკაში პუმანისტურ ფსიქოლოგიად წოდებული) სულაც არ უარყოფს მემკვიდრეობითობის პრინციპს, არც ინსტინქტებით ღარიბი ჩვილი ბავშვის აღზრდის აუცილებლობასა და მის დიდ ზეგავლენას პიროვნების ჩამოყალიბებაზე. მაგრამ იგი იმასაც აღნიშნავს, რომ ზრდის პროცესში ადამიანი იმეცნებს თავის ბიოლოგიურ შესაძლებლობებს, თვითონ საზღვრავს, თუ რა უნდა გააკეთოს მომავალში და წარმართავს საკუთარ აღზრდა-განათლებას. მემკვიდრეობითობის, გარემოსა და აღზრდის ზეგავლენის გარდა არსებობს მესამე ძალა, რომლის გარეშეც ვერ ავხსნით ადამიანის რთულ ქცევას.

ნატივიზმი ადამიანს უყურებს, როგორც „განაყოფიერებულ კვერცხუჯრედს“.

ემპირიზმისთვის ადამიანი არის ზრდადი არსება, რომელიც საზოგადოების წევრი ხდება იმიტაციისა და შეგუების, სტიმულისა და რეაქციის საშუალებით.

პერსონალიზმი ადამიანს უყურებს როგორც ზრდასრულ არსებას, რომელიც ეძებს საკუთარ გზას, მიისწრაფის ზრდასრულობისა და სიმწიფის მაღალი საფეხურებისკენ.

პერსონალიზმი იწყებს და ამთავრებს მესამე ძალით, როგორც ამერიკელმა პერსონალისტებმა უწოდეს მას. მაგრამ ჯერ კიდევ არაა ცხადი, თუ როგორ უნდა აღიწეროს ეს ძალა. ამას სხვადასხვა ამოსავალი პუნქტიდან ახდენენ. მაგ., შტრასერი თავის ნაშრომში *ფენომენოლოგია და ემპირიული ანთროპოლოგია* ამბობს, რომ ადამიანის სტრუქტურის არსებითი მხარის შესწავლა არის მთავარი ამოცანა მათთვის, ვინც ადამიანის ბუნებას იკვლევს. მაგრამ რა არის არსებითი? ერთი და იგივეა ის ყველასთვის? სხვა სიტყვებით, არსებობს განყენებული ადამიანური ყოფიერება, დეკარტეს გაგებით, ყოფიერება, რომლის შესწავლა შესაძლებელია გარედან, ობიექტურად?

შტრასერი ამბობს: „როდესაც ფილოსოფოსობას ვიწყებ, რაღაცა ყოველთვის წინასწარაა დაშვებული: ჩემი არსებობა“. „*მე ვაზროვნებ როგორც დასავლეთის კულტურაში გაზრდილი ადამიანი და მე მუდამ ადრინდელ მოაზროვნებებთან ერთად ვაზროვნებ*“.

შემეცნების მისაღწევად დიდი ძალისხმევაა საჭირო. შემეცნება არის აღმოჩენის (საფარველის ახდის)<sup>12)</sup> შედეგი. მაგრამ, ამბობს შტრასერი, აღმოჩენილი მხოლოდ ისაა, რაც გარკვეული გზით და გარკვეული პოზიციიდან აღმოჩენის უფლებას იძლევა და ამგვარად აღმოჩენილი თავად სინამდვილე კი არ არის, არამედ სინამდვილის ერთ-ერთი ასპექტი. დაკვირვება, რომელიც ასე დიდ როლს თამაშობს ობიექტურ კვლევაში, განსხვავდება შეგრძნებებით მიღებული შთაბეჭდილებისაგან. დაკვირვება არის შეკითხვა და აქტიური პროცესი. შეკითხვა პოულობს იმას, რისი დანახვა ან შეხებაც შეიძლება. კითხვის დამსმელმა უკვე იცის, თუ რას ეძებს. თუ აღმოჩენის შედეგად იგი არსებით ფენომენამდე მივა, ეს უკანასკნელი თავისთავად ცხადი იქნება მისთვის. თავის-

12) dis-covery(აზღ.), Ent-deckung(გერმ.)

თავად ცხადის (ევიდენტურის) დამტკიცება შეუძლებელია. ყველა არგუმენტმა, დედუქციამ, მსჯელობამ ბოლოს და ბოლოს უნდა მიგვიყვანოს წყდომამდე, პირდაპირ ან არაპირდაპირ წყდომამდე. იმას, რაც პირდაპირაა დანახული, სხვა ვერაფრისგან ვერ გამოვიყვანოთ. შტრასერის ეს გამონათქვამი იმიტომ მოვიყვანე, რომ ნათელი გამეხადა პერსონალისტის პოზიცია: ზოგიერთისთვის თავისთავად ცხადია, რომ ადამიანი მემკვიდრეობითობის ფაქტორით განსაზღვრული ძუძუმწოვარია და მეტი არაფერი; გარემოს ზეგავლენები უმნიშვნელო და მეორეხარისხოვანია — როგორც კი გადავფხუკო კულტურის ქერქს, იმწამსვე თავს იჩენ შიშველი მაიმუნი. სხვებისთვის ასევე თავისთავად ცხადია, რომ მემკვიდრეობითობა მხოლოდ მეორეხარისხოვან როლს თამაშობს, რომ ადამიანს შეუძლია, გირთხის მსგავსად, დაისწავლოს ქცევა; და ეს ქცევა ერთადერთია, რისი კვლევაც სურთ.

იგივე ქცევა, ოღონდ დანახული უფრო ხანგრძლივი დროის მანძილზე და ლაბორატორიული პირობების გარეშე, მკვლევართა მესამე ჯგუფისთვის პიროვნებისეული გადაწყვეტილების მანიფესტაციაა, რაც მემკვიდრეობითობისა და პირობითი რეფლექსისგან დამოუკიდებელი არის.

ამ შეხედულებებიდან თუ რომელს აირჩევს ინდივიდი, დამოკიდებულია მის მიერ ადამიანში სულიერი ფაქტორების აღიარებაზე. ფრანკლი აღნიშნავდა, რომ ბევრი ადამიანი ბრმა არის სულის მიმართ, რაც სავსებით გასაგებია მატერიალისტურ სამყაროში, სადაც სული მხოლოდ ილუზია შეიძლება იყოს.

გზა ბიპევიორიზმიდან თანამედროვე პერსონალიზმამდე რთული იყო. 1930-იან წლებში სოციალურ ფსიქოლოგიაში აღმოცენდა ნაკადი, რომელიც დაინტერესებული იყო ადამიანთათვის ურთიერთობებით. იგი მოჰყვა 1928-1930 წლებში როეტლის-ბერგერის მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტებს. ამ ექსპერიმენტებიდან აღმოჩნდა, რომ შრომისნაყოფიერება დამოკიდებულია არა მარტო ფიზიკურ ფაქტორებზე, რომლებიც იზომება (ტემპერატურა, განათება ან ჰაერის სისუფთავე), არამედ და უფრო მეტადაც, იმ ადამიანურ ინტერესზე, რომელსაც სხვები ამჟღავ-

ნებდნენ ამ სამუშაოს მიმართ. ფაქტორებს, რომელთა გაზომვაც შეუძლებელია — თბილ დაინტერესებასა და ადამიანურ კონტაქტს — პქონდა ეფექტი, რომელიც იზომება!

ამ გზით პირველად მოხდა ადამიანის ფსიქიკური ასპექტის გათვალისწინება მისი სოციალური ქცევის კვლევისას. ადამიანურ ურთიერთობათა მოძრაობას რამოდენიმე ათწლეული მოუხდა ბრძოლა შრომის ორგანიზატორებთან, რომელთაც სურთ გაზომონ და შეაფასონ მხოლოდ ის, რასაც თვითონ თვლიან გაზომვადად.

იგივე ითქმის კურტ ლევინის გაბედულ მცდელობებზე, ახალი სფეროები აღმოეჩინა სოციალურ ფსიქოლოგიაში, განსაკუთრებით ჯგუფის დინამიკაში. ეს მცდელობები გამომდინარეობდა ჯგუფური სიტუაციების ღრმა განცდიდან. მაგრამ თავის დებულებებსა და თეორიებში ლევინი არ სცილდება მექანიკურ მოდელს, რის გამოც ბევრ გამონათქვამში წმინდა წყლის ბიჰევიორიზმს შევიცნობთ. ეს უპირველეს ყოვლისა ეხება მის ე.წ. ველის თეორიას, რომელიც თანამედროვე რეკლამის ფსიქოლოგიის საფუძველი გახდა. ეს უკანასკნელი სულაც არაა დაინტერესებული იმით, თუ რას განიცდის მომხმარებელი. მთავარია, მან გარკვეული სწრაფვებისა და შემაფერხებელი ძალების მოქმედების შედეგად იყიდოს პროდუქტი. ის, რომ ლევინი ვერ გათავისუფლდა ბიჰევიორიზმის ჯადოსაგან, განპირობებულია იმ პერიოდით, რომელშიც ის მოღვაწეობდა. იგი გარდაიცვალა 1947 წელს. ამერიკაში ამ დროს ნაკლებად იწონებდნენ არაბიჰევიორისტულ მიმდინარეობებს. ლევინი მამაც წინამორბედად დარჩა, რომელსაც მხოლოდ სიკვდილის შემდეგ აღმოუჩნდნენ მიმდევრები და გააგრძელეს მის მიერ აღებული გეზი.

კარლ როჯერსმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ. მან სცადა ერთმანეთთან დაეკავშირებინა ფენომენოლოგიური დაკვირვება და ემპათიური დიაგნოზი. მისთვის ზნეობრივი მოვალეობა იყო აბსოლუტური პატივისცემა მეორე ადამიანის პიროვნებისა. მას შეიძლება მხოლოდ დავეხმაროთ, მიიღოს საკუთარი გადაწყვეტილება, გადაჭრას თავისი პრობლემები, განსაზღვროს

მომავალი. თერაპიული დახმარება მართო მაშინაა განმათავისუფლებელი, როცა დაცულია ნ წინაპირობა ფსიქოლოგსა და მის კლიენტს შორის ურთიერთობაში (სიტყვა კლიენტი შეგნებულადაა ნახმარი, რათა ნათელი გახდეს, რომ ესაა ურთიერთობა, როდესაც რჩევას აძლევენ და არა იერარქიული სიტუაცია). ეს ნ წინაპირობა შემდეგია:

1. ორივე პიროვნება ფსიქოლოგიურ კონტაქტშია ერთმანეთთან;
2. კლიენტს ადვილად შეიძლება მივყვნოთ ჭრილობა;
3. თერაპევტი მშვიდადაა და ჩართულია სიტუაციაში;
4. თერაპევტი კლიენტისადმი განიცდის უსაღზვრო და უპირობო დადებით გრძნობას;
5. თერაპევტი „ემპათიურად“ უკვებს კლიენტს;
6. გადაცემა ამ დადებითი გრძნობისა და ემპათიური გაგებისა გარკვეულწილად შესაძლებელია.

ვინც ამ პირობების შემოქმედების ქვეშ მოექცევა, ან პრაქტიკულად გაეცნობა და გამოსცდის მათ, სულ სხვა მდგომარეობაში აღმოჩნდება, ვიდრე ლეგინის სკოლის მიმდევრები, რომელთაც შეუძლიათ ცივად ჩაერიონ ბავშვების თამაშში, რათა დაადგინონ, თუ რა ზეგავლენას ახდენს თამაშზე ამგვარად გამოწვეული ფრუსტრაცია. ასეთი მეცნიერები თავს იმით იმართლებენ, რომ მეცნიერების წინსვლისთვის საჭიროდ თვლიან ამგვარ სიტუაციებთან შერიგებას. მაგრამ ამას, როგორც წესი, ცდის პირები ახდენენ და არა მკვლევარები.

როჯერსმა შექმნა ფსიქოთერაპევტებისა და, როგორც ის უწოდებს, კონსულტანტების მთელი სკოლა. მათი ამოცანაა, დაეხმარონ ადამიანებს პიროვნულ გასაჭირში და ხელი შეუწყონ პიროვნების განვითარებას. მეთოდი, რომელიც აქედან განვითარდა და რომლის ნ პრინციპი შემოთ დავასახელე, ცნობილია როგორც არადირექტიული ფსიქოთერაპია ან კონსულტაცია. სამწუხაროდ, როჯერსის ბევრმა მიმდევარმა ეს არადირექტიული მეთოდი აბსურდამდე დაიყვანა და დოგმად გადააქცია, რასაც გაურბოდა თვითონ როჯერსი 1960-იან წლებში.

როჯერსის მიზანია ხელი შეუწყოს პიროვნების განვითარე-

ბას (თავად როჯერსი ამას უწოდებდა პიროვნების ცვლილებას): ესაა განვითარება, განსაზღვრული არა მასწავლებლის, თერაპევტის ან ტრენერის მიერ, სუბიექტისთვის თავს მოხვეული, შემდეგი გამოვლენილი წინასწარ შედგენილი ტესტებით, არამედ არჩეული თვით სუბიექტის მიერ და მის მიერვე განხორციელებული. თერაპევტის დახმარება შეიძლება მდგომარეობდეს მხოლოდ იმაში, რომ ხელი შეუწყოს სუბიექტს, შეიცნოს საკუთარი გრძნობები და მიზნები, იპოვოს ალტერნატიული შესაძლებლობები ცხოვრებისეულ სიტუაციებში.

პერსონალისტებს მიეკუთვნებიან აგრეთვე მასლოუ, გორდონ ოლპორტი და მაკ გრეგორი. გორდონ ოლპორტიმ საგრძნობი ზეგავლენა მოახდინა პერსონალისტურ აზროვნებაზე როგორც ევროპაში, ისე ამერიკაში, უმთავრესად თავისი პატარა წიგნით *პიროვნებად ქცევა*, რომელიც მრავალჯერ გამოიცა. სათაური მიუთითებს, რომ პიროვნება არ არის სტატიკური არსება, იგი მუდამ ქმნადობის პროცესშია. მისი განვითარება დაბადებიდან იწყება და მთელი ცხოვრების მანძილზე გრძელდება, მიყვარათ რა ზრდასრულობისა და სიბრძნის უმაღლეს საფეხურებამდე.

განვითარების ეს საფეხურები უკვე აღვწერე წინა თავებში. მე მივუთითე, თუ როგორ აღმოცენდება განუწყვეტლივ ახალი ამოცანები ადამიანის წინაშე, რომელმაც უნდა აითვისოს და გაითავისოს ახალი სიტუაციები. თუ ინდივიდი არ მიაგნებს ამ ამოცანებს, მისი სულიერი განვითარება შეჩერდება და იგი დარჩება ბიოლოგიური განვითარების ანაბარა, მისთვის დამახასიათებელი აღმასვლით, წონასწორობითა და დაკნინებით. აქედან ნათელია, რომ ცხოვრებისადმი პერსონალისტური მიდგომა (ასევე მნიშვნელოვანი ადამიანის აღზრდისათვის) განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა სიცოცხლის მეორე ნახევარში, როცა განვითარების ახალი იმპულსები მხოლოდ სულიერი პიროვნებიდან მომდინარეობს. სიცოცხლის პირველ ნახევარში მიღებული აღზრდითა და სიყრმის შემდგომი თვითდეტერმინაციით საფუძველი ეყრება მომავალ შემოქმედებით აღმავლობას იმ ასაკისთვის, როდესაც ადგილი აქვს ბიოლოგიურ დაკნინებას.



მეცნიერულად ორიენტირებული ემპირისტები პერსონალისტებს ადანაშაულებენ ფსიქოლოგიაში ფილოსოფიური აზროვნების შემოტანაში. ეს საგსებით მართალია. პერსონალისტები აუცილებლადაც კი თვლიან ფსიქიკური ცხოვრების ფრაგმენტებზე მუშაობიდან გადასვლას უფრო ფართო პრობლემების დაყენებასა და მთლიანობითი ხასიათის მოძებნაზე. უფრო მეტიც, სულაც არაა აუცილებელი, არაორგანული სამყაროს კვლევის მეთოდი გამოსადეგი იყოს ადამიანის სამშენებლის კვლევისთვისაც.

*ქორუსი წერს:* ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ყველაზე უკეთ ადამიანის შესწავლა შეგვიძლია, მაშინ როცა ბუნებას მხოლოდ ზედაპირულად შევიძინებთ. ჩვენ შეგვიძლია აღვწეროთ, დავაკვირდეთ მას, დავადგინოთ მიმართებები, მაგრამ მის ნამდვილ არსს მაინც ვერ ვწვდებით. საბუნებისმეტყველო შემეცნება, *ჰეარინგის* თანახმად, არის *ადამიანური შემეცნების იმედგაცრუების საფეხური*, ცოდნის სახე, რომლითაც ვკმაყოფილდებით, რადგან მეტი წინსვლა აღარ შეგვიძლია. მაშინ, მსჯელობს *ალერსი*, კვლევის ისეთი ობიექტის შემთხვევაში, როგორცაა ადამიანი, არასწორია საბუნებისმეტყველო ცოდნით შემოფარგვლა, რადგანაც ადამიანის კვლევა შესაძლებელს ხდის ცოდნის უფრო მაღალ დონეს, კერძოდ, *შიგნიდან წვდომას* ანუ *შიგნიდან გაგებას*. *შიგნიდან წვდომა* ცოდნის უფრო მაღალი ფორმაა. ჩვენ უნდა ვეცადოთ *შეძლებისამებრ* გავიგოთ ან ფსიქოლოგიურად განვჭვრიტოთ; *მხოლოდ მაშინ, როცა ამოიწურება ფსიქოლოგიური გაგების ყველა საშუალება*, შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ ფაქტების ან ფაქტობრივი მიმართებების დადგენის საბუნებისმეტყველო ხერხით.

ახლა მივუბრუნდეთ ამერიკულ სკოლას და განვიხილოთ *აბრაამ მასლოუ* (1908-1970). მისი ყველაზე მნიშვნელოვანი წიგნია *მოტივაცია და პიროვნება*, რომელიც პირველად 1954 წ. გამოქვეყნდა ამერიკაში. 1970-ში, მისი გარდაცვალების წელს, გამოვიდა მეორე, მთლიანად შესწორებული გამოცემა ავტორის ვრცელი წინასიტყვაობით, სადაც იგი აღწერს თავის განვითარე-

ბას 1954 წლიდან.

აღსანიშნავია, რომ მასლოუს ინტერესს შეადგენდა ჯანმრთელი პიროვნება მაშინ, როცა კლინიკური ფსიქოლოგების წარმოდგენა ადამიანზე უმთავრესად ავადმყოფთა შესწავლას ეყრდნობოდა. აქ მოვიყვან რამოდენიმე აბზაცს თავიდან პიროვნება:

კარგად შეგუებული პიროვნების ან კარგი შეგუებადობის ცნება ცოტა გასაქანს იძლევა წინსვლისა და ზრდის შესაძლებლობისთვის. ქროხა, მონა, რობოტი — ყველა შეიძლება კარგად შეგუებული იყოს.

ბავშვის სუბერეგო, ჩვეულებრივ, მიჩნეულია შიშის, დასჯის, სიყვარულის მოკლების, მიტოვებისა და ა.შ. ინტროექციად. ბავშვებისა და მოზრდილების კვლევა, რომელნიც უყვართ, პატივს სცემენ და უსაფრთხოდ არიან, ცხადყოფს სინდისის არსებობას, რომელიც ეფუძნება სიყვარულთან იდენტიფიკაციას, სურვილს, გაახარო სხვები, აგრეთვე სიმართლეს, ლოგიკას, სამართლიანობას, სიმტკიცეს, უფლებასა და მოვალეობას.

ჯანსაღი პიროვნების ქცევა ნაკლებადაა დეტერმინირებული შფოთვით, შიშით, დაურწმუნებლობით, დანაშაულით, სირცხვილით, არამედ უფრო მეტად ჭეშმარიტებით, ლოგიკით, სამართალით, რეალობით, პირდაპირობით, სილამაზით, სისწორით და ა.შ.

სად არიან არაეგოისტობის მკვლევარნი? ანდა შურის არსებობისა? ნებისყოფისა? ხასიათის სიმტკიცისა? ოპტიმიზმისა? მეგობრობისა? რეალიზმისა? საკუთარი თავის გადალაზვისა? გამბედაობის, სიმამაცისა? ეჭვიანობის არქონისა? გულწრფელობისა? სიმშვიდისა? ლოიალურობისა? სანდობისა? პასუხისმგებლობისა?

თავისთავად ცხადია, რომ პოზიტიური ფსიქოლოგიის საგანია ფსიქიკური ჯანმრთელობის შესწავლა (და სიჯანსაღის სხვა ფორმების — ესთეტიკური სიჯანსაღის, ღირებულებების სიჯანსაღის, ფიზიკური ჯანმრთელობის და სხვა). პოზიტიური ფსიქოლოგია მოითხოვს, ვიკვლიოთ კარგი, მტკიცე და გამბედავი,

დემოკრატიული ხასიათის, ბედნიერი, მშვიდი, წყნარი, მშვიდობიანი, თანამგრძობი, სულგრძელი, კეთილი, შემოქმედი, წმინდანი, გმირი, ძლიერი, გენიოსი ადამიანები და კაცობრიობის სხვა დადებითი წარმომადგენლები...

„როგორ ხდება, რომ ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავებულნი არიან, ნაცვლად იმისა, რომ დაემსგავსონ ურთიერთს (აკულტურაციით, კულტურის ზეგავლენის შედეგად გაერთოფროვნებით)?..“

„იმ ადამიანთა, რომელნიც საკუთარი თავის აქტუალიზაციას ახდენენ, გემოვნების, ღირებულებების, განწყობების, არჩევანის საფუძველი უფრო შინაგანია და სინამდვილით განსაზღვრული, ვიდრე რელატიური და გარეგანი. ამდენად, ეს არის მიდრეკილება სწორისაკენ და არა მცდარისკენ, ჭეშმარიტისკენ და არა ყალბისკენ, მშვენიერისკენ და არა მახინჯისკენ. ისინი ცხოვრობენ მყარი ღირებულებების სისტემაში და არა რობოტების სამყაროში, სადაც ღირებულებები არ არსებობს (არსებობს მარტო მოდა, კაპრიზები, სხვათა აზრი, წაბახვა, სუგესტია, პრესტიჟი).“

„ფრუსტრაციის დონე და ფრუსტრაციისადმი ტოლერანტობა შეიძლება ბევრად მაღალი იყოს ადამიანებში, რომელნიც ახერხებენ მეს აქტუალიზებას. იგივე ითქმის დამნაშავეობის, კონფლიქტისა და სირცხვილის დონეზე.“

„ბავშვისა და მშობლების ურთიერთდამოკიდებულებას ჩვეულებრივ ისე იკვლევდნენ, თითქოს იგი ყოფილიყოს მხოლოდ პრობლემების სისტემა, მხოლოდ შეცდომების დაშვების შანსი. ის კი უპირველეს ყოვლისა სიხარულია, სიამოვნებაა, ბედნიერი შემთხვევაა. ეს გარდამავალ ასაკსაც ეხება, რომელსაც ზშირად განიხილავენ, როგორც შავი ჭირის მსგავსს“.

აქ დაწვრილებით ვერ განვიხილავთ მასლოუს თეორიას (პოლისტურ დინამიკას). დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია წაიკითხოს *მოტივაცია და პიროვნების* დანართი. საინტერესოა, რომ მასლოუ ადამიანის შინაგან ბუნებას ნაწილობრივად ინსტინქტურს უწოდებს, კერძოდ, შინაგანი ცხოვრების იმ ნაწილს, რომელზეც ზეგავლენას ახდენს მემკვიდრეობითობა და რომელსაც

ტუნდენცია აქვს, უცვლელი დარჩეს მთელი ცხოვრების მანძილზე. ადამიანის ეს ინსტინქტური ბუნება მოიცავს მის პირველად სასიცოცხლო მოთხოვნილებებს, მის ტემპერამენტს და ტემპერამენტზე მოქმედ უარყოფით ზეგავლენებს, რომელთაც შეიძლება ადგილი აქონდეთ ორსულობისა და მშობიარობისას.

„ნებისმიერ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანია „ნედლი მასალა“, ვიდრე მზა პროდუქტი, შექმნილი ინდივიდის, სხვა ადამიანების, გარემოს მიერ... გარე სამყაროსთან კონტაქტში შესვლასა და ურთიერთქმედების დაწყებასთან ერთად ეს ნედლი მასალა თანდათან გადაიზრდება მეობაში... ცხოვრების ისტორია შესაძლებლობებისგან იქმნება, რომელთაც გარე ფაქტორები ან ფორმას აძლევენ, ან თრგუნავენ“.

მეორე მხრივ, ზრდასრული პიროვნება თავად ინდივიდის ქმნილებაა. მასლოუ ამბობს: შეუძლებელია წარმოვიდგინოთ პიროვნება, როგორც ინდივიდის გარეშე არსებული ძალების მიერ მთლიანად დეტერმინირებული მოვლენა. პიროვნება, რამდენადაც ის ნაშდვილი პიროვნებაა, საკუთარი თავის უმთავრესი დეტერმინანტია. ყოველი პიროვნება ნაწილობრივად საკუთარ პროექტს წარმოადგენს და ქმნის თავის თავს. მასლოუ იმდენად შორს მიდის, რომ ამბობს: ნორმალური განვითარების შემთხვევაში ბავშვმა სხვებზე უკეთ იცის, თუ რა არის მისთვის კარგი, თუკი მას თავისუფალი არჩევანის საშუალებას მისცემენ. ასე, რომ პატივი ეცით ბავშვის მიერ გაკეთებულ არჩევანს და ნუ უკარნახებთ მას მეტისმეტად ბევრს.

ადამიანი იზრდება, როგორც პიროვნება, ესთეტიკური გამოცდილების, შემოქმედების საშუალებით, უპირველეს ყოვლისა, უმაღლესი ესთეტიკური ძალების განცდისა და სამყაროსადმი ზოგადი ინტერესის მეოხებით.

მასლოუ ერთმანეთისაგან განასხვავებს სპეციფიკური ნიჭის (მათემატიკურის, მუსიკალურის და სხვა) კრეატიულობას, რომელიც ძლიერაა მემკვიდრეობითობაზე დამოკიდებული და თვითაქტუალიზებად კრეატიულობას, რომელიც უშუალოდ პიროვნებიდან მომდინარეობს და კიდევ უფრო განივრცობა ყოველ-

დღიურ ცხოვრებაში. საკუთარი თავის განმახორციელებელი კრეატიულობა, რომელიც თავად პიროვნებიდან აღმოცენდება, ყველა სფეროში გამოიხატება: სახლის მოვლაში, მასწავლებლობაში და ა.შ.. თუ ინდივიდს სპეციფიკური (მემკვიდრული) ნიჭი გააჩნია, ის შეიძლება გამოვლინდეს, მაგრამ არა აუცილებლად. არსებობს პიროვნების ტიპი, რომელიც ივითარებს მეტნაკლებად გამოკვეთილ ტალანტს და ტიპი, რომელიც გადაწყვეტს, ეს უნარი თავისუფალი დროისთვის, მაგ., პობისთვის, შემოინახოს, ხოლო ძირითად საქმიანობად სრულიად განსხვავებულს ირჩევს. მასლოუსთვის ყოველი აქტივობა, ყოველი პროფესია შეიძლება იყოს ან კრეატიული, ან არაკრეატიული.

თუ თვალს გადავაგვლებთ ამერიკელ პერსონალისტებს, ვნახავთ, რომ ყველანი ცდილობენ, განმარტონ პიროვნების ცნება. ნამდვილი ფენომენოლოგი არც კი ეცდება ამას, რადგანაც მისთვის პიროვნების მდიდარ რეალობასთან მისვლა მრავალი კუთხით არის შესაძლებელი, რომლებიც რაც შეიძლება უფრო დეტალურად უნდა აღიწეროს. ჰუმანისტური ფსიქოლოგები ერთი ნაბიჯით წინ მიიწევენ და ცდილობენ გაარჩიონ, თუ სად შეიძლება ვიპოვოთ აშკარად მემკვიდრეობითი მახასიათებლები, თუ სად მოახდინა გარემომ მაფორმირებელი ან დამანგრეველი ზეგავლენა, დაბოლოს, თუ სად შეიძლება ვნახოთ ის ფენომენები, რომელნიც სუვერენულნი არიან ამ ფაქტორების მიმართ და ახალი განზომილებიდან სახავენ მომავალს.

## 2. ფსიქოთერაპია და ადამიანის ხატი

ფსიქოთერაპევტებიც იმათ რიცხვს მიეკუთვნებიან, ვინც პერსონალისტურ მიდგომას ეძებს. ისინიც გარკვეული განწყობით უდგებიან ადამიანს და ერთმანეთისაგან განასხვავებენ ჯანსაღ და არაჯანსაღ სულიერ ცხოვრებას. ამ დროს ისინი ეყრდნობიან ადამიანის სურათ-ხატს, რომელიც მათთვის თავისთავად ცხადია

და არ მოითხოვს დამტკიცებას. ადამიანის სურათ-ხატის არჩევანი ფილოსოფიურ, მსოფლმხედველობრივ ხასიათს ატარებს. მას შემდეგ, რაც დაიკარგა სამყაროს შესახებ რელიგიური წარმოდგენა, ფსიქოთერაპიული მიმდინარეობის არჩევანმა ბევრისთვის ფსევდორელიგიური ხასიათი მიიღო და რწმენის საგნად იქცა.

ამის საილუსტრაციოდ მოვიყვან ერთ შემთხვევას: 1930-1940 წწ. პოლანდიაში სამხედრო მობილიზაციის პირველ ხანებში ოციოდე ფსიქიატრი სანიტარულ ოფიცრად ვმუშაობდით სამხედრო ფსიქიატრიულ სამსახურში. ჰოსპიტალიზებული პაციენტების განხილვისას მომიხდა ერთ-ერთი პაციენტის შესახებ მოხსენების გაკეთება. მე აღვწერე ავადმყოფობის სურათი საკუთარი თვალთახედვიდან და მივუბრუნდი რა მეგობარ ფსიქოანალიტიკოსს, შემდეგი სიტყვებით დავამთავრე: „ეს იყო ჩემი საკუთარი ხედვა. ხოლო შენი მსოფლმხედველობიდან რომ ამოვდიოდე, ამ შემთხვევას ასე აღვწერდი...“ ჩემდა გასაოცრად, ჩემი მეგობარი ფსიქოანალიტიკოსი საკმაოდ გააბრაზა ამ შენიშვნამ. „ფსიქოანალიზი არაა მსოფლმხედველობა, თუ გინმეს გააჩნია აქ მსოფლმხედველობა, ეს შენ ხარ!“ „მაშინ რა არის ფსიქოანალიზი, თუ არა მსოფლმხედველობა?“ „ჩვენ არ გავგაჩნია მსოფლმხედველობა, ჩვენ მხოლოდ ისე აღვწერთ მოვლენებს, როგორც ისინი არიან“. „და სწორედ იმიტომ, რომ მოვლენებს ისე აღვწერთ, როგორც ისინი არიან, ეს არის მსოფლმხედველობა!“ — იყო ჩემი პასუხი.

ბევრი ფსიქოთერაპევტისთვის ადამიანის სურათ-ხატის არჩევანი ეგზისტენციალური ხასიათისაა. ისინი ფიქრობენ: ნუთუ არაა თავისთავად ცხადი, რომ ადამიანი არის ან გონიერი ძუძუმწოვარი, ან სოციალურად განპირობებული არსება, ან ინდივიდი, რომელიც თვითონ იღებს გადაწყვეტილებებს და ქმნის საკუთარ სამყაროს?

ფსიქოთერაპიული მიმდინარეობების მსოფლმხედველობრივ ხასიათთანაა აგრეთვე დაკავშირებული არატოლერანტობა ერთ-

მანეთის მიმართ. ყისაც იერიში მოაქვს ჩემს რწმენაზე, ილაშქრებს ჩემს უსაფრთხოებაზეც და ამიტომ პასუხი უნდა გაეცეს. მხოლოდ მაშინ, თუ ვირწმუნებთ, რომ ყოველი მიმდინარეობა სინამდვილის მხოლოდ ნაწილს მოიცავს, შეგვეძლება ინტერესით შევისწავლოთ თითოეული მათგანი და ვცადოთ, მოვათავსოთ უფრო ფართო კონტექსტში, რომელიც, თავის მხრივ, მხოლოდ ნაწილია იმ სინამდვილისა, რასაც ადამიანი პქვიძ. ადამიანის კვლევა წარმოადგენს გზას, რომელსაც დასასრული არ გააჩნია. როგორც კი ოდნავ წავიწვეთ წინ, ვხედავთ, რომ მიზანმაც უფრო შორს გადაინაცვლა და გამოჩნდა გზის ახალი მონაკვეთი თავისი ახალი პრობლემებითურთ. ადამიანის შესახებ ყოველი წარმოდგენა არის კინოფილმიდან ამოღებული კადრი. მრავალი ათასწლეულის განმავლობაში გაბატონებული იყო ადამიანის შესახებ თეოლოგიური წარმოდგენა, რომლის მიხედვით ადამიანის სულიერი გამოდგომება ანუ შექმნა წინ უსწრებდა მის ფიზიკურ განსხეულებას. მაგრამ დაახლოებით ერთ საუკუნეში წარმოიშვა ადამიანის შესახებ ახალი კონცეფცია, რომელიც განიხილავს სხეულებრივი განვითარების ისტორიას, ხოლო ცნობიერებასა და თვითცნობიერებას უყურებს, როგორც სელექციის პროცესის მეტ-ნაკლებად შემთხვევით შედეგს. ადამიანი დაყავთ ქიმიურ და მოლეკულურ პროცესებამდე, ან როგორც ეს ფსიქოლოგიაში ხდება, ხედავენ მხოლოდ ლტოლევებსა და მოთხოვნილებებს. ამით კი წარმოიშვება უკიდურესად რედუცირებული წარმოდგენები მასზე.

ფსიქოთერაპიის განვითარების გზაზე გვხვდება ნიშანსვეტები, რომელთა გაგება შესაძლებელია ამა თუ იმ სკოლის დამაარსებლის ბიოგრაფიის განხილვით.

### **ფროიდი**

ფროიდს სურდა აეხსნა ადამიანის ფსიქიკა როგორც ფუნქცია ფიზიკური და ქიმიური პროცესების მსგავსი მექანიზმებისა. ამ მხრივ ის იყო თავისი დროისა და იმ პარადიგმის შვილი, რომე-

ლიც ეკუთვნოდა მიულერს, ბრიუკესა და დიუ ბუა-რაიმონს, რომელთაც 1842 წ. ერთად დადეს ფიცი, რომ ამიერიდან ადამიანში მხოლოდ ქიმიურ და ფიზიკურ პროცესებს მიიჩნევდნენ ღირებულად. მათ გაბატონებული პოზიცია ეჭირათ პრუსიის მეცნიერებათა აკადემიაში და ამდენად შეეძლოთ თავს მოეხვიათ თავიანთი დოგმა თანამედროვეებისა და მიმდევრებისთვის.

ფსიქონანალიზის დიდი დამსახურებაა, რომ დაამტკიცა სხვაგვარი ცნობიერების არსებობა, ვიდრე ჩვეულებრივი, დღის ცნობიერებაა. ადამიანის ფროიდისეული ხატი ცნობს id-ს, სიამოვნების პრინციპს, რომელიც არსებითად არაცნობიერია და წარმოადგენს ყველა ლტოლვის ჯამს. id-ის ცენტრალური ძალაა სექსუალური მოთხოვნილება — ყოვლადძლიერი libido sexualis, ადამიანის არსებითი ელემენტი.

ცნობიერი მე, რომელსაც აქვს როგორც შინაგანი, ისე გარე აღქმის უნარი, ადამიანში რეალობის პრინციპს წარმოადგენს. იგი უნდა შეეგუოს გარე სოციალურ სინამდვილეს და ამიტომ კონფლიქტშია სიამოვნების პრინციპთან, id-თან. ფროიდი ამბობს, რომ ego(მე) არის მხედარი, რომელმაც უნდა აკონტროლოს ცხენის, id-ის, ძალა.

მესამე ელემენტი, ფროიდის თანახმად, არის „ზემე“ (superego) ანუ იდეალური მე, რომელსაც არაფითარი რეალობა არ გააჩნია, არამედ არის ბრძანებებისა და აკრძალვების შედეგი, რომელთა წყალობითაც ბავშვი კულტურის ზეგავლენით „აღზრდილ“ პიროვნებად იქცევა. ინდოქტრინაციის ამ პროცესში განსაკუთრებულ როლს თამაშობენ მშობლები. Superego-ც მეტწილად არაცნობიერია და არაცნობიერიდან მოქმედებს ego-ზე. ასე რომ ego იმყოფება id-ის რეალობას, superego-ს ძალდატანებასა და სოციალური გარემოს მოთხოვნებს შორის.

ადამიანს უფლება არა აქვს მთლიანად გამოავლინოს თავისი მოთხოვნილებები. რელიგიისა და კონვენციების სოციალური და კულტურული ტაბუები მას უდგენს ნორმებს, რომელთაც უნდა დაემორჩილოს. ინდივიდუალური არსებობისთვის ბრძო-



ლისას eგო-მ ხშირად უნდა დათრგუნოს თავისი ცხოველური სფეროდან მომავალი იმპულსები, მაგრამ შემოვლითი გზების საშუალებით ცხოველი ადამიანში მაინც ახერხებს თავისას მიღწევას; იგი მოქმედებს ქვეცნობიერის ფენებიდან, როგორც განდევნილი კომპლექსი. ხოლო *superego* მოქმედებს, როგორც ცენზორი და ხელს უშლის არაცნობიერის ცნობიერად ქცევას.

განდევნილი ლტოლევები თავს იჩენს როგორც არასწორი ან მცდარი მოქმედებები, როგორცაა წამოცდენები, წერისას დაშვებული შეცდომები, ზოგადად, შეცდომები და ა.შ. განსაკუთრებით ვლინდებიან ისინი სიზმრებში.

ფროიდის მიერ შემუშავებული სიზმრების ანალიზის ტექნიკით ხდება სიზმრისეული ხატების, როგორც სიამოვნების პრინციპის, *id*-ის, გამომჟღავნების ინტერპრეტაცია. ამ ტექნიკის ცნობილი შედეგია ფსიქოანალიზის ფორმა, რომლის შემთხვევაშიც პაციენტი წევს ტახტზე, ფსიქოანალიტიკოსი კი დგას მის უკან, მხედველობის ველის მიღმა. ორთოდოქსული ფსიქოანალიზი, რომელიც, ჩვეულებრივ, წლობით გრძელდება კვირაში რამოდენიმე სეანსით, ამგვარად იქცევა ადამიანის ფროიდისეული ხატის შთანერგვის პროცესად.

ფროიდის კოლეგა *ადლერ* ადლერი სხვა გზით წავიდა, ვიდრე მკაცრი და დოგმატური ფროიდი. ვინც იცნობდა ადლერს, გაიხსენებს ამ დაბალ, შედარებით მსუქან ადამიანს სასიამოვნო ვენური აქცენტით, რომელსაც შეეძლო გვიან დაბეჭდვით ელაპარაკა ნებისმიერ თემაზე და ჩვეულებად პქონდა, ყოველ წუთს მოეცილებინა ჟილეტიდან სიგარეტის არარსებული ფერფლი. ადლერის ინდივიდუალური ფსიქოლოგია ადამიანის ინდივიდუალობას განიხილავს, როგორც განუყოფელ ერთიანობას და თავალით უხილავ თვითმყოფად პიროვნებას.

ფროიდსა და ადლერს შორის ძირეული განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ფროიდი, როგორც ყველა ბუნებისმეტყველი, კაუზალურად აზროვნებს. ის პრობლემათა მიზეზებს წარსულში ეძებს, უპირატესად ადრეულ ბავშვობაში. ადლერი კი ფინალზე

ორიენტირებულია: მისთვის ინდივიდი მომავალი მიზნისკენაა მიქცეული. პრობლემები მაშინ წამოიჭრება, როცა ეს მიზანი ვერ მიიღწევა. მიზანს განსაზღვრავს თანაფარდობა ძალაუფლებისკენ სწრაფვასა<sup>13)</sup> და ერთობის გრძნობას შორის. ამდენად, ადლერი მიზანზე ანუ ინტენციონალურად ორიენტირებულია; ფროიდის მსგავსად მიზეზისა და შედეგის ტერმინებში აზროვნების ნაცვლად, ის ოპერირებს საშუალებისა და მიზნის ცნებებით. ადამიანის ცხოვრების ცენტრალური პუნქტია ცხოვრების ინდივიდუალური მიზანი, რასაც ადლერი წარმმართველ ხაზს<sup>14)</sup> უწოდებს. მაგრამ ადლერისთვისაც კი ადამიანი მოთხოვნილებების არსებაა, მიუხედავად იმისა, რომ მთავარი მოთხოვნილებები ადლერისთვის სხვაა, ფროიდისთვის კი – სხვა. მისი აზრით, ადამიანის სიცოცხლეს განსაზღვრავს ორი ურთიერთსაპირისპირო ძალა: ერთობის გრძნობა და ძალაუფლებისკენ სწრაფვა, სხვა სიტყვებით, მოთხოვნილება მიმართული საზოგადოების სამსახურისკენ და მოთხოვნილება, რომელიც ემსახურება თვითმაძიებელი შეს ინტერესებს. თუ ინდივიდი გააცნობიერებს, რომ ვერ ახორციელებს თავის იდეალს, მას მოიცავს არასრულფასოვნების განცდა, რომელიც კომპლექსში შეიძლება გადაიზარდოს.

ადლერისთვის მექანიკურიობითობის ფაქტორები იმდენად უმნიშვნელოა, რომ მთლიანად უგულებელყოფს მათ: ყოველგვარი განვითარება იწყება დაბადების შემდეგ და არის ინდივიდისა და გარემოს ურთიერთქმედების შედეგი. ცივი და უგულო აღზრდა თრგუნავს ერთობის გრძნობას და ბავშვი სოციალური გარემოსაგან იზოლირებული ხდება. ფიზიკური ან ფსიქიკური არასრულფასოვნების გრძნობა იწვევს სხვა სფეროებში კომპენსაციის ძიებას, რისი გამოვლინებაცაა ძალაუფლებისკენ სწრაფვა. ამან, თავის მხრივ, შეიძლება გამოიწვიოს არასრულფასოვნების გრძნობის ზეკომპენსაცია ან ილუზორულ რეალობაში გაქცევა.

13) *Machtstreben, Geltungsstreben*(გერმ.)

14) *Leitlinie*(გერმ.)

მაგ., ავადმყოფობაში, თუკი ინდივიდი არ იქნება მზად ცხოვრებისეული სიძნელეებისთვის.

ადღერი ლაპარაკობს ფსიქიკური პერმაფროდიტიზმის ანუ ფსიქიკური ბისექსუალობის შესახებ. მამაკაცი სირთულეებზე რეაგირებს ამბოხებით, ბავშვი — სიჯიუტით. ესაა მამაკაცური პროტესტი. ქალური რეაქციაა დამორჩილება, დაქვემდებარება, ბეჯითობა, მორიდებულობა.

ყოველ ბავშვს, ბიჭსაც და გოგონასაც, შეუძლია ამოირჩიოს რეაქციის ამ ორი ფორმიდან ერთ-ერთი იმისდა მიხედვით, თუ როგორ განიცდის იგი სამშენებლის ქალურ და მამაკაცურ ელემენტს. ადღერმა მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა აღმზრდელობით მუშაობას. გულთბილი, მოსიყვარულე აღზრდა, რომელიც ბავშვში ითვისებისწინებს შემოქმედებით ელემენტს, აძლიერებს ერთობის გრძნობას. ადღერისთვის თერაპიას შეადგენს საუბარი, რომლის მიზანია, პაციენტს გაუცნობიეროს მისი „წარმმართველი ხაზი“ და მოახდინოს გამხსნელება ადამიანი საჭიროებს გამხსნელებას, რათა თვითონ იპოვოს მიზნისკენ მიმავალი გზა და სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობაზე დაყრდნობით დაიმორჩილოს ძალაუფლებისაკენ სწრაფვა. ადღერი ძირითადად ახალგაზრდებით იყო დაინტერესებული და ნაკლებ ყურადღებას უთმობდა ცხოვრების გვიან ფაზებს. რამდენადაც ინდივიდის მიზანი ცხოვრების სხვადასხვა ფაზებში სხვადასხვა სახეს იძენს და ნამდვილ მეტაფორებებს განიცდის, „წარმმართველი ხაზის“ ძიება არის უცვლელი ელემენტის ძებნა ცვალებად მიზნებში.

კაუზალურად მოაზროვნისა და თერაპევტის — ფროიდის და მიზანზე ორიენტირებული მოაზროვნისა და თერაპევტის — ადღერის პოლარობა კიდევ ერთხელ იძლევა ჩემი თვალსაზრისის ილუსტრაციას: ყოველი ფსიქოლოგიური მიმდინარეობა სინამდვილის მხოლოდ გარკვეულ სფეროს მოიცავს და საჭიროებს თავის განსაკუთრებულ თერაპიულ და მეცნიერულ მეთოდს.

ამ ჯგუფის მესამე წევრია კარლ გუსტავ იუნგი, შვეიცარიელი ფსიქიატრი, ფროიდის ერთგული თანამშრომელი, რომელიც 1913 წ-მდე აღიარებული იყო ფსიქოანალიზის ტახტის მემკვი-


დრედ. თანდათან ფროიდსა და იუნგს შორის აღმოცენდა კონფლიქტი, რომელიც განხეთქილებით დამთავრდა, როცა ფროიდმა იუნგს მოსთხოვა, ფიცი დაედო, რომ libido sexualis-ს აღიარებდა ადამიანის სიცოცხლის ყველა გამოვლინების ერთადერთ წყაროდ. ასეთი დოგმატური განწყობა უცხო იყო იუნგისთვის და ეს ორი ადამიანი საბოლოოდ დაშორდა ერთმანეთს.

მას შემდეგ იუნგმა განავითარა ანალიტიკური ფსიქოლოგია, როგორც თვითონ უწოდებდა მას, სადაც თანდათან გამოკვეთა ადამიანის სურათ-ხატი. იგი შეიცავს არაცნობიერის ფენებს: პიროვნულ არაცნობიერს და კოლექტიურ არაცნობიერს, რომელიც შეიცავს მთელი კაცობრიობისათვის საერთო არქეტიპების უღრმეს ფენას. იუნგს არასოდეს უმუშავია სისტემატურად. თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში იგი სამშენებლის სულ სხვადასხვა ასპექტებს იკვლევდა. ამასთან, ცდილობდა ფენომენოლოგიურად განეხორციელებინა ეს, წინასწარგამზადებული თეორიების გარეშე. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, რადგანაც წარმოუდგენელია კვლევა მომწესრიგებული პრინციპის გარეშე, რომელიც ფენომენებს გააზრებულ მთლიანში აერთიანებს.

იუნგის კვლევის ერთ-ერთი სფერო იყო ფუნქციათა ტიპები. ადამიანში მოქმედებს ორი რაციონალური ფუნქცია — აზროვნება და გრძნობა და ორი ირაციონალური ფუნქცია — შეგრძნება და ინტუიცია. რაციონალური ფუნქციების საშუალებით ვქმნით მსჯელობებსა და ღირებულებებს. ირაციონალური ფუნქციების საშუალებით ჩვენ მხოლოდ აღვიქვამთ; ისინი არიან ცნობიერ-შეგრძნებადნი ან, ინტუიციის შემთხვევაში, არაცნობიერ-ინსტინქტურნი. შემდეგ იუნგი არჩევს განწყობის ორ ტიპს, კერძოდ, ექსტრავერტულ და ინტროვერტულ ადამიანებს. ფუნქციების 4 ტიპი და განწყობის ეს ორი ტიპი ერთად ქმნის ერთგვარ კომპასს ხასიათის კლასიფიკაციისთვის. იუნგმა მხოლოდ მოგვიანებით შეიმუშავა ადამიანის ხატი, რომელიც სქემატურად შემდეგნაირად შეიძლება წარმოგადგინოთ. ( იხ. სქემა )

ქორწინების შესახებ თავში უკვე განვიხილეთ anima-animus-

## მთლიანი მეობა



ის ფენომენი. მე anima-animus-დან უყურებს თავის არაცნობიერს, ხოლო პერსონიდან — გარე სამყაროს. პერსონა შეიძლება განვიხილოთ როგორც მეს საფარველი ან ქერქი. იგი ყალიბდება ჩვენი აღზრდის, საზოგადოებრივი კონვენციისა და რუტინისადმი შეგუების შედეგად. პერსონა დაკავშირებულია გარკვეულ ფუნქციასა და იმ ქცევასთან, რომელსაც გარემო მოელის ჩვენგან. პროკურორი ან ადვოკატი იქცევა როგორც ტიპური იურისტი და მას უყურებენ, პირველ რიგში, როგორც იურისტს. ცოტაოდენი ადამიანი თუ ახერხებს, დაინახოს პიროვნება ამ ნიღბის (პერსონის) უკან. პერსონას ორი მნიშვნელობა აქვს: ჯერ ერთი, მე ჩემი პერსონიდან შევყურებ სამყაროს (განსხვავება კი დიდია პროფესორისა და შავი მუშის პოზიციებს შორის); მეორეც, გარემო გარედან მხედავს, როგორც პერსონას და მოელის ჩემგან გარკვეულ, პერსონისათვის შესაბამის, ქცევას.

პერსონა მესათვის ერთსა და იმავე დროს დაბრკოლებაცაა და დამცველიც. მეს შეუძლია დაიძალოს პერსონის უკან და არ გამოამჟღავნოს თავი.

მეორე მნიშვნელოვანი სფერო, რომელსაც იუნგი იკვლევდა, არის ადამიანის არაცნობიერში ჩრდილის ანუ ორეულის ფენომენი. ჩრდილი არის ინდივიდის მეორე, „ბნელი მხარე“. იგი

„გეშტალტად“ თავმოყრილს შეიცავს ყოველივე იმას, რასაც უარყოფს ცნობიერება, როგორც არაცნობიერსა და მდაბალს. ჩრდილი ნაწილობრივ მიმალულია პიროვნულ არაცნობიერში, მოგონებებისა და განდევნილი სწრაფვების სფეროში, რომელიც ჩვენი ცხოვრების ისტორიის ნაკლებად მიმზიდველ შემთხვევებთანაა დაკავშირებული. მეორე მხრივ, ჩრდილი კოლექტიური არაცნობიერის ასპექტებსაც შეიცავს და ამით დამანგრეველ ძალებსაც მოიცავს, რომელნიც ყოველ პიროვნებაში არსებობენ. დაბოლოს, როგორც ორეულმა, ჩრდილმა შეიძლება არქეტიპური ხასიათი შეიძინოს და განიცდებოდეს, როგორც პიროვნებას მოწყვეტილი „ბნელი ძმა“. ჩრდილი სიზმარში გვხვდება, მამაკაცს – როგორც კაცური არსება, ქალს – როგორც ქალური. იგი საზარელი და მახინჯია anima-სგან განსხვავებით, რომელიც მამაკაცს ეცხადება, როგორც ქალური სახე და მიუხედავად იმისა, რომ ისიც შიშის აღმძვრელია, მაინც მიუთითებს იმ დადებით მოვლენებზე, რომელნიც ჯერ არაა მიღწეული. გარდა სიზმრებისა, ჩვეულებრივ ცხოვრებაში „ორეული“ განიცდება, როგორც საკუთარი ჩრდილის პროექცია სხვა ადამიანებზე: საკუთარი ნეგატიური არაცნობიერი ინდივიდს ევლინება სხვისი ქცევის სახით ისე, რომ ვერ აცნობიერებს ამას. აქედან წარმოდგება ყველაფრის სხვაზე გადაბრალების ფსიქოლოგია: სხვების მიმართ სიძულვილი სინამდვილეში არის სხვებში საკუთარი თავის პროექციის სიძულვილი.

იუნგისთვის ფსიქოთერაპია ნიშნავდა ინდივიდის მიერ არჩეულ განვითარების გზაზე დადგომას, რომელსაც იგი უწოდებდა „განკურნების“ ანუ ინდივიდუაცის გზას. მისი თერაპია მოიცავდა სიზმრების ანალიზს და მონაწილეობას შემოქმედებით და მხატვრულ საქმიანობაში, აგრეთვე ლიტერატურის შესწავლას. შეზღუდული, ყოველდღიური მე (იხ. სქემა), ნაწილობრივ ცნობიერი, ნაწილობრივ კი არაცნობიერი, უნდა გაიზარდოს მეობამდე,<sup>5)</sup> რომელიც აცნობიერებს მთლიან პიროვნებას და მოიცავს

---

15) Selbst(გერმ.)

ცნობიერსაც და არაცნობიერსაც, არქეტიპების ჩათვლით. განკურნების ანუ ინდივიდუაციის ეს გზა არის განვითარება, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში გრძელდება.

ადრეულ წლებში იუნგმა შემდეგნაირად გამოხატა თავისი კონფლიქტი ფროიდთან: ფროიდმა თავისი თეორია განაგითარა საკუთარი პაციენტების მონაცემებზე დაყრდნობით; პაციენტებს უმეტესად შეადგენდნენ 1890-იანი წლების ვენის მდიდარი წრეების ახალგაზრდა ქალები. ხშირ შემთხვევაში ისინი გათხოვილნი იყვნენ ბევრად უფროს მამაკაცებზე და მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, მართლაც, სექსუალური პრობლემები იყო. თვითონ იუნგს კი უმეტესწილად ხანში შესული, 45 წელს გადაცილებული, პაციენტები ჰყავდა, რომელთათვისაც მნიშვნელოვანი იყო არა სექსუალური პრობლემები, არამედ ეგზისტენციალური, სიცოცხლისა და სიკვდილის საკითხები.

ადღერის მსგავსად, იუნგი უფრო მეტად დაინტერესებული იყო ადამიანთა ცხოვრების მიზნით, ფინალური ელემენტით. ადღერისთვის ადამიანი უმთავრესად მიისწრაფის ცხოვრებაში რაიმე პოზიციისაკენ. ხოლო უფრო ერთდირებული იუნგისთვის ადამიანის ცხოვრების მიზანს შეადგენდა სულიერი განვითარება არაცნობიერზე დამოკიდებულებიდან მთლიანი პიროვნების აღიარებისაკენ.

არქეტიპების კვლევაში იუნგი დააკავშირა ძველი ჩინეთის, ტიბეტის, ამერიკელი ინდიელების კულტურებთან. იგი ბევრს მოგზაურობდა. პრიმიტიულ კულტურებზე წერისას საკუთარი დაკვირვებიდან ამოდიოდა და ფროიდივით არ მიმართავდა სპეკულაციას იმის თაობაზე, რასაც არ იცნობდა დანამდვილებით.

იუნგისთვის ალქიმიამ წარმოადგენდა მნიშვნელოვან სფეროს, რომელზე დაყრდნობითაც შეიძლებოდა არქეტიპური სიმბოლოების კვლევა. აქ ვერ შევჩერდები ამ თემაზე, მაგრამ ვისაც წაუკითხავს იუნგის წიგნი ალქიმიის შესახებ, შეუძლებელია არ ეგრძნოს, რომ იუნგის კონცეფცია არასაკმარისია, რათა ამ რთულ საკითხს ნათელი მოეფინოს.

საინტერესოა, რომ იუნგმა სკოლის ასაკშიც კი გერ მოახერხა

ბუნებისმეტყველებასთან და მათემატიკასთან სწორი მიმართების პოვნა. ეს უკავშირდება მის ინტროვერტულ განწყობას, რომელიც მისთვის შესაძლებელს ხდიდა შიგნით და არა გარეთ მიმართულ მზერას. იუნგი ფსიქიკის სამყაროს განიცდიდა წარმოდგენებში, აღნიშნავდა, რომ ისინი არიან ფსიქიკური სინამდვილის სურათ-ხატები და სიმბოლოები, რომელთა უკან დაფარული რჩება ეს სინამდვილე. ამდენად, არქეტიპების არსიც მიუწვდომელია იუნგისთვის, რადგანაც ისინი წარმოადგენენ ფსიქიკურში პროექტირებულ სულიერ რეალობას. აქ გაწყდებით იუნგის აღმოჩენების საზღვარს. შიგნით მიმავალი გზის საშუალებით შესაძლებელია ფსიქიკური ფენომენების გაცნა, მათ სულიერ საწყისებში შეღწევა კი — არა. იუნგი, მაგ., მუშაობდა გოეთეს „ფაუსტზე“ და არ შეხებია მის საბუნებისმეტყველო ნაშრომებს. ამით იგი უაღრესად მნიშვნელოვან სფეროს ჩამოშორდა.

ფროიდ-ადლერ-იუნგის ტრიადაში უკანასკნელს გააჩნია ყველაზე შორსმწვდომი წარმოდგენა ადამიანზე და ყველაზე მეტად დიფერენცირებული ფსიქოთერაპიული მიდგომა. მაგრამ ისიც თავისი დროის შეილი იყო; თუმცა მას შეეძლო არაცნობიერის კვლევა და ზედაპირზე ამოტანა, იგი მაინც ვერ მივიდა ზეცნობიერამდე. ადლერი და იუნგი ფსიქოლოგიზმის ტყვეებად რჩებიან. თვითონ იუნგმა ნათლად გამოხატა ეს ფსიქიატრ ზეულმანს ვან ემიპოვენთან საუბარში.

თავისი ლოგოთერაპიით ვენელმა ფსიქიატრმა ვიქტორ ფრანკლმა სრულიად ახალი განზომილება შეიტანა ფსიქოთერაპიაში. ფრანკლი, რომელიც ფროიდისა და ადლერის კვალდაკვალ მიდიოდა, თავის „Homo Patiens“-ში აღწერს ნიპილიზმის სამ ფორმას ადამიანისადმი დამოკიდებულებაში. სამივე ახდენს ადამიანის რედუქციას ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ ან სოციოლოგიურ ავტომატამდე. ამას იგი უწოდებს ბიოლოგიზმს (მას მე ნატივიზმი ვუწოდე), ფსიქოლოგიზმს (ჩემი ემპირიზმი) და სოციოლოგიზმს, სადაც ადამიანი დაყვანილია კლასის, ერის ან რასის წარმომადგენლამდე.

მე ცალკე არ განმიხილავს სოციოლოგიზმი. აქ მსურს ორი-



ოდე სიტყვით შეგვხო მას.

1968წ-დან სოციოლოგიზმი აღზევებას განიცდის. ის გამოყენებულია როგორც იარაღი პოლიტიკისა და მეცნიერების ურთიერთდაპირისპირებაში. ნიდერლანდებში გაზეთებში, რადიოსა და ტელევიზიაში მუდმივად ვაწყდებით ასეთ განცხადებებს: ყოველი ფსიქიატრი, პროფესორი, ორგანიზატორი თუ მშობელი არასწორ გზაზე დგას, არის რა არსებული სოციალური წყობის პროდუქტი და წარმომადგენელი და როგორც ასეთი, უნდა განადგურდეს. ფსიქიატრი განასახიერებს ექიმის ბატონობას პაციენტზე, პროფესორი — სტუდენტზე, ორგანიზატორი — მუშაკებზე, მშობლები — შვილებზე. ასეთი ორიენტაციის მქონე სოციოლოგიის მისწრაფებაა, ბავშვები აღზარდონ სწორად გაწვრთნილმა და კვალიფიციურმა სოციალურმა პედაგოგებმა! სოციოლოგიზმის ყველაზე მნიშვნელოვანი ნიმუშია მარქსიზმი.

სოციოლოგიზმი ანუ თეზისი — ადამიანი თავისი სოციალური ჯგუფის პროდუქტია — არის ადღერის ინდივიდუალური ფსიქოლოგიის და ძალაუფლებისაკენ სწრაფვის ცნების შედეგი. მაგრამ ამას იშვიათად აცნობიერებენ ამ მიმდინარეობის წარმომადგენლები. მართალია, ადღერთან ძალაუფლებისაკენ სწრაფვას აწონასწორებს ერთობის გრძნობა, მაგრამ სოციოლოგიზმი ერთობის გრძნობას მხოლოდ ერთი კლასის ფარგლებში ცნობს, იგი მოქმედებს უპიროვნო-კოლექტიურ, სოციალურ სფეროში. მარქსიზმის აზრით, ერთობის გრძნობა შორეულ მომავალში გაბატონდება და დედამიწაზე სამოთხე დამკვიდრდება; ეს მოხდება მაშინ, როცა ყველა მტერი განადგურდება და მხოლოდ ისინი დარჩებიან, ვისაც ერთობის სწორი გრძნობა გააჩნია.

პოლიტიკური სოციოლოგიზმი მუდამ უტოპიად რჩება. თავისთავად ცხადია, რომ სოციოლოგიზმი ფსიქოთერაპიაში მთელ იმედებს ჯგუფურ თერაპიაზე ამყარებს.

ფრანკლი მიუთითებს, რომ სამივე ნაკადი ერთ შეცდომას უშვებს. ისინი თავის თავს თვლიან იმ ერთადერთ განზომილებად, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრებას. სულიერი სფერო მთლიანად მათი მხედველობის მიღმა რჩება, არა და სწორედ

ისაა საზრისისა და ღირებულებათა პოვნის სფერო. თვით ადამიანის მიერ ნაპოვნ ან შექმნილ თვისობრიობათა უარყოფას ფრანკლი „მეტაფიზიკურ ქარაფშუტობას“ უწოდებს. ფრანკლისთვის მთავარია, რომ ყოველმა ადამიანმა თავისი სიცოცხლე „საკუთარ ჭეშმარიტებამდე“ მიიყვანოს. გზა, რომელზეც ხდება ცხოვრების აზრის პოვნა, არის „ეგზისტენციალური ანალიზი“, ხოლო ამ დროს საჭირო თერაპია — ლოგოთერაპია.

ფრანკლი ცალ-ცალკე თავებში იხილავს შემდეგ საკითხებს: სიცოცხლის აზრი, სიკვდილი, ტანჯვა, შრომა, სიყვარული. მან საფუძვლიანად გააკრიტიკა ფსიქოანალიზი სიამოვნების პრინციპითა და ადღერის ინდივიდუალური ფსიქოლოგია ძალაუფლებისაკენ სწრაფვით. ლოგოთერაპიით ფრანკლს სურს მიიყვანოს ადამიანები ჭეშმარიტების შემეცნებამდე, ჭეშმარიტებისა, რომელიც უნიკალურია ყოველი ადამიანისთვის, რადგანაც არავის ძალუძს დაინახოს სამყარო იმავე კუთხით, როგორც ამას სხვა აკეთებს. ეს იწვევს თერაპიულ თავშეკავებულობას ექიმში და წარმოშობს დიდ პასუხისმგებლობას იმისადმი, რაც ხდება ორ ადამიანს — ექიმსა და პაციენტს — შორის. მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანი საკუთარ თავში გააცნობიერებს სულიერ განზომილებას და აღმოაჩენს გზას, რათა გახდეს ის, რაც ჯერ არ არის, მაგრამ შეუძლია რომ იყოს, მხოლოდ მაშინ შეიძლება, ფრანკლის აზრით, ნამდვილ, ეგზისტენციალურ თერაპიაზე ლაბარაკი. ყველაფერი დანარჩენი არის სიმპტომების ბიოლოგიური ან ფსიქოლოგიური მკურნალობა.

ფსიქოანალიზი არის მოძღვრება ადამიანზე, როგორც ლტოლევების მიერ მართულ არსებაზე. ამაზე ფრანკლი პასუხობს გოეთეს სიტყვებით: „როცა ადამიანებს ვიღებთ ისეთებად, როგორიც ისინი არიან, მაშინ ვაუარესებთ მათ; მაგრამ თუ ისე ვექცევით, თითქოს ყოფილიყვნენ ისეთნი, როგორიც უნდა იყვნენ, მაშინ ვაქცევთ იმად, რაც შეუძლიათ რომ იყვნენ“. სწორედ ამ „შეუძლია რომ იყოს“-ზეა მიმართული მთელი ლოგოთერაპია. ფრანკლი წერს: „ადამიანის ცხოვრება განხორციელებას პპოვებს არა მარტო შემოქმედებასა და სიზარულში, არამედ ტანჯვა-

შიც“: „სულიერი მკვლავნდება — და მიილტვის კიდეც გამკლავნებისკენ — სხეულებრივსა და მშვიინვიერში“. „სიყვარულის მეოხებით აღმოგაჩენთ საყვარელი ადამიანის ფარულ ღირსებებს“.

ცხოვრების განმავლობაში პიროვნების მომწიფება ფრანკლისთვის არის იმის აღმოჩენა და განხორციელება, რაც მას *შეუძლია*, რომ იყოს. აქ მნიშვნელოვან როლს თამაშობს იუმორი, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავზე გაცინების უნარი. პიროვნების განვითარებას აფერხებს ბიოლოგიზმები, ფსიქოლოგიზმები და სოციოლოგიზმები, რომელნიც ერთნაირად ბრძანი არიან ღირებულებებისა და სულის მიმართ. ვინაიდან სული ადამიანში, ბოლოს და ბოლოს, არის „პიროვნული სული“. ფსიქოლოგიზმი კი გვერდს უვლის სულიერ პიროვნებას, მაშინ როცა სწორედ ისაა უმაღლესი ობიექტური რეალობა. ყოველი სულიერი აქტი ინტენციონალურადაა მიმართული აზრსა და ღირებულებებზე. სამწუხაროდ, აქ არაა ადგილი სათანადოდ განვიხილოთ ფრანკლის პიროვნებისეული მიდგომა და მისი ლოგოთერაპია.

ფრანკლის შემდეგ უნდა დავასახელო იტალიელი ფსიქოლოგი *რობერტო ასაჯიოლი*, რომელმაც — ემყარებოდა რა იუნგსა და ფრანკლს — მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ პერსონალიზმის გზაზე თავისი წიგნით „*ფსიქოსინთეზი*“. ასაჯიოლი დაიბადა 1888 წ. ვენეციაში. ახალგაზრდა ფსიქიატრი თავდაპირველად ფროიდის ფსიქოანალიზური მეთოდით მუშაობდა. მაგრამ შემდგომში საკუთარ გზას დაადგა, რადგანაც დაინახა, რომ ფსიქოანალიზი ადამიანის სამშვიინველის მხოლოდ ნაწილს იკვლევს. უკვე 1910 წ-დან ის მუშაობდა ჩანაფიქრზე, რომელსაც „*ფსიქოსინთეზი*“ უწოდა. მასში შესაძლებელი უნდა ყოფილიყო ადამიანის სამშვიინველის კვლევა ფროიდის ბიოლოგიური ლიბიდოს გვერდით. 1965-1970 წწ-ის მისი მთავარი ნაშრომები დიდ ზეგავლენას ახდენს ფსიქიატრიულ აზროვნებაზე, განსაკუთრებით, ამერიკულ ჯგუფურ თერაპიაზე. და ამგვარად, პუშანისტური ფსიქოლოგიის საშუალებით ასაჯიოლი ამერიკიდან ევრო-

პაში ბრუნდება.

ასაჯიოლის ბევრი საერთო აქვს ჰუმანისტურ ფსიქოლოგიასთან, განსაკუთრებით მასლოუსთან. ორივენი ხაზს უსვამენ პიროვნებას – როგორც განიცდის იგი საკუთარ თავს სოციალურ ურთიერთობებში – და აგრეთვე პიროვნების უწყვეტ განვითარებასა და მეობის<sup>16)</sup> პასუხისმგებლობას სამომავლო გადაწყვეტილებების მიღებისას.

ფსიქოსინთეზი ხაზს უსვამს ადამიანის ნებელობას, არა როგორც მამოძრავებელ ძალას, არამედ როგორც სხვა ფსიქიკური ფუნქციების რეგულატორსა და ზედამხედველს. ამდენად, ნებელობის განვითარება ასაჯიოლის ფსიქოსინთეზის მნიშვნელოვან ასპექტს შეადგენს. თავად იგი ასე ლაბარაკობს ფსიქოსინთეზზე: „ეს არის მეცნიერული კონცეფცია და, როგორც ასეთი, ნეიტრალურია სხვადასხვა რელიგიებისა და ფილოსოფიების მიმართ, გარდა იმ მოძღვრებებისა, რომელნიც წმინდა მატერიალისტურნი არიან და უარყოფენ სულიერ რეალობას. ფსიქოსინთეზი არ ცდილობს, მოგვცეს დიადი მისტერიის ახსნა. მას მივყავართ კარიბჭესთან და იქ ჩერდება“.

როგორც ფსიქოთერაპევტი, ასაჯიოლი დგას გზაზე, სადაც დაბრკოლებები არ ხვდება. იგი საკუთარ თავში ახედებს ადამიანს და ბიძგს აძლევს განვითარებას. ის ბევრს აღწევს, როცა თავის თერაპიაში რთავს დანტეს, წმინდა გრაალის ლეგენდებს და ძლიერმოქმედ მედიტაციებს. აქ არის საფრთხე, რომ ადამიანი სიმბოლოებში ჩაეფლოს და არ გაუჩნდეს მათ უკან არსებული სინამდვილის შემეცნების სურვილი.


აღბათ, აქაც იგივე ხდება, რაც სხვა თერაპიებში: მრავალი ფსიქოსინთეზური ჯგუფის ლიდერს არ შეუძლია იმაზე მეტის მიცემა, რაც თვითონ არის. ვინც თვითონ ვერ იპოვა მეგზური, რათა მისი შემწეობით გაეღო კარი და ვერ მოახერხა კარს იქით მყოფ სამყაროში ორიენტაცია, უნდა შეჩერდეს ზღურბლ-

---

16) Self(ინგლ.)

თან. ხოლო მისი მოწაფეები ან პაციენტები ბუდის ანაბარა რჩე-  
ბიან, ანდა სხვა მასწავლებლის თუ თერაპევტის ძეგნა მოუწევთ.

მაგრამ მიუხედავად ამისა, ფსიქოსინთეზი საინტერესო გზაა,  
რომელსაც მიეყავართ არაცნობიერის ზღურბლამდე. თანამედ-  
როვე ფსიქოთერაპიაში იგი ყველაზე მეტად დამუშავებული და  
შორსმწვდომი მიმდინარეობაა. ყველაზე მნიშვნელოვანი ასაჯიო-  
ლისთან არის მის მიერ მაღალი არაცნობიერის აღიარება, რო-  
მელსაც იგი დაბალ არაცნობიერს უპირისპირებს. ქვემოთ სქემა-  
ტურად წარმოდგენილია მისი კონცეფცია ადამიანის შესახებ.  
იგი სრულიად ახალია და სხვებისგან განსხვავებული:



აქ განირჩევა სამი სფერო, რომელთაგან ყველა ყოველდღი-  
ური, ჩვეულებრივი ცნობიერების მიღმა რჩება. მხოლოდ შუა  
არაცნობიერის ერთი ნაწილი შედის ცნობიერების ვიწრო ზოლში,  
რომლის ცენტრშიც დგას ყოველდღიური, ცნობიერი მე<sup>17</sup>. ცნო-  
ბიერების საზღვრები შეიძლება ცვალებადობდეს იმისდა მი-  
ხედვით, ვფიქრობთ რაღაცაზე და ამით შემოგვაქვს ის ცნობიე-

17) ცგი(ინგლ.)

რების ველში, თუ დროებით ვიფიწყებთ, რადგან დაკავებულნი ვართ სხვა რამით (ამ გაკებით, შუა არაცნობიერი თითქმის იღენ-ტურია იუნგის პიროვნული არაცნობიერისა, რომელიც შეიცავს მოგონებებსაც, რომელნიც შეიძლება კვლავ ცნობიერი გახდნენ).

ასაჯიოლის ცენტრალური ცნებაა *ზეცნობიერი სამყარო*. ესაა სფერო, საიდანაც ცნობიერი მე იღებს ინტუიციებს, ინსპირაციებს, „ეთიკურ იმპერატივებს“, კეთილშობილური მოქმედებებისაკენ სწრაფვას. ზეცნობიერი არის წყარო ისეთი მაღალი გრძნობისა, როგორიცაა ალტრუისტული სიყვარული; გენიის, მედიტაციითა და კონტემპლაციით „განსხივოსნების“, ექსტაზის წყარო. იგი მაღალი ფსიქიკური ფუნქციებისა და „სულიერი ენერჯის“ ადგილსამყოფელია. დაბალ არაცნობიერში მოთხოვნილებებისა და ლტოლვების სახით ვპოულობთ ცხოველური სფეროდან წარმომდგარ ყველა ძალას, აგრეთვე მოუნელებელ შთაბეჭდილებებს, კომპლექსებსა და ყოველივე იმას, რაც სიღრმის ფსიქოლოგების მიერაა აღწერილი, როგორც კოლექტიური არაცნობიერი და არქეტიპების ფენა. ყოველივე ეს ადამიანშია, მაგრამ იგი არ არის ერთადერთი რამ მასში! ფსიქოსინთეზი დაბალ არაცნობიერს უპირისპირებს ასეთივე კონკრეტულ სულიერ რეალობას, რომელსაც ძალთა საკუთარი წყარო გააჩნია. თუ ერთმანეთს შევადარებთ იუნგსა და ასაჯიოლის, ვნახავთ, რომ იუნგმა არ იცის, რა მოუხერხოს ყოველივე იმას, რაც ზეცნობიერია და უბრალოდ ახდენს მის პროექტირებას ქვეცნობიერის უღრმეს ფენებში.

ფსიქიკური პიროვნების სამწვეროვნების სახით ასაჯიოლიმ აღმოაჩინა სქემა, რომელიც შეიძლება ფსიქოთერაპიაში გამოყენებულ იქნეს და რომელიც ერთმანეთისაგან განასხვავებს სხვადასხვა თვისობრიობებს და მიუჩინს მათ საკუთარ ადგილს. ასაჯიოლისთვის *მაღალი მე* მარადიული ცენტრია, რომელიც ძილიდან ყოველი გამოღვიძებისას ხელმისაწვდომი ხდება ჩვეულებრივი ცნობიერებისათვის. შუაში დგას ემპირიული მე, რომელიც ამბობს: „მე შინდა პური“, ან „ამაზე არაფერი გაქვება“.

მაღალი მე პიროვნების ნამდვილი ცენტრია, რომელშიც პიროვნების სინთეზი ხორციელდება და რომლის მუდმივი არსებობა წითელ ზოლად გასდევს მთელ ბიოგრაფიას. ჩვენ არ ვაცნობიერებთ მას, მაგრამ განუწყვეტლივ განვიცდით მის მოქმედებას, რომელიც პროუცირდება მშენიანი პროცესებში.

გზა, რომლის გაგლაც სურს ასაჯიოლის თავის მოწაფეებთან და პაციენტებთან ერთად, არის ჩვეულებრივი მედან მაღალი მესაკენ მიმავალი გზა. უპირველეს ყოვლისა ადამიანმა უნდა შეიქმნას მაღალი მეს სურათი (ვინ ვარ მე?). შემდეგ მან თავისი ცხოვრების განმავლობაში უნდა მოახდინოს ჩვეულებრივი მეს იდენტიფიკაცია მაღალ მესთან. ფრანკლი ამბობს, რომ „ჩვენ სინამდვილედ უნდა ვაქციოთ ჩვენი საკუთარი ჭეშმარიტება“. ეს უდიდესი განზრახვაა! ზოგჯერ ეს ხდება ბუნებრივად, შინაგანი ზრდისას, მაგრამ, როგორც წესი, ამისთვის მთელი ცხოვრების მანძილზე უნდა ვიმუშაოთ და ვიბრძოლოთ.

ასაჯიოლის მიხედვით, ამისათვის საჭიროა ისეთი საშუალების მოძებნა, რაც ერთმანეთთან დააკავშირებდა მაღალსა და ჩვეულებრივ მესს. ეს შეიძლება იყოს იდეალი, რომლისკენაც მივიღტვივით როგორც ხელოვნები, ფილოსოფოსები, ჭეშმარიტების მაძიებლები. მხატვრული საქმიანობისას განუწყვეტლივ ვისწრაფით ჩვენი საკუთარი ჭეშმარიტებისკენ. ამიტომაც ნამდვილი მაძიებლები ხელოვნებაში, მეცნიერებასა და ფილოსოფიაში ვერასოდეს კმაყოფილდებიან — ვერასოდეს აღწევენ სანუკვარ მიზანს. ასაჯიოლი ბრძენი კაცია და ბევრ შესაძლებლობაზე მიგვითითებს, ბევრჯერ გვაფრთხილებს და გვაძხვავებს. განვითარების გზა მისთვის გრძნობადი სამყაროს სიმრავლიდან „უმაღლესი სინთეზის“ ერთიანობამდე მისვლას ნიშნავს.

„ჩვენ ვგრძნობთ, რომ სული(ვგებთ მას როგორც ღვთაებრივ არსებას თუ კოსმიურ ენერგიას), რომელიც ყველა ქმნილებაში მოქმედებს, ქმნის წესრიგს, პარმონიას, მშვენიერებას, ყველა ქმნილს აერთიანებს(ზოგს ნებაყოფლობით, უმრავლესობას კი ბრძად და წინააღმდეგობებით) სიყვარულის კავშირის მეშვეობით და ნელა, უჩუმრად, მაგრამ ძლევამოსილად და შეუფერხებ-

ლად აღწევს უმაღლეს სინთეზს“. ასაჯიოლის ამ უმაღლეს სინთეზს ნეტარების ელემენტი ახლავს, რომელსაც აღმოსავლური მისტიკური ელფერი დაჰკრავს და ბუდისტების ნირვანას გვაგონებს. თავის აზროვნებაში ასაჯიოლიმ უთუოდ განიცადა აღმოსავლური ზეგავლენა.

ასაჯიოლის გზა შინაგანი განვითარების გზაა. თავდაპირველად განსაზღვრული ტექნიკის საშუალებით ხდება ყოველდღიური მეს ინტელექტუალური ძალების, ნებისყოფისა და ფანტაზიის განვითარება. ამას მოსდევს სულიერი ფსიქოსინთეზი, რომელიც ზეცნობიერის სფეროებს იკვლევს. როდესაც ვისაუბრებ შინაგანი განვითარების შტაინერისეულ კონცეფციაზე, კიდევ ერთხელ დაეუბრუნდები ასაჯიოლის. გზა, რომელზეც ასაჯიოლი მიაბიჯებს, არაა უსაფრთხო. ფსიქოსინთეზური ჯგუფის ყველა ენთუზიასტი ლიდერი როდია სანდო მეგზური ამ გზაზე, განსაკუთრებით, თუ მოულოდნელად არასასურველი კარი გაიღება და საჭირო გახდება „გამამოგნებელი“ ილუზიებისა და კონტროლირებადი, ნამდვილი სულიერი შეხვედრების ერთმანეთისაგან განსზვავება.


რუდოლფ შტაინერთან(1861-1925) ეპოულობთ პერსონალიზმის ყველაზე დასრულებულ ფორმას. ავსტრიელმა ფილოსოფოსმა და ბუნებისმეტყველმა საუკუნის დასაწყისში წიგნში „თავისუფლების ფილოსოფია“ საფუძველი ჩაუყარა თავის პერსონალისტურ წარმოდგენას ადამიანის შესახებ, რაც შემდგომში ანთროპოსოფიაში იქნა დამუშავებული.

აქამდე საუბარი მქონდა ავტორებზე, რომელთა კონცეფციებმა დიდი ზეგავლენა მოახდინეს და ახლაც ახდენენ ჩვენს კულტურულ ცხოვრებაზე. დაწყებული ფროიდის ბიოლოგიური ხატი, ადლერისა და იუნგის ფსიქოლოგიური სურათ-ხატების გავლით, განვითარება მიდიოდა ფრანკლისა და ასაჯიოლის ადამიანის უფრო სულიერი ხატისაკენ. შტაინერთან ვხვდებით ადამიანის ხატს, რომელიც სამივე ამ ასპექტს მოიცავს. შტაინერთან არ ვხვდებით ფსიქოთერაპიას ამ სიტყვის ვიწრო გაგებით, არამედ ყოვლისმომცველ თერაპიას, რომელიც ვრცელდება სხეულზეც,



## სამშენებლო ზეც და სულზეც.

აღამიანის შტაინერიული ხატი სამ ელემენტს შეიცავს. ადამიანი, რომელიც საკუთარ თავს ფსიქიკაში განიცდის, ორი სამყაროს მოქალაქეა: ფიზიკურის, რომელთანაც სხეული აკავშირებს და სულიერის, სადაც მისი მაღალი მე ცხოვრობს. მათ შორის მდებარეობს სფერო, სადაც ადამიანი საკუთარ თავს ფსიქიკის სამ კომპონენტში აღიქვამს: აზროვნებაში, გრძნობასა და ნებულობაში. მე ცხოვრობს ღვთაებრივ-სულიერ სამყაროში, რომელიც არაა არც ფილოსოფიური აბსტრაქცია და არც „ადამიანური კულტურის მთლიანობა“, არამედ შემოქმედების პირველწყაროა.



სწორედ აქ უნდა ვეძებოთ არქიტექტორი, რომელიც ფიზიკური სამყაროს მოვლენებს უკან დგას, აქაა ადამიანისა და კოსმოსის განვითარების მიზანი.

ამრიგად, ფსიქოლოგიზმის სფერო შეგნებულად იქნა მიტოვებული. შტაინერიული ხატიში ადამიანი, ერთი მხრივ, ღვთაებრივ-ქმნილი სამყაროს ზიარია სხეულის საშუალებით, მეორე მხრივ, კი ღვთაებრივ-შემოქმედი სამყაროსი, სადაც მე თავის განვითარებას გადის.

სხვადასხვა მეცნიერებებს შორის ხელოვნური საზღვრების

გარღვევა უკვე იუნგმა დაიწყო, ფრანკლმა თავისი „რელიგიური გრძნობით“ განამტკიცა იგი, ასაჯიოლომ კი „კარს უკან მდებარე მიზნად“ გამოაცხადა.

ვინც ცრურწმენების გარეშე უსმენს ადამიანის სამშენველის გამოვლინებებს, ვისი აღქმაც არაა დამახინჯებული მატერიალისტური ან ბიოლოგიური დებულებებით, მისთვის ცხადი ხდება, რომ ადამიანის სამშენველი ვერ ჩაეტევა რედუქციონისტული ფსიქოლოგიის ფარგლებში. ეს დაინახეს ზემოხსენებულმა ფსიქოთერაპევტებმა და ამერიკელმა ჰუმანისტურმა ფსიქოლოგებმა.

შტაინერისთვის სხეულის, სამშენველისა და სულის სიჯანსაღე მდგომარეობს ორი ურთიერთსაპირისპირო ძალის წონასწორობაში. სხეულისათვის ესაა წონასწორობა აღმშენებლობასა და დაშლას შორის, რომელიც ცვალებადობს სიცოცხლის მანძილზე, ისე რომ ჯანსაღ ბავშვს სხვა წონასწორობა გააჩნია, ვიდრე ჯანსაღ მოზრდილს ან მოხუცს. შტაინერისთვის თერაპია მუდამ თანაბრად მოიცავს სხეულს, სამშენველსა და სულს. იგი ყოველთვის განვითარების თერაპიაა. თუ ვინმე მიაკითხავს შტაინერის პრინციპების მიხედვით მომუშავე ექიმს, იგი პირველ რიგში ფიზიკურ შემოწმებას გაივლის, რათა გამოვლინდეს აღმშენებლობასა და დაშლას შორის წონასწორობის დარღვევის სიმპტომები. ექიმი შეეცდება გაიგოს, ხომ არ ავლენს პაციენტი ნაადრევი დაბერების ნიშნებს, ან ხომ არაა ზედმეტად ახალგაზრდა ასაკთან შედარებით. აქ კარგია ვიხელმძღვანელოთ ადამიანის სამწვეროვანი ბიოლოგიური ხატი. ცნობიერების მატარებელი ორგანოების, ნერვული სისტემისა და გრძნობათა ორგანოების, ზეგავლენა ხელს უწყობს დაშლას, ნივთიერებათა ცვლის ორგანოებისა კი — აღმშენებლობას. ნერვულ სისტემაში მიმდინარე ჭარბი აღმშენებლობითი პროცესები იწვევს ცნობიერების დაქვეითებას; ნივთიერებათა ცვლის სისტემაში კი დაშლის პროცესების სიჭარბე — ქსოვილთა დისფუნქციას, დაშლას და გადაგვარებას.

შუაში მდებარეობს რიტმულად მოქმედი ორგანოები, რომელნიც აკავშირებენ ქვედა და ზედა სფეროებს. წონასწორობის

დარღვევა ყველაზე კარგად ჩანს სუნთქვასა და სისხლის მიმოქცევაში. თერაპევტი შეეცდება, წამლების, მასაჟების, აბაზანების და ასე შემდეგ საშუალებით მოახდინოს ბიოლოგიური რიტმის რეგულაცია და აღადგინოს წონასწორობა, რომელიც შეესაბამება პაციენტის ასაკს, ანუ აღადგინოს ჯანმრთელობა.

ამავე დროს, ექიმი შეისწავლის პაციენტის ფსიქიკურ მდგომარეობას, მის განცდებს სიცოცხლის განმავლობაში, აღზრდა-განათლებასა და სოციალურ მდგომარეობას. შემდეგ იწყება მკურნალობის ნაწილი, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ ბიოგრაფიული თერაპია. პაციენტს აცნობენ ადამიანის ბიოგრაფიის ზოგად მიმდინარეობას, რათა ექიმის დახმარებით დააკვირდეს თავის პრობლემებს და აღმოაჩინოს, თუ რომელი მათგანია ზოგადად დამახასიათებელი ასაკობრივი ფაზის კრიზისული პერიოდისთვის და რომელი მათგანია მისი ინდივიდუალური პრობლემა. უმეტეს შემთხვევაში დიდ შევებას იძლევა პიროვნული პრობლემების გამიჯვნა განვითარების ზოგადი, ნორმალური პრობლემატიკისაგან. ინდივიდუალურ პრობლემებთან დაკავშირებით სამი რამ არის საჭირო:

1. უნდა მოხდეს *სხეულებრივი წონასწორობის დარღვევის მკურნალობა*;

2. პაციენტმა უნდა შეიმეცნოს *ფსიქიკური წონასწორობის დარღვევები*. იგი მზად უნდა იყოს, შეიცვალოს ცხოვრების წესი. მაგ., ცნობიერი ფუნქციების — აზროვნებისა და წარმოდგენების — დომინირება იწვევს უძილობას, ნერვიულობას, აკვიატებულ იდეებსაც კი. ხოლო არაცნობიერი ნებელობითი იმპულსების დომინირება იმაში ვლინდება, რომ ადამიანი დაექვემდებარება ცვალებად ლტოლვებს. ამით კი შეიძლება აღმოცენდეს ახალი სოციალური პრობლემები.

*ფსიქიკურ სფეროში უნდა მივიწრაფოდეთ აქტიური წონასწორობისაკენ*, რომელსაც ადრე *აუმღერეველობა* ვუწოდებთ. მის მისაღწევად საჭიროა გამოვიმუშაოთ პოზიტიური განწყობა და მიუკერძოებლობა (მაგ., პაციენტს შეიძლება დაევალოთ, ყოველ საღამოს ჩაიწეროს დღის განმავლობაში მომხდარი ერთი

დადებითი მოვლენა. შემდეგ თერაპევტი პაციენტთან ერთად განიხილავს ამ მოვლენებს).

3. *სულიერ სფეროში* საქმე გვაქვს მეს, როგორც სულიერი გეშტალტის, განვითარებასთან. თუ პაციენტი იპოვის ცხოვრების ინდივიდუალურ მიზანს, ლაიტმოტივს, მაშინ მის წინაშე კვლავ გაიღება მომავლის კარი. იმისთვის, რომ შესაძლებელი გახდეს საკუთარი მიზნის „ხელახლა აღმოჩენა“, ინდივიდში რაიმე ახალმა უნდა გაიღვიძოს. ხშირად ადამიანის ცხოვრების მსვლელობის გაცნობა ახალი სტიმულია იმისთვის, რომ ინდივიდმა ისწავლოს საკუთარი ცხოვრებისთვის ახალი თვალით შესხედვა. პაციენტის მოთხოვნილებებისა და უნარების მიხედვით მეტნაკლები ინტენსივობით უნდა გაირკვეს საკითხები: ვინ ვარ მე? საიდან მოდის ჩემი ლაიტმოტივი? რატომ მოვხვდი ამ კრიზისში?

თერაპევტისთვის ეს მე არის ერთადერთი მარადიული რამ ადამიანში. იგი უკვე დაბადებამდე არსებობდა და სიკვდილის შემდეგაც იარსებებს, გამდიდრებული ცხოვრებისეული გამოცდილებით. ერთი სიცოცხლე ძლიერ ხანმოკლე და შეზღუდულია, რათა დასრულდეს განვითარების გზა. ამისთვის მრავალი სიცოცხლეა საჭირო, რომელთაგან თითოეულს ახალი ლაიტმოტივი გააჩნია, როგორც ცხოვრების ახალი ამოცანა. ძალისხმევებიდან და იმედგაცრუებიდან, გამარჯვებიდან და მარცხიდან, სიხარულიდან და სევდიდან მწიფდება მომდევნო ცხოვრების მარცვალი. მე ხდება უფრო მდიდარი, ცნობიერი და მეტ პასუხისმგებლობას იძენს. მრავალი სიცოცხლის, მრავალ „კლასებში“ სწავლის პროცესის მომცველი განვითარების ეს გზა სრულიად ახლებურად აშუქებს ადამიანის ერთ ცხოვრებას. მემკვიდრეობითობა და გარემო იმ ფაქტორებად იქცევა, რომელნიც ადამიანმა თავად ინება. ვისაც ეს უცნაურად მოეჩვენება, იფიქროს იმაზე, რომ როცა სპორტში ან მეცნიერებაში მიზანს ვისახავთ, მაშინ სასწავლო პროგრამაში ან ვარჯიშში ერთვით კარგად მოფიქრებულ დაბრკოლებებს, რათა მივაღწიოთ შესრულების მაღალ დონეს.

ცხოვრებისეული დაბრკოლებები, რომელთაც ხშირად უსამართლობად მივიჩნევთ და პროტესტს ვუცხადებთ, ბიოგრა-

ფიის ასპექტია და ამდენად თვით მეს ასპექტიც. სწორედ ისინი ხდიან დასანახს ჭკუშმარიტ ლაიტმოტივს.

ლაიტმოტივის ძიებისას გამოიკვეთება პირდაპირი და არა-პირდაპირი მიზნები. ცხოვრების მიზანთან ერთად ახლა არსებით ფაქტორად იქცევა ამ მიზნისაკენ მიმავალი გზა. ყველაზე ხშირად სწორედ აქ ჩნდება ილუზიები. ახლა ცენტრალური საკითხია ცხოვრების საბოლოო მიზნისკენ მიმართული რეალისტური მიზნების პოვნა. ზოგი მიდრეკილია, დაისახოს უტოპიური მიზნები და გადაახტეს განვითარების საფეხურებს, სხვები ვერც კი ბედავენ მიზნის დასახვას, რადგან ეშინიათ, რომ ვერ მიაღწევენ მას. წონასწორობის შენარჩუნება არის ღირსება, რომელზეც უკვე არისტოტელე მითითებდა. იგი ამბობდა, რომ გამბედაობა არ არის სიმხდალის საპირისპირო თვისება. ნამდვილი გამბედაობა არის შუაგული სიმხდალესა და თავზე ხელაღებულობას შორის.

აქედან, ალბათ, ცხადია, რომ მიზნის აწონ-დაწონილი და გააზრებული დასახვა შეიძლება გავაიგივოთ სულიერი გამბედაობის განვითარებასთან. სულიერი გამბედაობა ნიშნავს, რომ ინდივიდი ცნობიერად აღიარებს და ავითარებს საკუთარ ცხოვრებას.

ამ პრობლემასთან დაკავშირებით ადლერი საუბრობდა წინათგრძნობაზე, თუმცა მას არაცნობიერ ფსიქიკურ მექანიზმად თვლიდა. იგი ასევე ლაპარაკობდა „მოწყობაზე“. ამაში გულისხმობდა ადამიანის არაცნობიერის იდუმალ ძალას, რომლის საშუალებითაც ინდივიდი თვითონ იგდებს თავს უბედურებაში. მსგავსად იმისა, როგორც კარგი მასწავლებელი მოწაფეს გზაზე დაბრკოლებებს უქმნის, რომელთა გადალახვითაც იგი უნდა გაიზარდოს.

ადლერი საუბრობდა აგრეთვე „გამხსნევებაზე“, როგორც მნიშვნელოვან თერაპიულ ინსტრუმენტზე. შტაინერის მიხედვით, უნდა ვილაპარაკოთ თვითგამხსნევებაზე. ამ გაგებით, ბიოგრაფია არის ინდივიდუალობის პროცესი ახალგაზრდობისას და განვითარება პიროვნებისკენ შემდგომ ასაკში. რადგანაც ადა-

მიანი ჯერ არის ინდივიდი და შემდეგ ხდება პიროვნება.

ფსიქიკური სირთულეების მქონე ადამიანებისთვის თერაპია აუცილებლად მრავალმხრივი უნდა იყოს. ზემოხსენებულ ორგანულ მკურნალობასთან ერთად უნდა წარმოებდეს მხატვრული თერაპია, რომელიც ხატვის, ძერწვის, ევრითმიისა და მუსიკის გამოყენებით განცდათა ახალ სფეროებს გაუღებს კარს. ამით ბიოგრაფიული თერაპია შეიძენს ელემენტს, რომელიც გამოიწვევს მიზნების განახლებას. ამიერიდან ადამიანი შინაგანი გამბედაობის ძალით უნდა იაროს რეალისტური მიზნებისაკენ, გამბედაობისა, რომელშიც შუაგული არის შიშსა და თავზე ხელაღებულობას შორის. თერაპიის ნაწილს შეადგენს აგრეთვე სხვებთან ერთად ახალი მიზნების განხორციელება. ვინაიდან ჩვენ მუდამ სხვებთან ერთად და მათთვის ვვითარდებით. ადამიანი უნდა ეძებდეს ახალ ერთობებთან კავშირს. ეს შეიძლება იყოს *შემსწავლელი წრე*, როდესაც ადამიანები იკრიბებიან, რათა ერთმანეთი გაამხნეონ წინსვლაში და ერთმანეთს დაეხმარონ შემეცნებაში. შეიძლება იყოს *თანაცხოვრების ერთობები* (ოჯახი, თერაპიული ცენტრი, კომუნა) და *შრომითი ერთობები*, როდესაც ადამიანები მიზნად ისახავენ, ერთად აკეთონ სხვებისთვის რაიმე და ამდენად ერთად შრომობენ. აქ მეტწილად არავითარ როლს არ თამაშობს მსოფლმხედველობის საკითხი, არც სხვებთან ერთად ცხოვრება აუცილებელი. განვითარების მიზანი მუდამ ერთია: დავეხმაროთ ადამიანს, მიაღწიოს განვითარების *მისთვის შესატყვის* შემდგომ საფეხურსა თუ დონეს. განვითარების დონეს, ერთი მხრივ, განსაზღვრავს ასაკი, რომელსაც ახალ-ახალი პრობლემები და შესაძლებლობები მოაქვს. მეორე მხრივ, კი ლაიტმოტივი, რომელიც ამ ცხოვრებისთვის მაღალმა მემ აირჩია. ეს ლაიტმოტივი თავს იჩენს მემკვიდრეობითობაში, აღზრდაში და ინდივიდის რეაქციებში მათზე. სხვა სიტყვებით, იმაში, თუ როგორ იყენებს იგი თავის მდგომარეობასა და აღზრდას და როგორ ისახავს სამომავლო მიზნებს. ყველა ეს ელემენტი ერთად ქმნის ინდივიდუალურ ბიოგრაფიას, რომელიც ადამიანის შემოქმედებაა.

### 3. ფსიქოთერაპიის სამი დონე

იმისათვის, რომ მოვახერხოთ ფსიქოთერაპიული სკოლების და მათი მეთოდების ლაბორინტში ორიენტაცია, პირველ რიგში საჭიროა მათი სისტემატიზაცია. საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით განვასხვავებ ფსიქიკური ან სულიერი სირთულეების მქონე ადამიანების დახმარების სამ დონეს.

პირველ დონეს ვუწოდებ ურთიერთდახმარებას. იგი მოიცავს ინდივიდუალურ საუბრით თერაპიასა და ჯგუფურ თერაპიას. საუბრისას განიხილება სოციალური მიზეზით წარმოშობილი დარღვევები ცხოვრების ნორმალურ მიმდინარეობაში, აგრეთვე ზოგიერთი ადამიანის უუნარობა, მიაგნოს საკუთარს მიზანს ცხოვრებაში, შეინარჩუნოს კონტაქტები, განამტკიცოს საკუთარი თავი. აქ ხაზი ესმება „ძმურ“ ურთიერთდახმარებას, რომელიც ყოველმა ადამიანმა შეიძლება გაუწიოს მეორეს.

მეორე დონე არის ნამდვილი ფსიქოთერაპიის სფერო. მას საქმე აქვს სერიოზულ დარღვევებთან, რომელთაც უმეტესად ვხვდებით ცხოვრების ზემოაღწერილ კრიტიკულ პერიოდებში; აგრეთვე უკიდურეს ცალმხრივობასთან ტემპერამენტში ან ძირითად ორიენტაციაში, რაც შეუძლებელს ხდის ცხოვრებისეული სიტუაციების გონივრულ შეფასებას. ამავე სფეროში შემოდის უფრო ძლიერი დარღვევები, რომლებიც გამოწვეულია წარსულის მოუნელებელი ნაშთებითა და მომავლის ილუზორული მიზნებით. თერაპიისას მთავარია, მხატვრული შემოქმედებისა და თერაპევტთან პიროვნული შეხვედრების საშუალებით ადამიანს დავეხმაროთ ჰორიზონტის გაფართოებასა და ახალი მიზნების დასახვაში. მკურნალობის პროცესს ამ დროს ექიმი ფსიქიატრი წარმართავს.

მესამე დონე საკუთრივ ფსიქიატრიის სფეროა. აქ საქმე გვაქვს ფსიქოზებთან. ეს ნიშნავს, რომ დაავადების პროცესში ჩაბმულია მთლიანი პიროვნება, მთელი თავისი სომატური, ფსიქიკური და სულიერი არსებით. ამ დროს თერაპევტმა უნდა განსახედროს, თერაპიის რომელი ფორმაა საჭირო დასაწყისში და

რომელი — მხოლოდ მოგვიანებით. აქ დარღვევებს სომატური საფუძველი გააჩნია. აქცენტი კეთდება მედიკამენტურ მკურნალობაზე (რაც არ უდრის ფსიქოფარმაცევტული საშუალებების გამოყენებას!). გამოიყენება სხვა სახის თერაპიებიც. ამჯერად მკაცრად განსაზღვრული დოზით.

ამ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით უფრო უკეთ გაგერკვევით სხვადასხვა თერაპიულ შესაძლებლობათა ქაოსში და ცხადი გახდება, თუ რატომ არსებობს ამ სფეროში ამდენი სხვადასხვა მეთოდი და შეხედულება. ნათელი გახდება ისიც, თუ საიდან წარმოიშვება კონფლიქტები იმ პაციენტებთან დაკავშირებით, რომელნიც მკურნალობენ ერთ ჯგუფში მაშინ, როცა მეორეს ეკუთვნიან, ან რომელნიც გაუშვა ერთმა ჯგუფმა, მეორე კი არ იღებს.

1. ურთიერთდახმარება. როცა მომმართავს გასაჭირში მყოფი მეგობარი, მე ვიწყებ მასთან საუბარს და ვცდილობ, შეძლებისამებრ დავეხმარო, მეთოდების ცოდნის გარეშე. ჩვეულებრივ, ადამიანური დახმარების ეს ფორმა ძალზე ქმედითია. დახმარების მაძიებელი ამბობს მთელ თავის სათქმელს, მეგობრის თანაგრძნობას იღებს და შეებას გრძნობს თავისი მარტოობისაგან. ასეთ შეხვედრას ახალი ელემენტი შემოაქვს მოცემულ სიტუაციაში. დახმარების მაძიებელ ადამიანს წინსვლის საშუალება ეძლევა.

ამგვარი ინტერპერსონალური დახმარება შეიძლება იქნეს გაღრმავებული, სისტემატიზებული და პროფესიულ დონეზე აყვანილი. პროფესიონალი დამხმარე მზად არის, შექმნას სიტუაციები, რომელთაგანაც დახმარების მაძიებელს შეეძლება სარგებლობის მიღება. აქედან იწყება დახმარების ინსტანციების, საზოგადოებების, ჯგუფებისა და ინდივიდების ლაბირინთი. ყოველი მათგანი სპეციალიზდება გარკვეული სახის პრობლემაში, ავითარებს სრულიად განსხვავებულ მეთოდებს იმ კონცეფციისდა მიხედვით, რომელიც ფასილიტატორს გააჩნია ადამიანისა და საზოგადოების შესახებ.

მოკლედ მიმოვიხილაგ ზოგიერთ მიმდინარეობას და მეთოდს,



რათა მკითხველმა გააცნობიეროს ამ სფეროს მრავალფეროვნება.

არსებობენ ფსიქიატრები და ფსიქოლოგები, რომელნიც გარდა ინდივიდუალური თერაპიისა, კვირაში ერთხელ ან მეტჯერ ჯგუფური თერაპიის სეანსებს ატარებენ. არსებობს ჯგუფური თერაპიისა და ოჯახის თერაპიის დაწესებულებები. ყველა მათგანში მონაწილეები მთლიანად საკუთარი ნებით მოდიან. თუ ისინი რამოდენიმეჯერ გააცდენენ სეანსებს, „ამოვარდებიან“ სიიდან. თუ ოჯახის თერაპიისას მოაკლდება ერთი ან მეტი წევრი, თერაპია წყდება. ამით ბუნებრივად იცხრილება მძიმე შემთხვევები, როდესაც პაციენტს აღარა აქვს ინიციატივა ან შინაგანი შესაძლებლობა, აქტიურად ნებადეს განკურნება.

არსებობს კონსულტაციები მცირეწლოვანთათვის, რომელნიც სახლიდან გაიქცნენ, ნარკომანებისათვის, ალკოჰოლიკებისთვის. აქაც, როგორც წესი, ჩაწერა და მონაწილეობა ნებაყოფლობითია. არსებობს აგრეთვე „ტრენინგების“ მრავალგვარი ფორმა: სენსიტიურობის ტრენინგი, რომელიც რამოდენიმე კვირას გრძელდება, გემტალტრენინგი, ფსიქოსინთეზური ჯგუფები, ჩუმი (შეხვედრის) ჯგუფები, ვერბალური ან არავერბალური შეხვედრის ჯგუფები, მარათონული ჯგუფები, როდესაც მონაწილეები 24 ან 48 საათის განმავლობაში ერთად იმყოფებიან და ჯგუფური მუშაობის ბევრი სხვა ფორმა სხვადასხვა სახელებით, როგორცაა ბიოენერგეტიკა და ტრანსაქციული ანალიზი.

თუმცა ჯგუფში ჩაწერა და მონაწილეობა ნებაყოფლობითია, თვით სეანსის განმავლობაში ხშირად განიცდება ძლიერი ზეწოლა, ყველაფერი გამოთქვა, ყველა გრძნობა გამოხატო სიტყვებით და გააცნო ჯგუფს. უფრო ძლიერი ნატურისთვის ასეთი ზეწოლა სასარგებლოა, უფრო სენსიტიურისათვის კი – წამება. რაკილა ასეთი ჯგუფი შემთხვევითი ადამიანებისგან იქმნება და ინდივიდი მეტ-ნაკლებად აგრესიულ ადამიანებზეა დამოკიდებული, თერაპევტს მოეთხოვება დიდი ოსტატობა, რათა დაიცვას მონაწილე. მაგრამ მიუხედავად კეთილი განზრახვებისა, ჯგუფის ხელმძღვანელებს ყოველთვის არ გააჩნიათ იგი. წინაპირობები ამ პროფესიისთვის ჯერ არაა კანონით დადგენილი და ვისაც კი

იზიდავს ეს სამუშაო, შეუძლია დაირქვას „ტრენერი“ და ხელი მიჰყოს ჯგუფურ თერაპიას. ამიტომ ჯგუფური მუშაობის ხარისხი დამოკიდებულია ჯგუფის ხელმძღვანელის უნარებზე და, რასაკვირველია, გამოყენებულ მეთოდებზე.

პირადად მე ვთვლი, რომ ჯგუფურ თერაპიაში აუცილებელია თითოეული მონაწილის პიროვნებისა და თავისუფლების აბსოლუტური პატივისცემა. ეს თავისუფლება აგრეთვე გულისხმობს პიროვნული სივრცის დაცვის უფლებასა და უფლებას, არ მოისურვო გარკვეულ საკითხებზე საუბარი მოცემულ წრეში. ძლიერი ზეწოლა და მეტისმეტად ხანგრძლივი სეანსები ამ თავისუფლებას ლახავს და ამიტომ უკუგდებულ უნდა იქნეს.

ჯგუფურმა მუშაობამ უზარმაზარი პოპულარობა მოიპოვა. მაგრამ ჯგუფური თერაპიის მრავალმხრივი შესაძლებლობების აღმოჩენით გამოწვეულ აღფრთოვანებას ამ შესაძლებლობათა გადალება ინდივიდუალური ფსიქიატრიისადმი, რომელსაც საქმე აქვს სრულიად განსხვავებულ პრობლემებთან, რომელთა გადაჭრა შეუძლებელია ჯგუფური თერაპიის მეთოდებითა და მკურნალობის კრიტერიუმებით. ფსიქიატრიულ საავადმყოფოებს ადარებენ საკონცენტრაციო ბანაკებს, ფსიქიატრები კი შეუგნებელ, უგრძნობ სუბიექტებად გამოჰყავთ.

მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ „მშვიდი შიზოფრენიული პაციენტი“ გამოწერილია ფსიქიატრიული საავადმყოფოდან რეკომენდაციით, შემდგომი მკურნალობა სოციალურ ფსიქიატრიულ ცენტრში გაიაროს. სამჯერ არგამოცხადების შემდეგ მას დაემუქრებოდა სიიდან ამოვარდნა და ახლა უკვე სხვა ორგანიზაციას მოუხდებოდა მასზე ზრუნვა. თავისთავად ეს არ იქნებოდა ცუდი, რადგანაც საგსებით დასაშვებია შრომის გონივრული დანაწილება. მაგრამ ფსიქიატრიულ საავადმყოფოებს სწორედ ისინი აკრიტიკებენ, ვინც ვერ მოახერხა შემდგომში საჭირო მკურნალობის ჩატარება.

შეჯამებისთვის შეიძლება ითქვას, რომ ჯგუფური თერაპია, როგორც სისტემატური ურთიერთდახმარება, ფსიქოთერაპიის განვითარებადი სფეროა. ჯერ კიდევ დაუმთავრებელი განვითარება

რება კი იწვევს იმას, რომ ყოველი თერაპევტი საკუთარ მეთოდს ამკვიდრებს. ყველა მიმდინარეობისთვის საერთოა, რომ ყურადღებას ამახვილებს „აქ და ამჟამად“-ზე, ჯგუფის (რომელიც ინდივიდს თავისუფლად არ აურჩევია) აქტუალურ პრობლემებზე, ბიოგრაფიული განვითარების პრობლემები კი თითქმის არ ფიგურირებს. მონაწილენი („მასალა“) უმეტესად სიცოცხლის შუა ფაზაში არიან. მხოლოდ და მხოლოდ გამოყენებული მეთოდების გამო დომინირებს შეგრძნებათა სამშენიველის, „ვიტალურ-მშენივერი სწრაფების“ პრობლემები. უფრო ფაქიზ სულიერ პრობლემებს თითქმის არ ეხებიან. უმთავრესად იმიტომ, რომ მათთვის ადგილი არაა ჯგუფური თერაპევტების შეხედულებებში ადამიანის შესახებ.

ჯგუფურ თერაპიას შეიძლება დადებითი ეფექტი ქონდეს იქ, სადაც საქმე ეხება მარტოობის განცდის მოხსნას, ან სიყრმიდან მოზრდილობისკენ ნაბიჯის გადადგმას, რაც არ მომხდარა ინდივიდის სამუშაო ანდა ოჯახური პირობების გამო. ოჯახის თერაპიის ამოცანაა, მოძრაობაში მოიყვანოს ჩიხში მომწყვდეული სიტუაციები და რიგიდული ქცევები, პრაქტიკულად ყველა ფსიქოთერაპია ფსიქოლოგიზმიდან ამოდის, გარდა ფსიქოსინთეზური ჯგუფებისა, რომელნიც პაციენტისთვის მეტის მიცემას ცდილობენ; მაგრამ აქაც ყველაფერი დამოკიდებულია ჯგუფის ხელმძღვანელის პიროვნებასა და მშენივერ უნარებზე.

2. ფსიქოთერაპია. ამ დონეს, პირველისაგან განსხვავებით, საქმე აქვს ბიოგრაფიის უფრო სერიოზულ დარღვევებთან. აქ მკურნალობენ ისეთ ადამიანებს, რომელთა სიცოცხლეს დაზარევა ემუქრება განვითარების ნამდვილი დარღვევების გამო. მათთვის საერთოა ის, რომ ველარ ხედავენ თავიანთ მომავალს და სასოწარკვეთილებაში ვარდებიან, ანდა წარსულის განცდებსა და რეაქციის წარსულ მანერას ებლაუჭებიან. ჩიხში მომწყვდეული ცხოვრება შეიძლება კვლავ ამოძრავდეს, თუკი ინდივიდის ცხოვრების არსებულ შინაარსს რაიმე ახალი ასპექტი დაემატება, რამეთუ პრობლემა მოუნელებელი წარსული კი არ არის, არამედ მომავალი პერსპექტივის არარსებობა! თუ მომავალს აზრი მიე-

ცემა, შესაძლებელი გახდება წარსულის ობიექტივაცია და იგი ნაკლებ მნიშვნელოვანი იქნება, ვიდრე განვითარების სამომავლო შესაძლებლობები.

განვითარების დარღვევებისას დიაგნოსტიკისა და თერაპიისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, გადავხედოთ ადამიანის განვითარების ფაზებს, რათა გავიგოთ, თუ როგორაა გადაძევილებული წარსული გამოცდილებები და რომელია ცხოვრების კრიტიკული მომენტი. ზოგიერთ ადამიანს, ვინც თერაპევტთან მიდის თავისი სირთულეებით, უნდა მხოლოდ მივულოცოთ, რადგან მათი კრიზისი მიუთითებს იმაზე, რომ ადგილი აქვს მომდევნო ფაზაზე გადასვლას. ცალკეული პრობლემების ობიექტივაციას ადამიანის ცხოვრების ზოგადი მიმდინარეობის ფონზე – დიდი თერაპიული ეფექტი გააჩნია. გარდა ამისა, პაციენტს შეიძლება მიეთითოს სათანადო მხატვრული სავარჯიშოები ან ლიტერატურა, რომელიც მის კრიზისს ეხება.

თერაპევტთან პირად შეხვედრასთან ერთად უმნიშვნელოვანესი სამკურნალო საშუალებაა მხატვრული საქმიანობა. მხატვრული თერაპიისას ინდივიდუალური მიდგომაა საჭირო. თერაპევტ-ხელოვანმა და ექიმმა ერთად უნდა შეადგინონ პროგრამა, რომელიც თერაპიის განმავლობაში შეიძლება მოდიფიცირდეს პაციენტის წინსვლისდა მიხედვით. ანთროპოსოფიული მედიცინა ამ სფეროში გვთავაზობს ხატვას, ქერწვას, სამკურნალო ევრითმიასა და მუსიკას. განსაკუთრებით განვითარდა სამკურნალო ევრითმია, რომლის დროსაც ყოველი ცალკეული შემთხვევისთვის შეირჩევა სპეციფიკური ვარჯიშები.

თერაპიული შეხვედრისას, რომელიც ფსიქოთერაპევტსა (ამ შემთხვევაში ექიმსა) და პაციენტს შორის ხდება, ექიმში თავის თავს უყურებს, როგორც სიტუაციის ნახევარს. ეს ნიშნავს, რომ დახმარების მაძიებელ ადამიანს იგი ხვდება როგორც თანასწორუფლებიანს, როგორც პიროვნებას და თავისი პიროვნული წვლილი შეაქვს სიტუაციაში, ყოველ შემთხვევაში იმდენად მაინც, რამდენადაც ამას პაციენტისგან მოელის. დასახული თერაპია ფინალზე ორიენტირებულია: მკურნალობის ანალიზური

ფაზა რაც შეიძლება მოკლეა და უმთავრესად ემსახურება status quo-ს ანუ თერაპიის ამოსავალი პუნქტის დადგენას. თერაპიის შემდგომი მიმდინარეობა დამოკიდებულია პაციენტის ასაკზე, ცხოვრების შუა ფაზაში ადამიანი ხშირად იხედება სიცოცხლის საწყისი ფაზების მოვლენებისაკენ. ასეთი შეჩერება წარსულზე მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი და მხოლოდ გარკვეული შეშებისა და შეფერხების გაგებას უნდა ემსახურებოდეს. შემდეგ მზერა მომავალზე უნდა იქნეს გადატანილი.

ხშირ შემთხვევაში სიტუაცია შეიძლება შევადართო რაიმე ორგანიზაციის სათავეში ჩადგომას. როდესაც ამა თუ იმ დაწესებულების ხელმძღვანელობას ვიწყებთ, ყველაფერთან ერთად საქმეს ვიჭერთ მთელ მის ვალებთან და კრედიტორებთან. აზრი არა აქვს ფიქრს იმაზე, თუ რა მოხდებოდა, ეს ვალები რომ არ არსებულებოდა. ისინი არსებობენ და ახლა საჭიროა არსებული კაპიტალის დახმარებით შევიმუშაოთ მომავალი წლის სტრატეგია, რომლის ერთ-ერთი პუნქტი იქნება ვალების გარკვეული ნაწილის გადახდა. მთლიანი კაპიტალის ათვისება და აქედან მოგების მიღება ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე წარსულ ვალდებულებებზე მიჩერება.

მოგების მიღება, ახალი ქონების შექმნა — უმნიშვნელოვანესი თერაპიული მიზანია ამ ჯგუფის პაციენტებისათვის. ეს შეიძლება ნიშნავდეს ადამიანის ცხოვრების ყველა ფაზის პრობლემების ზოგად მიმოხილვას, განსაკუთრებით კი იმ ფაზისას, რომელშიც პაციენტი იმყოფება. ეს შეიძლება გულისხმობდეს კითხვის დასმასაც — მომავლის სტრატეგიის შემუშავებისთვის საკმარისია თუ არა ინდივიდის მსოფლმხედველობა და წარმოდგენა ადამიანზე? აქ დახმარების გაწევა შეუძლია საუბარსა და შესაფერის ლიტერატურას. დაბოლოს, ეს შეიძლება ნიშნავდეს საკუთარი ამოცანისა და სხვებისადმი დამოკიდებულების გადასინჯვას, რაც, თავის მხრივ, შეიძლება გულისხმობდეს მონაწილეობას კარგად მომზადებულ ჯგუფურ დისკუსიაში, სამუშაო ჯგუფში ან ფერწერის კურსში. თერაპევტთან ინდივიდუალური შეხვედრიდან თერაპია მიემართება ჯგუფური შეხვედრისაკენ,

რაც არაა მხოლოდ ემოციური შეხვედრა. ასეთი ჯგუფის უმთავრესი მახასიათებელია პაციენტის თავისუფლება და ღირსება, რაც ნიშნავს მის დაცვას ინტიმური სფეროს არასასურველი შეხებისაგან. ამის გამო ამგვარი პაციენტებისთვის ხშირად ჩვეულებრივი თერაპიული ჯგუფები შეუფერებელი არის.

მდგომარეობა განსხვავებულია მათთვის, ვინც შევლას ეძებს სიცოცხლის მესამე ძირითად ფაზაში, რომელიც 42 წლის ასაკში იწყება. ამ დროს კრიზისი თითქმის ყოველთვის იმას ნიშნავს, რომ ინდივიდმა ვერ მოახერხა დროულად ეპოვა ზეპიროვნული ღირებულებები. ამიტომ იგი ებლაუჭება თავის მიღწევებს, სულ უფრო მეტ სამუშაოს იღებს თავის თავზე, ეშინია ყოველი ახალგაზრდა თანამშრომლისა, რომელმაც შეიძლება მუშაობაში აჯობოს ან რომელიც უფრო თანამედროვეა მასთან შედარებით. იგი გრძნობს, რომ სულ უფრო და უფრო უჭირს სწრაფად ცვალებად სამუშაოსა და გარემოსთან შეგუება და განიცდის ამას როგორც საშიშროებას. ასე რეაგირებს პაციენტთა ერთი ჯგუფი. მეორე ჯგუფი კონცენტრირებულია თავის ძირად ურთიერთობებზე: ქორწინებამ აზრი დაკარგა, მეუღლე ხელს უშლის ილუზორული მიზნების მიღწევაში, ბავშვები თავიანთ გზას დაადგნენ და ზურგი შეაქციეს მშობლებს. კლიმაქტერიული პერიოდი 40 წლის ასაკში ქალებისთვის და 50 წლის ასაკში მამაკაცებისთვის იწვევს ემოციურ ლაბილობას ყოვლისშემძლეობისა და უძლურების გრძნობების ურთიერთმონაცვლეობით.

ამ პრობლემებს უკვე შეეცხე წინა თავებში, აქ კი მხოლოდ თერაპიაზე ვისაუბრებ.

ყველა შემთხვევაში ექიმმა ძირფესვიანად უნდა გამოიკვლიოს პაციენტის ფიზიკური მდგომარეობა, რათა დაადგინოს ფარული ორგანული დარღვევები. ყოველდღიური ცხოვრება მყარ რიტმში უნდა ჩაჯდეს და მკაცრად უნდა კონტროლირდებოდეს. უნდა აიკრძალოს ალკოჰოლის, როგორც ამგზნები საშუალების, მიღება. ამ ასაკის ადამიანებს შორის ძალიან ბევრია ისეთი, ვინც გამუდმებით იღებს ზედმეტ ალკოჰოლს თუმცა კი არ არის ალკოჰოლიკი. ციფრები, რომელნიც აჩვენებენ ალკოჰოლის მი-

ღების ზრდას უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში, თავისას ამბობს.

ამ დროს ერთადერთი სამკურნალო საშუალებაა – რა უცნაურადაც უნდა ეღერდეს – ცხოვრების ახალი სულიერი შინაარსი. სხვა შემთხვევაში ალკოჰოლი ერთადერთი თავშესაფარი ხდება შრომისუნარიანობისა და ვიტალურობის დაკარგვისას. ამ ასაკობრივი ჯგუფის შემთხვევაში ფსიქოთერაპიამ უნდა იზრუნოს სულიერი და მხატვრული ინტერესების გამოღვიძებაზე. ასეთ დროს ექიმი იმაზე მეტს ვერ მისცემს სხვას, რაც თვითონაა, მაგრამ საკუთარი თავი მთლიანად უნდა გასცეს. მას შემდეგ, რაც მოწესრიგდება პაციენტის ცხოვრების რიტმი, თერაპიული საუბრები უფრო მეგობრებს შორის საუბრად იქცევა. დახმარების გამწვევი ექიმი სულიერი განვითარების პროცესის წარმმართველი ხდება. კონცენტრაციის მარტივი სავარჯიშოები, ბუნების აღქმის სავარჯიშოები, ცხოვრების ღირებულებებზე ფიქრის დაწყება მედიტაციური ცხოვრების წინამორბედი ხდება. საერთო ლექციები, ლიტერატურის ერთად დამუშავება, მათთან კონტაქტი, ვინც ასევე ეძებს თავის გზას, შეიძლება კარგი დახმარება იყოს ცხოვრების ახალი სტილის შექმნისთვის.

ცხოვრების ახალი სტილი უმრავლეს შემთხვევაში სხეულებრივ-ბიოლოგიურ სფეროზე ზემოქმედებს. ძილი უმჯობესდება, ქრონიკული დაღლილობა მცირდება და იქცევა სასიამოვნო დაღლად ნაყოფიერი შრომის შემდეგ. ადამიანი მეტად ინტერესდება თავისი სამუშაოთი, ზოგიერთ საქმეს სხვებს გადააბარებს, დანარჩენს ახლებურად დაინახავს და გააგრძელებს მის შესრულებას. თუ საქმე კარგად მიდის, თერაპევტთან ურთიერთობა ნელ-ნელა თავისუფალი ხდება, თერაპევტი მეგობარ თანამგზავრად იქცევა. თუ მდგომარეობა უფრო მძიმეა, ექიმს შეუძლია მიმართოს მხატვრულ საქმიანობებს, ინდივიდუალურ კონსულტაციებსა და ჯგუფურ თერაპიას. ზოგადად რომ ვთქვათ, ხანში შესული პაციენტებისთვის არ გამოდგება ტრადიციული ჯგუფური თერაპია, სადაც განიხილება სრულიად სხვა ასაკის ემოციური პრობლემები.

მკითხველს შეიძლება გაუკვირდეს, რომ პაციენტების ამ მეორე კატეგორიასთან დაკავშირებით არაფერი ვთქვი სიზმრების ანალიზზე, რომელიც ასე დიდ როლს თამაშობს ფროიდთან და იუნგთან. ეს დაკავშირებულია აქ არჩეულ, ფინალზე ორიენტირებულ, მეთოდთან. შესაძლებელია, ცალკეულ შემთხვევებში სიზმარი მნიშვნელოვანი იყოს მოცემული სიტუაციის გასაგებად. ამ დროს, ჩვეულებრივ, ნაკლები ყურადღება ეთმობა სიზმრის შინაარსს, უფრო მეტი კი სიზმრისეულ მოვლენათა დინამიკას. მაგრამ ძალას მომავლისათვის, განსაკუთრებით ცხოვრების ამ ფაზაში, ადამიანი „ზეცნობიერიდან“ იღებს და არა ქვეცნობიერიდან.

ცალკე სფეროს შეადგენს საპენსიო ასაკის ადამიანების ფსიქოთერაპია. ზოგიერთი მათგანი უცებ ამჩნევს, რომ ვერაფერს ახერხებს, თუმცა ბევრის გაკეთებას აპირებდა პენსიაზე გასვლის შემდეგ. აქაც მნიშვნელოვანია ცხოვრების მოწესრიგებული რიტმი და ამასთან ერთად ახალი, შემოქმედებითი საქმიანობის დაწყება, რომელიც შეიძლება წარსული საქმიანობიდან გამომდინარეობდეს ან სრულიად ახალ სფეროს ეკუთვნოდეს. აგრეთვე შესაძლებელია პენსიონერების ჩაბმა ჯგუფურ მუშაობაში. ასეთი ჯგუფები არ უნდა იყოს თერაპიული ხასიათის. მათ უნდა გამოძებნონ რაიმე ამოცანა, რომელიც ჯგუფისგან დამოუკიდებლად არსებული საჭიროებიდან გამომდინარეობს. მე უკვე ვახსენე ახალი კულტურა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მოხუცებულთა სახლებში. იგი ერთდროულად თერაპიაც იქნებოდა და დადებით გავლენასაც მოახდენდა გარემოს კულტურულ ცხოვრებაზე.

3. *ფსიქიატრია*. მესამე დონეზე ადგილი აქვს ნამდვილ და კლასიკურ ფსიქიატრიას. მართალია, არსებობენ მიმდინარეობები, რომელნიც ფსიქიატრიული ფენომენების მიზეზებს ფსიქოლოგიურ სფეროში ეძებენ (ე.წ. ანტიფსიქიატრია), ან მხოლოდ ბიოქიმიურ პროცესებად მიიჩნევენ, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ ამ დარღვევათა მიზეზები *სხეულებრივია*, რომელნიც საჭიროებენ *მედიკამენტურ* მკურნალობასა და ხშირად, სამწუხაროდ, ფსი-



ქიატრიულ კლინიკაში მოთავსებასაც. აქ შემიძლია განვიხილო ფსიქიატრიის მხოლოდ რამოდენიმე ასპექტი. ენდოგენური დეპრესიების, მრავალგვარი დარღვევების, რომელნიც „შიზოფრენიად“აა“ წოდებული, საზიფათო პალუცინაცუების ან შფოთვების ამბულატორიული მკურნალობა ხშირად შეუძლებელია ნაწილობრივ იმიტომ, რომ საჭიროა თვით პაციენტის დაცვა, ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ ასეთი ადამიანების მოვლა და ამასთან ყოველდღიური მოვალეობების შესრულება მეტისმეტად ძნელია გარშემომყოფებისთვის.

მძიმე დარღვევების მქონე პაციენტებთან უდიდესი პრობლემაა მათი დიდი რაოდენობა. საჭიროა უამრავი მომსახურე პერსონალი, რათა ამ ადამიანებს უახლესი თერაპიული საშუალებებით რეალური დახმარება გაეწიოს.

ბევრი რამ უკვე შეიცვალა. ზოგჯერ შესაძლებელია პატარა განყოფილებების შექმნა, სადაც ორ ან სამ პაციენტზე ერთი მომვლელი მოდის და თანამედროვე თერაპიისა და რესოციალიზაციის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. ცხადია, ასეთი მკურნალობა ყველა პაციენტისთვის ჯერ კიდევ მიუწვდომელია. ყურადსაღებია ცალკეული ანტიფსიქიატრის მცდელობები, საშუალება მისცენ ამგვარ პაციენტებს თერაპევტებთან და სოციალურად არაადაპტირებულებთან ერთად იცხოვრონ ღია კლინიკებში. მაგრამ ავადმყოფთა დიდი მასისთვის არც ესაა გამოსავალი, რადგან ამგვარი წამოწყებები ექსპერიმენტული ხასიათისაა და მათში არაა გარანტირებული მკურნალობის უწყვეტობა.

ყოველ შემთხვევაში, ზოგიერთი ანტიფსიქიატრის მსგავსად არ უნდა მოველოდეთ, რომ უეცრად ყველა დახურული განყოფილება ზედმეტი გახდება.

იქ, სადაც ამბულატორიული თერაპია უძლურია, დგება ხანგრძლივი პოსპიტალიზაციის, შრომითი თერაპიისა და ა.შ. საკითხი. თუკი შესაძლებელია რესოციალიზაცია, თუნდაც ადრინდელთან შედარებით უფრო დაბალი ხარისხით, მაშინ დგება სოციალური რეაბილიტაციის პრობლემა. აქაც ყველა ადგილი

დაკავებულია ხოლმე და პაციენტი შეიძლება მიუხედავი დარჩეს. ასე რომ ჭეშმარიტი ფსიქიატრია არა მარტო მედიცინის, არამედ სოციალური და ორგანიზაციული პრობლემაცაა.

ფსიქიატრიული პაციენტის მკურნალობისას (და აქ სრული უფლებით შეიძლება ვისაუბროთ „პაციენტზე“) უმნიშვნელოვანესია ის ფაქტი, რომ ილუზიის, შიშის, გაშეშების უკან მუდამ განაგრძობს არსებობას ადამიანის მე. ეს მე მისაწვდომია, თუ შიშისა და ილუზიის გვერდის ავლით პირდაპირ სულიერ ბირთვის მივმართავთ. ხშირად განმიცდია, რომ მთლიანად აზრს მოკლებული და ცალმხრივი საუბრები პაციენტს შეიძლება წლების განმავლობაში ახსოვდეს, მათი თერაპიული ზემოქმედება კი მოგვიანებით გამოვლინდეს. გზა, რომელსაც ე.წ. შიზოფრენიული პაციენტი გადის თავის შინაგან, ორგანულ სიღრმეებში, შეიძლება შევადაროთ მხოლოდ შუა საუკუნეთა მისტიკოსის განცდათა სამყაროს – მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მისტიკოსს ინტენსიური ვარჯიშის წყალობით შეეძლო თავისი გამოცდილების მართვა, შიზოფრენიკი კი დათრგუნული და შეპყრობილია ამ მოვლენებით. თერაპევტს, რომელიც იცნობს მისტიკურ გზას, შეუძლია გაგებითა და კონსტრუქციული კრიტიკით დახმარება გაუწიოს პაციენტს. ხშირად ირკვევა ხოლმე, რომ ის, რაც ავადმყოფს ესაჭიროება, არის გაგებით აღსავსე თანამგზავრობა, რომლის დროსაც არ მიაწებებენ უპიროვნო მარტივ სახელწოდებებს, არამედ ხელშეუხებელს დატოვებენ მის პიროვნულ მთლიანობას.

აქ მდგომარეობა იგივეა, რაც სამკურნალო პედაგოგიკაში. ყველაზე მძიმე შეფერხების მქონე ბავშვსაც კი აქვს უფლება გააჩნდეს მხატვრულ-თერაპიული გარემო, სადაც მის მაღალ მეს მიმართავენ. მე შეიძლება შევადაროთ მევიოლინესა და მის ინსტრუმენტს. გენიალური მუსიკოსიც კი ვერაფერს გახდება, თუ ხელთა აქვს ვიოლინო, რომელსაც მხოლოდ ერთი გაწყვეტილი სიმი აქვს. მაგრამ ინსტრუმენტის ხარვეზები არაფერს გვეუბნება მუსიკოსის მხატვრულ უნარებზე, რომელნიც მთლიანად შეიძლება გამომზეურდნენ, თუკი ეს ინსტრუმენტი დაუზიან-

ნებელი იქნება.

კლასიკურ ფსიქიატრიაშიც ბევრ სასოწარკვეთილ ნიჭიერ ინდივიდს ვხვდებით, რომელიც ვერ იყენებს თავის დაზიანებულ ინსტრუმენტს სხვა ადამიანებთან ურთიერთობისას. ამ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ თერაპევტი სერიოზულად მიუდგეს პაციენტის ინდივიდუალობას და შესაფერისად იმოქმედოს. პრაქტიკულად ეს შეიძლება ძალიან რთული აღმოჩნდეს. მაგრამ ვინც აღიარებს მეს, როგორც დაბადებამდე და გარდაცვალების შემდეგ არსებულ თავისთავად არსებას, ამ მრწამსში იბოვის ძალას, რათა დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნები.

საბედნიეროდ, ფსიქიატრიულ და მსგავს კლინიკებში ისეთი პაციენტებიც მოდიან, რომელნიც პერიოდულად ხდებიან ავადან გამომჯობინების სტადიაში პირდაპირი მიდგომის საშუალებას იძლევიან. მათაც ეხება ყოველივე ის, რაც უკვე ვთქვი წინა ორი ჯგუფის შესახებ: მხატვრული საქმიანობით თერაპია, შინა-არსიანი საუბრები, თბილი ადამიანური შეხვედრები და ურთიერთდახმარება აქაც თერაპიულ საშუალებებს წარმოადგენს.

## VII. პიროვნების განვითარება და ბიოგრაფია

აღამიანის ბიოგრაფია სიმფონია,  
რომელსაც იგი თავად ქმნის.

ბ.ლ.

როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნე, აღამიანს შეუძლია აქტიურად წარმართოს თავისი ბიოგრაფია. ცნობიერად თუ არა-ცნობიერად, მას შეუძლია თავად იყოს თავისი ბედის მჭედელი. აქ რამოდენიმე პუნქტია აღსანიშნავი. *ჯერ ერთი*: ვისაც სურს ცნობიერად განვლოს პიროვნული განვითარება, უნდა დაემორჩილოს განვითარების კანონებს. არავის ძალუძს, როგორც უნდა ეცადოს, „იყვავილოს“ მანამ, სანამ საკმარის ფოთლებს გამოისხამდეს. ფოთლების ამოსვლა კი ხუმრობა არ არის.

*მეორეც*: ვინც იღვწის შინაგანი განვითარებისათვის, მრავალი შესაძლებლობისა და გზის წინაშე აღმოჩნდება — ზოგი მათგანი მას სამოთხესაც კი პირდება. აქ ყველამ საკუთარი არჩევანი უნდა გააკეთოს, თუ შესაძლებელია, წვდომის, გააზრების საფუძველზე. ვინც მხოლოდ „არაკონტროლირებად განცდებს“, „ცნობიერების გაფართოებას“ ან „ზილვებს“ ეძებს, მიზანს ყველაზე ადვილად ქიმიური საშუალებებით მიაღწევს. ამას ბევრი აკეთებს. ისინი თავიანთ თრობას წმინდა საქმიანობად მიიჩნევენ, ერთგვარ რელიგიად, რომელსაც სხვებიც უნდა აზიარონ. არიან ცნობისმოყვარენიც, რომელნიც ერთხელ სცდიან და შემდეგ სხვა გზებს ეძებენ. და ისეთებიც არსებობენ, რომელნიც თავიანთ ბიოგრაფიას გაურბიან და თავშესაფარს ეძებენ წამლების სამყაროში და ქიმიური გზით შეცვლილ ცნობიერებაში. ეს თანაბრად ეხება ყველა ნივთიერებას ალკოჰოლიდან დაწყებული პეროინის ჩათვლით.

ნარკოტიკებითა და ალკოჰოლით გამოწვეულ „აფრენისა“ და „განცხრომის“ არაკონტროლირებად, ქაოტურ განცდებს არაფერი აქვს საერთო პიროვნების განვითარებასთან. ეს უკანასკნელი მოითხოვს იმ ძალების ცნობიერ ვარჯიშს, რომელნიც აღამიანთა უმრავლესობის სიცოცხლის განმავლობაში მთვლე-

მარე მდგომარეობაში იმყოფებიან. უკვე ვთქვი, რომ ადამიანი ძალიან ბევრი შესაძლებლობით იბადება, მაგრამ მათგან მხოლოდ მცირედ ნაწილზეა მოთხოვნა ჩვენს თანამედროვე კულტურაში, რის გამოც უმთავრესად მხოლოდ გარკვეული უნარები ვითარდება. ამიტომაცაა, რომ ასე ბევრი ადამიანი დაუკმაყოფილებლობას განიცდის ამ რედუცირებულ სამყაროში, სადაც ვცხოვრობთ, როგორც რედუცირებული პიროვნებები. მაგრამ რომელი უნარები უნდა განვავითაროთ ამჟამად? აქ აზრთა სხვადასხვაობას აქვს ადგილი.

აღმოსავლეთი გარკვეულ საშუალებებს გვთავაზობს – კლასიკური (და თანამედროვე) იოგითა და ძენზუდოზმით დაწყებული, მაზდეანობის გავლით და სუფიზმით დამთავრებული (მხოლოდ რამოდენიმე რომ დავასახელოთ). ყველა ეს მოძრაობა დაკავშირებულია ჩვენი დასავლური კულტურის ფესვებთან. ისინი ერთი მიზნისკენ მიემართებიან – უკან, წმინდა საწყისისაკენ. მათ სურთ დაგვანახონ ის, რამაც ათასწლეულების განმავლობაში დაამტკიცა თავისი ფასეულობა. და მართლაც, განვითარების ამ უძველეს სტადიათა საუნჯე თაყვანისცემის ღირსია. მათი ფესვები იმ კულტურებშია, რომელთაც სპირიტუალური უნდა ვუწოდოთ. სპირიტუალიზმი მსოფლმხედველობაა, რომლის მიხედვითაც ყოველივე არის სული, მატერია კი მხოლოდ ილუზიაა. ყველაფერი წარმოდგა ღვთაებრივი შემოქმედების პროცესის შედეგად. მატერია განეკუთვნება ანტისულის, წყვდიადის სამეფოს. ადამიანმა უნდა გაითავისუფლოს თავი წყვდიადის ცდუნებისაგან, მიატოვოს ეგოისტური მეს ცნობიერება და შევიდეს ღვთაებრივი ნათლის სამყაროში, საიდანაც იშვა. სხვა სიტყვებით: ყველა ამ მსოფლმხედველობას სურს, დაუბრუნდეს დაბადებამდელ ყოფიერებას, სამოთხეს, მეობამდელ ცხოვრებას.

გამოცხადების ყველა რელიგია, ძველი აღთქმის ჩათვლით, ეყრდნობა უძველესი ხანის ღვთაებრივ გამოცხადებებს. ადრეულ ხანებში სიზმრისეული ცნობიერების საშუალებით ყველას შეეძლო ნათლის სამყაროში შესვლა. უკანასკნელმა თვითმხილვე-

ლებმა ჩაწერეს თავიანთი განცდები მათთვის, ვისაც აღარ ძა-  
ლუქდა ხედვა.

განვითარების შესახებ ასეთი შეხედულება, რასაკვირველია, თანამედროვე ისტორიულ-მატერიალისტური თვალსაზრისის საპირისპიროა. მის მიხედვით, ცბიერი მღვდლები ყალბი გამო-  
ცხადებებისა და რებრესიების საშუალებით ინარჩუნებდნენ ხალ-  
ხზე ძალაუფლებას. ჩვენთვის, XX ს-ის შვილებისთვის, მეტად  
ძნელია, თუ შეუძლებელი არა, გადავინაცვლოთ სპირიტუალი-  
ზებული კულტურისთვის დამახასიათებელ ცნობიერებაში. ამ-  
გვარი კულტურის უკანასკნელი გამოკრთომა შეიძლება ვნახოთ,  
მაგ. ბალის ტომებში, სადაც ღვთაებრივი სამყარო ჯერაც მონა-  
წილეობს ბედნიერი კმაყოფილებითა და რწმენით აღსავსე ყო-  
ველდღიურ აქტივობებში.

თუ თანამედროვე პერსონალიზმიდან გადავხედავთ უძველესი  
რელიგიების გრანდიოზულ შინაარსს, მასში დავინახავთ ღვთა-  
ებრივი სამყაროდან შობილი ადამიანის მეს განვითარების ისტო-  
რიულ ეტაპებს. მაგრამ ახლა ეს მე ზრდასრული გახდა და  
პასუხს აგებს შემდგომ განვითარებაზე. ამიტომ მას აღარ შეუძ-  
ლია „სიყრმის ასაკში“ დარჩენა, რაც უნდა ბრწყინვალე და  
თბილი იყოს იგი.

ჩვენი დასავლური კულტურის ძირებიდან, ძველი ინდური,  
სპარსული, შუამდინარული და ეგვიპტური კულტურებიდან  
(მხოლოდ უმნიშვნელოვანესნი რომ დავასახელოთ), პირველად  
ბერძნულმა ფილოსოფიამ მოიტანა ცხოვრებისადმი დამოკიდე-  
ბულება, რომელსაც „იდეალიზმი“ შეიძლება ვუწოდოთ. პლა-  
ტონთან ღვთაებრივი სამყარო უკვე მიუწვდომელია ადამიანი-  
სათვის, ადამიანი დაბადებულია იდეების პირველყოფილი სამყა-  
როდან. შემეცნება არის დაბადებამდელი ცოდნის გახსენება.  
აღქმა და გაგება ხელახლა ცნობაა. მზერა ჯერ კიდევ მიმარ-  
თულია ინდივიდუალობამდელ სამყაროსაკენ, ახლადგაღვიძე-  
ბული მეს „სულიერი სამშობლოსაკენ“.

მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში, სქოლასტიკის ჩათ-  
ვლით, გაბატონებული იყო ფილოსოფიური აზროვნება. „ვაზროვ-

ნებ, მაშასადამე ვარ“, — მხოლოდ ახალი დროის დასაწყისში შეეძლო განეცხადებინა დეკარტეს. ახალ დროს, რომელიც დაიწყო რენესანსთან ერთად (და არა naissance-თან, ახლის დაბადებასთან ერთად), სურდა კიდევ ერთხელ ესარგებლა ბერძნული იდეათა სამყაროს საუნჯით. მალე ის, რასაც ადრე იდეას უწოდებდნენ, მიზეზად იწოდა და წარმოიშვა რაციონალიზმი. მას მოჰყვა მათემატიკაში, რომლისთვისაც ერთადერთი რეალური იდეა მათემატიკური ლოგიკა არის.

ამით გზა ხსნილი გახდა *მატერიალიზმისთვის*, მსოფლმხედველობისთვის, რომელიც დიამეტრულად საპირისპიროა სპირიტუალიზმისა. მატერიალიზმის აზრით, ყოველივე არის მატერია და მატერიალური ძალების მოქმედების გამოხატულება. ღვთაებრივი შემოქმედების პროცესის ადგილს იჭერს შემთხვევითობის ღმერთი, რომელიც მარტივი კავშირებიდან რთულს წარმოშობს. სირთულის ზრდასთან ერთად ბოლოს და ბოლოს წარმოიქმნება ცნობიერება. ამჯერად სული არის მათა ანუ დიდი ილუზია.

თავს ნუ მოვიტყუებთ: ჩვენ ყველანი მოწამლულნი ვართ მატერიალიზმით, მაშინაც კი, როცა რელიგიაში ან ფილოსოფიაში ვეძებთ სულს. როცა დაიწყო კამათი პურით და ღვინით ზიარების გამო, როცა საჭირო გახდა ღმერთის არსებობის დამტკიცება, მაშინ შემოიჭრა მთლიანად მატერიალიზმი.

ყოველი მსოფლმხედველობა გარკვეულ ასპექტს ითვალისწინებს. სპირიტუალიზმმა მოგვცა მოძღვრება სიბრძნის შესახებ, იდეალიზმმა — მოძღვრება იდეების შესახებ და ფილოსოფია, მატერიალიზმმა — მოძღვრება მატერიის შესახებ. ბუნებისმეტყველებამ და ტექნიკამ გარდაქმნა გარემომყოფი სამყარო, მოიტანა მატერიალური კეთილდღეობა. მაგრამ სულიერი საკითხები უპასუხოდ დარჩა. ეს განსაკუთრებით აშკარა გახდა უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში.

ტრადიციული და ინსტიტუციონალური ეკლესიები აღარაფრის მთქმელია სულ უფრო და უფრო მეტი ახალგაზრდისათვის. ისინი, თუ საერთოდ სურთ სულიერში შესვლა, ეძებენ ახალ

გზებს, რომელნიც წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება და არა განვითარების განვლილი საფეხურების აღორძინება ან განმეორება.

ეს ძიება არის ახალი მსოფლმხედველობის მოთხოვნილება, რომელშიც ადგილი მოიპოვება როგორც სულის, ისე მატერიისთვის, რომელშიც არაა აუცილებელი ზუსტი აზროვნების მიტოვება, არამედ შესაძლებელია სამყაროს ხატში ჩაერთოთ სულიც და ყოველივე ის, რაც დიდი შრომითა და გარჯით მოიპოვა ჩვენმა კულტურამ. ამას შეიძლება ვუწოდოთ ახალი რეალიზმი-კენ სწრაფვა. რეალიზმი, როგორც მსოფლმხედველობა, იდეალიზმის საპირისპიროა. რეალიზმს სურს თანაბრად იკვლიოს სული და მატერია და სამყაროს ერთ ხატში გააერთიანოს ისინი. ამგვარი ხატი ისტორიული აუცილებლობითაა განპირობებული. იგი არის მომდევნო ნაბიჯი განვითარებაში, რომელიც უნდა გადადგას ჩვენმა. დასავლეთის, კულტურამ. რეალიზმისაკენ ამ მისწრაფებას კიდევ ერთხელ შევხები, როცა ვილაპარაკებ პიროვნების განვითარებაზე.

გავიხედოთ დასავლეთისკენ და ვნახოთ, განვითარების რა გზებს გეთავაზობენ იქ. ამერიკიდან მომდინარეობს პიროვნების განვითარების მრავალგვარი მეთოდები, რომელნიც თერაპიისა და პარათერაპიის სახით გვევლინებიან: სენსიტიურობის ჯგუფები, ბაზისური და შეხვედრის ჯგუფები, მარათონული და გეშტალტ ჯგუფები. მათი მიზანია, განავითარონ ადამიანის სოციალური უნარები, რომელნიც უგულვებელყოფილნი არიან ჩვენს თანამედროვე კულტურაში. რწმენა ჯგუფისა, სოციალურობისა, როგორც ინდივიდზე მაღლა მდგომი რეალობისა — ყოველივე ეს, აშკარად, რეაქციაა ჩვენი კულტურის ცალმხრივობაზე. სერიოზული გამოყენებისას ამ მეთოდებმა შეიძლება თერაპიული ზემოქმედება იქონიოს ადამიანზე. მაგრამ კითხვას ბადებს მათი ფსევდორელიგიური ხასიათი, რაც, ალბათ, არ შეადგენდა მათი დამაარსებლების ჩანაფიქრს, არამედ ახლადმოქცეული ადეპტების დამსახურებაა, რომელთაც „აქ და აქამად“ რელიგიის დონეზე აიყვანეს.



მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა მე ამ მეთოდებშიც ვხედავ ახალი რეალიზმისკენ გადადგმულ ნაბიჯს, თუნდაც სული ჯერ კიდევ მეტად აბსტრაქტულად და ბუნდოვნად გვევლინებოდეს, კერძოდ, მხოლოდ ადამიანის პიროვნებაში. ამდენად თვით სული, მისი საწყისი და მომავალი გაურკვეველი რჩება. ფრანკლისა და ასაჯიოლის წარმოდგენა ადამიანის შესახებ მაინც ფსიქოლოგიზმთანაა ახლოს, თუმცა ისინი აღიარებენ სულიერ სფეროში მოქმედ მაღალ მეს; გვებადება კითხვა, ეს სული თავისთავადი რეალობაა, თუ ჩვენი კულტურის მონაპოვარი.

აღმოსავლეთიც სხვადასხვა გზებს გვთავაზობს: უკან – დაბალებამდელი არსებობისკენ, ცოდვით დაცემამდელი ხანისკენ. ის გვაძლევს უძველესი ხელნაწერებისა და ტრადიციების უღრმეს სიბრძნეს. მაგრამ მსოფლიოს დიდი რელიგიებისა და მათი შინაარსის გვერდით ანტიკურობაში არსებობდა მეორე, ფარული ნაკადი, რომელიც უპირველეს ყოვლისა კულტურულ სფეროში მოქმედებდა. ესაა ანტიკური მისტიერიების ტრადიციები. ძველად მისტიერიები წარმოადგენდა სკოლას სიბრძნის ძაძიებლებისათვის. ამ სკოლას უპირველეს ყოვლისა გადიოდა ის, ვისაც უნდა ეხელმძღვანელა ხალხისა და კულტურისთვის და ჩამოეყალიბებინა ისინი. ხანგრძლივი სხეულებრივი, ფსიქიკური და სულიერი სავარჯიშოებით მისტიერიის მოწაფე (ინიციატი) ემზადებოდა ხელდასხმისათვის, რომლის დროსაც იგი სიკვდილის მსგავს განცდას გადიოდა. მას ეუფლებოდა გრძნობა, რომელიც გააჩნია მომაკვდავს, როცა იგი საკუთარ სხეულს კარგავს.

ხელდასხმული მისტი, რომელიც ნამდვილ სიკვდილამდე უბრუნდებოდა სიცოცხლეს, მეორეჯერ დაბადებული ხდებოდა. მას აღარ ეშინოდა სიკვდილის, სულიერი არსებობა მისთვის რეალობად იქცეოდა.

მაგრამ მისტიერიებს ამაზე მეტი მნიშვნელობა პქონდა: ისინი იძლეოდნენ იმპულსს კაცობრიობის მომავალი განვითარებისათვის. აბსტრაქტული აზროვნების უნარს აქ გაცვილებით ადრე იმუშავებდნენ, ვიდრე იგი საყოველთაო კულტურული საკუთრება გახდებოდა. მათემატიკა, ასტრონომია, მედიცინა იმ ხანებშია

შექმნილი. ცნობილია, რომ პითაგორამ 30 წელი დაჰყო სხვადასხვა მისტიკურ ცენტრებში, სანამ თავის მათემატიკას ხელდაუსხმელებს გააცნობდა. პიპოკრატი იყო კუნძულ კოსზე არსებული მისტიკური სკოლის ხელმძღვანელი. სოციალური თანაცხოვრების ფორმებიც მისტიკრიებიდან განახლდებოდა ხოლმე, რასაც ხშირად მოჰყვებოდა ძველი სპირიტუალური, გამოცხადების რელიგიების ტრადიციულ ფორმებთან შეჯახება.

კლასიკურ საბერძნეთში მისტიკრიები ჯერ კიდევ აყვავების ხანაში იყო. სამოთრაკე და ელევზისი დიდ ცენტრებს წარმოადგენდა, ყველა დიდი ფილოსოფოსი ამ მისტიკრიათა ხელდასხმული იყო. გარკვეული აზრით, მისტიკრიები ანტიკურობის ერთგვარი „სულიერი უნივერსიტეტები“ იყო. თუმცა მოძღვრების შინაარსი საიდუმლოდ ინახებოდა, მისი ზემოქმედება კულტურაზე აშკარა იყო.

შეუძლია თუ არა ეგროპას, როგორც დასავლეთისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელს, ახალი ელემენტი შეიტანოს მომავლის რეალისტური მსოფლმხედველობის განვითარებაში? გზა მატერიალიზმიდან რეალიზმისკენ (სულიერი სამყაროს ხელახლა ხილვისკენ) არაა უცაბედი მუტაცია, არამედ თანამიმდევრულ საფეხურებს შეიცავს. ბუნების ფენომენოლოგიური ჭკრეტის მეთოდი, რომელიც მოგვცა გოეთემ მცენარეთა მეტამორფოზაში და უბირველეს ყოვლისა ფერთა მოძღვრებაში, ვუნდტის სენსუალისტური ფსიქოლოგია და მისი სწავლება დაკვირვების (ნებისითი აღქმის) შესახებ, ლაიბნიცის მონადოლოგია – ყოველივე ეს საფეხურებია უხეში მატერიალიზმის დაძლევის გზაზე.

ფენომენოლოგია გეთავაზობს მეთოდს, რომლის დახმარებითაც ვწვდებით იმ ფენომენებს, რომელნიც განსხვავებულ ახსნას მოითხოვენ. ბუნების მოვლენათა ფენომენოლოგიური კვლევა, მათი „ყოვლისმომცველი აღწერა“ წინასწარაკვიატებული მატერიალისტური თეორიის გარეშე არის სიცოცხლის სფეროში ორიენტაციის საშუალება. აგრეთვე ფენომენოლოგიური ფსიქოლოგია, ისეთი კვლევები, როგორიცაა ბოიტენდევეკისა ადამიანის შესახებ და პორტმანისა ცხოველების შესახებ, იძლევა

შესაძლებლობას ახლებურად მიეუდგეთ ადამიანის არსებას.

მაგრამ ყველას როდი ექნება უნარი ან სურვილი, დაადგეს ამ გზას. მათთვის კი ვისაც ძალუძს და სურს, არსებობს შესაძლებლობა გაეცნონ თავიანთ შინაგან სამყაროს. შინაგანი სიმშვიდის მიღწევა, კონცენტრაციის საგარჯიშოები, ემოციური აუზღვრეველობა, პოზიტიურობის გამომუშავება — ყოველივე ეს წანამძღვრებია შინაგანი გზისა. კონცენტრაცია და მედიტაცია აწესრიგებს წარმოდგენების სამყაროს, აღავსებს ადამიანს იმით, რასაც გვასწავლიდნენ დასავლეთის კულტურის წინამძღოლები. ზოგიერთი ადამიანი თავის გზას პოულობს *თომა კემპიელის* „ქრისტეს მიბაძვაში“, სხვები *დანტეში*, „პარციფალში“ ან *გოეთეს* „ფაუსტში“. მედიტაციები სახარების ტექსტებზე აცოცხლებს ახალ შინაგან სამყაროს. მცენარის, ცხოველის, ადამიანის და მისი ბიოგრაფიის განვითარების კანონების შესწავლა უფრო მეტ სოციალურ უნარებს ავითარებს, ვიდრე „აქ და ამჟამად“ განცდილ გრძნობებზე კონცენტრაცია.

განსხვავებული გზა აირჩიეს ანალიზური ფსიქოლოგიისა და თერაპიის სხვადასხვა განშტოებებმა. მრავალი წლის განმავლობაში მომხდარ აღმოჩენათა ანალიზის საშუალებით ადამიანის ქვეცნობიერი ცნობიერებაში ამოვიდა, მაგრამ ნათელია, რომ იმის ინტერპრეტაციაში, რაც ცნობიერი გახდა, გადამწყვეტია ანალიტიკოსის წარმოდგენა სამყაროს შესახებ. ცენტრალურ საკითხს ზოგიერთისთვის წარმოადგენს ბიოლოგიური პირველტოლვა, სხვებისთვის — სოციალურ გარემოში საკუთარი ადგილის ძებნა ან უღრმეს, უძველეს სიმბოლოთა ამოტივტივება. დანარჩენებისთვის სამშენიველის წიაღში კოსმიური სამყარო აირეკლება. აღსანიშნავია, რომ ყველა ეს მიმდინარეობა (როგორც წინა თავებში ვაჩვენე) ინდივიდუალურ შინაგან სამყაროზეა კონცეტრირებული, ან სურს მიაღწიოს ცნობიერი პიროვნების უკეთეს ფუნქციონირებას მოცემულ სოციალურ პირობებში.

*პიროვნების მომწიფების გზები, რომელთაც ვეთავაზობს აღმოსავლური მიმდინარეობები, ანალიზური მკურნალობები თუ*

ჯგუფური თერაპიები, შინაგან გზაზე, სულ უფრო ღრმა ინტრო-სპექციაზე არის ორიენტირებული.

ანტიკურ ხანაში მისტერიის ინიციანტს ასწავლიდნენ, რომ შინაგან გზაზე იგი შესვდებოდა ადამიანში მობინადრე, მათ შორის მაცდურ და დემონურ ღმერთებს. მისტერიის ქურუმების, იეროფანტების, ამოცანას შეადგენდა ზრუნვა იმაზე, რომ ინიციანტი მანამდე არ ჩასულიყო თავისი ფსიქიკის არაცნობიერ სიღრმეებში, სანამ არ ეცოდინებოდა, თუ რა მოელოდა იქ. მას უნდა ესწავლა, ერთმანეთისაგან გაერჩია ლამაზი თუ საზარელი ხატების სახით წარმომდგარი სურვილები, მოთხოვნილებები და იერარქიული არსებები, რომელთაც ბიბლია ანგელოზებსა და მთავარანგელოზებს უწოდებს, სხვა კულტურებში კი ისინი სხვა სახელებს ატარებენ. ისინი შინაგანად განიცდებიან, როგორც უმაღლესი რეალობის მქონე ხატები, გააჩნიათ გრძნობადი სამყაროდან ნასესხები ფორმები და თავიანთ ამოცანასთან, არსებასთან დაკავშირებული ნიშან-თვისებები. დიდი მუზეუმების ეგვიპტურ და ასირიულ განყოფილებებში შეგვიძლია ვიხილოთ ამ იერარქიების ქვაში ამოკვეთილი „იმაგინაციები“. შუა საუკუნეთა ფერწერაც გვიდასტურებს, რომ მათი მხატვრებისთვის არსებობდა სხვა სამყარო, რომელიც ისევე რეალური იყო, როგორც ჩვენი გრძნობადი სამყარო.

იუნგმა აღწერა შინაგანი გზის შედეგები. 1913 წ. ბევრი ჭოჭმანის შემდეგ მან გადაწყვიტა, „ჩაშვებულის“ საკუთარი ქვეცნობიერის სიღრმეებში ისე, რომ არ იცოდა, როგორი ამოვიდოდა იქიდან — ნორმალური ადამიანი, თუ შეშლილი. იგი გრძნობდა, რომ მოვალე იყო გაერისკა, რათა უკეთ გაეგო თავისი პაციენტებისთვის, განსაკუთრებით, ე.წ. შიზოფრენიული პაციენტებისთვის. მრავალი წლის განმავლობაში იუნგი მუშაობდა „ჯოჯოხეთში ჩასვლაზე“, ხატავდა და აღწერდა თავის განცდებს, რათა შემდეგში ცნობიერად მოპყრობოდა მათ. ვინც ვერ გააკეთებს ამას, არაცნობიერის უარყოფითი ძალების მსხვერპლი გახდება, — ამბობს იუნგი. იმ წლებში მას სურდა, მყოლოდა გურუ — მცოდნე და უნარიანი, რომელიც პრობლემებზე მაღლა

იდგებოდა და მოუწესრიგებდა ფანტაზიის უნებლიე ნაყოფებს.

რისკი, რომელიც იუნგმა აიღო თავის თავზე, არასოდეს იქნებოდა ნებადართული ანტიკური მისტერიების ინიციანტიზმისთვის. მათ მხოლოდ მას შემდეგ შეეძლოთ ამ გზაზე დადგომა, როცა საკმარისად მოემზადებოდნენ და შეეძლებოდათ ერთმანეთისგან გაერჩიათ ფიქცია და სინამდვილე, ცდუნება და ამოცანა. თუ თანამედროვე ადამიანი მოუმზადებლად დაადგება ამ შინაგან გზას, მაშინ თავის სულიერ წონასწორობას დიდ საფრთხეში ჩააგდება. ამიტომ მრავალი ადამიანი იუნგის მსგავსად ეძებს გურუს ან მეგზურს ამ გზაზე.

მაგრამ თანამედროვე ადამიანისთვის ახალი გზაცაა ხსნილი. ჩვენი მეცნიერულ-ტექნიკური ეპოქის დადებითი შედეგი ისაა, რომ ვისწავლეთ დაკვირვება და კვლევა. მდგომარეობა მაინც შეიძლება შეიცვალოს, თუმცა თავისი განვითარებისას მეცნიერება ტენდენციური გახდა. იგი მხოლოდ იმ დაკვირვებებს თვლის დასაშვებად, რომლებიც გაფილტრულია მის ხელსაწყოებში და მხოლოდ იმ ახსნებს აღიარებს, რომლებიც მატერიალისტური თეორიების ჩარჩოებშია მოქცეული. გრძნობადი აღქმის ინტენსიფიკაციისა და მისი კონსისტენციის შემოწმების მეთოდების გამოყენება არამატერიალისტურ თეორიებსაც შეუძლიათ.

ამ მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯი არის ფენომენოლოგია. პირველი დიდი ფენომენოლოგი მცენარეთა სამყაროს სფეროში იყო გოეთე. დაუსრულებელი, დიდად ინტენსიური აღქმის მეშვეობით, კონდენსაციის შედეგად, მისი სულიერი თვალის წინაშე აღმოცენდა პირველმცენარის ხატი, რომლიდანაც შეიძლება წარმოიშვას ყველა მცენარეული ფორმა მეტამორფოზისა და ინტენსიფიკაციის გზით. ბუერისთვის ეს პირველმცენარე მხოლოდ იდეაა, გოეთესათვის კი ეს იყო იდეა, რომელსაც იგი „თვალთ ხედავდა“. მე მას „ობიექტურ იმპინაციას“ ვუწოდებდი.

ეს გარე გზა, რომლითაც აღსაქმელ საგანში შეიძლება შევიმეცნოთ ფორმაქმნადი სამყარო, არის პიროვნების განვითარების

გზა, რომელიც რუდოლფ შტაინერმა განავითარა თავის ე.წ. გოეთეანიზმში. აქ გამოყენებული კვლევის მეთოდები გულისხმობს განსხვავებულ აბარატს (მაგ., შეიძლება გამოვიყენოთ მგრძობიარე კრისტალიზაცია), რომლის საშუალებითაც ვივით სასმელი წყლის, საკვები მცენარეების, სამკურნალო საშუალებების სულ სხვა თვისებებს, ვიდრე ჩვეულებრივი ქიმიური კვლევისას. პედაგოგიკასა და სამკურნალო პედაგოგიკაში შტაინერისეულ მიდგომას მივყავართ სრულყოფილ დიაგნოსტიკამდე, თერაპიამდე და სწავლების მეთოდიკამდე. უფრო მეტიც, ესაა გზა იმპაინაციის, ინსპირაციისა და ინტუიციისაკენ. იგი ინდივიდის შინაგან, კომპლექსებითა და შეკავებებით სავსე სამყაროს კი არ იკვლევს, არამედ გარე სამყაროს, რომელიც მისთვის სულით გამსჭვალული სინამდვილე არის. იცვლება ადამიანის სოციალური აქტივობა, რაც მედიცინაში, სოფლის მეურნეობაში, პედაგოგიკაში, სამკურნალო პედაგოგიკაში, ფსიქოთერაპიაში იქნის თავს.

შინაგანი გზა ამის შემდეგ სულ სხვა მნიშვნელობას იძენს. შინაგანი ცხოვრება ხდება სფერო, რომლის ობიექტური კვლევაც შესაძლებელი არის ამ მეთოდებით. ეს არაა ისე ამაღელვებელი, როგორც უძველესი სიბრძნის უკვე ბუნდოვან მისტიციზმად ქცეული მოძღვრებები. ეს გზა აგრეთვე ნაკლებადაა ემოციებით დატვირთული, ვიდრე ის განცდები, ჯგუფურ თერაპიას რომ ამოაქვს ზედაპირზე. აქ ადამიანმა კარგად იცის, თუ რას აკეთებს და შეუძლია ნაბიჯ-ნაბიჯ წაიწიოს წინ მაკონტროლებელი აზროვნების სინათლის ქვეშ.

მე ხშირად მეკითხებოდნენ, ნამდვილად აუცილებელია თუ არა ისეთი სიღრმისეული, საშიში და სახიფათო საქმით დაინტერესება, როგორიცაა არაცნობიერის კვლევა და მოცემული რეალობის მიღმა სხვა რეალობის ძიება. რატომ არ კმაყოფილდება ადამიანი გაზომვადი და კონტროლირებადი გრძობადი სამყაროთი? მასში ხომ საკმარისადაა ის, რისი კვლევაც შეუძლია ახალგაზრდა, პატივმოყვარე მეცნიერს? რატომ ვართულებთ ყველაფერს? ჩვენ ახლახან გადავლახეთ ბევრი ცრურწმენა, რაღად

გვინდა „უმაღლესი ძალების“ მორიგი ცრურწმენა?

ამ კითხვებზე ძალიან მარტივი პასუხი არსებობს: ვისაც აკმაყოფილებს ადამიანის „შიშველ მაიმუნად“ რედუცირებული ხატი, დაე, იყოს კმაყოფილი. ასეთი ხატით მას წარმატებით შეუძლია გაიაროს ცხოვრების შუა ფაზა. მაგრამ მესამე ფაზაში ის მძიმე მდგომარეობაში ჩაგარდება. ადამიანის ბიოლოგიურ-მატერიალისტური ხატისთვის მომავლის ერთადერთი პერსპექტივა არსებობს – ბიოლოგიური დაკნინება, ყოველივე იმის დაკარგვა, რაც ოდესღაც სიხარულს გვანიჭებდა და ღირებული იყო. ეს არის სუსტი ადგილი ბერგლერის სხვა მხრივ კარგი წიგნისა, რომელიც ეხება 50 წლის ადამიანის ამბოხს, მეორე ახალგაზრდობის ილუზიას. 50 წლის ადამიანს აღარ უნდა ჰქონდეს ილუზიები, იგი უნდა შეურიგდეს იმ ფაქტს, რომ მისი სიცოცხლე ნელ-ნელა ქრება. იგი არარაობის წინაშე დგას და უნდა მიიღოს ეს. ვისაც სურს ასე ცხოვრება, მისთვის შვიდბეჭდიან წიგნად რჩება მთელი ფაზა, რომელიც სიცოცხლის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს. სხვებს კი ამავე „წიგნიდან“ გამოაქვთ ძალა, რომლითაც თავისუფლდებიან ბიოლოგიური დაკნინებისგან და თავიანთ ბიოგრაფიას ახალ, შემოქმედებით განზომილებას ჰმატიებენ.

აქაა გზის გასაყარი. აზრს მოკლებულია რაიმეს შესახებ საუბარი, როცა თანამოსაუბრე უარყოფს მის არსებობას.

### შინაგანი განვითარების გზა

„ყოველ ადამიანში თვლემს უნარები, რომელთა საშუალებითაც მას შეუძლია მოიპოვოს უმაღლეს სამყაროთა შემეცნება“. ეს არის რუდოლფ შტაინერის წიგნის „როგორ მიიღწევა უმაღლეს სამყაროთა შემეცნება?“ პირველი წინადადება. შტაინერის შრომების 50 წლის განმავლობაში შესწავლის შემდეგ შემძლია ვთქვა, რომ აქ ვაწყდებით ახალი რეალიზმისკენ მიმავალ გზას. ვინც დაადგება ამ გზას, უნდა დათმოს სწრაფი შედეგების, „გაფართოებული ცნობიერების“ ან „ბრწყინვალე განცდების“ სურვილი.

შემე აღვწერე, რომ ამ გზაზე დადგომისას, ამოვდივართ

რა თანამედროვე საბუნებისმეტყველო მეთოდებიდან, აბსტრაქტულ აზროვნებას სისტემატურად ვაგითარებთ იმაგინაციად. ამ იმაგინაციაში ადამიანს სინამდვილე სურათ-ხატებში ეხსნება, რომელნიც უფრო მეტის შემცველნი არიან, ვიდრე მეცნიერული დეფინიციები.

როცა ხელოვნებას მივსდევთ არა შედეგებისთვის, არამედ ვმუშაობთ გარე მოვლენების მიღმა არსებული სინამდვილის აღქმაზე (და ამ დროს პირველ რიგში ფერთა და მუსიკის სამყარო გვეხსნება), მაშინ გრძნობათა ცხოვრება ინსპირაციის ხასიათს ღებულობს.

ნება ინტუიციურ ხასიათს იძენს. აუმიღვრეველობა (სულიერი წონასწორობა), ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, არის ნების ვარჯიშის შედეგი. ეს არის უნარი, ერთმანეთისგან განასხვავო არსებითი და არაარსებითი და იგი ჭეშმარიტად ინტუიციური აქტია.

იმაგინაციის შედეგია უფრო ღრმა ჭეშმარიტების წვდომა; ინსპირაციის — მშვენიერებისა; ინტუიციისა — სიკეთის, მოცემული ვითარებისთვის სწორი (კეთილი) საქმის ქმნა. ეს გზა შეიძლება თან სდევდეს ადამიანის მთელ ბიოგრაფიას. სიყრმისას ახალგაზრდა იღვიძებს და ხედავს თავისი საკუთარი პიროვნებისა და სამყაროს იდუმალებებს. დიდია იდეალებში მთლიანად ჩაძირვის მიდრეკილება, მოთმინება ჯერ არასაკმარისია, ხელის შემშლელია მოწინააღმდეგეთა ვერშეფასება.

და მაინც, შესაძლებელია თესლის ჩადება, რომლისგანაც ბიოგრაფიის მანძილზე სრულყოფილი მცენარე განვითარდება და, ალბათ, 40 წლის ასაკის შემდეგ აყვავდება.

20 წლის ასაკში ვითარდება ენერგია, რომლითაც შესაძლებელია საკუთარი განვითარების დაუფლება. შინაგან და გარეგან დაბრკოლებებთან შეხვედრით მიღებული გამოცდილება 30-იან წლებში ჯანსაღ გამოფხიზლებას იწვევს. მაგრამ არსებობს საფრთხე, რომ ამ გამოფხიზლების ან ილუზიების გაქრობის შემდეგ ადამიანმა მიატოვოს შინაგანი განვითარების გზა. ცხოვრება საფსეა შესაძლებლობებით და ინდივიდი განიც-



დის ლტოლვას, ისწავლოს საკუთარი გამოცდილებიდან.

40 წლის ასაკში საკითხი, განაგრძო თუ არა ეს გზა, ეგზისტენციალური ხდება. სწორედ ამაზეა დამოკიდებული, თუ როგორ წარიმართება ცხოვრების მესამე ძირითადი ფაზა. მანაც კი, ვინც არ წავა სისტემატური მედიტაციის გზით, უნდა აღმოაჩინოს სფერო, რომელიც არ შეიცავს მხოლოდ მატერიალისტურ შინაარსს. ლიტერატურას, ხელოვნებას, სოციალურ პასუხისმგებლობას შეუძლია შეგვიძინოს მდიდარი შინაგანი სამყარო.

50-იანი წლების მეორე ნახევარში მწვავე აუცილებლობად იქცევა პროფესიული სამყაროს გვერდით შინაგანი სამყაროს აგება. მე ბევრჯერ შევკითხვიარ საპასუხისმგებლო თანამდებობის პირებს: „რას იზამდით, უეცრად რაიმე მიზეზის, მაგ., უბედური შემთხვევის გამო სამსახური რომ დაგეკარგათ?“ და ბევრჯერ მიმიღია პასუხი: „მაშინ აღარაფერი დამრჩებოდა!“ როდესაც ასე ლაპარაკობენ, საკუთარი თავის წინაშე ხედავენ უფსკრულს, რომელსაც აქამდე ვერ ამჩნევდნენ.

არასოდეს არის გვიან, დაადგე შინაგანი განვითარების გზას. როცა ეს 18 წლის ასაკში ხდება, ბევრია ილუზიები, მაგრამ რეალიზმამდე მისვლის დროც დიდია. ვინც ამას 60 წლის ასაკში იწყებს, მას დიდი გამოცდილება აქვს დაგროვილი და უფრო სწრაფად შეუძლია ორიენტაცია, რადგან უკვე ბევრი იცის გაუცნობიერებლად.

შინაგანი განვითარების გზაზე შედგომა ზეგავლენას ახდენს ადამიანზე, საზოგადოებაში მის ადგილზე, კულტურასა და ზენა სამყაროზე. პიროვნებისეული განვითარება იწვევს ცხოვრებას „შინაგანი ხმის“ მიხედვით, ადამიანი „შინაგანი ხმის ერეტიკოსი“ ხდება, ნოიშანის ცნებები რომ მოვიშველიოთ. ამიერიდან ჩვენს ცხოვრებას, ქცევას, აზროვნებას ფრაზები, კონვენციები, ყოველდღიური რუტინა კი არ წარმართავს, არამედ „შინაგანი ხმა“, განვითარებადი ინტუიცია.

„შინაგანი ხმის ერეტიკოსები“ ჩვენი კულტურის განმაახლებელნი არიან. მათ ყოველთვის სდევნიდნენ და მომავალშიც ასე იქნება. წარსულში მათ საწამლავს ასმევდნენ ან კოცონზე სწავ-

დნენ, დღეს კი ისინი იგნორირებულნი არიან. სოციალურ სფეროში მათ დისკომფორტი შეაქვთ, ისინი უკმაყოფილონი არიან არსებულთ. არსებობს მრავალგვარი შინაგანი ხმა, მათ შორის ძალადობის ნიჰილისტური ფილოსოფიებიც, რომელნიც დედამიწაზე უტოპიურ სამოთხეს გვპირდებიან. ამიტომაც ასე გადაუდებელი ხდება შუალედური გზა, გზა კონტემპლაციისა და შინაგანი დისციპლინისა.

შინაგანი განვითარების ოქროს წესი განსაკუთრებით სოციალურ სფეროს შეეხება. ის აცხადებს: ერიდე პოლარიზაციას, გაითვალისწინე, რომ ყველაფერს ორი მხარე აქვს, რომ სინამდვილე კარგიცაა და ცუდიც და რომ ყველა სადავო საკითხი ორ უკიდურესობას შორისაა.

ინდივიდისათვის შინაგანი ვარჯიშის გზა იწყება მდიდარი შინაგანი ცხოვრების შექმნით, ფილოსოფიით, მეცნიერებით, რელიგიით, ხელოვნებით, ბუნებითა და პედაგოგიკით დაინტერესებით. მხოლოდ ამ მდიდარ შინაგან ცხოვრებას, რომელიც ბუნების წიაღშიც შეიძლება შეიქმნას — რადგანაც მთავარი გამოცდილების რაოდენობა კი არა, არამედ სიღრმეა — შეუძლია სრულ სიმწიფემდე მიიყვანოს კონცენტრაციასა და მედიტაციაში ცხოვრება.

პიროვნებისეული განვითარება ინდივიდის წინაშე გამუდმებით სვამს კითხვას: ნამდვილად არსებობს უმაღლესი სამყარო, თუ იგი აბსტრაქცია ან პროექციაა? აქ აღარ შეიძლება რჩევის მიცემა, რადგან ყველამ თვითონ უნდა მიაღწიოს დარწმუნებულობას. შინაგან გზაზე ბევრი რწმუნდება, რომ არსებობს ობიექტური სულიერი სამყარო, სადაც ადამიანის მე თავის სამშობლოს პპოვებს.

დაბოლოს: უკვე ყრმას ებადება კითხვა: ვინ ვარ მე? ეს კითხვა თანდათან პიროვნების განვითარების ცენტრალურ პუნქტად იქცევა. არა იმიტომ, რომ მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია საკუთარი თავი, არამედ იმიტომ, რომ გვსურს ვიცოდეთ, თუ „რა უნდა ვაკეთოთ სინამდვილეში“. აქაც სხვადასხვა პასუხი არსებობს. გოეთესადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში შილერი

წერდა (ისინი თითქმის ერთმანეთის პირდაპირ ცხოვრობდნენ, მაგრამ მაშინ ადამიანები ჯერ კიდევ სწერდნენ ერთმანეთს წერილებს!): თუ საღამოს შუა წერილის წერისას დაღლას ვიგრძნობ, დავდებ კალამს და დავიძინებ, დილას მაგიდაზე ნახევრად დაწერილი წერილი დამხვდება. ამაში მე არა ვარ თავისუფალი — მაგრამ მე თავისუფალი ვარ, დავხიო და გადავაგდო ეს წერილი, ან დავასრულო და გავგზავნო იგი. აქაა ჩემი თავისუფლება. ასევე ხომ არაა ადამიანის ცხოვრებაში? განა არ ვხვდებით ჩვენი ცხოვრების გზაზე ბევრ დაუმთავრებელ წერილს?

ვინც ამ ხატს ბოლომდე გაიაზრებს, ალბათ, იპოვის პასუხს კითხვებზე: ვინ ვარ მე? საიდან მოვედი? რა არის ჩემი ნამდვილი ამოცანა? სადა ვარ ხელფეხშეკრული, სად თავისუფალი? როგორაა იმ ნახევრადდაწერილი წერილის საქმე, რომელიც მეც ვიპოვე ჩემი ცხოვრების გზაზე? მარტომ უნდა ვაკეთო ყველაფერი, თუ ნაწილი ვარ ურთიერთკავშირების წნულისა, რომელიც ყველაფერთან ერთად სიყვარულსაც მომცემს?

ყველა ამ კითხვაზე პასუხის გაცემაზეა დამოკიდებული, თუ როგორი შემართებითა და რწმენით შეუდგება ადამიანი თავისი ბიოგრაფიის შეთხზვას.

ჩვენი კულტურა ახალი ეპოქის ზღურბლზე დგას. მატერიალიზმი, რასაკვირველია, არაა ადამიანის მიერ შექმნილი უკანასკნელი მსოფლმხედველობა. ჩვენი ახალი დროის ჭეშმარიტი ამოცანაა ჯერ კიდევ შესასრულებელია და მისი კონტურები უკვე გამოჩნდა.

ერთ დროს, როცა ადამიანი გარეთ იმზირებოდა, ღვთაებრივ-სულიერ სამყაროს ხედავდა იქ; როცა მზერას შიგნით მიმართავდა, იქაც იმავე სამყაროს პოულობდა. მაგრამ ამის გამო ინტერესი მატერიალური სამყაროსადმი სუსტი იყო. თანდათან ღვთაებრივ-სულიერი სამყაროს ხედვა დაიკარგა. ღმერთები აღარ იყვნენ ხილვადნი, დაიწყო ღმერთების დაბინდვა. მათი განცდა შეიძლებოდა მხოლოდ ძველ მისტიკურებში, მისტიკური ხელდასხმით. წინასწარმეტყველნი, რომელთაც უკანასკნელად იხილეს ეს სინამდვილე, შეცვალეს საღვთო წერილის სწავლულებმა,

რომელნიც კამათობდნენ წინასწარმეტყველების შესახებ. ფილოსოფოსებმა ადამიანის აზროვნებას დამოუკიდებლობა შესძინეს, მაგრამ ისინი აღარ იყვნენ ნათელმხილველები. ღვთაებრივ სამყაროსა და გრძნობად სამყაროს შორის უფსკრული გაჩნდა, რომელზედაც ხიდის გადება გარკვეული დროის განმავლობაში რწმენამ შეძლო.

მაგრამ ადამიანისთვის შინაგანი სამყაროც უცხო გახდა, აქაც უფსკრული წარმოიშვა. ადამიანში არსებული ღვთაებრივი სამყარო, რომელსაც ჯერ კიდევ განიცდიდნენ თავიანთ არაცნობიერში უკანასკნელი მისტიკოსები, შემდგომი თაობის „იკვლევარებისთვის“ გადაიქცა ბრმა, ორგანულ ლტოლვათა სამეფოდ, რომლის შემეცნებაც შეიძლება მხოლოდ ქაოტურ სიზმრის სამყაროში.

გარეთაც და შიგნითაც თანამედროვე ადამიანი, თუ ის გულწრფელია, უფსკრულთან დგას, რომელსაც ვერ გადალახავს. რწმენამ და სიზმრის ხატებმა ძალა დაკარგა. ამ უკიდურეს მარტობაში მას მხოლოდ საკუთარ მეში შეუძლია იბოვოს ძალა, რომელიც დაეხმარება ორივე უფსკრულის გადალახვასა და გზის პოვნაში. ის, რასაც ადამიანს ოდესღაც სხვები აძლევდნენ, ახლა თვითონ უნდა განიფიქროს. მას მეტად აღარ ძალუძს პასიურად ლოდინი, არამედ თავად უნდა გაიკვლიოს გზა.

გრძნობად სამყაროს ადამიანი მხოლოდ ზედაპირული ცნობიერებით აღიქვამს; ის ხედავს ფორმებსა და მოძრაობებს, შეუძლია განავითაროს შიბოთეზები და თეორიები, რომელთა საშუალებითაც მოახდენს შექმნილი სამყაროთი და მისი კანონზომიერებებით მანიპულაციას, ძველი კომბინაციებიდან ახლის შექმნას. მაგრამ მან აღარაფერი იცის საგანთა ყოფიერებაზე. „ონტოლოგიური კითხვების“ დასმა აღარ შეიძლება, რადგან არამეცნიერულად ითვლება. ადამიანი მოკვდინების ოსტატი გახდა. ნაცვლად იმისა, რომ განჭვრიტოს სიცოცხლე მთელ მის რეალობაში, იგი მხოლოდ გარეგნულად აღწერს მას და ყველგან ზღუდეს აწყდება. მას არ შეუძლია აღმოაცენოს სიცოცხლე, ახსნას ცნობიერება, შეამოწმოს ღირებულებები.

ადამიანი მხოლოდ მაშინ შეძლებს უფსკრულის გადალახვას, რომელიც გარე სამყაროს აშორებს, როცა განივითარებს ახალ უნარებს – რომელნიც სთვლემენ მასში, მაგრამ რომელთა გამოღვიძება და გამოყენებაც შეიძლება (ისევე როგორც ყველა სხვა უნარისა). ეს იმას ნიშნავს, რომ აღქმა მხოლოდ ფოტოგრაფიულ სურათს კი არ უნდა იძლეოდეს, არამედ მნიშვნელობის, აზრის შემცველ ხატს, იმაგინაციას.

აქ გზას ხელოვანები გვიჩვენებენ: ხელოვნების ქეშმარიტი ნაწარმოები წარმოშობილია გამოცდილებიდან, რომელიც სწორედ უფსკრულს გადაღმა მიღებული. ერთი მხრივ, ის გრძობებისთვის მისაწვდომია, მეორე მხრივ კი იმის გამოცხადებაა, რაც დედააზრის სახით გრძობადის უკან არსებობს. კიდევ ერთი ნაბიჯი წინ და ხილული გახდება თვით შემოქმედებითი ძალები, რომელნიც გამოგვიჩვენებენ ბუნების ძალთა სულიერ საფუძველს. მეცნიერება, ხელოვნება და რელიგია, რომელნიც ჩვენმა მატერიალისტურმა აზროვნებამ ურთიერთგამომრიცხავ სფეროებად აქცია, კვლავ უნდა გაერთიანდეს. ბირველ რიგში უნდა დაახლოვდეს მეცნიერებისა და ხელოვნების მეთოდები, მეცნიერმა ხელოვანს უნდა მისცეს ხედვა, ხელოვანმა კი მეცნიერს წვდომა. მხოლოდ მაშინ გამოიღვიძებს ახალი რელიგია; და ეს სიტყვასიტყვით ნიშნავს ღვთაებრივ-სულიერ სამყაროსთან ხელახლა შერწყმას.

გოეთე ამბობდა:

„ვინც მეცნიერებასა და ხელოვნებას ფლობს,  
მას რელიგიაც გააჩნია“.

ამ სიტყვებით მან გამოხატა თავისი ფენომენოლოგიური მეთოდის მიზანი.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს ძალუძთ და მართებთ კიდევაც გახდნენ ახალი მისტიკრიული მეცნიერებანი, სპირიტუალური მეცნიერებანი. ამის შემდეგ შეძლებს ტექნიკა კვლავ ემსახუროს სიცოცხლეს. ჩვენ არა მარტო გარემოს განადგურების წინააღმდეგ უნდა ვიბრძოლოთ, არამედ თვით გარემოც

უნდა შეეკმნათ.

მეორე მხრივ, შინაგან გზას შეუძლია გადაგვალახინოს უფსკრული ჩვენსა და ღვთაებრივ-სულიერ სამყაროს შორის, რომელიც ჩვენშია. მაშინ ბიოლოგიური ლტოლევები გადაიქცევა ღვთაებრივ საჩუქრად, რომელნიც ხანგრძლივი სულიერი ევოლუციის შედეგად წარმოიშვნენ: ჩვენ არა მარტო უნდა მივიღოთ და განვიცადოთ ისინი, არამედ განვავითაროთ კიდევც ახალ და უფრო მაღალ ფორმებად. ბოლოს და ბოლოს, ყველა მოთხოვნილება და ყველა სურვილი სიყვარულში უნდა გადაიზარდოს. იმ ბრძოლაში, რომელსაც ეს გზა გულისხმობს, შესაძლებელი გახდება ქრისტიანობასთან შეხვედრის განახლებაც — შეხვედრისა, რომელიც გვიხსნის მარტოობისგან და მიგვიყვანს ადამიანებთან და კოსმოსთან ერთიანობამდე.

ჩვენ თვითონ უნდა დავადგეთ ამ გზას, უნდა გადავაბიჯოთ ზღურბლს და დღის ცნობიერებიდან გადავიდეთ სრულიად ცნობიერ ღამის ცნობიერებაში. ამ გზაზე წინ გაგვიძღვება კონცენტრაცია და მედიტაცია, მიუკერძოებლობა და ტოლერანტობა, გამბედაობა და რწმენა იმისა, რომ წყვედიადიდან დახმარების ხელს გამოგვიწვდიან.

ჯანსაღი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ დავიცავთ წონასწორობას შინაგან გზასა და გარე გზას შორის. ამასთან, პირველ რიგში გარე გზას უნდა დავადგეთ. სწორედ ამ გზაზე იძენს აზროვნება იმ ძალას, რითაც გაუმკლავდება შინაგან გზაზე აღმოცენებულ წამლუკავ განცდებს.

თუ გადავაბიჯებთ უფსკრულს და გარეთ გავემართებით, მივალთ ახალ სულიერ ბუნებისმეტყველებამდე, ახალ მედიცინამდე და სოფლის მეურნეობამდე. თუ კი შიგნით წავალთ უფსკრულის გადალახვის შემდეგ, მაშინ მივალთ ახალ სულიერ ანთროპოლოგიამდე, ახალ პედაგოგიკამდე, ახალ ფსიქიატრიამდე. ორივე გზას ერთად მოაქვს ახალი სოციალური მეცნიერება, რომლის ცენტრალური პუნქტია განვითარების კვლევა — განვითარებისა, რომელიც ყოველი ცალკეული ადამიანის ბიოგრაფიასა და საზოგადოებაში ხილული გახდება.

სოციალურმა განვითარებამ კიდევ ერთხელ მიგვიყვანა კრიტიკულ ფაზამდე. ამ მომენტში ნამდვილი პრობლემა არაა ის, თუ როგორ უნდა გავანაწილოთ მატერიალური დოვლათი. ნამდვილი პრობლემა ისაა, გვაქვს თუ არა გამბედაობა, გადავლახოთ მატერიალიზმი და გავიჭრათ ახალი სულიერი რეალობისკენ. მხოლოდ მაშინ შევძლებთ ახლებურად მოვაგვაროთ მატერიალური პრობლემები.

- Adler, A.*: Individual Psychology of Alfred Adler, New York 1956
- Adler, A.*: Die Technik der Individualpsychologie I und II, Frankfurt 1974
- Adler, A.*: Praxis und Theorie der Individualpsychologie, Frankfurt 1974
- Allport, G.W.*: Werden der Persönlichkeit. Gedanken zur Grundlegung einer Psychologie der Persönlichkeit, München 1974
- Andriessen, H.C.J.*: Psychologie des Erwachsenenalters. Ein Beitrag zur Lebenslaufpsychologie, Köln 1972
- Assagioli, R.*: The Act of Will, New York 1973
- Assagioli, R.*: Psychosynthesis. A Manual of Principles and Techniques, New York 1971
- Bergler, E.*: Die Revolte der Fünfzigjährigen, Zürich, Stuttgart, Wien 1955
- Blauner, R.*: Alienation and Freedom, Chicago 1970
- Bovet, Th.*: Führung durch die Lebensalter, Bern 1955
- Bühler, Ch.*: Der menschliche Lebenslauf als psychologisches Problem, Göttingen 1959
- Buytendijk, F.C.J.*: Mensch und Tier. Ein Beitrag zur vergleichenden Psychologie, Hamburg 1958
- Cartwright, D. und Zander, A. (Hrsg.)*: Group Dynamics, New York 1968
- Chorus, A.M.J.*: Psychologie van de menselijke levensloop, Leiden 1959
- Ciba Congress: Man and his Future, London 1963
- Cole, L. und Hall, J.M.*: Psychology of Adolescence, New York 1964
- Dewey, J.*: Erfahrung und Erziehung, Weinheim 1968
- Dewey, J.*: Demokratie und Erziehung, Braunschweig 1964
- Dewey, J.*: Psychologische Grundfragen der Erziehung. Der Mensch und sein Verhalten, Erfahrung und Erziehung, München 1974
- Dreikurs, R.*: Grundbegriffe der Individualpsychologie, Stuttgart 1975
- Erikson, E.H.*: „Das Problem der Identität“, Psyche 1956/7, 1-3/X
- Erikson, E.H.*: Wachstum und Krisen der gesunden Persönlichkeit, Stuttgart 1953
- Evans, R.I.*: Gespräche mit C.G.Jung und Äußerungen von Ernest Jones, Zürich 1967
- Frankl, V.E.*: Ärztliche Seelsorge. Grundlagen der Logotherapie und Existenzanalyse, München 1975
- Frankl, V.E.*: Homo Patiens, Wien 1950
- Freud, S.*: Studien zur Psychoanalyse der Neurosen, Wien 1926



- Freud, S.*: Zur Technik der Psychoanalyse und zur Metapsychologie, Wien 1924
- Freud, S.*: Abriß der Psychoanalyse. Das Unbehagen in der Kultur, Frankfurt <sup>26</sup>1976
- Goethe, J.W. von*: Glückliches Ereignis, in: Versuch, die Metamorphose der Pflanzen zu erklären
- Guardini, R.*: Die Lebensalter, Würzburg <sup>9</sup>1967
- Hemleben, J.*: Rudolf Steiner in Selbstzeugnissen und Bilddokumenten (rororo Monographien), Reinbek 1974
- Hoffmann, B.*: The Tyranny of Testing, New York 1962
- Humboldt Gesellschaft: Das Menschenbild der Gegenwart (Abh.Bd.1), Mannheim 1964
- Jacobi, J.*: Die Psychologie von C.G.Jung, Frankfurt 1977
- Jaffé, A.*: Aus Leben und Werkstatt von C.G.Jung. Parapsychologie, Alchemie, Nationalsozialismus. Erinnerungen aus den letzten Jahren, Zürich, Stuttgart 1968
- Jaffé, A.*: Der Mythos vom Sinn im Werk von C.G.Jung. Zürich, Stuttgart 1967
- Jaffé, A. (Hrsg.)*: Erinnerungen, Träume, Gedanken von C.G.Jung, Freiburg <sup>8</sup>1976
- Jung, C.G.*: Der Mensch und seine Symbole, Olten 1968
- Kaufmann, R.*: Die Menschenmacher, Hamburg 1964
- Künkel, F.*: Die Lebensalter, Konstanz 1957
- Laing, R.D.*: Phänomenologie der Erfahrung, Frankfurt 1975
- Lauer, H.E.*: Vom richtigen Altwerden. Der menschliche Lebenslauf, seine geschichtlichen Wandlungen und seine Gegenwartsprobleme, Freiburg-Schaffhausen 1972
- Leent, J.A.A. van*: Sociale psychologie in drie dimensies, Utrecht 1961
- Lievegoed, B.C.J.*: Entwicklungsphasen des Kindes, Stuttgart 1976
- Lievegoed, B.C.J.*: Organisationen im Wandel. Die praktische Führung sozialer Systeme in der Zukunft, Bern, Stuttgart 1974
- Lievense, J.*: Je rijpt je rot, Amsterdam 1975
- McGregor, D.*: Der Mensch im Unternehmen, Düsseldorf 1973
- Maslow, A.H.*: Motivation und Persönlichkeit, Olten, Freiburg 1977
- Maslow, A.H.*: Psychologie des Seins, München 1973
- Maslow, A.H.*: Religions, Values and Peak Experiences, Ohio 1964
- Moers, M.*: Die Entwicklungsphasen des menschlichen Lebens, Ratingen 1953
- Moers, M.*: Das weibliche Seelenleben, Bonn 1950
- Morris, D.*: Der nackte Affe, München 1970
- Neumann, E.*: Tiefenpsychologie und neue Ethik, Zürich 1949
- Parker, E.*: The Seven Ages of Woman, Baltimore 1960
- Peter, L.J. und Hull, R.*: Das Peter-Prinzip oder die Hierarchie der Unfähigen

gen, Reinbek 1972

*Portmann, A.*: Zoologie und das Bild des Menschen, Reinbek 1959

*Post, L. van der*: C.G.Jung, der Mensch und seine Geschichte, Berlin 1977

*Roethlisberger, F.J.*: Management and the Worker, Cambridge Mass. 1950

*Rogers, C.R.*: Psychothérapie et relations humaines: Théorie et pratique de la thérapie non-directive, Louvain 1965

*Rogers, C.R.*: Die nicht-direktive Beratung. Counseling and Psychotherapy, München 1976

*Rogers, C.R.*: Die klientenzentrierte Gesprächspsychotherapie. Client-Centered Therapy, München 1976

*Rünke, H.C.*: Die Zeitabschnitte im Leben des Mannes, Köln 1974

*Schiller, F.*: Briefe über die ästhetische Erziehung des Menschen, Bad Heilbrunn 1960

*Siroka, R.W.*: Sensitivity Training and Group Encounter, New York

*Skinner, B.F.*: Jenseits von Freiheit und Würde, Reinbek 1973

*Steiner, R.*: Wie erlangt man Erkenntnisse der höheren Welten? (Taschenbücher aus dem Gesamtwerk), Dornach 1977

*Steiner, R.*: Die Geheimwissenschaft im Umriss (Taschenbücher aus dem Gesamtwerk), Dornach 1976

*Steiner, R.*: Wahrheit und Wissenschaft/Grundlinien einer Erkenntnistheorie der Goetheschen Weltanschauung (Taschenbücher aus dem Gesamtwerk), Stuttgart 1961

*Steiner, R.*: Theosophie. Einführung in übersinnliche Welterkenntnis und Menschenbestimmung (Taschenbücher aus dem Gesamtwerk), Dornach 1978

*Strasser, S.*: Phänomenologie und Erfahrungswissenschaft vom Menschen, Berlin 1964

*Trimbos, K.*: Antipsychiatrie, Deventer 1975

*Verbrugh, H.S.*: Medizin auf totem Gleis. Das Menschenbild der Medizin als vorwissenschaftliche Ideologie, Stuttgart 1975

*Watson, J.B.*: Behaviorismus, Frankfurt 1976

*Watzlawick, P., Weakland, J.H. und Fisch, R.*: Lösungen. Zur Theorie und Praxis menschlichen Wandels. Bern, Stuttgart, Wien 1974

*Wehr, G.*: Carl Gustav Jung (rororo Monographien), Reinbek 1969

*Wehr, G.*: C.G. Jung und Rudolf Steiner, Konfrontation und Synopse, Stuttgart 1972

*Wijngaarden, H.R.*: Hoofdproblemen der volwassenheid, Utrecht 1950

*Wulff, E. und Trimbos, C.*: Kritische Psychiatrie, Frankfurt 1976